საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№12 (294)
1 - 7 აპრილი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

პოლ კრეიგ რობერტსი:
## აშშ-ს მსოფლიოსთვის, ნგრევის გარდა, არაფერი მოაქვს!
3

## «მკვლელობები გაგრძელდება! ეს არის ჩუმი რევოლუცია, რომელიც ორიენტირებულია ლიდერების ლიკვიდაციაზე!»
4

## მოკლეს ბიძინას დროს!
12



„იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენ, თქვენი მინისტრები, თქვენი ექსპერტები, თქვენი ანალიტიკოსები და, საზოგადოდ, თქვენი გუნდი ეგზომ „პროფესიონალურად“ მართავთ, სრულიად პროფესიონალურად დათარეშობენ ძალიან პროფესიონალი „ქილერები“!“

2 «ნაციონალური მოძრაობის» სპეციალური ჯგუფი «ფეისბუქის» მომხმარებლებში შიშს აღვივებს»

6 «ბატონო პრემიერო, თუ დამნაშავეა, სექტაა და საფრთხეს წარმოადგენს, რატომ არ იჭერთ, რატომ არ ასამართლებთ?!»

10 NDI-დან IRI-მდე

11 «ამერიკელები ქართველ საზოგადოებას რაღაც საშინელებისთვის ამზადებენ!»

## «ივანიშვილს სააკაშვილი დაემართა»
9

თემურ ქორიძე:
**«ამ თაღლითებს არ მივცემთ შესაძლებლობას, კიდევ ერთხელ მოატყუონ ქართველი ხალხი»**



## «მაკდონალდსის» დაბალზამებული ხორცი «გემრიელად» მიირთვით!
13



## ქართული პოლიტიკის «მენისქვილე ბონიები»



ხელისუფლებიდან ივანიშვილის გუნდის წასვლასა და სხვა ნებისმიერი გუნდის მოსვლას აუცილებლად მოჰყვება „ნაციონალური მოძრაობის“ უძლიერესი შეტევა „მთელი ფრონტით“ ხელისუფლების უზურპაციისთვის!
7

## უსუფაშვილი სამართლიანობის აღდგენის წინააღმდეგ
8



14 აშშ-ის სამხედრო ოპერაციებს ახლო აღმოსავლეთში 2 მლნ-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

15 შავკანიანი ამერიკელების დისკრიმინაცია გრძელდება

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქართველო «ჯიბეგაფხეკილი» ქვეყნების რიგებშია

**ინტერნეტგამოცემა movehub.com-მა მსოფლიოში ყველაზე „ჯიბეგაფხეკილი“ და მდიდარი ქვეყნების სარეიტინგო სია გამოაქვეყნა, სადაც საქართველო „ჯიბეგაფხეკილთა“ რიგებშია. კვლევის მთავარი კითხვა იყო – რამდენ ფულს ხარჯავენ ადამიანები ყოველთვიურად?**

გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, საქართველოში თვეში საშუალოდ 400 დოლარს ხარჯავენ. ანალოგიური ვითარებაა უკრაინაში, სომხეთსა და მაკედონიაში. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აზერბაიჯანში, სადაც თვეში საშუალოდ 700 დოლარს ხარჯავენ. ყველაზე მეტ თანხას თვეში ხარჯავენ შვეიცარიაში, სადაც მაჩვენებელი 6 301 დოლარს შეადგენს. გერმანიაში ადამიანები თვეში 2 851 დოლარს ხარჯავენ, საფრანგეთში — 2 760-ს, აშშ-ში კი — საშუალოდ 3 258 დოლარს.






### ვალერი ხაბურძანია:
## ამ კონტრაბანდული სქემის კურატორი, სავარაუდოდ, გივი თარგამაძეა!

**უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია კონტრაბანდულ სქემაზე ალაპარაკდა, რომელსაც „ნაციონალი“ გივი თარგამაძე კურატორობს.**

„გეტყვით, რას საქმიანობდნენ „ნაციონალები“ ჩემს დროს. მაგალითად, გივი თარგამაძე დასდევდა მანქანებს, რომლებითაც კონტრაბანდული საქონელი შემოჰქონდათ საქართველოში. ვითომ ჟურნალისტურად მუშაობდა, მაგრამ ფაქტია, რომ გივი თარგამაძე იმდროიდანვე ცდილობდა, ჩართულიყო ამ სქემებში. მერე, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდა, კონტრაბანდული სქემის კურატორი იყო გივი თარგამაძე. ახლა შეიძლება გაიქცეს სასამართლოში და მიჩივლოს, მაგრამ ვერც მიჩივლებს, იმიტომ, რომ მე ამის თაობაზე მქონდა ინფორმაცია. თურქეთიდან შემოდის საქონელი, ძირითადად, ტანსაცმელი, რომელიც მიდის რუსეთში. ამ სფეროს კურატორს აუცილებლად ჰქონდა კავშირები ვლადიკავკაზში, ასევე რუს მაღალჩინოსნებთან, დიდი ალბათობით, სპეცსამსახურებთანაც და ამ ტვირთს რომ არაფერი დამართოდა საქართველოში, ამის გარანტორი იყო გივი თარგამაძე. ვლადიკავკაზში მოქმედი ჯგუფებისგან ვიცი, რომ ამ საქმის კურატორი 2003 წლიდან 2012 წლამდე საქართველოში გივი თარგამაძე იყო. საუბარია დიდძალ ფულზე. ამით საქართველოს ზარალი არ მიდგომია, მაგრამ გივი თარგამაძე იღებდა დიდი ოდენობით შავ ფულს, დაახლოებით, წელიწადში მილიონზე მეტს, და გაამრავლეთ ახლა ეს, სულ ცოტა, 9 წელზე. ამოიღოს საბაჟომ სტატისტიკა და დათვალოს, რამდენ მანქანას აქვს გავლილი ტრანზიტით თურქეთიდან ვლადიკავკაზისკენ. ეს ფული მიდიოდა თარგამაძის ჯიბეში ან პარტიულ საქმიანობაში. ეს სქემა დღესაც მუშაობს. დღეს ამას ვინ აკონტროლებს, არ ვიცი, არ გამოვრიცხავ, ისევ გივი თარგამაძე აკონტროლებდეს და, თუ ეს ასეა, კარგად ყოფილა ამ ხელისუფლების საქმე. ეს სქემა არსებობს და შესაძლებელია, არსებული ხელისუფლება ვერც კი გაერკვა ამ სქემაში, იმიტომ, რომ ადგილებზე ისევ ძველი კადრები მუშაობენ და ესენი ხომ არ ეტყვიან ახალ ხელმძღვანელებს, ყოფილი ხელისუფლების დროს დანაშაულს ჩავდიოდითო?!“ — განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ.



### ბიძინა ივანიშვილი:
## 5 ათასი ლარი არის ის მინიმუმი, რომლითაც შეიძლება დღეს საქართველოში კარგი მინისტრი დაიქირავო

**ყოფილი პრემიერმინისტრის, ბიძინა ივანიშვილის, განცხადებით, 5 ათასი ლარი არის ის მინიმუმი, რომლითაც შეიძლება დღეს საქართველოში კარგი სპეციალისტი დაიქირავო. ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა „კვირის 20/30“-ში განაცხადა.**



ექსპრემიერმა მთავრობის წევრების ხელფასებსა და პრემიებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ **„ამ მხრივ მთავრობამ მოახერხა რაღაც კონდიციამდე მისვლა, თუმცა ეს კონტროლი უნდა გაგრძელდეს და თვალი არ უნდა მოვხუჭოთ. ესაა ჩვენი, საზოგადოების, როლი, რომ კონტროლის მექანიზმი არ უნდა მოსუსტდეს. მაგრამ არც აქ უნდა გადავაჭარბოთ. 5 ათას ლარზე დაიყვანეს მინისტრების ხელფასები, პრემიების რაოდენობა. 5 ათასი ლარი არის ის მინიმუმი, რომლითაც შეიძლება დღეს საქართველოში კარგი სპეციალისტი დაიქირავო, მხედველობაში მაქვს მინისტრი. ჩვენ გვინდა დარგები განვითარდეს, შედეგები მივიღოთ და აუცილებლად გვჭირდება კვალიფიციური სპეციალისტები, ამ დროს გადახდაზეც უნდა შევთანხმდეთ. ის, რაც აუცილებელია და სავალდებულოა, კარგ სპეციალისტს უნდა გადაეხადოს. „ფეისბუქში“ წამიკითხავს, 5 ათასი ლარი რა ამბავია, როდესაც პენსია ამდენიაო. კარგად მესმის, რომ პენსია დაბალია და საზოგადოება არის ძალიან ღარიბი, მაგრამ, თუ გვინდა ამას თავი დავაღწიოთ, პროფესიონალებს უნდა გადავუხადოთ. ამით მომავალში პენსიებიც გაიზრდება და ეფექტიანობაც ამაღლდება“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

### ირაკლი ღარიბაშვილი:
## «ნაციონალური მოძრაობის» პოლიტიკა და მსოფლმხედველობა გაჯერებულია ტყუილით, აგრესიით, სადიზმით!

**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ნაციონალურ მოძრაობას“ გაუგებარი სექტა უწოდა და განაცხადა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 21 მარტის აქციის ჩასატარებლად რამდენიმე მილიონი დახარჯა.**



„რა უნდა დაუპირისპიროს მთავრობამ და მოსახლეობამ სიცრუის კამპანიას?! — სიმართლე, — ეს არის ჩემი პასუხი. ჩვენ მოსახლეობას უნდა განვუმარტოთ ის პროცესები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარეობს. **„ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკა და მსოფლმხედველობა გაჯერებულია ტყუილით, აგრესიით, ძალადობით, სადიზმით, სისასტიკით. ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ მთელი 9-წლიანი საქმიანობის მოკლე აღწერა. ის ფაქტი, რომ მათ გამართეს აქცია და მოითხოვეს საქართველოს აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეული მთავრობის გადადგომა, სასაცილოა.** ეს არის კიდევ ერთხელ დემონსტრირება იმისა, რომ ეს ადამიანები არიან ჩამოყალიბებული რაღაც გაუგებარ, მე არ მინდა ეს სიტყვა გამოვიყენო, მაგრამ სხვას ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა **სექტას, რომელიც არ არის ორიენტირებული ქვეყნის განვითარებაზე. მათი ამოცანაა, დესტრუქცია და შფოთვა შემოიტანონ.** ამის ყველა საშუალება აქვთ — აქვთ ყველაზე მძლავრი მედიასაშუალება და ჰყავთ დესტრუქციული ძალები, რომლებიც ცდილობენ, არეულობა შემოიტანონ მოსახლეობაში, მაგრამ სახელმწიფო მათ კანონის ფარგლებში ადეკვატურ პასუხს გასცემს. არავის ვურჩევ — არც „ნაციონალურ მოძრაობას“, ყველაზე დესტრუქციულ ძალას ქვეყანაში, რაიმე ფორმით, რაიმე დაგეგმოს. სახელმწიფო იქნება ძალიან დაუნდობელი კანონის ფარგლებში!“ — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

### მამუკა არეშიძე:
## «ნაციონალური მოძრაობის» სპეციალური ჯგუფი «ფეისბუქის» მომხმარებლებში შიშს აღვივებს

**ექსპერტი კავკასიის საკითხებში — მამუკა არეშიძე არ გამორიცხავს, რომ ყოფილ სახელისუფლო პარტია „ნაციონალურ მოძრაობას“ სოციალურ ქსელ „ფეისბუქისთვის“ ჰყავდეს სპეციალური ჯგუფი, რომელიც აქტიურად მუშაობს მოსახლეობაში შიშის გაღვივებასა და ხელისუფლების მიმართ საპროტესტო განწყობის გამძაფრებაზე.**

ექსპერტის თქმით, ადვილი შესაძლებელია, ბესო ხარძიანის მკვლელობის შემდეგ სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში მყოფ ბევრ ბიზნესმენს მობეზრდეს პროკურატურასა და სასამართლო ინსტანციებში უშედეგო სირბილი და პირად ანგარიშსწორებაზე გადავიდეს. როგორც მამუკა არეშიძემ განაცხადა, მისთვის ცნობილია ბესო ხარძიანსა და გია უდესიანს შორის სასამართლო დავის დეტალები.

„ზუსტად ვიცი, რომ ქურასბედიანსა და უდესიანს მოლაპარაკება ჰქონდათ და შეთანხმდნენ ხარძიანისთვის ქონების დაბრუნებაზე, მაგრამ მერე ქურასბედიანი სადღაც გაქრა, უდესიანმა სასამართლო გადაწყვეტილება გაასაჩივრა და სასამართლო დავა გაგრძელდა,“ — განაცხადა მამუკა არეშიძემ და დასძინა, რომ ხარძიანის მკვლელობამ ის პირადი ანგარიშსწორების ვერსიაზე დააფიქრა.

თუმცა ექსპერტი არც იმას გამორიცხავს, რომ ხელისუფლების



დისკრედიტაციის, ხალხის დაშინებისა და საზოგადოებაში შიშის დათესვის მიზნით, ამას გარკვეული პოლიტიკური ძალები მიზანმიმართულად ახორციელებდნენ.

მისივე აზრით, ქვეყანაში პროცესების განვითარების დინამიკა ხელისუფლებას მოდუნების უფლებას არ აძლევს და მოუწოდებს, სასწრაფოდ მიმართონ ყველა საჭირო ზომას, რათა სამართლიანობისთვის მოკლული ადამიანების სია კიდევ არ გაიზარდოს. „არ გამოვრიცხავ, რომ ადამიანებს, რომელთაც საშუალება აქვთ, დაიწყონ საკუთარი არმიების შექმნა და იმ ადამიანებთან პირადი ანგარიშსწორება, რომლებმაც თავის დროზე ისინი ციხეებში გამოამწყვდიეს, ქონება წაართვეს და ღირსება შეულახეს. არ გვაქვს გარანტია, რომ საქართველოში არ დაიწყოს ბანდიტურ-კლანური გარჩევები, ამას ექნება სოციალური ფორმა და ადვილი შესაძლებელია, უმართავი პროცესები მივიღოთ“, — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

## ფარულ მოსმენაზე ე.წ. ორგასაღებიანი სისტემა ამოქმედდა

**ფარულ მოსმენა-მიყურადებაზე ე. წ. ორგასაღებიანი სისტემა 31 მარტიდან ამოქმედდა.**

2015 წლის 31 მარტიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ეძლევა ფარული სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის განხორციელებაზე ზედამხედველობის შესაძლებლობა — პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონი ძალაში სწორედ ამ დღიდან შედის.

ამ კანონის მიხედვით, ამოქმედდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ე. წ. ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა, როცა ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან ელექტრონული თანხმობის გაცემა იქნება საჭირო. საგამოძიებო მოქმედებებზე განხორციელებული კონტროლის შედეგების შესახებ ანგარიშს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და შინაგან საქმეთა სამინისტრო წელიწადში ორჯერ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს წარუდგენს.

ფარული მოსმენების „გასაღებზე“ მმართველ უმრავლესობაში ორი ალტერნატიული პროექტი მომზადდა. ერთის ავტორი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკელი ვახტანგ ხმალაძე იყო, ხოლო მეორე ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძესა და ირაკლი სესიაშვილს ეკუთვნოდათ. პარლამენტმა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით სწორედ ბესელია-სესიაშვილი-ფოფხაძის პროექტი მიიღო.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბარაკ ობამა აშშ-ისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ დაასახელეს



**აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის მომხრეები ამერიკისთვის უფრო დიდ საფრთხედ პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიიჩნევენ, ვიდრე უცხო ქვეყნების ლიდერებს. ასეთია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც საინფორმაციო სააგენტო Reuters-მა და კომპანია IPSOS-მა მარტში ჩაატარა.**

ამერიკელებს სთხოვეს 5-ბალიანი სკალით შეეფასებინათ აშშ-ის საფრთხეები, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, ქვეყნებიდან თუ მათი ლიდერებიდან მომდინარეობს.

როგორც გაირკვა, გამოკითხულთა აზრით, ყველაზე დიდი საფრთხე აშშ-ისთვის პრეზიდენტი ბარაკ ობამაა. ასეთი პასუხი გასცა რესპონდენტთა 34%-მა; გამოკითხულთა 25 % საფრთხედ მიიჩნევს ვლადიმერ პუტინს, 23% — სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს.

# ევროკავშირსა და ნატოში შესვლის შემდეგ ბალტიისპირეთში ნაციზმი აღორძინდა



**„ბალტიისპირეთის ქვეყნებს ევროკავშირსა და ნატოში შესვლა ფაშიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ იმუნიტეტის შეძენაში ვერ დაეხმარა. მხოლოდ გასულ თვეში ბალტიისპირეთში ნეონაცისტებისა და ნაციონალისტების 6 მსვლელობა გაიმართა“, — წერს ებრაელი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ეფრაიმ ზუროფი.**

„ასეთი ნაციონალისტური მარშები სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ქვეყანას, რომელშიც ისინი იმართება, არამედ სრულიად ევროპას. ასეთი აქციების (მაგალითად, ეს-ეს-ის ვეტერანების აქციას, რომელიც რიგაში 16 მარტს გაიმართა, აგრეთვე, ლიტველი ნაციონალისტების მსვლელობა კაუნასსა და ვილნიუსში 16 მარტს) აკრძალვის ან ქალაქგარეთ გადატანის მცდელობას კონკრეტული შედეგები არ მოაქვს. ყველა ნაციონალისტურ მარშს აერთიანებს ორი თემა: მტრული დამოკიდებულება ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების — რუსებისა და ებრაელების მიმართ და მეორე — მსოფლიო ომის ისტორიის გადაწერა, რათა მინიმიზებული ან სრულიად დაფარული იქნას ადგილობრივი კოლაბორაციონისტების მიერ ჩადენილი დანაშაულები.

ამ აქციებზე დასავლეთს რეაქცია არ აქვს. არადა, სწორედ ევროპის ქვეყნებმა უნდა გაილაშქრონ ასეთი ღონისძიებების წინააღმდეგ,“ — წერს ეფრაიმ ზუროფი ტელეარხ i24news-ის ვებგვერდზე.



ეფრაიმ ზუროფი

**«ყველა ნაციონალისტურ მარშს აერთიანებს ორი თემა: მტრული დამოკიდებულება ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების — რუსებისა და ებრაელების მიმართ და მეორე მსოფლიო ომის ისტორიის გადაწერა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ან სრულიად დაფარული ადგილობრივი კოლაბორაციონისტების მიერ ჩადენილი დანაშაულები. ამ აქციებზე დასავლეთს რეაქცია არ აქვს. არადა, სწორედ ევროპის ქვეყნებმა უნდა გაილაშქრონ ასეთი ღონისძიებების წინააღმდეგ»**

ამერიკელი პოლიტოლოგი:

# ორმაგ სტანდარტს ისე არავინ იყენებს, როგორც აშშ

**„აშშ ბრალს სდებდა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს, რომ ის თითქოს ანადგურებს სირიელ ხალხს, ახლა კი მხარს უჭერს მანსურ ჰადის, რომელიც საჯაროდ მოუწოდებს იემენის ტერიტორიის დაბომბვისკენ. ასეთი ორმაგი სტანდარტი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის. აშშ სირიასა და იემენის მიმართ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას იყენებს და მოჰყავს არგუმენტები, რომლებიც მხოლოდ ამერიკის ხელისუფლებისთვის არის სასარგებლო, და ეს არგუმენტები მხოლოდ პროპაგანდის ნაწილია,“ — წერს ამერიკელი პოლიტოლოგი დენიელ მაკადამსი რონ პოლის ინსტიტუტის ვებგვერდზე (Ronpoulinstitute.ong).**

„სირიის საშინაო საქმეებში ჩარევის მიზეზი არის ის, რომ „პრეზიდენტი ბაშარ ასადი თავის ხალხს ბომბავს“. ამ დროს კი იემენის დამხობილი პრეზიდენტი მანსურ ჰადი გაიქცა საუდის არაბეთში და იქიდან მოუწოდებს, განაგრძონ თავისი ქვეყნისა და ხალხის დაბომბვა. ჰადის კი მხარს უჭერს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები.

**აშშ სრულ მხარდაჭერას უცხადებს საუდის არაბეთს, რომელიც იემენს ბომბავს, რომლის შედეგადაც უკვე ასობით ადამიანი დაიღუპა. არავინ ისე არ ატარებს ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას, როგორც ჩვენ,“** — აღნიშნავს ამერიკელი პოლიტოლოგი.






**«სირიის საშინაო საქმეებში ჩარევის მიზეზი არის ის, რომ «პრეზიდენტი ბაშარ ასადი თავის ხალხს ბომბავს». ამ დროს კი იემენის დამხობილი პრეზიდენტი მანსურ ჰადი გაიქცა საუდის არაბეთში და იქიდან მოუწოდებს, განაგრძონ თავისი ქვეყნისა და ხალხის დაბომბვა. ჰადის კი მხარს უჭერს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები»**



პოლ კრეიგ რობერტსი:

# აშშ-ს მსოფლიოსთვის, ნგრევის გარდა, არაფერი მოაქვს!

**„მსხვერპლი და ნანგრევები, რომელთაც აშშ ტოვებს ყველგან, სადაც ფეხს დაადგამს, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე დიდი სამხედრო დამნაშავეა,“ — წერს ამერიკელი პოლიტოლოგი და ეკონომისტი, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის თანამშრომელი პოლ კრეიგ რობერტსი.**

„აშშ-ის სამხედრო პროპაგანდა საფრთხეს უქმნის მშვიდობას, რადგან უგულებელყოფს ყველა სამშვიდობო წინადადებას იმ ქვეყნებისა, რომლებიც აშშ-ისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებენ. და, თუკი დავითვლით მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობას, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში აშშ-ის ინტერვენციის შედეგად დაიღუპნენ, აშშ-ს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მთავარი სამხედრო დამნაშავე მსოფლიოში.

აშშ-ის სამხედრო დანაშაულების მექანიკა მდგომარეობს იმაში, რომ **თავდაპირველად იწყებენ ამა თუ იმ ქვეყნის ლიდერის დემონიზაციასა და მარგინალიზაციას, შემდეგ ამას მოჰყვება სამხედრო ინტერვენცია „თავისუფლებისა და დემოკრატიის“ სახელით.**

ერაყში მიმდინარე მოვლენებს შეიძლება ვუწოდოთ გენოციდი, ხოლო თვითონ სამხედრო კამპანიამ, რომელიც ერაყის წინააღმდეგ დაიწყო, არა მხოლოდ ერაყი, არამედ მთელი ახლო აღმოსავლეთი გაანადგურა.

ნეოკონსერვატორები განაგრძობენ გენოციდისა და წამების უკანონო რეჟიმის გამართლებას, რომელსაც ისინი ქმნიან გამოგონილი ტერორისტების გასანადგურებლად და თავიანთი სამხედრო დანაშაულების გასამართლებლად. ვაშინგტონის ინტენსიურ სამხედრო პროპაგანდას მსოფლიო ნგრევისკენ მიჰყავს. როგორ უნდა შევაჩეროთ ეს პროპაგანდა, თუკი თვითონ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ამბობს, რომ ვაშინგტონი ყველაფერს უგულებელყოფს, რაზეც რუსეთის ხელისუფლება ლაპარაკობს, და ნებისმიერი სამშვიდობო შეთავაზების შემდეგ უფრო ძლიერად სცემს ომის დაფდაფებს?!

აშშ-ის მოსახლეობამ და ამ ქვეყნის მოკავშირეებმა უნდა გაიგონ, რომ ვაშინგტონს არ შეუძლია, სიმართლე ილაპარაკოს.

**შეხედეთ ერაყს, ავღანეთს, ლიბიას, სირიას, სომალის, უკრაინას — ვაშინგტონისგან, ნგრევის გარდა, სასიკეთოს არაფერს უნდა ელოდო! ვინ იქნება შემდეგი მსხვერპლი?“** — წერს ამერიკელი პოლიტოლოგი თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში „ახლო აღმოსავლური ჰოლოკოსტი“.



SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მკვლელი სააკაშვილი და მისი ბანდა დღესაც დათარეშობენ საქართველოში და რასაც მოისურვებენ, იმას აკეთებენ. მოვუწოდებ ხელისუფლებას, ალაგმოს ეს მკვლელები, თორემ ცოტაც და ჩვენ, სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუბედურებული ადამიანები, თვითონ ვიპოვით სამართალს და ამ სამართალს გადავაყოლებთ ამ მთავრობასაც — ერთნაირად გავუსწორდებით, როგორც არამზადა სააკაშვილის ბანდას, ისე „ოცნებასაც“. ფრთხილად იყვნენ!“**

# «მკვლელობები გაგრძელდება. ეს არის ჩუმი რევოლუცია, რომელიც ორიენტირებულია ლიდერების ლიკვიდაციაზე!»



**28 მარტს საქართველოს მოსახლეობა კიდევ ერთი ხმაურიანი მკვლელობის მოწმე გახდა — ბიზნესმენი ბესო ხარძიანი საკუთარ სახლთან ჩაცხრილეს. „შვილის საფლავზე, საკუთარ სადარბაზოსთან, საკუთარ მანქანაში... და ასე უსასრულოდ, როდემდე, ხელისუფალნო?! ალაგმეთ ლინჩის წესით გასამართლება, თორემ ხალხის სისასტიკე შეგიწირავთ ყველას. როდემდე და სადამდე? ახლა ველოდებით, საკუთარ საწოლში ვის მიაკითხავენ ეს ნაძირალა მკვლელი ნაცისტები“, — ასე გამოეხმაურნენ ადამიანები სოციალურ ქსელში ბიზნესმენის მკვლელობას.**

2012 წლის ოქტომბერში ქართველმა ხალხმა „ქართული ოცნება“ ერთადერთი მიზეზით მოიყვანა ხელისუფლებაში და ეს ერთადერთი მიზეზი „ქართული ოცნების“ ლოზუნგი იყო — „ქვეყანაში სამართლიანობა უნდა აღდგეს!“

ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად დიდი საშიშროებაც გაჩნდა იმისა, რომ ადამიანები, რომლებიც „ნაცრეჟიმის“ პერიოდში ციხეებში ისხდნენ და შემდეგ „ოცნებამ“ ამნისტიით გამოუშვა, ქუჩებში, სადარბაზოებში, სახლებში დემონსტრაციულად დახოცავდნენ მწამებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

არჩევნებიდან რამდენიმე თვეში ადვოკატი **ლალი აფციაური** ამბობდა: „ქუჩაში მიმავალი ადამიანი რომ შეეჩეხება თავის მწამებელს, გამაუპატიურებელს, ოჯახის დამაქცევარს, გამანადგურებელს, ვინ აგებს პასუხს იმაზე, რომ ტყვიას არ დაახლის?!“ ფაქტია, რომ ყველაფერი პირიქით ხდება...

2012 წლის არჩევნების შემდეგ, პირველ თვეებში სულ სხვა ვითარება იყო და მართლაც გაჩნდა ანგარიშსწორების საშიშროება. ერთ-ერთ კაფეში სასტიკად გალახეს დედაქალაქის ყოფილი მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, პარლამენტარი ნუგზარ წიკლაური, ერთ-ერთი საპყრობილის უფროსი ლაშა ბრეგვაძე; საქმეში მყისვე ჩაერია ხელისუფლება და ამერიკის საელჩოც... ხელისუფლებას კოაბიტაცია დაევალა — აიკრძალა ძალადობა და ნებისმიერი ზემოქმედება.

**ორ წელიწად-ნახევარი გავიდა, კოაბიტაციაც დასრულდა, მაგრამ სამართლიანობის აღდგენით გახარებული და ხელისუფლების მადლიერი ერთი ბიზნესმენიც არ მოიძებნება, ვერც ერთი შვილმკვდარი მშობელი ვერ იტყვის, რომ გამოძიება სწორი მიმართულებით მიდის.**

ლოდინით დაღლილი ადამიანები, რომლებმაც ზედმეტი სიფიცხის გამო სიტყვები ვერ მოზომეს, დღეს უკვე ცოცხლები აღარ არიან.

გავიხსენოთ ამა წლის 20 იანვარს შვილის საფლავზე მოკლული იური ვაზაგაშვილის სიტყვები: **„ყველა დაზარალებული ერთად მივადგეთ ამ ხელისუფლებას და პასუხი მოვთხოვოთ. ყველა დაზარალებულმა ვიცით, ვინ ვისი მფარველია და ვისი ფულით იკვებება“. ერთ კვირაში ვაზაგაშვილი მოკლეს.**

„ცუდ გაფრთხილებას ვიძლევი: თუ არ აღდგა სამართლიანობა, 70-იანი წლების სიცილია მონაგონი გახდება საქართველოში!“ — ამის თქმიდან ზუსტად ორ კვირაში ბიზნესმენი ბესო ხარძიანი ქუჩაში, საჯაროდ, ისევე, როგორც რამდენიმე წლის წინათ გურამ შარაძე, იმავე ხელწერით მოკლეს. ანალოგიური ხელწერაა იური ვაზაგაშვილის მკვლელობაშიც.

მკვლელობის ხელწერაზე სადავო არაფერია, მაგრამ ხალხი სოციალურ ქსელში მეტად საგულისხმო ფაქტზე ალაპარაკდა — **ხარძიანიცა და ვაზაგაშვილიც ახალ ხელისუფლებას ემუქრებოდნენ: ერთი — მივარდნით, მეორე კი — 70-იანი წლების სიცილიით...** იური ვაზაგაშვილის მკვლელობის დღეს თავისი მოსაზრება არ დაუმალავს ოჯახის ადვოკატ ირმა ჭკადუას: „ვერავის დავამშვიდებ და თავსაც ვერ დავიმშვიდებ, რადგან იური ვაზაგაშვილი, როგორც წინა ხელისუფლების, ისე ახალი ხელისუფლების მსხვერპლია, ვინაიდან ახალმა ხელისუფლებამ ამ ოჯახის ტრაგედიის მიზეზის გასარკვევად დრო ვერ გამონახა“.

ვინ და რატომ მოკლა ბესო ხარძიანი? — ამ შეკითხვას პასუხი მკვლელობიდან რამდენიმე წუთში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილმა პრესსამსახურის უფროსმა, ჟურნალისტმა ირაკლი კორძაიამ გასცა. მან დაბეჯითებით თქვა, რომ მკვლელობა გია უდესიანის ჩადენილია. გია უდესიანი „ნაცების“ ზონდერად არის ცნობილი, თუმცა მანამდე ბიზნესმენ ბესო ხარძიანის ახლო მეგობარი და ბიზნესპარტნიორი იყო. იმაზე **საუბარი, რა შავ-ბნელი წარსული აქვს უდესიანს, შორს წაგვიყვანს, მაგრამ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ერთ-ერთი ტელევიზიის მიერ მომზადებული ჟურნალისტური გამოძიება, სადაც ნათლად არის აღწერილი ხარძიანისთვის ქონების წართმევის დეტალები.**

2008 წლამდე შპს „კუს ტბა კალა“ ძმებ ხარძიანებს ეკუთვნოდათ, მაგრამ 2008 წლის აპრილში იძულებულნი შეიქნენ, 7%-იანი წილი მომღერალ ვახტანგ კიკაბიძისთვის დაეთმოთ. დეკემბერში კი ბესო ხარძიანმა 11% გია უდესიანს გადაუფორმა, რამდენიმე დღეში კიდევ 11% — უდესიანის მეუღლეს. ხარძიანის ოჯახის წევრებმა ერთ დღეში 6 ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმეს და წილები იძულებით გაყიდეს. ბიზნესმენი ბესო ხარძიანი ნარკოტიკების მოხმარება-შენახვა-დამზადების ბრალდებით დააპატიმრეს. მან ციხიდან შემოუთვალა ოჯახის წევრებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მათ სახლში მიაკითხავდნენ, მთელი ქონება და ობიექტების წილები გადაეფორმებინათ.

**ძმები ხარძიანების საქმეში ბუბა კიკაბიძის სახელის ხსენებამ ერთი ძველი ფაქტი ამოატივტივა. ზვიად გამსახურდიას მთავრობისდროინდელი დეპუტატი გურამ შელია წერს: „მახსოვს, ზუგდიდის „ოდიში“ თბილისში ეთამაშა „დინამოს“, მატჩის მერე მივდიოდით „დინამოს“ ბაზაზე. ჩვენს მანქანაში ჩაჯდა რეზო ძოძუაშვილი, რომელმაც გვითხრა, — წარწერა „ოდიშს“ რომ ნახავენ ის ნაძირლები, ავტობუსსაც წაგართმევენ და არც თქვენ მოგელით კარგი დღეო. მართლაც, გაგვაჩერეს. ამოცვივდნენ. უნდოდათ ავტობუსიდან ჩვენი ჩამოსმა, მაგრამ რეზო დაუდგა წინ, მას ვერ გადააბიჯეს და გინებით გაგვშორდნენ. იცით, ვინ მეთაურობდა მათ ავტომატით ხელში? — ბუბა კიკაბიძე“.**

**ვინ, რატომ, რისთვის მოკლა ბიზნესმენი ბესო ხარძიანი? იყო თუ არა, ეს სიმართლისთვის ნასროლი ტყვია, როგორც ამას სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში მყოფი ბიზნესმენები, პოლიტპატიმრები და შვილმკვდარი მშობლები ამბობენ? ხელისუფლების წარმომადგენელმა, პარლამენტარმა გიგა ბუკიამ განაცხადა: „ეს ხდებოდა, ხდება და მომავალშიც მოხდება...“**

**შევეცადეთ, საზარელი მკვლელობის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების მოსაზრებები მოგვესმინა.**



**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:**

— ბესო ხარძიანის მკვლელობა უნდა შეფასდეს, როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორება. ეს ვაზაგაშვილის მკვლელობის გაგრძელებაა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვიღაც საკმაოდ ორგანიზებულად მუშაობს მკვლელობებით საზოგადოების დაშინებასა და ხელისუფლების დისკრედიტაციაზე.

**— „ნაცებმა“ განაცხადეს, რომ გია უდესიანიც და ირაკლი შიხიაშვილიც, რომელთა სახელებიც ხარძიანის საქმეში ფიგურირებს, „ოცნებაში“ გადაბარგდნენ 2012 წლის არჩევნების შედეგ. გამოდის, რომ ხელისუფლება თვითონ იტეხს სახელს.**

— ეს თვალთმაქცობა იყო. უდესიანს ხელს არ ვადებ. ყველა იმ დროზე საუბრობს, როდესაც მას ხარძიანთან დაპირისპირება ჰქონდა, მაგრამ ვფიქრობ, ახლა სხვა რამ მოხდა: ვიღაცამ ჩათვალა, „ოცნებაში“ უდესიანისა და შიხიაშვილის გადაყვანით „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლას შევუწყობთ ხელსო. კარგად მახსოვს ის პერიოდიც, როგორ ცდილობდა ზოგიერთი უდესიანის ჩასმას „ოცნების“ საკრებულოს წევრების სიაში, რასაც კახა კალაძემ შეუშალა ხელი.

არა მგონია, მკვლელობა უდესიანის შეკვეთილი იყოს. **ჩემი აზრით, პროცესების ადვილად მართვის მიზნით, ქვეყანაში სერიოზული ჯგუფი მუშაობს ქაოსის შესაქმნელად.**

**— ხელისუფლებას ამის წინააღმდეგ ბერკეტი არ უნდა ჰქონდეს?**

— კი, უნდა ჰქონდეს. ჯერ უნდა იპოვოს ეს ჯგუფი და მერე აღკვეთოს. ახლა ვმუშაობ ტენდერების თემაზე. აღმოჩნდა, რომ **იშლება ის ტენდერები, რომლებიც სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ანუ რომლებითაც რამდენიმე ათასი ადამიანის დასაქმებაა შესაძლებელი. აქაც „ნაციონალების“ ორგანიზებული ჯგუფები მუშაობენ.**

ხარძიანისა და ვაზაგაშვილის საქმეები ერთმანეთს იმიტომ ჰგავს, რომ მათ სასამართლოს ძალით გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს... მერე, სავარაუდოდ, დაპირისპირების ახალი ფორმატი გამოიკვეთა და ეს ვიღაცამ კარგად გამოიყენა, მაგრამ ამ ორი ადამიანის მკვლელობამ საზოგადოება უფრო გააქტიურა სამართლიანობის ბრძოლა.

**— თუ იცით რამე „კუს ტბის“ წილის ბუბა კიკაბიძისთვის გადაფორმების თაობაზე? შესაძლოა, ამ საქმეში მისი დანაშაულიც იკვეთებოდეს?**

— კი, ვიცი. 7% ჰქონდა, მაგრამ არა მგონია, კიკაბიძეს ამ საქმესთან რაიმე აკავშირებდეს, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს წილი დაუტოვეს.

**— ხალხი საუბრობს იმაზე, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, სააკაშვილისა და მისი გუნდის უკან დასაბრუნებლად... ამის საფუძველი ნამდვილად არსებობს, რადგან დამნაშავეები არ დასჯილან; კლავენ იმ ადამიანებს, რომლებიც დაზარალებულები იყვნენ, და ეს მკვლელობები საფუძვლიანად გამოძიებული არ არის.**

— ბიძინა ივანიშვილი ორიენტირებული იყო „ნაციონალების“ დამარცხებაზე, მას ისეთი პირადი შუღლი ჰქონდა, ხშირად არც მომწონდა ხოლმე. „ნაციონალების“ უკან დაბრუნება გამორიცხულია, თანაც ნუ ვიფიქრებთ, რომ მხოლოდ ივანიშვილს შეუძლია საქართველოს ბედის გადაწყვეტა, საზოგადოების აქტივობა რომ არა, 2012 წლის ოქტომბერში რაც მოხდა, არ მოხდებოდა.

**— ამ მკვლელობების შემხედვარე, ყველა სიმართლის მაძიებელი ბიზნესმენი თუ პოლიტიკოსი თვლის, რომ შემდეგი მსხვერპლი ის იქნება.**

— რასაკვირველია, მკვლელობები გაგრძელდება. საზოგადოების ერთი ნაწილი იარაღით ხელში ებრძვის მეორე ნაწილს. ეს არის ჩუმი რევოლუცია, რომელიც ორიენტირებულია ლიდერების ლიკვიდაციაზე. დარწმუნებული ვარ, ეს პროცესი მალე არ დასრულდება.



**ლალი მოროშკინა, პროფესორი:**

**— „ციხეში სასტიკად აწამებდნენ, ნარკოტიკებსაც ძალით ასმევდნენ, ხან უკეთებდნენ, თითქმის ყოველდღე საცემად გაყავდათ, სანამ მის დაქვემდებარებაში არსებული ობიექტების წილები სრულად არ გადაუფორმა ვიღაცას, ვისაც სურდა მისი ქონება. მასთან კამერაში რომ შეხვიდოდი, ერთი შეხედვით ვერაფერს შეატყობდი, უბრალოდ, ფეხზე რომ ვერ დგებოდა, მაშინ მიხვდებოდი, როგორი ნაწამები იყო“, — იხსენებს მე-8 საპყრობილის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. პროკურატურას ამ ადამიანის ჩვენება აქვს. თქვენ რა იცით ამის თაობაზე?**

— ხარძიანის ოჯახი ამბობს, რომ უდესიანმა ბესოს შემოუთვალა, დღევანდელ მთავრობასთან ყველაფერი მოგვარებული მაქვს და კუს ტბაზე ფეხს ვერასდროს დადგამო.

ბესო ხარძიანი ძალიან ნაწამებია, საპყრობილეში რომ მოვინახულეთ, მაშინვე გავაკეთეთ განცხადება, ▶

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ოცნება“ გამარგინალდა, „ტრიფონიების“ პარტიას დაემსგავსა. ქვეყანას ასეთი სამარცხვინო პარლამენტი ჯერ არ ჰყოლია. ერთ მხარეს დამნაშავეები არიან, მეორე მხარეს — „ტრიფონიები“.

◀ მაგრამ არავინ მოგვისმინა. დღეს კი საზარელი ფაქტის მომსწრენი გავხდით. ბესო ჩემი მეგობარი იყო. იცით, დავიღალე იმის მტკიცებით, რომ ყველამ ყველაფერი იცის და, უბრალოდ, სამართლის აღდგენის ნება არ არსებობს. **ბესო ციხეში ყოფნისას სრულიად გაჭაღარავებული იყო. გვითხრა, სულ რაღაც ორი დღეა, ორკაციან საკანში გადამიყვანესო. მანამდე ერიდებოდა საჭმლის ჭამას, რადგან იცოდა, მისი მოწამვლა ჰქონდათ გადაწყვეტილი. გვიამბო, როგორ გაჰყავდათ და უმოწყალოდ სცემდნენ და ეუბნებოდნენ, უდესიანმა მოკითხვა შემოგითვალაო.**

**უდესიანმა არ უარყო ეს ყველაფერი.**

მოგიყვებით ერთ ფაქტს: 17 თებერვალს, ვაკის აუზთან გიორგი გუდაძეს ესროლეს, ის შემთხვევით გადარჩა. გიორგი ჩემი მეგობარია. ინციდენტის შემდეგ ყველა მეგობარი მივედით პროკურატურაში და მოვყევით, რაც მოხდა. ვაკის აუზთან ძალიან ბევრი კამერაა დამონტაჟებული, მოვითხოვეთ ამ კამერების გაშიფვრა, მაგრამ იცით, რა მოხდა? ყველა მეგობარს მიაკითხეს პროკურატურის თანამშრომლებმა და დაემუქრნენ, რომ კოკაინსა და ჰეროინს „ჩაუგდებდნენ“... ჩემმა ბევრმა მეგობარმა ქვეყანა უკვე დატოვა, ქვეყნა დაატოვებინეს ცოტა ბნელი წარსულის მქონე ადამიანებსაც და ყველას უთხრეს, ლალი მოროშკინას დააბრალეთ, თქვენი ქვეყნიდან გამგზავრებაო. მე კი უამრავ მუქარის ზარებს ვიღებ, მიუხედავად იმისა, რომ არავისი გვარი არ დამისახელებია.

**— ბევრი ფიქრობს, რომ ყველაფერი იქითკენ მიდის, სააკაშვილი უკან დააბრუნონ და ამას ხელს ხელისუფლებაც უწყობსო...**

— ხელისუფლებასაც და ბიძინა ივანიშვილსაც კადრების მოძიება გაუჭირდათ. **„ოცნება“ გამარგინალდა, „ტრიფონიების“ პარტიას დაემსგავსა. ქვეყანას ასეთი სამარცხვინო პარლამენტი ჯერ არ ჰყოლია. ერთ მხარეს დამნაშავეები არიან, მეორე მხარეს — „ტრიფონიები“.**

ამ მდგომარეობამდე, რაც დღეს ქვეყანაშია, წილების გადანაწილებამ მიგვიყვანა, ამას ეწირებიან ბიზნესმენები. მიუხედავად ამისა, არ ვფიქრობ, ვინმეს „ნაციონალების“ დაბრუნება უნდოდეს.

**ძალიან მარტივია ბესო ხარძიანის მკვლელობის საქმის გახსნა, თუ ეს ასე არ მოხდა, შემდეგ კვირას ისევ ახალი მკვლელობის მომსწრენი გავხდებით. ხელისუფლება განცხადებებს კი არ უნდა აქვეყნებდეს, ადამიანის სიცოცხლეს უნდა იცავდეს, ღვედის გაუკეთებლობაზე კი არ უნდა დამდევდეს, მკვლელს უნდა იჭერდეს.**

**— გამოსავალს ხედავთ?**

— მთავრობაში უნდა შეიცვალონ ის ადამიანები, რომლებიც საქმეს ვერ აკეთებენ. ბესო ხარძიანმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, გვარები დაასახელა, პრევენციული ზომები კი მიღებული არ იყო.

საზოგადოება შოკშია, ამ შოკიდან გამოვალთ, დასაკარგი აღარაფერი დაგვრჩება და ძალიან ცუდი რამ მოხდება, აღარ მინდა, კიდევ ერთი ომის მომსწრე გავხდე. **გამოვდივარ ინიციატივით – შეიქმნას ნდობის ჯგუფი, როგორიც არსებობდა სააკაშვილის რეჟიმის დროს და იბრძოდა სიმართლისთვის. ეს ჯგუფი მთავრობის არაკომპეტენტურ წევრებს უნდა დაეხმაროს, რადგან საზოგადოებას მეტი ინფორმაცია და მეტი ბერკეტი აქვს.**



**ირმა ჭკადუა,** უფლებადამცველი, ადვოკატი:

— ვიცით, რომ შსს-ში ამუშავდა დეპარტამენტი, რომელიც დაზარალებული ადამიანების საქმეს იძიებს, როგორც ჩანს, დამნაშავეები ამ ფაქტმა გააღიზიანა და დაიწყეს შურისძიებაც. ვიცი, რომ ბესო ხარძიანის საქმეში გარკვეულ პირთა ჯგუფს ბრალი უნდა წაყენებოდა, ამიტომ საფუძველი მაქვს, ვთქვა, მკვლელობის მოტივიც ეს იყო. მკვლელებს სურთ, ქვეყანაში შიში დაამკვიდრონ და საწადელს მიაღწიონ, საქართველოში არაჯანსაღი ვითარებაა.

ახლა „ნაციონალები“ ამბობენ, რომ სავარაუდო ეჭვმიტანილები „ოცნებაში“ გადაბარგდნენ. ეს არ შეიძლება ინდულგენციად ჩაითვალოს, ადამიანები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, უნდა დაისაჯონ.

**— ბესო ხარძიანის საქმეში რამდენიმე პირთან ერთად ბუბა კიკაბიძის სახელიც ამოტივტივდა...**

— საქმის მასალებს არ ვიცნობ, ამიტომ არ ვიცი, არის თუ არა დამნაშავე ბუბა კიკაბიძე, მაგრამ, თუ მას რაიმე წვლილი მიუძღვის, ისიც უნდა დაისაჯოს. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის დამნაშავე, „ცნობილობა“ იმას არ ნიშნავს, დანაშაული გეპატიოს, ცნობილი ადამიანი მეტად არის პასუხისმგებელი თავის საქციელზე.

**— ფიქრობთ, რომ მკვლელობები გაგრძელდება?**

— ვშიშობ, რომ ეს ასე არ დამთავრდება და ვწუხვარ, ამის თქმა რომ მიწევს. სიტუაცია ქვეყანაში ისეთია, რომ განგაშის ზარები უნდა დავარისხოთ. **ქუჩებში დადიან ადამიანები, რომელთა ადგილიც ციხეშია. შეკვეთილი მკვლელობები ერთ დღეში არ ხდება, ხელისუფლებამ, ნება იბოძოს და, პრევენციული ზომები მიიღოს.**



**ვახტანგ მაისაია,** ექსპერტი სამხედრო საკითხებში:

**— ბატონო ვახტანგ, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა შეაფასეთ, როგორც ტერორისტული აქტი. ამ ამბიდან ძალიან მოკლე ხანში კიდევ ერთი სასტიკი მკვლელობა მოხდა. ტერორი დაიწყო საქართველოში?**

— ეს არის ტერორისტული აქტი და პოლიტიკური მკვლელობა. ბესო ხარძიანი იყო წინა რეჟიმის მსხვერპლი. გამოძიება, ალბათ, ამაზე იმუშავებს, მაგრამ კარგი იქნებოდა, შესაბამის უწყებებს თავის დროზე მიეღოთ პრევენციული ზომები. მკვლელობების სერიების დაწყებაზე ირმა ინაშვილმა საკმაოდ სერიოზული განცხადება გააკეთა.

ხელისუფლება სირაქლემის პოზაშია, რაც ძალიან საშიშია, შესაძლოა, სირაქლემას ეს შველის, მაგრამ არა მგონია, მთავრობის ასეთი პოლიტიკა მომგებიანი იყოს.

**ბესო ხარძიანი დაქირავებული მკვლელის ხელით არის მკვდარი, რაც აშკარად ტერორისტული აქტია. ხარძიანი სასამართლო პროცესს იგებდა. გაიხსენეთ ზურაბ ადეიშვილის, მეგის ქარდავასა და სააკაშვილის მუქარა — პოლიტპატიმრებს გაგისწორდებით. ამაზე ყურადღება არვინ გაამახვილა. ხელისუფლების დანაშაული ძალიან დიდია, რადგან უსაფრთხოების სისტემა ქვეყანაში აბსოლუტურად მოშლილია.** ძალოვან სტრუქტურებში ისევ დამნაშავეები სხედან, ყველაფერს აქვს საზღვარი... იმ ადამიანების დაწინაურება, რომლებიც ხალხის წამებაში არიან მხილებულნი, წარმოუდგენელია.

აქამდე ვერ მოახერხეს პოლიტპატიმრების საქმის პოლომდე მიყვანა, არ არის შეფასებული წინა რეჟიმის საქმიანობა.

**ბესო ხარიძანის მკვლელობა უკვე ბოლო წვეთია, ხალხი მეტს აღარ მოითმენს და, თუ ბესომ ვერ მოახერხა „სიცილიის მოწყობა“, ამას სხვა გააკეთებს. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების დიდ ნაწილს სააკაშვილის რეჟიმის რეპრესიები არ შეხებია, ამიტომაც არიან ასეთი გულგრილები. ქვეყანაში პოტენციური მკვლელები დადიან, თბილისის პროკურატურაში ვინმე სამხარაძემ მკვლელების საქმეები თაროზე შემოდო და დაასამარა. საქმეები, რომლებიც ციხეებში ადამიანების ლიკვიდაციას ეხება. ისინი რომ გამოეძიებინათ, იქნებ ეს საშინელება თავიდან აგვეცილებინა.**

გამოსავალსაც ვერ ვხედავ, დარწმუნებული ვარ, ეს მკვლელობაც გამოუძიებელი დარჩება, ეს მთავრობა არაფრის გამკეთებელი არ არის.



**სოსო ჯაჭვლიანი,** საქართველოს პარლამენტის წევრი:

— ბესო ხარძიანის მკვლელობა ზღვარგადასული უნამუსობაა, თავხედობა. ეს ყველაფერი შორს მიმავალი გეგმის ნაწილია.

**— ბატონო სოსო, „ნაციონალებმა“ ხელი მთავრობას შეაწმინდეს, განაცხადეს, რომ შიხიაშვილი, რომლის გვარიც ხარძიანმა დაასახელა დამნაშავეებს შორის, და უდესიანიც „ოცნებაში“ გადაბარგდნენო...**

— თუ ასეთი რამ მოხდა, ძალიან ცუდია, ადვოკატად ვერ გამოვდგები და ხელს ვერავის დავაფარებ, მაგრამ გაითვალისწინეთ ისიც, რომ „ნაციონალები“ ყველაფრის მკადრებლები არიან.

არასოდეს ვიყავი კოაბიტაციის მომხრე, სექტანტებთან კოაბიტაციაში ვერ ვიქნები. არჩევნებიდან ერთი თვის თავზე ვთქვი, რომ ხელახალი არჩევნები ჩატარებულიყო და „ნაციონალები“ მოშორებულიყვნენ...

**— თქვენმა თანაგუნდელმა გიგა ბუკიამ თქვა, მკვლელობები ხდებოდა, ხდება და ისევ მოხდებაო. რა იტყვით ამ განცხადებაზე, ეს ჩვეულებრივი ამბავია?**

— ვიმედოვნებ, რომ მკვლელობები გაიხსნება და ეს საშინელებაც დასრულდება. გამოძიება სწორად მიმდინარეობს.

**— იცით, რომ ხარძიანის საქმეში ბუბა კიკაბიძის სახელიც ამოტივტივდა?**

— არ ვიცი, არ მსმენია, რომ ბუბა კიკაბიძის სახელიც ფიგურირებს, მაგრამ, თუ ვინმეს რაიმე წვლილი აქვს ამ საქმეში, ყველა უნდა დაისაჯოს. მე ჩემს იმუნიტეტს არასოდეს გამოვიყენებ.

**— მკვლელობები ამით არ დასრულდებაო, — ასე ფიქრობს ბევრი ადამიანი.**

— ღმერთმა დაგვიფაროს, ეს გაგრძელდეს. მთავრობა იმისთვის არსებობს, ხალხს შიში არაფრის ჰქონდეს. ყველა საქმეს ფარდა უნდა ახადონ.



**რუსუდან შარაძე, 2007 წელს ქუჩაში მოკლული პროფესორის— გურამ შარაძის ქალიშვილი:**

**— რუსუდან, ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობამ ბევრს მამათქვენის, გურამ შარაძის, მკვლელობა გაახსენა. მკვლელობის ხელწერა ზუსტად იგივე იყო, როგორც ბატონი გურამის — საჯაროდ, ქუჩაში...**

— ბესო ხარძიანს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მისი ამბავი გაგონილი მქონდა. აღშფოთებისგან და სინანულისგან სიტყვები არ მყოფნის. **მკვლელი სააკაშვილი და მისი ბანდა დღესაც დათარეშობენ საქართველოში და, რასაც მოისურვებენ, იმას აკეთებენ. მოვუწოდებ ხელისუფლებას, ალაგმონ ეს მკვლელები, თორემ ცოტაც და ჩვენ, სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუბედურებული ადამიანები, თვითონ ვიპოვით სამართალს და ამ სამართალს გადავაყოლებთ ამ მთავრობასაც — ერთნაირად გავუსწორდებით, როგორც არამზადა სააკაშვილის ბანდას, ისე „ოცნებასაც“. ფრთხილად იყვნენ!**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**«ბესო ხარძიანის მკვლელობა უკვე ბოლო წვეთია, ხალხი მეტს აღარ მოითმენს და, თუ ბესომ ვერ მოახერხა „სიცილიის მოწყობა“, ამას სხვა გააკეთებს. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების დიდ ნაწილს სააკაშვილის რეჟიმის რეპრესიები არ შეხებია, ამიტომაც არიან ასეთი გულგრილები. ქვეყანაში პოტენციური მკვლელები დადიან, თბილისის პროკურატურაში ვინმე სამხარაძემ მკვლელების საქმეები თაროზე შემოდო და დაასამარა. საქმეები, რომლებიც ციხეებში ადამიანების ლიკვიდაციას ეხება. ისინი რომ გამოეძიებინათ, იქნებ ეს საშინელება თავიდან აგვეცილებინა»**



## როგორ მივიღოთ დაუბეგრავი მინიმუმი?!

**„დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ“ დეკლარაციის წარდგენა მოქალაქეებს 1 აპრილიდან შეეძლებათ. თანხის დაბრუნება დეკლარაციაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ხორციელდება.**

დაუბეგრავი მინიმუმის მიღება შეუძლია იმ ფიზიკურ პირს, რომლის შემოსავალი 2014 კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს.

თუ 2014 კალენდარული წლის განმავლობაში ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 6000 ლარს და არანაკლებია 1800 ლარზე, ამ შემთხვევაში ის დაუბეგრავი მინიმუმის სახით 360 ლარს მიიღებს, ხოლო ისინი, ვისი შემოსავალიც 1800 ლარზე ნაკლები იქნება, — აღნიშნული თანხის 20%-ს.

დეკლარაციის შევსება მოქალაქეებს სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის საშუალებით, ასევე შემოსავლების სამსახურის სერვისცენტრში ან შესაბამის საბანკო დაწესებულებაში მისვლით შეეძლებათ. შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე www.rs.ge განთავსებულ დეკლარაციაში, მხოლოდ პირადი ნომრის მითითებით პირს შეუძლია დაადგინოს, სარგებლობს თუ არა დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვისა და შესაბამისად, თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლებით.

დეკლარაციის შევსება მითითებულ ლინკზეა შესაძლებელი: http://rs.ge/5924



## ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობამ 10.9 მლნ ლარით მოიმატა

**მიმდინარე წლის თებერვალში ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობამ 10.9 მლნ ლარით მოიმატა და 305.6 მლნ ლარს გაუტოლდა, — ნათქვამია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ „თვის მიმოხილვაში“, რომელსაც საზოგადოებას ყოველი თვის 30 რიცხვში წარუდგენს და 2015 წლის თებერვალია მიმოხილული.** ეროვნული ბანკის ინფორმაციით, თებერვალში ვადაგადაცილებული სესხები 10.9 მლნ ლარით გაიზარდა და 305.6 მლნ ლარს გაუტოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 2.1 % იყო.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს კვლევა ემსახურებოდა ალასანიასა და მისი პარტიის წარმოჩენას ერთ-ერთ პერსპექტიულ, მზარდი რეიტინგის პარტიად, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ მიზანზეა გათვლილი... აშკარაა, რომ ამერიკელები ივანიშვილს არ ენდობიან და ცხადია, უნდათ, მომავალი არჩევნების შემდეგ ის და მისი გავლენის ქვეშ მყოფი სუბიექტები მთლიანად გაიყვანონ პოლიტიკური ველიდან“.**

ვასილ ჭიჭინაძე:

# ბატონო პრემიერო, თუ დამნაშავეა, სექტაა და საფრთხეს წარმოადგენს, რატომ არ იჭერთ, რატომ არ ასამართლებთ?!

**მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „საქართველო და მსოფლიოს“ დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე ესაუბრება:**

**— ბატონო ვასილ, ხელისუფლების შეცვლიდან ორწლინახევრის თავზე საზოგადოების მთავარი მოთხოვნა — სამართლიანობის აღდგენა — არათუ სრულდება, პირიქით — უფლებებშელახული და ქონებაწართმეული ხალხი ისევ ზარალდება. ბოლო ორი თვის განმავლობაში უკვე მეორე სასტიკი მკვლელობის მომსწრენი გავხდით. იური ვაზაგაშვილის შემდეგ, რომელიც შვილის საფლავს დააკლეს, სააკაშვილის რეჟიმის მიერ გასამართლებული ბიზნესმენი, ბესო ხარძიანი, ქუჩაში დაცხრილეს. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?**

— საქმე გვაქვს იმ მახინჯ კოაბიტაციასთან, რომელიც მოსვლისთანავე გამოაცხადა ამ ხელისუფლებამ. ეს იყო ამერიკელების ნაკარნახევი და „ნაციონალებმაც“, ბუნებრივია, ისარგებლეს. საუბედუროდ, მთავრობა, პროკურატურა აღმოჩნდა უუნარო, რომ რაღაც დონეზე მაინც გაეტანა თავისი და თუნდაც მინიმალურად დაეკმაყოფილებინა საზოგადოების უმთავრესი მოთხოვნა — სამართლიანობის აღდგენა. ამის სანაცვლოდ მათ დაიწყეს ლაპარაკი ე. წ. თანაცხოვრებაზე, რომელიც იმთავითვე მწვანე შუქის ანთება იყო დამნაშავეთათვის და მივიღეთ ლოგიკური შედეგი — „ნაცმოძრაობა“, რომელიც ყველას ეგონა, რომ არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრებოდა, მაგრამ დღეს აქციებს აწყობს მთავრობის გადადგომის მოთხოვნით.

**— გასაგებია, რომ ხელისუფლება უნიათოა. ამას ყველა ამბობს, მაგრამ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ ორი წლის თავზე ისევ უსამართლობასა და დაუსჯელობის სინდრომზე არ გვესაუბრა?**

— დავიწყოთ იმით, რა გაკეთდა — დაიჭირეს **მერაბიშვილი**, რაღაც სასაცილო ბრალდებები წაუყენეს, მაშინ, როცა კაცს გაცილებით მძიმე საქმეებზე შეიძლება მოედავო (ყოველ შემთხვევაში, საზოგადოება ასე ფიქრობს), დაიჭირეს **უგულავა**, უყენებენ და უყენებენ ახალ-ახალ ბრალდებებს, მაგრამ რეალურად ვერაფერს უმტკიცებენ; შემდეგ — მოითხოვეს კეზერაშვილის გადმოცემა და უარი მიიღეს საფრანგეთისგან; მიმართეს ინტერპოლს სააკაშვილის დაკავებაზე, ასევე უარი მიიღეს... რა გამოდის?! ვინც გაქცეულია, იმას ხომ ასი წელი ვერ დაიჭერენ, დაჭერილსაც და ციხეში ჩასმულსაც ვერაფერს უშვრებიან; ეს რომ უუნარობა და უნიათობაა, რად უნდა ლაპარაკი?! მერე კიდევ **გამოდის ივანიშვილი და 200- სერიანი ფილმი უნდა გადავიღოთ სააკაშვილის რეჟიმზეო. ფილმის გადაღება არ შველის ამას, თუ დამნაშავეა, თავისუფლად კი არ უნდა ისეირნოს რუსთაველზე, პასუხისგებაში უნდა მიეცეს და ჩაჯდეს ციხეში...**

**— თავისუფლად სეირნობაში 21 მარტის აქციას თუ გულისხმობთ, ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეს არის ჭეშმარიტი დემოკრატია.**

— ესე იგი, რა გამოდის: ჭეშმარიტი დემოკრატიის ქვეყნებში, ვთქვათ, ევროპაში ან ამერიკაში, საითაც ასე სულმოუთქმელად მივილტვით, დამნაშავეებს არ ასამართლებენ?! ჩვენ ხომ ვიცით კონკრეტული ფაქტები, როცა მათ გაასამართლეს თავიანთი პოლიტიკური ლიდერები, რომლებმაც დაარღვიეს კანონი?!

ახლა ამათი ლოგიკა ნახეთ: **გამოდის პრემიერმინისტრი და „ნაცმოძრაობაზე“ ამბობს, დამნაშავეები არიანო, ეს პარტია კი არა, სექტააო; მეორე მხრივ, თურმე დემოკრატია ყოფილა ის, რომ ეს დამნაშავე სექტა თავისუფლად დადის.** ჩნდება შეკითხვა: თუ დამნაშავეა, სექტაა და საფრთხეს წარმოადგენს, რატომ არ იჭერ, რატომ არ ასამართლებ? თანაც ხელისუფლებამ არ გამოაცხადა ამ დამნაშავეთა სექტასთან კოაბიტაცია? თქვენ არ გამოაცხადეთ ესენი მთავარ ოპოზიციურ პარტიად?! სადაა ლოგიკა, მითხარით?!

**— ენ-დი-აი-სა და აი-რაი-ს კვლევებზე რა აზრის ხართ? ბევრი ფიქრობს, რომ ამით ვაშინგტონი ახალ პოლიტიკურ კონფიგურაციას ამზადებს მომავალი არჩევნებისთვის.**

— ნებისმიერ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ამ კვლევებს რეალობასთან არაფერი აქვს საერთო. „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი არ იზრდება და, რაც უნდა მაღალი იყოს ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების მუხტი, ამით სააკაშვილის რეაბილიტაცია რომ არ მოხდება, მგონი, ყველა ხვდება. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ემსახურება შთაბეჭდილების შექმნას, რომ ვითომ ქვეყანაში პროდასავლური სუბიექტების მიმართ ნდობა მაღალია. კერძოდ, **ეს კვლევა ემსახურებოდა ალასანიას და მისი პარტიის წარმოჩენას ერთ-ერთ პერსპექტიულ, მზარდი რეიტინგის პარტიად, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ მიზანზეა გათვლილი.**



**«სახელმწიფო, რომელიც ამოდის სხვისი ინტერესებიდან და საკუთარზე არ ფიქრობს საერთოდ, განწირულია დაშლისთვის. ასეთ სახელმწიფოს არ აქვს არანაირი პერსპექტივა, რაც უნდა მოჩვენებითი მხარდაჭერა ჰქონდეს საერთაშორისო ასპარეზზე და რაც უნდა გულზე მჯილი ირტყას მსოფლიომ მის „დასაცავად“. საუბედუროდ, საქართველო დღეს ზუსტად ასეთ გზას ადგას და, თუ უახლოეს მომავალში რამე არ შეიცვალა, მივიღებთ სრულ ქაოსს, რომელმაც შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს არათუ არსებულის განვითარება და შენარჩუნება, საერთოდ, ჩვენი არსებობაც კი»...**

რაც შეეხება ახალ პოლიტიკურ კონფიგურაციას, **აშკარაა, რომ ამერიკელები ივანიშვილს არ ენდობიან და ცხადია, უნდათ, მომავალი არჩევნების შემდეგ ის და მისი გავლენის ქვეშ მყოფი სუბიექტები გაიყვანონ პოლიტიკური ველიდან.**

**— კი მაგრამ, კოალიციაში არიან გარკვეული სუბიექტები, მაგალითად, რესპუბლიკელები, რომლებსაც დასავლეთი ენდობა. მათი გაყვანაც უნდათ პოლიტიკური ველიდან?**

— ცხადია, არა. **რესპუბლიკელების მიმართ ამერიკელებს ნდობის პრობლემა არ აქვთ, მათ მიმართ პრობლემა არის ის, რომ რესპუბლიკელებს საზოგადოებაში დასაყრდენი არ აქვთ; შეიძლება ითქვას, რესპუბლიკელებს პულსი აღარ ესინჯებათ, მაგრამ არც ამის გამო იტყვიან მათზე უარს. დარწმუნებული ვარ, მომავალი არჩევნებისთვის ისინი გამოეყოფიან კოალიციას და დამოუკიდებლად ან ალასანიათან ერთად იყრიან კენჭს...**

**— და თუ ისინი ჩაიგდებენ ძალაუფლებას, შესაძლოა, არაერთი „ნაციონალიც“ ვიხილოთ მმართველ ელიტაში...**

— „ნაციონალების“ შემოპარების მცდელობას სულ უნდა ველოდოთ — ეს ერთი; და მეორე, რაც ყველაზე მეტად მაფიქრებს, **თუკი მომავალი არჩევნების შემდეგ მაინც ხელისუფლებაში ვერ მოხვდნენ ადამიანები, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება, ეს საქართველოს მიიყვანს კრახამდე: გნებავთ — პოლიტიკურად და გნებავთ — ეკონომიკურად...**

**— ხედავთ ასეთ ხალხს პოლიტიკურ ასპარეზზე? რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები, მაგალითად, ალექსანდრე ებრალიძე, ვლადიმერ ხომერიკი, მიხეილ ხუბუტია და სხვები, თავიანთი მოქმედებითა და განცხადებებით კიდევ დისკრედიტებას უწევენ რუსეთთან დაახლოების იდეას.**

— გეთანხმებით. **არ ვიცი, ამ ხალხს ელემენტარული პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს თუ შეგნებულად აკეთებენ, რასაც აკეთებენ, მაგრამ მათი განცხადებები და მოქმედება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად წარმოაჩენს რუსეთთან ურთიერთობის დალაგების აუცილებლობის იდეას.** პირდაპირ შემიძლია, ვთქვა, რომ ამით კიდევ უფრო ღრმავდება ის უფსკრული, რომელიც სააკაშვილის ანტისახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ გააჩინა ორ მეგობარ ერს შორის. ამიტომ, რაც უფრო ადრე მიხვდება ეს ხალხი ან მიახვედრებს ვინმე, რომ უნდა გაჩერდნენ, უკეთესია...

**— ამას წინათ ზბიგნევ ბჟეზინსკიმ განაცხადა, რუსეთ-საქართველოს შორის, შესაძლოა, კიდევ ერთი ომი მოხდესო. ექსპერტების გარკვეულ ნაწილს ეს ენიშნა ერთგვარ წინასამზადისად ამერიკის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცეში მართვადი ქაოსის კიდევ ერთი კერის გაჩენისთვის. მოსალოდნელია, ვაშინგტონმა უკრაინის შემდეგ საქართველოშიც სცადოს ევრომაიდნის პროვოცირება და ამით მოსკოვს სამხრეთიდან შეუქმნას პრობლემები?**

— ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ მოვლენები მსგავსი სცენარით განვითარდება, საკითხავი გახდება, ვისთვის იქნება ეს პრობლემა — მოსკოვისთვის თუ ჩვენთვის. **ცხელი თავები რომ ფიქრობენ, რუსეთი დაინგრევა და მერე ჩვენ კარგად ვიქნებითო, ჯერ ერთი, რუსეთს ვერაფერი დაანგრევს და მეორეც — თუ დაინგრევა, ჩვენ იმ ნანგრევებში ჩავიმარხებით სამუდამოდ.**

ახლა რაც შეეხება ომს, **სააკაშვილის პერიოდში ოფიციალური მოსკოვი აცხადებდა, რომ დიალოგი შეუძლებელი იყო. შეიცვალა ხელისუფლება და ის კაცი გითვლის, მზად ვარ მოლაპარაკებებისთვისო. რას აკეთებს ხელისუფლება?! იმის ნაცვლად, რომ იყოს გამალებული სამზადისი, იქნებ რამე გამოვიდეს და მოვაგვაროთ ურთიერთობაო, ის ვერ გადაუწყვეტია, ვინ არის ქვეყნის პირველი პირი — პრეზიდენტი თუ პრემიერი. რა ჰქვია ამას, ეს არის შემდგარი სახელმწიფო?!**

ამასაც თავი დავანებოთ, ფაქტობრივად, სამი საგარეო საქმეთა მინისტრი გვყავს: ერთი — თვითონ საგარეო საქმეთა მინისტრი; მეორე — ევროინტეგრაციის მინისტრი და მესამე — პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. სამივე მუშაობს ქვეყნის საგარეო საქმეებზე, რა ჰქვია ამას? — ერთი უწყების საკეთებელს სამს აკეთებინებ?!

**— რა არის ამის მიზეზი?**

— მიზეზი არის ის, რომ სახელმწიფო სისტემა ვერ მუშაობს. ფაქტობრივად, გვყავს სამი საგარეო საქმეთა მინისტრი იმიტომ, რომ ერთი, რომელიც არის დასავლეთის ხელდასხმული, ვერ ელაპარაკება რუსეთს, ხოლო რომელიც რუსეთს ელაპარაკება, იმას დასავლეთი არ ენდობა...

**— ოფიციალურად ვინც არის საგარეო საქმეთა მინისტრი, არაფერს წყვეტს?**

— ის, საერთოდ, რას წარმოადგენს, ვერ გავიგე. მოკლედ, **კრილოვის „ლებედ, რაკ და შუკა“ ხომ იცით, ზუსტად ასეა დღეს ჩვენი საქმე — ყველა თავისკენ იქაჩება, ესმის, არ ესმის პოლიტიკის, შეუძლია თუ არ შეუძლია, ამბიცია აქვს.** არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ — **საქართველო ამას ვერ გაუძლებს, სახელმწიფო, რომელიც ამოდის სხვისი ინტერესებიდან და საკუთარზე არ ფიქრობს საერთოდ, განწირულია დაშლისთვის. ასეთ სახელმწიფოს არ აქვს არანაირი პერსპექტივა, რაც უნდა მოჩვენებითი მხარდაჭერა ჰქონდეს საერთაშორისო ასპარეზზე და რაც უნდა გულზე მჯილი ირტყას მსოფლიომ მის „დასაცავად“.** საუბედუროდ, საქართველო დღეს ამ გზას ადგას და, თუ უახლოეს მომავალში რამე არ შეიცვალა, მივიღებთ სრულ ქაოსს, რომელმაც, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს არათუ არსებულის განვითარება და შენარჩუნება, საერთოდ, ჩვენი არსებობაც კი...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**იმ კონკრეტული პერსონის გვარს, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტული მომენტისთვის „აგვარებს“ ასეთ საკითხებს ჩვენს ქვეყანაში, დიდი მნიშვნელობა არც აქვს, მაგრამ მაინც დავაზუსტოთ, რომ დღეისათვის ამ პერსონის გვარი ბატონი ნორლანდია. თუმცა, გუშინ რომ ტეფტი იყო და ხვალ რომ, დავუშვათ, ვინმე ჰოლმსი ან უოტსონი იყოს, არც ეს შეცვლის რამეს.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართული პოლიტიკის «მეწისქვილე ბონიები»

ორი გურული საუბრობს:
— ძამა, ამ დუნიაზე ყველა რევოლუცია ჩვენი მოწყობილია და მოდი, ერთი რევოლუცია კიდო მოვაწყოთ და გადავაგდოთ აგი მთავრობაც!
— კი, ძამა! რევოლუციის მოწყობას რა უნდა, მარა, რომ გევიმარჯვოთ, რა ვქნათ მერე?
ეს ძველი ანეკდოტი, როგორც ჩანს, ყოველთვის აქტუალური იყო, არის და იქნება ქართულ პოლიტიკაში.
საქმე ის არის, ამ გურულისგან განსხვავებით, ბევრს, ქართველ „პოლიტიკოსად“ წოდებულს, მსგავსი რიტორიკული შეკითხვის დასმაც რომ არ სურს საკუთარი თავისთვის — რომ გაიმარჯვოს, რას აპირებს მერე?

ჰონორი კი იცოცხლე:

**„ივანიშვილის ხელისბიჭი ხელისუფლება უნდა წავიდეს!“**

**„ჩვენ უნდა გავუშვათ ეს მთავრობა!“**

**„ღარიბაშვილი გადადგეს და მას მიჰყვეს მთელი მინისტრთა კაბინეტი!“**

**„მოვითხოვთ, რომ სასწრაფოდ დადგეს მთავრობის უნდობლობის საკითხი!“**

აირჩიე, სულო და გულო, რომელი პოლიტიკური ძალის ლოზუნგი გნებავთ! თუ მთლად დედმამიშვილებივით არა, გარებიძაშვილებივით მაინც წააგავან ერთმანეთს და საბოლოოდ ყველა მათგანის „კატეგორიული“ ტონი არსებული ხელისუფლების „სახლში“ გაშვებაზე თანხმდება.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ **ზოგიერთი, შედარებით ნამუსიანი, არც იმთავითვე წყალობდა ივანიშვილს. აი, მთლად სინდისნამუსგარეცხილებმა კი მთელი ორწელიწად-ნახევარი იცურეს ივანიშვილის ნავით და მხოლოდ ამ ნავიდან ჭიტლაყით გადმოგდების შემდეგ გაახსენდათ, რაოდენ „დიქტატორი“ და „ჩრდილოვანი მმართველია“ ბიძინა და როგორ გამოუსწორებელ ზარალს აყენებს მისი „თავგასულობა“ქვეყანას.**

ყველაზე საინტერესო ფენომენი არის ის, რომ მთელი ოჯახებით „მიხვდნენ“ ამას! თუკი მანამდე „ოჯახობა“ ნირვანაში ჰყავდათ ივანიშვილისნაირი „უმაგრესი პოლიტიკური პარტნიორის“ არსებობის გამო, ახლა უკვე ეს კაცი ყველაზე მიუღებელ და, ასე განსაჯეთ, მათგან დასაცინ პერსონადაც კი იქცა!

თუმცა ოჯახური მხარდაჭერა ისე გასაკვირი არ არის და ბუნებრივიცაა, მაგრამ ნამდვილად დამაფიქრებელია ასეთი უეცარი და საყოველთაო მედიამხარდაჭერა, აი, ამ „ბიძინა, წადი!“ ტიპის პოლიტიკოსებისა.

**ის ტელევიზიები და მედიასაშუალებები, რომლებიც თუნდაც ამ ექვსიოდე თვის წინათ თავისი ორგანიზაციის ფეხსალაგშიც კი არ შეუშვებდნენ მოსაშარდად ზოგიერთ „არასაინტერესო“ პოლიტიკოსს, ახლა ლახტის მათრახივით იქნევენ მათ თავიანთ „პრაიმთაიმულ“ თოქშოუებში და ვითომ „მწვავე კითხვების“ დასმის სოუსით გვაწვდიან, როგორც გაბედულ, ჭკვიან და უსამართლობასთან მებრძოლ პოლიტიკოსებს.**

რას უნდა მივაწეროთ მედიის ასე ერთბაშად დაინტერესება ამ პოლიტიკური ლიდერებით?

მგონი, გეცნობათ, არა, სტილი?

დიახ, **ეს „შეშფოთებულთა“ მანერაა და იმ კონკრეტული პერსონის გვარს, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტული მომენტისთვის „აგვარებს“ ასეთ საკითხებს ჩვენს ქვეყანაში, დიდი მნიშვნელობა არც აქვს, მაგრამ მაინც დავაზუსტოთ, რომ დღეისათვის ამ პერსონის გვარი ბატონი ნორლანდია. თუმცა, გუშინ რომ ტეფტი იყო და ხვალ რომ, დავუშვათ, ვინმე ჰოლმსი ან უოტსონი იყოს, არც ეს შეცვლის რამეს.**

**და რადგან ამ „მომგვარებლის“ გვარი დავასახელეთ, მოდი, მის მიერ „მოგვარებულთა“ გვარებიც გატეხილად ვთქვათ, რადგან ეს მსჯელობასაც უფრო გაგვიადვილებს:**

**1. ირაკლი ალასანია, 2. შალვა ნათელაშვილი, 3. კახა კუკავა.**

ეს არის „მრისხანე“ ტრიო!

რა თქმა უნდა, არის კიდევ „ქალთა დუეტი“ — ნინო ბურჯანაძე-ირმა ინაშვილის სახით და ბოლო ხანს მათ რეალურ პოლიტიკურ საარჩევნო დუეტად ჩამოყალიბებაზეც ალაპარაკდა მედია, მაგრამ ეს ქალბატონები ღარიბაშვილის მთავრობის დღესვე და დაუყოვნებლივ გადადგომას ასე კატეგორიულად არ მოითხოვენ და მართალია, მკაცრად, მაგრამ მაინც მეტ-ნაკლები წინდახედულობით აკრიტიკებენ არსებულ ხელისუფლებას.

სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ მკითხველთაგან ბევრს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც ჩემი ეს პოზიცია და თქვას — ეს კაცი მუდამ ივანიშვილს და მის დამქაშებს აკრიტიკებს და ახლა რა ბზიკმა უკბინაო?! მაგრამ ასეთებს მარტივად ვუპასუხებ — **მე არ მომწონს, მეტიც: სასტიკად არ მომწონს ივანიშვილ-ღარიბაშვილის ხელისუფლების უნიათობა, უუნარობა, სიბეცე და ხშირ შემთხვევაში ბრიყვული გადაწყვეტილებები! მაგრამ არასოდეს, არსად და არც ერთხელ არც ჩემს საგაზეთო პუბლიკაციებსა და არც ჩემს კერძო „ფეისბუქ-პოსტებში“ არ დამიყენებია არსებული მთავრობის სასწრაფოდ გადადგომის მოთხოვნა!**

მიზეზი მარტივია: **ხელისუფლებიდან ივანიშვილის გუნდის წასვლასა და სხვა ნებისმიერი გუნდის მოსვლას აუცილებლად მოჰყვება „ნაციონალური მოძრაობის“ უძლიერესი შეტევა „მთელი ფრონტით“ ხელისუფლების უზურპაციისთვის! არავინ მითხრას ახლა, — „ნაცებს“ ხალხის მხარდაჭერის რესურსი საერთოდ აღ-**



**ბატონო ალასანიავ, ნათელაშვილო და კუკავავ! ბიძინა ივანიშვილი რომ არის, იმისთანა კაცის გაგდება არ ღირდეს იქნება, თქვენ რომ ხართ, იმისთანა კაცების მოსასვლელად ხელისუფლებაში, თუ გიფიქრიათ ამაზე?**







**არ აქვთ და არჩევნებს ვერ მოიგებენო...**

**სიტყვა „უზურპაცია“ ხელისუფლების უკანონოდ მითვისებას ნიშნავს. გაითვალისწინეთ ეს!**

და მინდა, ვკითხო სწორედ იმ „მრისხანე“ სამეულს:

— **რომელიმეს გაქვთ შნო იმისა, რომ, ივანიშვილის გუნდის გადადგომის შემთხვევაში, რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოთ სრულიად „ნაციონალურ“ მძიმე შეტევას?**

გიფიქრიათ ამაზე?

ან **იქნებ თქვენ არც გიფიქრიათ და მათ, ვინც წაგაქეზათ და ყველა ტელევიზიის საუკეთესო ეთერში თქვენი ლამის ყოველდღე ჯდომაც უზრუნველყო, სწორედაც რომ იფიქრეს ამაზე და „ნაცების“ დაბრუნების ეს არაპირდაპირი ხერხი მოიფიქრეს, რადგან მათი პირდაპირი დაბრუნების შანსი და რესურსი მართლაც არ არსებობს!**

მეწისქვილე ბონიას ეპიზოდი მახსენდება „დათა თუთაშხიადან“:

„მგელიც ვიღაცის შესაჭმელად გამოდის ბუნაგიდან, მაგრამ ისეთის შეჭმა დავაპირო, აქეთ არ შემჭამოსო, ამას მაინც ფიქრობს მგელი!

ადამიანმა ის ხომ მაინც უნდა იფიქროს, ისეთი ვინმე შევჭამო, ჩემი სიცოცხლე ჯობდეს იმის სიცოცხლესო? **შენ რომ ხარ, იმისთანა კაცის გახარებისთვის არ ღირდეს, იქნება, მე რომ ვარ, იმისთანა კაცის სიკვდილი, ბონია, თუ გიფიქრია ამაზე?!“**

ჰოდა, **ბატონო ალასანიავ, ნათელაშვილო და კუკავავ! ბიძინა ივანიშვილი რომ არის, იმისთანა კაცის გაგდება არ ღირდეს იქნება, თქვენ რომ ხართ, იმისთანა კაცების მოსასვლელად ხელისუფლებაში, თუ გიფიქრიათ ამაზე?**

პრინციპში, სავარაუდოდ, ყველას გვახსოვს, რასაც უპასუხებს მეწისქვილე ბონია დათა თუთაშხიას და საკუთარ სიხარბეს თავის უბედურ ცოლსა და გასამზითვებელ ქალიშვილებს მიაწერს...

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ქართული პოლიტიკის „ბონიებიც“ სწორედ ასეთ პასუხს გაგვცემენ და „უბედური ცოლისა და გასამზითვებელი ქალიშვილების“ როლში ჩვენ — ქართველ ხალხს გამოგვიყვანენ...

მაგრამ **„არა, ბონია! შენთვის გინდა ის ფული შენ! არაფერ შუაში არიან შენი უბედური ცოლი და გასამზითვებელი ქალიშვილები მანდ! ასეა ეს!“**

მაშ, რატომ ვაკრიტიკებ ხოლმე, თან საკმაოდ ხშირად და ზოგჯერ საკმაოდ უხეშადაც დღევანდელ ხელისუფლებას და პირადად ბიძინა ივანიშვილს?

მე ჟურნალისტი ვარ და მაქვს არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაც კი, რომ მივუთითო მთავრობის, ხელისუფლების ნაკლოვანებებზე. ვეცადო, რომ მათ ეს ნაკლოვანებები გამოასწორონ. ჩვენ — მედია და ხალხი, ვალდებულნიც ვართ, ვაკონტროლოთ ხელისუფლება და ვიყოლიოთ ის წნეხის ქვეშ!

მაგრამ **ნამდვილად არ მაქვს განზრახვა, დღესვე გადავაყენო ღარიბაშვილი და მის ადგილზე მე ვცადო დაჯდომა! ზუსტად ვიცი, არ გამაჩნია არც ფიზიკური, არც სულიერი და, რაც მთავარია, არც ფინანსური რესურსი საიმისოდ, რომ ხელისუფლების ნებისმიერი გზით ხელში ჩასაგდებად მომართულ „ნაციონალურ“ ბოროტების მანქანას გავუმკლავდე!**

მაგრამ, როდესაც შენ, როგორც პოლიტიკოსი, ებრძვი ივანიშვილს, რაღაცით მასზე მეტი თუ არა, ოდნავ მიახლოებული მაინც უნდა იყო მასთან. მაშ, რატომ „იხსნით ვენებს“ და რატომ იჭაჭებით, ბატონებო, — „დღესვე და დაუყოვნებლივ გადადგეს არსებული მთავრობაო“?

**რით აპირებთ, წინააღმდეგობა გაუწიოთ „ნაციონალების“ ბრწყინვალედ ორგანიზებულ პარტიულ აქტივს, მათ კონტროლს დაქვემდებარებულ მედიასივრცეს და იმ თითქმის განუსაზღვრელ ფინანსურ მხარდაჭერას, რომელსაც ისინი დღემდე ინარჩუნებენ?**

სულ სხვა საქმეა, რომ მართლაც შეიძლება ვიფიქროთ, — ივანიშვილი და კომპანია სპეციალურად, მიზანმიმართულად და უნამუსოდ ქმნიან სიტუაციას, რომ „ოცნების“ წასვლა ავტომატურად „ნაცების“ მოსვლას ნიშნავდეს!

კი, ბატონო, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ეს სიტუაცია რამენაირად შევცვალოთ და ბატონი მილიარდერი ვაიძულოთ, იფიქროს რეალურად ქვეყანაზე და არა საკუთარ თავსა და მისი გუნდის ხელისუფლებაში მყარად ყოფნაზე „ნაციონალ-საფრთხობელების“ მეთოდის გამოყენებით!

მაგრამ ამას სულ სხვა, გააზრებული ბრძოლა სჭრდება და არა ღარიბაშვილისა და მისი მთავრობის დღესვე გადადგომის სრულიად გაუაზრებელი და უპასუხისმგებლო მოთხოვნა!

დღევანდელ სიტუაციაში ეს იგივეა, რომ ვინმემ პირდაპირ მიშასა და „ნაციონალების“ დაბრუნება მოითხოვოს ხელისუფლებაში.

ასეა თუ ისე, ჩამოთვლილი „ლიდერების“ ფონზე, ივანიშვილი, სამწუხაროდ, მართლაც ჩემბერლენად გამოიყურება და ბიძინას მისამართით გაკეთებული მათი განცხადებები ხშირად მოგვაგონებს ისევ და ისევ გურულების კიდევ ერთ ძველ ანეკდოტს, ყანაში მომუშავე დაღლილი ორი მეზობელი რომ ბილ კლინტონზე იწყებს საუბარს.

მართლაც, თავისუფლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ გატეხავენ შუაზე უფილტრო პაპიროს „ასტრას“ კუკავა და ნათელაშვილი, მოუკიდებენ, გააბოლებენ და იწყებენ საუბარს:

**„რაიო, რას ჩივა იგი მათხოვარი ივანიშვილი?...“**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რეპლიკა

**„ნაცმოძრაობის“ გაქრობა ვინმეს მიზანი და, მით უფრო, თვითმიზანი კი არა, კანონით ნაკარნახევი აუცილებლობაა, რადგან ამ პარტიას ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი აქვს უმძიმესი დანაშაულები; „ნაცმოძრაობის“ გაქრობა ის უპირობო აუცილებლობაა, ურომლისოდაც სამართლებრივი სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება, ათასობით ქონებაწართმეული, ღირსებააყრილი და შვილმკვდარი დედებისა თუ მამების უფლებები ვერ აღდგება. ამიტომ, როდესაც ამ შავბნელ ორგანიზაციაზე საუბრობთ, პოლიტიკის კი არა, სჯობს, სამართლის კანონები მოიშველიოთ, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ!**



## ობამამ ირლანდიის პრემიერს ხელი არ ჩამოართვა

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ხელი არ ჩამოართვა ირლანდიის პრემიერმინისტრს — ენდ კენდის, რომელმაც პროტოკოლის გათვალისწინებით, ობამას ხელი გაუწოდა. ინციდენტი მოხდა ირლანდიელი პოლიტიკოსის ვაშინგტონში ვიზიტის დროს, წმინდა პატრიკის დღეს. ვიდეოზე, რომელსაც ათეულობით ტელევიზია იღებდა, ჩანს, როგორ გაუწოდა ხელი კენდიმ ობამას, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტმა ირლანდიელი პოლიტიკოსის გაწვდილი ხელი ვერ დაინახა, რადგანაც ის ჟურნალისტებისა და კამერების წინ პოზირებდა.



## ბრიტანეთმა იემენში სამხედრო ინტერვენციას მხარი დაუჭირა

ბრიტანეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა საუდის არაბეთის მეთაურობით არაბული ქვეყნების კოალიციის სამხედრო ინტერვენციას იემენში. „ჩვენ მხარს ვუჭერთ საუდის არაბეთის სამხედრო ჩარევას“, — ნათქვამია ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. ამავე დროს, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „საბოლოო ჯამში კრიზისის დაძლევა პოლიტიკური გზით უნდა მოხდეს“. საუდის არაბეთი აცხადებს, რომ იემენის დაშლა და სამხედრო ოპერაცია იემენის რომელიმე ქალაქით ან რეგიონით არ შემოიფარგლება.

# უსუფაშვილი სამართლიანობის აღდგენის წინააღმდეგ

## ახია, ივანიშვილო, შენზე, სამპროცენტიანი «რესპი» თითს რომ გიქნევს და ენას გიყოფს!

**რესპუბლიკური პარტია რომ, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობა 2“-ია და სააკაშვილის რეჟიმს ბოლომდე დაიცავს, უკვე ყველასთვის ცხადია, მაგრამ ის, რაც ბოლო ხანს ხდება, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს — სამპროცენტიანები უკვე ღიად „აპრავებენ“ „ვარდოსნებს“, ხელს უწყობენ მათ გაძლიერებას და იმის თქმასაც არ ერიდებიან, „ნაცრეჟიმის“ გასამართლება სახელმწიფოს დიდად აზარალებსო.**



მთავარმა რესპუბლიკელმა, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ამას წინათ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადა, — ვინც ცდილობს, „ნაციონალური მოძრაობა“ გააქროს ხელკეტებით, „კანონის არასწორი გამოყენებითა და გულზე მჯიღისცემით“, ამით მას მხოლოდ აძლიერებსო, ანუ **უსუფაშვილმა, ფაქტობრივად, გვითხრა, რომ სააკაშვილის პოლიტიკური ნარჩენები ხელშეუხებელია და, რა მტკიცებულებებიც უნდა არსებობდეს, ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის გასამართლებაზე არც უნდა ვიოცნებოთ:** „ეს ხალხი დღემდე მოვიდა, როგორც მოვიდა, დიდწილად იმიტომ, რომ მათთან პოლიტიკური ბრძოლა ძალიან ხშირად არასწორად დაგეგმილი და გათვლილი იყო. თუ მიზნად დავისახავთ რომელიმე პარტიის — „ნაციონალური მოძრაობის“ ან თუნდაც რესპუბლიკური პარტიის — გაქრობას პოლიტიკურად, პარტიას ეს მხოლოდ აძლიერებს. ამიტომ მივმართავ ყველას, ვინც რესპუბლიკური პარტიის განადგურებით არის დაკავებული: გააგრძელეთ! ეს არის პოლიტიკის კანონი. თუ გინდა პოლიტიკური ოპონენტის დამარცხება, ის არ უნდა აქციო მნიშვნელოვან მოვლენად, მას არ უნდა მიაწერო იმის გაკეთებაც კი, რაც არც კი დასიზმრებია, რომ ყველაფერს ის აკონტროლებს, რომ ყოვლისშემძლეა. ბოლოს და ბოლოს, ხალხი გვიყურებს და ფიქრობს: კი, მაგრამ, თუ ის არის ყოვლისშემძლე, შენთან რა მინდა, იმასთან მივალ“.

ამ განცხადების მიღმა რა მზაკვრული პათოსიც და მინიშნებებიც იმალება, ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი უსუფაშვილისა და მისი უგერგილო თანაგუნდელების გასაგონად, მინდა, ვთქვა: **„ნაცმოძრაობის“ გაქრობა ვინმეს მიზანი და, მით უფრო, თვითმიზანი კი არა, კანონით ნაკარნახევი აუცილებლობაა, რადგან ამ პარტიას ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი აქვს უმძიმესი დანაშაულები; „ნაცმოძრაობის“ გაქრობა ის უპირობო აუცილებლობაა, ურომლისოდაც სამართლებრივი სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება, ათასობით ქონებაწართმეული, ღირსებააყრილი და შვილმკვდარი დედებისა თუ მამების უფლებები ვერ აღდგება. ამიტომ, როდესაც ამ შავბნელ ორგანიზაციაზე საუბრობთ, პოლიტიკის კი არა, სჯობს, სამართლის კანონები მოიშველიოთ, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ!**

რაც შეეხება რესპუბლიკურ პარტიას, მის გაქრობაზე (გასაგები მიზეზების გამო) ნამდვილად ოცნებობს მთელი საქართველო, (ყოველ შემთხვევაში, ვისაც ეროვნული ცნობიერება შერჩა), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაქტია, ეს პარტია პოზიციებს იმყარებს. ანუ, მიუხედავად საზოგადოების მხრიდან მკვეთრი ანტიპათიისა, იგი სულ უფრო გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაცია ხდება, მაგრამ ამ ყველაფერში უსუფაშვილის მიერ ნახსენები „პოლიტიკის კანონი“ არაფერ შუაშია. **საქმე ის არის, რომ ამ სამპროცენტიანების გაერთიანებას ამერიკის მხარდაჭერა აქვს, „თეთრი სახლი“ და სენატი ყველანაირად ცდილობენ, ცალკე გრანტებით და ცალკე პოლიტიკური განცხადებებით, რომ ეს სამპროცენტიანი ხროვა ძალაუფლების სათავეში შეინარჩუნონ. ცხადია, რომ არა ეს უპირობო მხარდაჭერა, უსუფაშვილისა და მისი პარტიისგან არაფერი დარჩებოდა,** მაგრამ ახლა ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ფაქტია, ხელისუფლების ერთერთი შტო — საკანონმდებლო ორგანო, მათ ხელშია და ყველაფერს აკეთებენ, ძალაუფლება „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ რეინკარნაციას მოახმარონ...

შეგახსენებთ, რომ რესპუბლიკელები მცირე ხნის წინათ ბიძინა ივანიშვილმაც გააკრიტიკა. მისი თქმით, უსუფაშვილი ვერ მალავს ალასანიას მიმართ სიმპათიას და ე. წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებულ ხელოვნურად აგორებულ თემებზე საგამოძიებო კომისიას ქმნის. ოლიგარქის ამ განცხადებას თავის დროზე არც ერთი რესპუბლიკელი არ გამოხმაურებია, მაგრამ **უსუფაშვილს, როგორც ჩანს, გულში ხინჯად ჩარჩა ძველი წყენა; ჰოდა, ახლა ირიბად უპასუხა „მამამარჩენალს“ — მილიარდები კი გაქვს და თავი ყოვლისშემძლე გგონია, მაგრამ შენი კრიტიკით ფეხებსაც ვერ მოსჭამ ვერავისო...** ახია, ივანიშვილო, შენზე, სამპროცენტიანი „რესპი“ რომ თითს გიქნევს და ენას გიყოფს! ჭკუა რომ გქონოდა, ეს მოსიარულე გვამი ახლაც მისაღებში გეყოლებოდა ლაქიასავით ატუზული...

დავუბრუნდეთ ისევ უსუფაშვილის განცხადებას, იმავე გადაცემაში („მაესტროს“ ეთერში) წამყვანმა პარლამენტის თავმჯდომარეს გაახსენა პრემიერ ღარიბაშვილის ადრინდელი განცხადებაც, რომელიც რადარებიდან „ნაცმოძრაობის“ გაქრობას შეეხებოდა. „მამალი რესპი“ აშკარად შეიშმუშნა და პირდაპირ ჭკუის დარიგება დაიწყო: „მე ჩემს კოლეგასა და მეგობარს — ირაკლი ღარიბაშვილსაც მივმართავ, საკუთარ თავსაც მივმართავ, ჯობია, ჩვენი გაკეთებული საქმეებით მეტად დავანახვოთ საზოგადოებას ჩვენი უპირატესობა, ჩვენი სისწორე და საჭიროება ამ ქვეყნისთვის და ამით უკეთესად მოხდება ვილაცების გაქრობაც, რადარებიდან წასვლა და პროცენტების დაწევა“.

რიტორიკა, ალბათ, გეცნოთ, — მას შემდეგ, რაც სააკაშვილის რეჟიმი სათავეს ჩამოშორდა, სწორედ „ნაციონალები“ უკიჟინებენ ხელისუფლებას, წარსულისკენ ნუ იხედებით, თუ რამის შნო გაქვთ, საქმე გააკეთეთ და ხალხს დაპირებები შეუსრულეთო. ამით ისინი „ქოცნებისტებს“ მათი უსუსურობისკენ უთითებენ და საზოგადოების თვალში ამცრობენ. ანალოგიური პათოსითაა გამსჭვალული „სამპროცენტიანების ატამანი“ უსუფაშვილიც, როცა „მეგობარ“ ირაკლი ღარიბაშვილს მოუწოდებს, საზოგადოებას საქმეებით დავანახვოთ ჩვენი უპირატესობა და არა „ნაცკრიმინალების“ დევნითო. **უსუფაშვილი ერთი-ერთზე იმეორებს სააკაშვილის რიტორიკას და ამით სრულიად შეგნებულად შიგნიდან ღრღნის, ძირს უთხრის ხელისუფლების ციტადელს. ამაზეა ნათქვამი, ციხე შიგნიდან ტყდებაო...**

მოკლედ, რესპუბლიკური პარტია სააკაშვილის მეხუთე კოლონაა კოალიციაში და აქედან გამოსავალი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება იყოს: მილიარდერმა ივანიშვილმა, როგორც მოიყვანა, ისე უნდა წაიყვანოს ეს პოლიტიკური ფეკალიები, თუ არადა, საზოგადოება ერთ მშვენიერ დღეს თვითონ ივანიშვილსაც ჩარეცხავს. ახლა დაფიქრდეს და გადაწყვიტოს „მთაწმინდის ლომმა“, რა ურჩევნია — მის მიერ გაფუჭებულის საკუთარი ხელით გამოსწორება თუ სამპროცენტიან „რესპებთან“ ერთად საკანალიზაციო მილში მოხვედრა. ნებისმიერ შემთხვევაში, მას უსიამოვნო სუნთან და მასებთან მოუწევს შეხება, მაგრამ რა გაეწყობა, ეს სუნიც ხომ მან დააყენა და, საერთოდ, პოლიტიკური სპექტრიც მან დაამსგავსა „უბორნიას“...

**ჯაბა ჟვანია**

## ჩეჩნეთი ამერიკას დაემუქრა

**ჩეჩნეთის პარლამენტის თავმჯდომარე დუკუვახა აბდურახმანოვი ამერიკას მექსიკისთვის იარაღის მიწოდებით და 7 ამერიკულ შტატში პარტიზანული მოძრაობის დაწყებით იმუქრება.** ჩეჩნური მუქარა არის პასუხი კონგრესის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც კონგრესმენებმა ბარაკ ობამას ადმინისტრაციას უკრიანისთვის იარაღის მიწოდებისაკენ მოუწოდეს. დუკავახ აბდურახმანოვის შესაბამისი განცხადება ჩეჩნეთის პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული. „უკრაინაში იარაღის მიწოდება ჩვენ მიერ აღქმული იქნება, როგორც სიგნალი ადეკვატური ქმედებებისკენ. დავიწყებთ უახლესი შეიარაღების მიწოდებას მექსიკისთვის, რათა განახლდეს დავა აშშ-ის მიერ იმ ტერიტორიების ანექსირებასთან დაკავშირებით, სადაც დღეისათვის განთავსებულია ამერიკული შტატები: კალიფორნია, ნიუ-მექსიკო, არიზონა, ნევადა, იუტა, კოლორადო და ვაიომინგი. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, რუსეთში, მექსიკასა და ამერიკაში გავმართოთ კონფერენციები, სადაც ამ შტატების აშშ-იდან გამოყოფისა და პარტიზანებისთვის შეიარაღების მიწოდების საკითხს განვიხილავთ“, — განაცხადა აბდურახმანოვმა.



„ახალმა ხელისუფლებამ უკვე მოასწრო ისეთი დანაშაულების ჩადენა, როგორიცაა სააკაშვილის რეჟიმის გვერდით დგომა, ხელშეწყობა და მათთან მჭიდრო თანამშრომლობა, რაც უდიდესი დანაშაულია და ამისთვის 2016 წელს პასუხს აგებენ არა მხოლოდ არჩევნებზე, არამედ სასამართლოს წინაშეც. ივანიშვილის სახით ქართველმა ხალხმა დაინახა ურჩხული, ფულის მანქანა, რომელმაც ზნეობრიობას და ღირსებას ფეხი დაადგა და საკუთარი ფულით, საეჭვო ფულით, გაამაგრა სააკაშვილის ხელისუფლება“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## თემურ ქორიძე:

# ივანიშვილს სააკაშვილი დაემართა

## ამ თაღლითებს არ მივცემთ შესაძლებლობას, კიდევ ერთხელ მოატყუონ ქართველი ხალხი

**„უმადურებო!“ — ამ ეპითეტით შეამკო ქართველი ხალხი ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებიდან რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ. იმ წუთში, ალბათ, ბევრს გაახსენდა ხაინდრავას მიერ განვლილი გზა და მისი მეტსახელი „ტრულაილა მინისტრი“. გაახსენდათ 1992 წლის ბოლო დღეები, როდესაც სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის საკითხებში გოგა ხაინდრავა შეხვდა ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი შეარაღებული ფორმირების ხელმძღვანელ ლოთი ქობალიას, რომელთან არცთუ სასიამოვნო საუბრისას ხაინდრავა გამუდმებით გაიძახოდა: „შე ჩემის ტრულაილა!“. მისი მეტსახელიც აქედან წამოვიდა. გოგა ხაინდრავა სააკაშვილის მთავრობაში სახელმწიფო მინისტრი იყო 2006 წლამდე. მართალია, დღეს ის საპასუხისმგებლო თანამდებობას არ იკავებს, მაგრამ ყოფილი პრემიერი ივანიშვილის მიერ დაფინანსებული 200-სერიანი ფილმის რეჟისორია და, თუ სხვა მთავრობების დროს მხოლოდ ჭკუის დარიგებით შემოიფარგლებოდა, ახლა ფილმის რამდენიმემილიონიანი ბიუჯეტი უფლებას აძლევს, ქართველი ხალხი გალანძღოს.**
**თუმცა გოგა ხაინდრავა ერთადერთი არ არის, ვინც ქართველ საზოგადოებას შეურაცხყოფს. ყოფილმა პრემიერმა და ახლა უკვე მოქალაქე ბიძინა ივანიშვილმა ორი წლის წინათ საზოგადოებას „უმწიფრები“ უწოდა.**
**რატომ და რისთვის დაიმსახურა ქართველმა ხალხმა „უმადურისა“ და „უმწიფრის“ წოდება? — ამ საკითხზე ეროვნული მთავრობის წევრი, უზენაესი საბჭოს განათლების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, პუბლიცისტი თემურ ქორიძე გვესაუბრება.**



**— 2014 წლის მიწურულს თქვით, რომ 2015 წელი გაცილებით უარესი იქნებოდა, ვიდრე გასული წელი... თქვენი სიტყვები ახალი წლის პირველივე თვეებში დადასტურდა, როდესაც დაიწყო ლარის დევალვაცია და მოსახლეობა მძიმე დღეში აღმოჩნდა, არადა, ყოფილი პრემიერი ივანიშვილი კარგ წელიწადს გვიწინასწარმეტყველებდა, ახლა კი გვარწმუნებს, ეკონომიკას არ გვულისხმობდი, დემოკრატიაზე ვსაუბრობდიო...**

— ყოველთვის სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი ივანიშვილისა და მის მიერ ხელდასხმული მთავრობის მიმართ.

გადაცემა „20/30“-ში, რომელიც ყოველ კვირას გადის ეთერში, ყველა ხედავთ სახეებს დათრგუნვილი, ფერდაკარგული, შეშინებული ახალგაზრდებისა, რომლებიც ივანიშვილის მიერ გადმოფრქვეულ ჯერარგაგონილ სისულელეებს უსმენენ. **„20/30“ — ეს არის ივანიშვილის მცდელობა, ხალხს დაავიწყოს ის დაპირებები, რომლებიც გულუხვად დაარიგა და სურს, დაგვარწმუნოს, რომ ხალხს „ჭარბი“ მოლოდინი აქვს, რომ ისეთი გონებაჩლუნგი საზოგადოება ვართ, ძალიან მოკლე დროში ვითხოვთ შედეგებს.**

თუნდაც გონებაჩლუნგ ადამიანსაც კი არც ერთი მედიასაშუალებით არ გამოუთქვამს სურვილი, ოთხ წელიწადში ბედნიერი საქართველო აგვიშენეთო. ასეთი რამ არ მომხდარა, სამაგიეროდ იყო საპირისპირო შემთხვევა. 2013 წელს ივანიშვილს ერთ-ერთ ინტერვიუში ჟურნალისტი ეკითხება: „რამდენად მზარდია დღეს ქვეყნის ეკონომიკა? რა პრობლემები არსებობს და როდის უნდა ველოდოთ ციფრებში გამოხატულ შედეგებს?“. ივანიშვილი პასუხობს: **„ნორმალურ დროდ განიხილება ყოველთვის საარჩევნო პერიოდი, ოთხი წელიწადი. ვფიქრობ, კონკრეტული ციფრები და კონკრეტული შედეგი ამ პერიოდში უნდა ვიგრძნოთ. მუდამ ამას ვამბობ — მეორე წელიწადი უნდა იყოს საგრძნობი, მესამე წელი უნდა იყოს კარგი, მეოთხე — ძალიან კარგი. საარჩევნო პერიოდს არ გადავცილდებით“.** აი, ამ დაპირებიდან გამომდინარე, გაკეთდა გადაცემა „20/30“ და ამიტომ ბობოქრობს ტელევიზიაში ნირწამხდარი ივანიშვილი.

ივანიშვილი დაადგა ძალიან სათაკილო გზას, მან დაიწყო შეტევა ქართველ ხალხზე, შეტევის მიზეზი არის ის, რომ თვლის, თითქოს ხალხი იმას ითხოვს, რასაც არ დაპირებია და რომ ადამიანებს „ჭარბი“ მოლოდინები გაუჩნდათ. ხალხის ეს არნახული შეურაცხყოფა ივანიშვილს არ უნდა ეპატიოს.

ივანიშვილის „20/30“-ის წინააღმდეგ რამდენიმე თანამოაზრე ვაყალიბებთ სახალხო მოძრაობას, რომლის სახელწოდებაც იქნება „20/16“. მისხალ-მისხალ ავწონით ყველა დაპირებას და 2016 წლისთვის ამ თაღლითებს არ მივცემთ შესაძლებლობას, კიდევ ერთხელ მოატყუონ ქართველი ხალხი; არ ვაპირებ ივანიშვილის სიცილ-ხარხარის ფონზე ამ ქვეყნიდან წასვლას.

ახალმა ხელისუფლებამ უკვე მოასწრო ისეთი დანაშაულების ჩადენა, როგორიცაა სააკაშვილის რეჟიმის გვერდით დგომა, მათი ხელშეწყობა და მჭიდრო თანამშრომლობა, რაც უდიდესი დანაშაულია და ამისთვის 2016 წელს პასუხს აგებენ არა მხოლოდ არჩევნებზე, არამედ სასამართლოს წინაშეც. ივანიშვილის სახით ქართველმა ხალხმა დაინახა ურჩხული, ფულის მანქანა, რომელმაც ზნეობრიობას და ღირსებას ფეხი დაადგა და საკუთარი ფულით, საეჭვო ფულით, გაამაგრა სააკაშვილის ხელისუფლება. ვინმემ ამიხსნას, რომელი კანონის თანახმად აფინანსებდა კერძო პირი ივანიშვილი პრეზიდენტ სააკაშვილის ცოლს, ბებიას, დედას, სადამსჯელო სტრუქტურას — პოლიციას? ამას ჰაერზე არ ვამბობ, მისივე ნათქვამით დაგიდასტურებთ: **„ჩვენ მოვდივართ, რომ სააკაშვილის უახლოეს გარემოცვასაც კი უკეთესი პირობები ჰქონდეს, ვიდრე დღეს აქვს“ (2012 წელი. ბიძინა ივანიშვილი).**

შარლ-ლუი მონტესკიეს სიტყვები ზედგამოჭრილია ივანიშვილზე: „სიმდიდრის ცუდი ფორმაა ის, რომელიც შემთხვევითაა მოპოვებული და დამოკიდებული არ არის არც ინდუსტრიაზე, არც მცხოვრებთა რაოდენობაზე და არც მოწათმოქმედებაზე“. ივანიშვილის ფული არაფერზეა დაფუძნებული და ძარცვით არის მოპოვებული, სწორედ ამიტომ არ იცის, რა უყოს ამ ფულს და ხან სააკაშვილს აფინანსებს, ხან — მსახიობებს, რომლებიც შემდეგ გამოდიან და თითს იშვერენ ქართველი ხალხისკენ.

**— ივანიშვილს ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული, ერთ-ერთი კი არის ის, რომ მან სააკაშვილის რეჟიმი მოგვაშორა...**

— უწინარეს ყოვლისა, ეს იყო პირადი შურისძიება იმ ადამიანის მიმართ, რომლის ხელისუფლებაში მოსაყვანად დიდძალი ფული ჩადო, მაგრამ, როგორც კი მარიონეტი სააკაშვილი ხელიდან გაუსხლტა, „რიჩარდ მესამის შურისძიება“ ჩაიდინა. **ივანიშვილი იმავეს გაუკეთებდა მარგველაშვილსაც, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ აქვს, მას ვადა არ ეწურება. მართალია, მარგველაშვილი საკმაოდ ვიწრო შესაძლებლობების პრეზიდენტია, და აქ მარგველაშვილის კონსტიტუციურ შესაძლებლობებს არ ვგულისხმობ, ის გონებრივადაც საკმაოდ შეზღუდული პიროვნებაა, მაგრამ სააკაშვილზე ადრე მიხვდა, რომ ივანიშვილის გავლენის ქვეშ ყოფნა სახელმწიფო ინსტიტუტისთვის დამღუპველი იქნებოდა, რაც დასაფასებელია.**

**— ბატონო თემურ, ახლა თქვენს სიტყვებს ბევრი არ მოიწონებს და უმადურს გიწოდებს. პირველი კრიტიკისთანავე ივანიშვილმა ხალხს უმწიფრები უწოდა, ახლა კი გოგა ხაინდრავამ საზოგადოებას ასე მიმართა — უმადურებო.**

— მადლიერებასა და უმადურობაზე ილაპარაკოს იმ ადამიანმა, რომელსაც საკუთარი ჯვარი ისე უტარებია, რომ არავის კარზე მათხოვრად არ დამდგარა.

თუკი ვინმე გაბედავს და იმ თაობას, რომელმაც 200 წლის შემდეგ, ავად თუ კარგად, საქართველოს დამოუკიდებლობას მიაღწია, უმადურობას დასწამებს და ივანიშვილის ვალზე დაუწყებს ლაპარაკს, ეს სამშობლოსთვის დაღუპული ადამიანების სულში ჩაფურთხების ტოლფასია. ისე წავიდნენ დალეწილი მერაბ კოსტავა ამ ქვეყნიდან და სამშობლოში დევნილი ზვიად გამსახურდია, რომ ერთი სიტყვითაც არ დაუყვედრებიათ ხალხისთვის თავიანთი წამება...

ამ დროს მოდის თავხედი ივანიშვილი და გვაყვედრის, რომ ხიფათში ჩაიგდო თავი პოლიტიკაში მოსვლით. ივანიშვილს მხარს უბამენ ის ადამიანები, რომლებიც მისგან ფულს იღებენ.

**ივანიშვილის ღვაწლი არის ის, რომ მან ყველაფერი გააკეთა სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების ზნეობრივი გადაგვარებისთვის, რათა ადვილი სამართავები ყოფილიყვნენ, რამაც ქვეყანა დაღუპვის პირამდე მიიყვანა.**

გოგა ხაინდრავა ბიძინა ივანიშვილთან ერთად სააკაშვილის გვერდით იდგა, ხაინდრავამ ივანიშვილის აფერებიც ბევრი მოისმინა და მაინც ხალხისკენ იშვერს ხელს? – ეს მის დაცემას ნიშნავს. აკაკის სიტყვები მახსენდება, რომელიც დაცემულ საქართველოს ეხება, დაცემულს, მაგრამ ვერმიმხვდარს. **ყველა, ვინც ივანიშვილის ფულს არის მიშტერებული და ხალხისკენ იშვერს თითს, აკაკის სიტყვების ადრესატია: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!“**

ბიძინა ივანიშვილი ჭირვეულია, ეს აშკარად ჩანს გადაცემა „20/30“-ში. ივანიშვილს უკვე „სააკაშვილი“ დაემართა. მიშა სინგაპურზე ლაპარაკობდა, ეს – დუბაიზე, თუმცა ამბობს, რომ 2030 წელს საქართველო მეორე იტალია იქნება. მის გონებრივ შესაძლებლობებში არაერთხელ დავეჭვებულვარ, მაგრამ ამას არ ველოდი.

საინტერესოა, როგორ გავხდებით იტალია? ე. ი. ამ 15 წელიწადში საქართველოში აშენდება ვენეცია, ფლორენცია, მოიგონებენ და ჩადგამენ ვატიკანის მსგავსს, ააშენებენ „ალფა-რომეოსა“ და „ფერარის“ მსგავს საწარმოებს და ჩვენ 2030 წელს ვიცხოვრებთ იტალიისნაირ ქვეყანაში. ამის შემდეგ კი — დუბაიში, სადაც ნავთობია და სადაც შეიხებმა ზღვაში პალმის მსგავსი კუნძულები გააკეთეს, ააშენეს სასტუმროები და მოოქრული „როლს-როისები“ ემსახურებათ... და ამას საქართველოში აკეთებს ივანიშვილი, კაცი, რომელიც ამბობს: „საქართველოში ბიზნესი არ მაქვს და ამას არც მომავალში ვაპირებ“ (2013 წელი. ნოემბერი).

ივანიშვილმა უნდა აღიაროს, რომ შეცდა. მას არ შესწევს უნარი, მართოს ქვეყანა, მმართველობის ისეთი ფორმა, როგორიც ივანიშვილმა მოგვიტანა, არც ერთ ქვეყანაში არ არის. მას უმაღლესი ქურუმის ტახტი უნდა. **ივანიშვილი „აწ განსვენებული სააკაშვილის“ სინდრომით არის შეპყრობილი და მასაც, როგორც მიშას, ძალიან მოსწონს სიტყვები — პირველად საქართველოში...** ივანიშვილი იბრალებს, რომ პირველად მან ჩაატარა მშვიდობიანი არჩევნები, პირველად მან მოახერხა კოაბიტაცია. არადა, გაიხსენეთ, 1990-იანი წლები, მინისტრებიც და ვიცეპრემიერებიც კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ. ამისთვის მადლობა არც კომუნისტებს მოუთხოვიათ და არც ეროვნული მოძრაობის წევრებს.

**— თქვენ ახლა ივანიშვილს ცუდ კონტექსტში მოიხსენიებთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, ეს სანანებელი გაგვიხდეს, რადგან მისი დაფინანსებით იღებენ ფილმს, რომელმაც, შეიძლება, საქართველოს ბედი შეცვალოს...**

— ვიცი, ფილმს იღებს და თანაც — მრავალსერიანს. ვიცი ისიც, რომ ეს სააკაშვილის მმართველობის პერიოდს ეძღვნება, მაგრამ ვერაფრით ვირწმუნებ რეჟისორის ობიექტურობას, თუკი ამ ფილმში დეტალურად არ იქნება ახსნილი ივანიშვილ-სააკაშვილის ურთიერთობები, რადგან ისინი ძალიან გადაჭდობილი არიან ერთმანეთზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება წყალში გადაყრილი შრომა, ფულზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«20/30» — ეს არის ივანიშვილის მცდელობა, ხალხს დაავიწყოს ის დაპირებები, რომლებიც გულუხვად დაარიგა და სურს, დაგვარწმუნოს, რომ ხალხს «ჭარბი» მოლოდინი აქვს, რომ ისეთი გონებაჩლუნგი საზოგადოება ვართ, ძალიან მოკლე დროში ვითხოვთ შედეგებს»**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიზეზი ჩვენი უბედურებებისა კი არის ის, რომ, ბოლო 20 წელიწადია, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის გარედან, ამ შემთხვევაში თეთრი სახლის „ობკომიდან“ — საქართველოში აშშ-ის საელჩოდან (გინდაც რუსეთი იყოს, არ აქვს მნიშვნელობა — „ობკომი“ „ობკომია“) იმართება და, ვიდრე ამ მმართველობას არ დავასრულებთ, არაფერი გვეშველება!**

# NDI-დან IRI-მდე

**პირველი აბრევიატურა ქართულად ასე იშიფრება: აშშ-ის ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტი; ხოლო მეორე — როგორც აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, ანუ ორივე ერთი მედლის ორი მხარეა მხოლოდ და აქედან გამომდინარე, ეს ვითომ არასამთავრობო ორგანიზაციები სინამდვილეში აშშ-ის შესაბამისი სახელისუფლო პარტიების — რესპუბლიკელი სპილოებისა და დემოკრატი ვირების (შეურაცხყოფად ნუ ჩამითვლით, ქართველო იანკიფილებო, ეს კეთილშობილი ცხოველები ამ პარტიების სიმბოლოებია) — ფილიალებია ამა თუ იმ ქვეყნაში, რომლებშიც, საქართველოს მსგავსად, დემოკრატიის ანა-ბანას სწავლების საჭიროებას ხედავს ძია სემი და ამიტომ გულუხვად აფინანსებს.**



ხოლო **იქიდან გამომდინარე, რომ, ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს, სრულიად გასაგებია ლუის ნავაროსა და ახლა უკვე ანდრეას ქებსის მელოდიები: პირველმა, ალბათ, გახსოვთ, 2012 წლის არჩევნების წინ ქრისტიან-დემოკრატების ოდიოზურ ლიდერს — გიორგი თარგამაძეს უფრო მაღალი რეიტინგი მიანიჭა, ვიდრე ბიძინა ივანიშვილს, ხოლო მეორე, რას და, რაც მთავრია, რა მიზნით ბოდავს საკუთარ ე. წ. კვლევებში, ამაზე ქვემოთ შევეცდებით საუბარსა და ანალიზს...**

„ნაცების“ მიერ 21 მარტს დაანონსებული გრანდიოზული საპროტესტო აქციისადმი მავანთა აპოკალიფსური მოლოდინისა (მათ შორის ჩემიც — ნამდვილად მეგონა, რომ კოჰაბიტაციური მიქსტურით რეანიმირებული „ნაცბანდა“ რაღაც კიევის მსგავსი მაიდნის მოწყობას ეცდებოდა, რასაც „ნაცების“ შეუზღუდავი ფინანსური რესურსი მაფიქრებინებდა) და, მილიონობით ლარის დახარჯვის მიუხედავად, 21 მარტის აქციას გრანდიოზულს ვერ ვუწოდებ, ვერც „ნაცების“ მიერვე დეკლარირებულ ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისს.

**21 მარტს, გაზაფხულის ბუნიობის დღეს, თუ რამ დაიწყო, მხოლოდ „ნაცბანდის“ დასასრული და სწორედ ამან შეაშფოთა „ნაცების“ ამერიკელი პატრონები და IRI-ის „დროული“ რეიტინგებიც სწორედ ამ შეშფოთების გამოძახილია, სხვა არაფერი!**

თვითონ განსაჯეთ:

***კოალიცია „ქართული ოცნების“ 36 %, მაგრამ მაინც პირველი ადგილი, შეიძლება ახლოსაც იყოს სიმართლესთან, იმდენად დიდია ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილო ადამიანთა რიცხვი...**

***მაგრამ რაზე მიგვანიშნებს „ნაცების“ 14 % და, რაც ყველაზე სასაცილოა, ირაკლი ალასანიას პარტიის 10 %? — რაზე და გამოდის, კოალიცია „ქართული ოცნების“ რეიტინგის დაცემა ალასანიას პარტიის რეიტინგის აწევას ნიშნავს?**

**ისემც კარგი დაემართოთ ალასანიას ოკეანისგაღმელ ბატონებს!**

**ირაკლი ალასანიას პარტიას, 10 % კი არა, საერთოდაც, როგორც იტყვიან, პულსი რომ არ ესინჯება საქართველოში (ჰო, საქართველოში, თორემ ალასანიას ბოსების ამერიკაში — იცოცხლე!), ბავშვმაც კი იცის. და რატომ, იცით?**

თავისუფალი დემოკრატები თანდათან დაემსგავსნენ „ნაციონალებისა“ და ქრისტიან-დემოკრატების ერთგვარ სიმბიოზს!..

ანუ **ყოფილი თავდაცვის მინისტრი ოდიოზურობით გიგა ბოკერიასა და გიორგი თარგამაძეს გვაგონებს, ხოლო ამ პარტიის ე. წ. სახეები: პეტრიაშვილები, აბაშიძე-დოლიძეები და კიდევ ერთი ქალბატონი, რომლის სახელსაც ვერ ვიხსენებ, რომ იტყვიან, ტოლს არ უდებენ ჩიორა თაქთაქიშვილს, თარგამაძე-გაბაშვილებს, ჯაფარიძე-მაჭავარიანების მსგავს პარტიულ „როჟებს“ საზოგადოებაში მათ მიმართ არსებულ „პოპულარობა-სიყვარულში“...**

**რაზე მიგვანიშნებს «ნაცების» 14 % და, რაც ყველაზე სასაცილოა, ირაკლი ალასანიას პარტიის 10 %? — რაზე და გამოდის, კოალიცია „ქართული ოცნების“ რეიტინგის დაცემა ალასანიას პარტიის რეიტინგის აწევას ნიშნავს? ისემც კარგი დაემართოთ ალასანიას ოკეანისგაღმელ ბატონებს! ირაკლი ალასანიას პარტიას 10 % კი არა, საერთოდაც, როგორც იტყვიან, პულსი რომ არ ესინჯება საქართველოში (ჰო, საქართველოში, თორემ ალასანიას ბოსების ამერიკაში — იცოცხლე!), ბავშვმაც კი იცის**

***ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს პრეზიდენტ მარგველაშვილის 62 %,** მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთ-ერთი, თუ ერთადერთი არა, წარმატებული მინისტრის — სერგიენკოს მაჩვენებელს მიაბეს ეშმაკურად. ამ პლასტელინს თავი ზოგჯერ მართლაც ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ჰგონია და არა ბიძინა ივანიშვილის ყოფილი „შნირი“ და მაშინ დროებით გადადებს საქსოვ ჩხირებსა და პრეზიდენტობანას თამაშს იწყებს ხოლმე...

აქედან გამომდინარე, **ალასანიას მიმართ ნდობის 58% და ღარიბაშვილის მეოთხე ადგილი ყურით მოთრეული რომ არის, მგონი, არ უნდა იყოს სადავო, როგორც რესპუბლიკელების 13%, პარტიისა, რომლის რეიტინგი არასოდეს ასცილებია 2-3 პროცენტს!**

*ლეიბორისტების 6%-ც გასაგებია — როგორც ყველა სოფელში უნდა იყოს ერთი გიჟი, ასევე, ყველა პარლამენტში უნდა იყოს ერთი-ორი ლეიბორისტი!

მოკლედ, ერთი ცნობილი შეგონების მცირე პერიფრაზით ვიტყვი — **მითხარი,**

**ვის მოსწონს IRI-ის რეიტინგები და გეტყვი, ვინ ხარ შენ!**

„ნაცები“, ალასანია, რესპუბლიკელები და პრეზიდენტი მარგველაშვილი — აი, ხალხი, რომელთაც არანაირი კითხვები არ გასჩენიათ ამ რეიტინგების მიმართ!

ზემოთქმულიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ IRI მორიგი ე. წ. კვლევის მიზანი სხვა არაფერია, თუ არა:

**1. „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა, რომელსაც ქართველი ხალხის გულში ვერანაირმა კოაბიტაციამ ვერ დაუმკვიდრა ადგილი;**

**2. „ნაციონალების“ 14%, რესპუბლიკელების 13% , ალასანიას 10% და მარგველაშვილის 62 % იმაზე მიანიშნებს, რომ მომავალ არჩევნებზე ვაშინგტონის ძალისხმევა მიმართული იქნება „ნაცები“-ალასანია-რესპუბლიკელების სახით ახალი უმრავლესობის ჩამოყალიბებისკენ!**

**„ნაციონალების“ 14%, რესპუბლიკელების 13%, ალასანიას 10% და მარგველაშვილის 62% იმაზე მიანიშნებს, რომ მომავალ არჩევნებზე ვაშინგტონის ძალისხმევა მიმართული იქნება „ნაცები“-ალასანია-რესპუბლიკელების სახით ახალი უმრავლესობის ჩამოყალიბებისკენ!**

როგორ?

მსგავსი რაღაცების დიდოსტატები რომ არიან, ეს თუნდაც 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე გამოჩნდა, როდესაც „გრეჩიხას“ (ლევან გაჩეჩილაძეს) ხელი აალებინეს პრაქტიკულად მოგებულ პრეზიდენტობაზე და პარლამენტში კვლავ „ნაცების“ უმრავლესობა უზრუნველყვეს!

2012-შიც ანალოგიური გეგმა ჰქონდათ, მაგრამ ციხის სკანდალურმა კადრებმა ყალყზე შეაყენა სრულიად საქართველო და დასავლეთში „ნაცების“ მიერ ჩაწყობილი „რამსები“ აირ-დაირია. ამიტომაც მოვიდა ივანიშვილის კოალიცია უმრავლესობით, თორემ, რომ არა ეს ფაქტორები, დღეს ივანიშვილის კოალიცია ჰა-ჰა, 20-22 %-ს მიიღებდა და ოპოზიციაში იქნებოდა, სააკაშვილი კი პრემიერის რანგში კვლავ ავლაბრის სასახლეში გამოიჭიმებოდა!

სწორედ იმიტომ, რომ „რამსები“ აერიათ, მოიგონეს ეს დაწყევლილი კოაბიტაცია და წარსულს თავი დაანებეთ, მხოლოდ წინ იყურეთ, ქართველებოო, — გვაიძულებდნენ!

დღემდე ჯიუტად ვითხოვთ ქართველები სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ ეტყობა, ისე ვერ ვითხოვთ, როგორც საჭიროა, თორემ იური ვაზაგაშვილის მკვლელობას ვერ გაბედავდნენ, მაგრამ, აჰა, გაგვიბედეს კი არა, **შვილის მკვლელის დასჯის მაძიებელ ვაზაგაშვილს ღირსების შელახვისა და წართმეული ბიზნესის საქმეში დამნაშავეთა დასჯის მაძიებელი ბესო ხარძიანი საკუთარ სადარბაზოში წააკლეს!**

ეს იმიტომ, რომ ქართველმა საზოგადოებამ ვაზაგაშვილის საქმეში ხელისუფლებას პაუზის უფლება მივეცით, „პატრიოტთა ალიანსმა“ აღარ განაგრძო 31 იანვარს დაწყებული მრავალათასიანი აქციები და, აჰა, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ თუ ვინმეს ეგონა, რომ სისხლისმსმელ „ნაცზონდერებს“ გამწარებული ხალხი „დაუპადიეზდებდა“, პირიქით — ბესო ხარძიანს „დაუპადიეზდეს“ და ქონებაწართმეულ კაცს სიცოცხლეც წაართვეს...

რეიტინგები, პარტიები, არჩევნები, ამერიკა, კოაბიტაცია, ვაზაგაშვილი, ხარძიანი და ა. შ. — ეს ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

თავიდათავი მიზეზი ჩვენი უბედურებებისა კი არის ის, რომ, ბოლო 20 წელიწადია, საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის გარედან, ამ შემთხვევაში თეთრი სახლის „ობკომიდან“, საქართველოში აშშ-ის საელჩოდან (გინდაც რუსეთი იყოს, არ აქვს მნიშვნელობა — „ობკომი“ „ობკომია“) იმართება და, ვიდრე ამ მმართველობას არ დავასრულებთ, არაფერი გვეშველება.

მანამდე კი უნდა მოვაწყოთ პერმანენტული, მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციები, რათა ყოფილი ზონდერები მაინც, ყოველგვარი პრეზუმფციის გარეშე, ჩავსვათ იქ, საიდანაც ველარ „დაგვიპადიეზდებენ“; მათი ოჯახის წევრები კი უნამუსოდ ველარ აიფარებენ ე. წ. უდანაშაულობის პრეზუმფციას!

**დავით მხეიძე**

მსოფლიო



## ტაილანდში ჟურნალისტებს ტყუილისთვის სიკვდილით დასჯიან



**„უბრალოდ, სიკვდილით დავსჯით“, — ასე გამოეხმაურა ტაილანდის სამხედრო ხუნტის ხელმძღვანელი პრაიუტ ჩან-ოჩა რეპორტიორების კითხვას — რას მოიმოქმედებს ქვეყნის ხელისუფლება იმ ჟურნალისტების წინააღმდეგ, რომლებიც სიმართლეს არ ამბობენ?**

მანამდე პრაიუტი ამბობდა, რომ შეუძლია ქვეყანაში ნებისმიერი მედიასაშუალების დახურვა. თუმცა ახლა, როგორც ირკვევა, ტაილანდელი სამხედროები, რომლებიც გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდნენ, უფრო სერიოზულად არიან განწყობილნი. **„არ არის აუცილებელი, მთავრობის მხარეზე იყოთ, მაგრამ უნდა იყოთ სიმართლის მხარეს“,** — განაცხადა გენერალმა. მისი აზრით, ეს აზიურ სახელმწიფოში ერთიანობის მიღწევის ერთადერთი საშუალებაა. პრაიუტი ტაილანდის სათავეში შარშან მაისში მოვიდა, როდესაც მან ქვეყნის ხელისუფლება დაამხო.

„ამერიკის მსახურნი აქვეყნებენ იმ გაყალბებულ რეიტინგებს, რომლებიც მათი ქვეყნის ლიდერებს აძლევთ ხელს. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას წინასწარ ვიცოდი, რა შედეგიც დადგებოდა. არჩევნების შემდეგ, როცა მარგველაშვილს 60% დაუწერეს, ვთქვი, რომ ეს იყო ამერიკაში დაწერილი, იქ შეკვეთილი ქულები. ერთ-ერთ მინისტრს ვკითხე კიდეც: როგორ ხდება, რომ წინასწარ არის ყველაფერი დაწერილი-მეთქი? მისი პასუხი ასეთი იყო: „რა ვქნათ, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ამერიკის რჩევებს ანგარიში უნდა გავუწიოთ“.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «საგანგაშოა კვლევის შედეგები, როგორც ჩანს, ამერიკელები ქართველ საზოგადოებას რაღაც საშინელებისთვის ამზადებენ!»

**ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისიდან ნელ-ნელა იკიდებდნენ ფეხს და უკვე 1998 წლიდან ყველა ძირითად პარტიასთან აქტიურად თანამშრომლობენ. სწორედ 1998 წლიდან დაიწყეს საარჩევნო სუბიექტებმა არჩევნების გაყალბებაზე საუბარი. ერთ-ერთი პირველი, ვინც 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გააპროტესტა, პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“ იყო. „ბატონო ედუარდ, გეყოფათ! გეყოფათ ამდენი ცინიზმი, თორემ მე თუ არა, მაღალი ღმერთი გაგცემთ პასუხს!“ — ასეთი მიმართვა გაუგზავნა შევარდნაძეს პრეზიდენტობის იმჟამინდელმა კანდიდატმა ჯუმბერ პატიაშვილმა, ხოლო მისი გაერთიანების ერთ-ერთმა ლიდერმა, პროფესორმა ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა: „არჩევნები საქართველოში არ შედგა. მოხდა მასობრივი გაყალბება. შევარდნაძემ არა თუ ვერ მოახერხა თავისი მოღვაწეობის მანძილზე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ისიც ვერ შეძლო, სამართლიანი არჩევნები ჩაეტარებინა. აქედან გამომდინარე, უნდა დადგეს პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი“.**

მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა და საქართველო ყოველწლიურად გაყალბებული, უფრო ზუსტად, არაადეკვატური კვლევებისა და არჩევნების შედეგების მომსწრეა — არც ერთი კვლევის შედეგი ხალხის აზრს არ ემთხვევა.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ახსოვს 2007 წლის ნოემბერი, როდესაც რუსთაველის პროსპექტი ხელისუფლების წინააღმდეგ ქუჩაში გამოსული ხალხით იყო გადაჭედილი ისე, რომ ნემსიც კი არ ჩავარდებოდა... ამერიკულმა ინსტიტუტებმა — IRI-მ და NDI-მ იმხანადაც გამოაქვეყნეს კვლევების შედეგები, რომელმაც ხალხი უკიდურესაც გააღიზიანა, მაგრამ „ნაცებსა“ და სააკაშვილს არჩევნებში გამარჯვება მაინც დაუდასტურა.

2010 წლის ოქტომბერში, სასწრაფოდ შეცვლილი კონსტიტუციის კვალდაკვალ, IRI-ის კვლევით, საქართველოს მოსახლეობის 56% თანახმა იყო, 2013 წელს სააკაშვილს პრემიერმინისტრის პოსტი დაეკავებინა. ამავე კვლევით, „ნაციონალურ მოძრაობას“ მხარს უჭერდა მოსახლეობის 42%, დანარჩენ პოლიტიკურ სპექტრს კი – 22%. IRI-მ 26 მაისის დარბევის შემდეგაც სასწრაფოდ გამოაქვეყნა ახალი კვლევის შედეგები, რომლის თანახმადაც, თურმე სააკაშვილს მოსახლეობის 78% უჭერდა მხარს, ეს მაშინ, როდესაც „ნაცმოძრაობის“ მიერ შეკვეთილ და დაფინანსებულ კვლევაშიც კი კომპანია „გრინბერგმა“ 2010 წლის ოქტომბერში, 26 მაისამდე რამდენიმე თვით ადრე, სააკაშვილს 67%-ზე მეტი ვერ დაუწერა.

ძალიან გამაღიზიანებელი იყო IRI-სა და NDI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვა 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინაც. მათი კვლევის შედეგების მიხედვით, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ამომრჩეველთა 47% დაუჭერდა მხარს, „კოალიცია ქართულ ოცნებას“ — 10%; „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ — 3%.

კოალიცია „ოცნების“ წევრებმა იმხანად ბოიკოტი გამოუცხადეს ამერიკულ ინსტიტუტებს. **ბიძინა ივანიშვილმა ღია წერილით მიმართა აშშ-ის ელჩს საქართველოში — ჯონ ბასს და NDI-ის და IRI-ის სოციოლოგიური კვლევების შეწყვეტა მოითხოვა. მიმართვას მალევე მოჰყვა ბასის პასუხი: „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) არაკომერციული, არაპარტიული ორგანიზაციაა, რომელიც 20 წელზე მეტია, მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების გაძლიერებაზე მუშაობს. კვლევები პოლიტიკურ პარტიებს ეხმარება, უკეთ უპასუხონ საზოგადოების წინაშე მდგარ გამოწვევებს“.**

ორ წელიწადზე მეტია, ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა და ამერიკულ ინსტიტუტებზე „გაბრაზებული“ „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, მაგრამ NDI-სა და IRI-სგან საქართველოს დატოვება არავის მოუთხოვია, უფრო მეტიც, პარლამენტის თავმჯდომარეს ამერიკაში ვიზიტისას გვერდს უმშვენებენ ამ ინსტიტუტების წარმომადგენლები, რომლებიც **„ქართული ოცნების“ წევრებს, „ნაცებსა“ და ყველა წამყვან პარტიას ე. წ. ტრენინგებს უტარებენ.**

27 მარტს IRI-მ ახალი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, პოლიტიკოსთა შორის 62%-ით საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** ლიდერობს, ხოლო მოსახლეობის 57%-ს **ირაკლი ალასანია** მოსწონს. კითხვაზე — დღეს რომ არჩევნები იყოს, ვის მისცემდი ხმას? — პასუხების მიხედვით „ქართული ოცნება“ 36%-ით ლიდერობს; მეორე ადგილზეა „ნაციონალური მოძრაობა“ 14%-ით; „თავისუფალ დემოკრატებს“ 10% აქვთ; ლეიბორისტულ პარტიას — 6%; „დემოკრატიულ მოძრაობასა“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ — 5-5%.

კვლევის შედეგით კმაყოფილი არიან „ნაცები“ და ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, ხელისუფლება კი ამერიკული ინსტიტუტების მიმართ ისეთივე მკაცრი აღარ არის, როგორც 2012 წელს და მწვავე შეფასებებისგან თავს იკავებს. ერთადერთი, ვინც თამამად განაცხადა, – ეს კვლევები უსაქმურების საქმეაო, ირაკლი ღარიბაშვილი აღმოჩნდა.

**ბიძინა ივანიშვილიც დიდად კმაყოფილი არ ჩანს, მაგრამ, 2012 წლისგან განსხვავებით, ამერიკის ელჩისთვის ამჯერად „ნოტა“ არ გაუგზავნია და მოკრძალებული კომენტარით შემოიფარგლა: „მრავალჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ბოლო 20 წლის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ამერიკასთან ჩვენი ურთიერთობა. NDI-ის, IRI-ის და სხვა ორგანიზაციებს ძალიან ბევრი კარგი აქვთ გაკეთებული ჩვენი ქვეყნის ინსტიტუტების დემოკრატიული განვითარებისთვის. რაც შეეხება კონკრეტულად ამ კვლევებს, კოალიციამ თავისი პოზიცია უკვე ჩამოაყალიბა და განცხადებაც გაავრცელა. მე ვთვლი, რომ კარგი იქნება, ეს კვლევები აღარ ჩატარდეს, რათა ხალხში არ გაფერმკრთალდეს მათი დამსახურება“,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

**IRI-ის ახალი კვლევების შედეგებზე კომენტარი აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძესა და ანალიტიკოს პეტრე მამრაძეს ვთხოვეთ:**



ელიზბარ ჯაველიძე:

## ხალხი ამერიკული ინსტიტუტების ოფისებთან უნდა მიცვივდეს და ხელკეტებით განდევნოს საქართველოდან

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— ამერიკის მსახურნი აქვეყნებენ იმ გაყალბებულ რეიტინგებს, რომლებიც მათი ქვეყნის ლიდერებს აძლევთ ხელს. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას, წინასწარ ვიცოდი, რა შედეგიც დადგებოდა. არჩევნების შემდეგ, როცა მარგველაშვილს 60% დაუწერეს, ვთქვი, რომ ეს იყო ამერიკაში დაწერილი, იქ შეკვეთილი ქულები. ერთ-ერთ მინისტრს ვკითხე კიდეც: როგორ ხდება, რომ წინასწარ არის ყველაფერი დაწერილი-მეთქი? მისი პასუხი ასეთი იყო: **„რა ვქნათ, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ამერიკის რჩევებს ანგარიში უნდა გავუწიოთ“.**

ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში კვლევებს ატარებენ, ყველა გაყიდულია. მათ არ აინტერესებთ ხალხის აზრი. ისინი არიან აგენტები, რომელთა მიზანიც საზოგადოებისთვის ტვინის არევა და გამორეცხვაა.

**თუ მარგველაშვილი, უსუფაშვილი და ალასანია ქვეყნის პირველი პოლიტიკოსები არიან, მაშინ საქართველო დაღუპულა და ეგ არის. ვთვლი, რომ ხალხი ამერიკული ინსტიტუტების ოფისებთან უნდა მიცვივდეს და განდევნოს საქართველოდან.**

**განსაკუთრებით შემაშფოთებელია ალასანიას რეიტინგი, ეს ნიშნავს ჩვენს საბოლოო განადგურებას. ამაზე დიდი სიყალბე, რომელიც ახლა კვლევებმა აჩვენა, არ არსებობს. საგანგაშოა კვლევის შედეგები, როგორც ჩანს, ამერიკელები ქართველ საზოგადოებას რაღაც საშინელებისთვის ამზადებენ.** გვეყო ამდენი სიყალბის მოსმენა, საკმარისად გავუწიეთ ანგარიში ამერიკის ხელდასხმულ პოლიტიკოსებს, ამიტომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ქვეყნიდან უნდა განიდევნოს.

ნახეთ, რა ამბავი ატეხეს ტელევიზიებმა გოგი თოფაძის განცხადებაზე, ნატოში რა გვესაქმებაო, რომ თქვა? დიახ, ჩვენ იქ უნდა წავიდეთ, სადაც სიკეთეს მოვიპოვეთ და არა იქ, სადაც საქართველოს „განსასვენებელ ტახტზე“ აბობლებენ.

გამკვირვებია ხელისუფლების, ამ „აირაებსა“ და „დაირაებს“ ამდენს რომ უთმენს; აალებინონ ხელში „დაირა“ და მოასმევინონ აქედან, რა...



პეტრე მამრაძე:

## ძალიან ბევრი ადამიანია «ქოცებზე» გაბრაზებული და ამბობენ, «ნაცებსა» და «ქოცებს» ერთად გავისტუმრებთო

**პეტრე მამრაძე:**

— საქართველოში კვლევებს ამერიკული ორგანიზაციები არ ატარებენ, ამას ადგილობრივი ორგანიზაციები აკეთებენ, თუ NDI-ისა და IRI-ის ვინმე შეედავება, ისინი უცბადვე წარადგენენ დამადასტურებელ დოკუმენტებს. ასე იყო მაშინაც, როდესაც ივანიშვილს საერთო სახალხო მხარდაჭერა ჰქონდა და გიორგი თარგამაძე უსწრებდა რეიტინგებში, რაც სასწაულის ტოლფასი იყო.

IRI-ის ახლანდელი კვლევა პარტიების რეიტინგების შესახებ საკმაოდ დამაჯერებელია, რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, ბოლო რამდენიმე თვეა, მას სულ უფრო მეტი ადამიანი მოიხსენიებს



დადებითად, მათ შორის, ისინიც, რომლებიც თვლიდნენ, რომ მარგველაშვილისნაირი პრეზიდენტი სამარცხვინოა. **მარგველაშვილის მიმართ აზრის ცვლილება გამოიწვია ტელეეკრანზე ნანახმა გამოსვლებმა; ხალხი თვლის, რომ მარგველაშვილმა რაღაცები ისწავლა და უკეთესად საუბრობს. „ქოცების“ გამოსვლებმა და საქციელმა მარგველაშვილს რეიტინგი აუწია.** ხალხი გაზეთს არ კითხულობს, სადაც სიმართლის გაგებაა შესაძლებელი, ეს ნუ ეწყინებათ ტელეჟურნალისტებს...

გაოცებული ვარ ირაკლი ალასანიას რეიტინგით. ალასანიაზე ხალხი ძალიან ცუდი აზრისაა. ვფიქრობ, კვლევაში ბევრმა ქალბატონმა მიიღო მონაწილეობა, რადგან ალასანია ქალებს ძალიან მოსწონთ და ეს არაერთხელ დადასტურდა იმავე კვლევებით. **ალასანიას „ანჯელინა ჯოლის“ უწოდებენ.**

**— რეიტინგების შედეგების შეფასებაში ძალიან ფრთხილი იყო ხელისუფლება, მაშინ, როდესაც 2012 წელს „ოცნების“ ლიდერები ამერიკული ინსტიტუტების საქართველოდან გაძევებასაც კი მოითხოვდნენ. რით არის გამოწვეული ასეთი სიფრთხილე?**

— სიფრთხილე გამოწვეულია იმით, რომ დღეს ისინი ხელისუფლებაში არიან, ყველა სტრუქტურა მათია, ამიტომ არ ფიქრობენ, რომ რომელიმე ორგანიზაციის კვლევა მათთვის მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია. გარდა ამისა, 36%, რომელიც ხელისუფლებას აქვს, სულაც არ მეჩვენება დაბალ რეიტინგად, ასეც ვფიქრობდი. **საქართველოში უკვე ძალიან ბევრი ადამიანია „ქოცებზე“ გაბრაზებული და ამბობენ, „ნაცებსა“ და „ქოცებს“ ერთმანეთზე დავაწყობთო და ერთად გავისტუმრებთო.** 36% ძალიან კარგი ნიშნულია, თუ გონს მოეგნენ და პროფესიონალურად იმუშავეს, შესაძლებელია, რეიტინგი ასწიონ კიდეც.

მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა

ჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რაც უნდა განზე დაიჭიროს თავი პატივცემულმა მილიარდერმა, — „არა, კაცო, ქვეყნის მართვასთან მე არავითარ კავშირში არ ვარ“-ო, ანდა, რაც უნდა ამტკიცოს მილიარდერის „დანამატმა“ ირაკლი ღარიბაშვილმა, — „ქვეყანას მე ვმართავ“-ო, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამ პერიოდს ხალხისთვის მაინც „ბიძინას დრო“ ეწოდება. მაშ, ასე:

***ეროსი კიწმარიშვილი — მოკლეს ბიძინას დროს!**
***იური ვაზაგაშვილი — მოკლეს ბიძინას დროს!**
***ბესო ხარძიანი — მოკლეს ბიძინას დროს!**

# მოკლეს ბიძინას დროს!

**ჩვეულებრივი ამბავია — ამა თუ იმ პერიოდს საზოგადოება იმახსოვრებს იმის მიხედვით, ვინ მართავდა ქვეყანას იმ კონკრეტულ პერიოდში, მაგალითად, — „თამარ მეფის დროს“, „ერეკლე მეორის დროს“, „დენიკინის დროს“, „მჟავანაძის დროს“, „ედიკას დროს“ და ა. შ. შესაბამისად, ხალხი რაიმე ფაქტს, მოვლენას, შემთხვევასაც ამის მიხედვით ასახავს ხოლმე მეხსიერებაში. თანაც ეს ფაქტები დადებითიც შეიძლება იყოს და უარყოფითიც. მაგალითად — „თბილისის მტკვრის სანაპირო აშენდა ბერიას დროს“ ან „ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი დახვრიტეს ბერიას დროს“.**





სხვათა შორის, სულაც არ არის აუცილებელი ქვეყნის იმ კონკრეტულ მმართველს რაიმე კონკრეტულ ფაქტთან მაინცდამაინც უშუალო კავშირი ჰქონდეს. ხალხის მეხსიერებაში ეს ფაქტი მაინც „მის დროსთან“ იქნება ასოცირებული.

მაგალითად, „მიწისძვრა მოხდა ბერიას დროს“ — რა თქმა უნდა, არავინ აზრადაც არ გაივლებს, რომ განსხვავებით სანაპიროს აშენებისგან, მიწისძვრის ფაქტი უშუალოდ ლავრენტი ბერიას მოღვაწეობას დაუკავშიროს, მაგრამ ფაქტი მაინც ჯიუტია ხოლმე — „მიწისძვრა ბერიას დროს მოხდა!“ — და მორჩა!

ახლა ჩვენ „ბიძინას დროში“ რომ ვცხოვრობთ, ესეც ფაქტია.

**რაც უნდა შორს დაიჭიროს თავი პატივცემულმა მილიარდერმა, — „არა, კაცო, ქვეყნის მართვასთან მე არავითარ კავშირში არ ვარ“-ო, ანდა, რაც უნდა ამტკიცოს მილიარდერის „დანამატმა“ ირაკლი ღარიბაშვილმა, — „ქვეყანას მე ვმართავ“-ო, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამ პერიოდს ხალხისთვის მაინც „ბიძინას დრო“ ეწოდება.**

მაშ, ასე:

***ეროსი კიწმარიშვილი — მოკლეს ბიძინას დროს!**

***იური ვაზაგაშვილი — მოკლეს ბიძინას დროს!**

***ბესო ხარძიანი — მოკლეს ბიძინას დროს!**

რა თქმა უნდა, ბევრმა შეიძლება თქვას, ამ სამ პერსონას ერთმანეთთან საერთო არაფერი ჰქონდა და მათი მკვლელობების ერთად განხილვაც არ შეიძლებაო, მაგრამ საქმეც ეგაა, რომ რეალურად, შესაძლოა, ამ სამ ადამიანს მართლაც არაფერი ჰქონოდა საერთო პერსონალურად, თუმცა ისინი სწორედ „დროებმა“ დაუკავშირა ერთმანეთს.

კერძოდ, **სამივე მათგანზე საზოგადოება საუბრობდა, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა „მიშას დროს“! მაგრამ სამივე მათგანი მოკლეს „ბიძინას დროს“!**

ეცადეთ, არ დაიზაფროთ, მაგრამ ფაქტია — **თუკი „მიშას დრო“ ასოცირდება ბიზნესმენების, მედიამაგნატების, შვილდახოცილი მშობლების შევიწროებასთან, დაპატიმრებასთან, დაშინებასთან, ქონების წართმევასთან, წამებასთან...**

აი, ბიძინას დრო უკვე ასოცირდება ამ ადამიანების მკვლელობებთან!

კი, ბატონო, განსხვავება დიდია, რადგან, თუკი „მიშას დროს“ ჩამოთვლილ მანკიერებებთან პირდაპირ იყო დაკავშირებული სახელისუფლო წრეები, ახლა ვერავინ იტყვის, რომ ამ მკვლელობებთან ხელისუფლება, შესაძლოა, რაიმე კავშირში იყოს.

მაგრამ, კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, **ბერიასა და მიწისძვრის არ იყოს, არავინ დაეძებს, არის თუ არა უშუალო კავშირში ესა თუ ის ფაქტები კონკრეტულ ხელისუფლებასთან — ეს ფაქტები ამ ხელისუფლის დროს მოხდა და მორჩა!**

**ანუ, „ბიძინას დრო“ — ეს არის „მკვლელობების დრო“! — და მორჩა!**

**განსაკუთრებით საყურადღებო საკითხია ის, რომ (ბერიასა და მიწისძვრისგან განსხვავებით, რომლებიც მართლაც არავითარ კავშირში არ არიან ერთმანეთთან) „ბიძინას დროს“ სწორედ იმ ხალხს ხოცავენ ქუჩა-ქუჩა, რომლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის ქვეშ ყოფნაზე ამდენს ვსაუბრობდით „მიშას დროს“.**

**განსაკუთრებით საყურადღებო საკითხია ის, რომ (ბერიასა და მიწისძვრისგან განსხვავებით, რომლებიც მართლაც არავითარ კავშირში არ არის ერთმანეთთან) «ბიძინას დროს» სწორედ იმ ხალხს ხოცავენ ქუჩა-ქუჩა, რომლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის ქვეშ ყოფნაზე ამდენს ვსაუბრობდით «მიშას დროს»**

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, პირველი, რასაც საზოგადოება ერთხმად აღნიშნავდა, ხომ სწორედ ეს იყო — „ამოვისუნთქეთ, როგორც იქნა! ქუჩაში თავისუფლად სიარულის მაინც აღარ შეგვეშინდება. მორჩა! აღარ ემუქრება ჯანმრთელობის დაზიანების ან, მითუმეტეს, სიცოცხლის მოსპობის საფრთხე ამ გაწამებულ ბიზნესმენებს, მედიამაგნატებს, შვილებდახოცილ მშობლებს თუ სიმართლისა და სამართლის მაძიებელ კიდევ სხვა ადმიანებს“.

აი, იმ დღეებში ვინმესთვის რომ გეთქვათ, ორიოდე წელიწადში ეროსი კიწმარიშვილს, იური ვაზაგაშვილსა და ბესო ხარძიანს ზედიზედ მოკლავენ დღისით-მზისით, საკუთარ სახლთან ან შვილის საფლავზეო, მაშინვე გამოუძახებდნენ შესაბამის სამედიცინო ბრიგადას...

დღეს კი?

**დღეს ხდება ის, რომ ახირებული მილიარდერი თავის ახირებებს არ იშლის და ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ამბად რაღაც უაზრო ფილმების გადაღება მიაჩნია... მეტიც, არ იშლის იმასაც, რომ ნახევარი საქართველო არ გალანძღოს და, თუკი ვერაფერს გაუკეთებს მათ სახეიროს, ნერვები მაინც არ აუწეწოს ისედაც გაუბედურებულ ხალხს.**

„5 000 (ხუთი ათასი!) ლარი ეს ის მინიმუმია, რა ხელფასითაც შეიძლება დაიქირავო კარგი პროფესიონალი დღეს საქართველოში“, — ზუსტად ასე უტიფრად აცხადებს გადაცემა „20/30“-ში ბატონი ბიძინა ივანიშვილი.

კიდევ უფრო ზუსტად — უკვე მერამდენედ აცხადებს ამ სისულელეს ამჯერად უკვე საკუთარ გადაცემაში.

აქამდე მილიარდერის მიერ სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მედიასაშუალებაში გაკეთებულ ამ განცხადებას, აი, ამ სრულ უაზრობას საზოგადოების დიდმა ნაწილმა ჯერ ჩვეულებრივი უკურეაქციით უპასუხა, შემდეგ — აგრესიით, მერე — დაცინვით, ბოლოს — გინებით!

არა! ეს „უტეხი“ მილიარდერი მაინც თავისაზე დგას!

**არადა, ეს სულელური ფარაზა რომ გავაანალიზოთ (აკი, ანალიზს ეგზომ ეტრფის ჩვენი ბრძენი მილიარდერი), ასეთი რამ გამოდის:**

**დღეს საქართველოში ვინც 5 ათასზე ნაკლებ ხელფასს იღებს თვეში, ყველა არაპროფესიონალი და დეგენერატია! ეს ადამიანები რომ პროფესიონალები იყვნენ, აუცილებლად იქნებოდნენ დასაქმებულნი, რადგან საქართველოში თურმე კერძო სექტორს და სხვადასხვა ფირმებს, ორგანიზაციებს, ქარხნებსა და ფაბრიკებს ტაციაობა ჰქონიათ პროფესიონალებზე და, თუ მთლად 5 ათასი არა, ამაზე ოდნავ ნაკლებ ხელფასს ულაპარაკოდ იხდიან! სწორედ ამიტომაც უწევს ბიძინა ივანიშვილს, რამეინაირად, 5 ათას ლარად მაინც გადაიბიროს ეს „პროფესიონალები“ და სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენოს! ყველა დანარჩენი, ვინც 5 ათას ლარზე ნაკლებ ხელფასზე მუშაობს, ელემენტარულად, არაპროფესიონალი, უვიცი და დეგენერატია! აი, ვინც სახლში ზის და სამსახურს ვერაფრით შოულობს, ისინი ხომ სულაც წყალწაღებული ნაცარქექიები არიან!**

ჯანდაბას, ნურაფერს ვიტყვით იმაზეც, რომ ეს „5-ათასლარიანი პროფესიონალები“ უმეტეს შემთხვევაში პარლამენტარების, მინისტრებისა და სხვადასხვა მაღალჩინოსნის ახლო თუ შორეული ნათესავები აღმოჩნდებიან ხოლმე რატომღაც...

ახია ჩემზე, რადგან ქვეყანას, ხალხს, სამშობლოს ასე სჭირდება-მეთქი და თავის დროზე აქ დასახელებული ანაზღაურების ნახევრზე ნაკლები ხელფასით ნულიდან ავაწყვე და წელიწადზე მეტ ხანს ვაკეთებდი იმხელა საქმეს, 24 საათის განმავლობაში კვებისა და ძილის დრო რომ არ გვქონდა იქ მომუშავე ადამიანებს (საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ს ვგულისხმობ), პროფესიონალიზმით უდგებოდა არაერთი ადამიანი ამ საქმეს და მათი ხელფასი აქ დასახელებულის მეათედი იყო ზუსტად!

**გამოდის, არაპროფესიონალები, უვიცები, სულაც მათხოვრები ვყოფილვართ!**

**კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა, ბატონო ბიძინა, ასეთი დაფასებისთვის!**

**არა უშავს, მოვა დრო და, თუკი რამეში გავხდი საჭირო, თვეში 10 ათასზე ნაკლებად თუ თითი გავატოკო, მე ვიყო გამზარდია ან თუნდაც ანთაძე!**

მაგრამ, **ბატონო ბიძინა, მინდა, პირადად და პირდაპირ მოგმართოთ:**

**ვიდრე თქვენ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს ასე უტიფრად გვიწოდებთ „არაპროფესიონალებს“ და არ იშლით ხალხის ასეთ დაცინვასა და შეურაცხყოფას, ამასობაში იმ ქვეყანაში, რომელსაც თქვენ, თქვენი მინისტრები, თქვენი ექსპერტები, თქვენი ანალიტიკოსები და, საზოგადოდ, თქვენი გუნდი ეგზომ „პროფესიონალურად“ მართავთ, სრულიად პროფესიონალურად დათარეშობენ ძალიან პროფესიონალი „ქილერები“!**

ამ შემთხვევაში მართალი ხართ — **5 ათასზე ნაკლებად, არა მგონია, რომელიმე მათგანმა სამართლის მაძიებელი შვილმკვდარი მამის, უსამართლოდ წართმეული ქონების უკან დაბრუნების მოსურნე ბიზნესმენის ან ახალი ტელევიზიის გაკეთებაზე „მოჩალიჩე“ ყოფილი მედიამაგნატის სისხლით ხელი გაისვაროს!**

**ანუ, თქვენი კრიტერიუმით, ეს „ქილერები“ ნამდვილად პროფესიონალები არიან!**

ძალიან გთხოვთ, ნუ მეტყვით ახლა, მთავრობას მე არ ვხელმძღვანელობ და, ეგეც რომ არ იყოს, ხელისუფლებასთან ამ მკვლელობებს არავითარი კავშირი არ აქვსო...

ხომ არ გნებავთ, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ ლავრენტი ბერიასა და მიწისძვრის ამბავი?

მაშ, მოდით, **დაანებეთ თავი ამდენ უტვინო ექსპერტ-ანალიტიკოს-მრჩეველ-რეჟისორ-ინჟეოშნიკ-დეგენერატს და საქმეს მიხედეთ!**

**თუ არადა, ისღა დაგვრჩენია, ვეცადოთ, „გამოვიცნოთ“, ვინ იქნება შემდეგი.**

ანუ, ნეტავ, **კიდევ რამდენი ადამიანისა და კონკრეტულად ვისი ბიოგრაფია დამთავრდება თქვენთვის ძალიან სამარცხვინო სიტყვებით — „მოკლულია ბიძინას დროს!“**

**ბაკურ სვანიძე**

მსოფლიო

## უკრაინელი მაღალჩინოსნები მთავრობის სხდომიდან ბორკილებით გაიყვანეს

**უკრაინის საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსი სერგეი ბოჩკოვსკი და მისი მოადგილე ვასილ სტოეცკი დღეს მთავრობის სხდომაზე დააკავეს. მათ ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და დეპარტამენტში კორუფციული სქემების ჩამოყალიბებაში ედებათ.**

უკრაინის პრემიერმინისტრ არსენ იაცენუკის განცხადებით, დაკავების ასეთი ფორმა პრევენციული ღონისძიებაა. „ეს დადგმული სპექტაკლი არ არის, ეს „ვაქცინაციაა“ (პრევენციული ღონისძიებაა) და ასეთი საჯაროობა საჭიროა“, — განაცხადა იაცენუკმა. წინასწარი გამოძიებით დადგენილია, რომ დაკავებულების მიერ კორუფციული გარიგებები სახელმწიფო შესყიდვების ნაწილში ხდებოდა.



**„ამ ნაგავს, — ჰყვება ჯეიმსი, — ათავსებენ ცენტრიფუგაში, ატრიალებენ, რათა ქონს მოაშორონ ხორცი. შემდეგ მიღებულ მასას „ამოავლებენ“ ამონიუმის ჰიდროქსიდში, რომელიც კლავს სალმონელას, ნაწლავის ჩხირებსა და სხვა პათოლოგენებს. პარალელურად ამონიუმი „ხორცს“ ავარდისფრებს; მერე, ამ საზიზღრობას ატარებენ ხორცსაკეპ მანქანაში და ვიღებთ იმ ფარშს, რომლისგანაც ამზადებენ „ფასტფუდის“ კულინარიულ „შედევრებს“. ამონიუმის ჰიდროქსიდი, იგივე ნიშადურის სპირტი, სასარგებლოა გარეგანი მოხმარებისთვის, მაგრამ ეს ქიმიური ნივთიერება არასასურველია შინაგანი ორგანოებისთვის. ის ძლიერ აზიანებს კუჭ-ნაწლავს და განსაკუთრებით — ღვიძლს“.**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «მაკდონალდსის» დაბალზამებული ხორცი «გემრიელად» მიირთვით!




**ჯერ კიდევ 1996 წელს ჯანსაღი კვების კონსულტანტმა კარენ ჰანრაჰანმა ჩაატარა ცდა იმის დასადგენად, თუ რამდენ ხანს გაძლებდა „მაკდონალდსის“ ჰამბურგერი. წარმოიდგინეთ, სულ ცოტა, 12 წლის(!) განმავლობაში „ჰამბურგერი“ არ გაფუჭებულა, ობიც კი არ მოჰკიდებია! მხოლოდ გახმა ფუნთუშა და საქონლის ხორცის კატლეტიც! ჰანრაჰანი, როგორც ჯანსაღი კვების სპეციალისტი, ირწმუნება, რომ „მაკდონალდსში“ დამზადებული ჰამბურგერის „უკვდავების“ საიდუმლო მარტივი ასახსნელია — ჰამბურგერი გაჯერებულია ჯანმრთელობისთვის საშიში კონსერვანტებით.**

2008 წელს ჰანრაჰანის ექსპერიმენტის შედეგების გამოქვეყნებამ არაერთ ამერიკელს გაუჩინა სურვილი, თვითონაც ჩაეტარებინა მსგავსი ცდა. ერთ-ერთი მათგანია ნიუიორკელი ფოტოგრაფი **სალი დევისი.** ამ ქალბატონმა უფრო გაამრავალფეროვნა ექსპერიმენტი — ჰამბურგერს დაუმატა კარტოფილი „ფრის“ სტანდარტული ულუფა. ყოველ კვირას ექსპერიმენტის შედეგებს დევისი სოციალური ქსელით აცნობდა საზოგადოებას. 2012 წელს მის ჰამბურგერსა და კარტოფილ „ფრის“ 979 დღე შეუსრულდა; გახრწნის ან ობის ნიშნები არც ამჯერად შეინიშნებოდა, ოღონდ ჰამბურგერი გახმა და გაქვავდა. მსგავსი ცდა უნებლიეთ განახორციელა დენვერის მცხოვრებმა **ჯოან ბრუსკომაც.** ამ ხანდაზმულმა ადამიანმა „მაკდონალდსის“ კლასიკური ნაკრები შეიძინა, დადო თაროზე და ერთი წელი არ გახსენებია; და, როცა შემთხვევით გადააწყდა, გაოგნდა — ჰამბურგერიც და „ფრიც“ მშვენივრად იყო შენახული!

„მაკდონალდსის“ ხელმძღვანელობამ ყველაფერი მარტივად ახსნა: ჩვენთან ყველაფერი ნორმაშია, ხოლო ექსპერიმენტატორთა საცხოვრებელ სახლებში ძალზე მშრალი ჰაერიაო...

სხვათა შორის, მეც წამცდა ხელი და **2014 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში მარჯანიშვილის მოედნის კუთხეში მდებარე „მაკდონალდსის“ რესტორანში 1 ლარად და 95 თეთრად ვიყიდე ჰამბურგერი.** ხუთი დღის შემდეგ გამოქვეყნებულ წერილში ვწერდი: **„უკვე მეოთხე დღეა, ჩემ მიერ „მაკდონალდსში“ ნაყიდი ჰამბურგერი გაფუჭებას არ აპირებს: არც ობი, არც არასასიამოვნო სუნი! აი, ჰამბურგერთან ერთად ნათელა დეიდას თონეში შეძენილ პურს კი ობის წინწკლები მოედო... აყროლდა 13-ლარიანი საქონლის ფარშიდან ოდნავ მოგვიანებით დამზადებული კატლეტიც... არადა, „ამერიკელი“ წარმატებით უძლებს სექტემბრის პაპანაქებას და ღამღამობით მომატებულ ტენიანობასაც!“**

„ჩემმა“ ჰამბურგერმა ბევრ ჭირ-ვარამს გაუძლო. ხორცის სურნელი დაახლოებით სამი თვის შემდეგ დაკარგა. აივანზე მოთავსებულ ჰამბურგერს (ჰოი, საოცრებავ!) გვერდს უვლიდნენ ჭიანჭველებისა და ბუზების „ურდოები“, თუმცა მწერებს „ოკუპირებული“ ჰქონდათ მის გვერდით მოთავსებული ჩვეულებრივი კატლეტი. ნახევარ წელზე მეტი გავიდა. „ამერიკული ცხოვრების წესის“ ეს თვალსაჩინო „წარმომადგენელი“ მხოლოდ გაქვავდა, პლასტმასივით გადაიქცა. „წარმატება“ წილად ხვდა ფუნთუშასაც — გახმა და წონა დაიკლო. მასზე ობის ნასახიც არაა!

## რა ხდება?

„ფასტფუდი“ (სწრაფი კვება) უმტკივნეულოდ იბადებოდა გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს, იბადებოდა ტექნოლოგიებით მოჯადოებულ ეპოქაში ლოზუნგებით: „გავაუმჯობესოთ ცხოვრება ქიმიით“, „ატომი ჩვენი მეგობარია“ და ა.შ. ამიტომ ჰამბურგერისა და კარტოფილი „ფრის“ რეცეპტებს ნუ ეძებთ კულინარიულ წიგნებში, მათი ხილვა შესაძლებელია მხოლოდ ამგვარ ნაშრომებში — „კვების მრეწველობის ტექნოლოგია“ და „საკვები ინჟინერია“.

„მაკდონალდსის“ კაფეებში თითქმის ყველა პროდუქტი შეაქვთ გაყინულ, კონსერვირებულ ან გამხმარ მდგომარეობაში და ამ კაფეების სამზარეულო ხდება „უკანასკნელი ინსტანცია“ რთული საწარმოო პროცესების რიგში. შესახედავად ეგზომ უბრალო საკვები ასჯერ მაინცაა გადამუშავებული. **ჰამბურგერების გემოც და სუნიც „კეთდება“ ნიუ-ჯერსის უზარმაზარ ქიმიურ ქარხნებში!**

აი, ცნობილმა ბრიტანელმა შეფმზარეულმა **ჯეიმს ოლივერმა** ცხადად დაგვანახვა, როგორ კეთდება საქონლის ხორცის ნარჩენებიდან, ვითომდა ქათმის „ნაგეტსები“. **„ამ ნაგავს, — ჰყვება ჯეიმსი, — ათავსებენ ცენტრიფუგაში, ატრიალებენ, რათა ქონს მოაშორონ ხორცი. შემდეგ მიღებულ მასას „ამოავლებენ“ ამონიუმის ჰიდროქსიდში, რომელიც კლავს სალმონელას, ნაწლავის ჩხირებსა და სხვა პათოლოგენებს. პარალელურად ამონიუმი „ხორცს“ ავარდისფრებს; მერე ამ საზიზღრობას ატარებენ ხორცსაკეპ მანქანაში და ვიღებთ იმ ფარშს, რომლისგანაც**

## რამდენ ხანს ძლებს «მაკდონალდსის» ჰამბურგერი?

**ამზადებენ „ფასტფუდის“ კულინარიულ „შედევრებს“. ამონიუმის ჰიდროქსიდი, იგივე ნიშადურის სპირტი, სასარგებლოა გარეგანი მოხმარებისთვის, მაგრამ ეს ქიმიური ნივთიერება არასასურველია შინაგანი ორგანოებისთვის. ის ძლიერ აზიანებს კუჭ-ნაწლავს და განსაკუთრებით — ღვიძლს“.**

რამდენიმე წლის წინათ **მორგან სპერლოკმა** გადაიღო დოკუმენტური ფილმი „ორმაგი ულუფა“. თავად მორგანი ერთი თვის განმავლობაში იკვებებოდა მხოლოდ „ფასტფუდით“. კონტრაქტის მიხედვით, მას დღეში ერთხელ მაინც უნდა ეჭამა „მაკდონალდსის“ ნებისმიერი კერძი. ცდის დამთავრებისთანავე დამოუკიდებელ სამედიცინო დაწესებულებაში დაადგინეს ფილმის გმირის ჯანმრთელობის სავალალო შედეგები: 12 (თორმეტი) მომატებული კილოგრამი და სისხლში გაზრდილი შაქრის დონე, ტკივილები მუცლის არეში, პოტენციის მკვეთრი დაქვეითება და ა. შ. ექიმები განსაკუთრებით გააოგნა **მორგან სპერლოკის** ღვიძლის მდგომარეობამ. ალკოჰოლიკების უმრავლესობას ღვიძლის ამ მდგომარეობამდე მისაყვანად მრავალი წელი სჭირდება, აქ კი საკმარისი აღმოჩნდა ერთი თვე!.. **ამ ფილმის ასაკრძალავად „მაკდონალდსმა“ მრავალი მილიონი დოლარი დახარჯა, მაგრამ უშედეგოდ.**

დიდმა ერთობლივმა გამოკვლევამ, რომელიც ჩაატარეს ახალი ზელანდიის, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის მეცნიერებმა, აჩვენა სწრაფი კვების პროდუქტების დამღუპველი გავლენა ადამიანის ორგანიზმსა და მის იმუნურ სისტემაზე. ამ დიდ გამოკვლევაში მონაწილეობდა თითქმის ორი მილიონი სხვადასხვა წლოვანების ბავშვი ასზე მეტი ქვეყნიდან. დადგინდა, **ის ბავშვები, რომლებიც კვირაში სამჯერ იკვებებოდნენ „ფასტფუდით“, ავადდებოდნენ ალერგიული ასთმით, ნეიროდერმიტითა და ალერგიული რინიტით. მათი გულ-სისხლძარღვთა სისტემა მუშაობდა მნიშვნელოვანი გადახრებით...**

## როგორ „იკვებება“ „მაკდონალდსი“ ბავშვებით?

ეს კომპანია ტყუილად როდი აქცევს ყურადღებას ბავშვებს. „ჰეფი მილზი“ („ბედნიერი საკვები“), ბავშვთა მოედნები და სადღესასწაულო ოთახები „მაკდონალდსის“ თითქმის ყველა კაფეშია. ეს არ არის, უბრალოდ, „ზრუნვა ბავშვებზე“, რომელთა ფსიქიკაც ადვილად ითვისებს არაჩვეულებრივ შეგრძნებებს. ნებისმიერი ზრდასრული ადამიანი მეხსიერების დიდი დაძაბვით თუ გაიხსენებს, რა შეემთხვა რამდენიმე წლის წინათ, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ახსოვს ბავშვობისდროინდელი მოვლენები, რომლებიც დადებით ემოციებთან ასოცირდება. **„მაკდონალდსის“ ვერაგი მარკეტოლოგები მიხვდნენ, რომ სიხარულის მოლოდინი ყუთიდან მიმზიდველი სათამაშოს ამოღებისას, ისევე, როგორც მარწყვის ნაყინის გემო, არაჩვეულებრივი სურნელი და „კეთილი დეიდა“, რომელიც აწვდის მას ბუშტს ბავშვის გონებაში მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბეჭდება.** გავა წლები და ადამიანი კვლავ გაიხსენებს იმ ბავშვურ განცდებს. მისთვის „მაკდონალდსი“ იქცევა მშობლიურ სამზარეულოდ, სადაც იგი იკვებება სწავლისა თუ მუშაობის შემდეგ, „მაკდონალდსში“ მიჰყავს თავისი მეგობრებიც. და, აი, ამ ადამიანს გაუჩნდება შვილები და ქვეცნობიერად მოუნდება, მათაც აჩუქოს სიხარულის ის წუთები, რომლებიც თვითონ განიცადა ბავშვობაში. მოუნდება, რომ მისმა შვილებმაც შეაგროვონ სათამაშოების კოლექცია; ის შეუგნებლად წაიყვანს შვილებს „მაკდონალდსში“ და ეს გაგრძელდება თაობიდან თაობამდე, გაუთავებლად!

მოკლედ, **ბავშვები „მაკდონალდსისთვის“ მყიდველთა წაუგებელი კატეგორიაა, უფრო გასაგებად — „მაკდონალდსი“ კვებავს ბავშვებს და ამასთანავე, იერშეცვლილი დემონ მოლოქივით, თვითონ იკვებება ბავშვებით!..**

## ბოლოთქმა

ცნობილია, რომ **„მაკდონალდსში“ არათუ მილიარდერები, „რიგითი“ მილიონერებიც არ დადიან. არავის უნახავს „მაკდონალდსში“ ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი, არც შინნაზარდი „ჩე გევარა“ — გივი თარგამაძე; არც ქეიფის „გამოჩენილი“ ტრფიალი — ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური; და, რაც ყურადსაღებია, არავის უხილავს ჰამბურგერით ხელში საქართველოში „მაკდონალდსის“ რესტორან-კაფეების მფლობელი თეიმურაზ ჭყონია! დიდია ალბათობა იმისა, რომ „მაკდონალდსის“ ნაწარმით არ იკვებება ბატონი ჭყონიას ოჯახის არც ერთი წევრი. მიზეზი გასაგებია — „მაკდონალდსი“ საშიშია ჯანმრთელობისთვის!** არც ჩვენი ხელისუფლება ზრუნავს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, **„მაკდონალდსს“, კარგა ხანია, გაააპანღურებდნენ ქვეყნიდან, როგორც, მაგალითად, ეს მავნე კომპანია გააძევა შვეიცარიამ — ამ სახელმწიფოში 2012 წლიდან „მაკდონალდსი“ კანონგარეშეა!** და, რა უნდა მოსთხოვო ხელისუფლებას, რომელიც აშშ-ის მოჯამაგირეა და მხოლოდ იმიტომ იღებს პატრონისგან ხელფასს, რომ საქართველო ყოველთვის იყოს სტაბილურად ცუდად; ხოლო, თუ ცუდ ყოფას დაემატება მოსახლეობის შემცირება, ამაში ოკეანგაღმელი ბოსები „პრემიებსაც“ არ დაიშურებენ.

სავალალოა, რომ თურმე ჩვენ ინტელექტუალურ იერარქიაში უფრო დაბლა ვდგავართ, ვიდრე ჭიანჭველები და ბუზები. **ჩემ მიერ ჩატარებულ ცდაში მწერები გვერდს უვლიდნენ „მაკდონალდსის“ ჰამბურგერს! ჩვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით ამ კომპანიის პროდუქციის მავნებლობაზე, მაინც მიგვყავს შვილები, ფაქტობრივად, სასაკლაოზე! ანუ უნებლიეთ ვხვდებით მოლოქის ქურუმები! მერე კი გულწრფელად გვიკვირს, რატომაა ასე მოდებული ონკოლოგიური დაავადებები ბავშვებში!..**

სექტემბერში გამოქვეყნებულ წერილში მე არ მოგიწოდებდით „მაკდონალდსის“ ბოიკოტისკენ, ახლა კი, **როდესაც დავრწმუნდი, რა სახიფათო საკვებით ვაჭრობს ეს დაწესებულება, ბოიკოტისკენ მოგიწოდებთ! მივყვეთ შვეიცარიის მაგალითს, მოვითხოვოთ „მაკდონალდსის“ საკვები „წერტილების“ დახურვა!**

ხოლო **ბატონ ჭყონიას რომ არ ვეგონო, მაგალითად, „შაურმის“ მაფიის მიერ მოსყიდული კალმოსანი, აქვე ვაცხადებ: არც „შაურმა“ მიირთვათ! მიზეზი? ჩვენთან სააკაშვილმა სანეპიდსადგური შეგნებულად გაანადგურა და ეშმაკმა უწყის, რა ხორცისგან მზადდება ეს „კერძი“!**

და მთავარი: „მაკდონალდსი“ ამერიკული კომპანიაა, რომელიც ორიენტირებულია მაქსიმალურ მოგებაზე, თანაც ნებისმიერი ხერხით. მისთვის ზნეობრივი კატეგორიები უსარგებლო ტვირთია. აქ მილიარდები კეთდება გროშიანი ნარჩენებისგან. **ესაა წყეული კაპიტალიზმის არსი: რეკლამაზე — ხორცი, „მაკდონალდსის“ ჰამბურგერში კი — ტყავი, ქონი და ნაწლავები!**

კარგად მახსოვს, როდესაც „მაკდონალდსი“ დიდი ზარზეიმით „შემობრძანდებოდა“ საქართველოში, თეიმურაზ ჭყონია თავს იმით „იმართლებდა“, „მაკდონალდსის“ პროდუქცია დამზადდება ქართული ნედლეულითო, მაგრამ ცნობილია, რომ ეს კომპანია ადგილობრივ ნედლეულს თითქმის არ იყენებს და მას მხოლოდ სარეკლამო, სიმბოლური ხასიათი აქვს. ბატონ თეიმურაზს იმხანად არც „საწყალი სტუდენტები“ დავიწყებია: ისინი იაფად ისადილებენ და დროსაც გაატარებენო, **ერთი „ბიგ-მაკი“, რომელიც შიმშილის გრძნობას ვერ მოგიკლავთ, თითქმის ექვსი ლარი ღირს!..**

როგორც ხედავთ, „მაკდონალდსმა“ საქართველოში მოღვაწეობა სიცრუით დაიწყო და ქართველი საზოგადოების ღირსების საქმეა, ამ „ამერიკელის“ თარეშს ბოლო მოუღოს!

**გიორგი კორძაძე**

დემოკრატიის სახელით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მოპოვებული მონაცემები დაახლოებით 10-ჯერ აღემატება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებითაც ოპერირებენ ძირითადი მედიასაშუალებები და ექსპერტები... აშშ სკრუპულოზურად ანგარიშობს ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მსხვერპლს თავის სამხედრო მოსამსახურეებს შორის, მაგრამ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რამდენია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. და ეს წინასწარგანზრახვით კეთდება“.**

# აშშ-ის სამხედრო ოპერაციებს ახლო აღმოსავლეთში 2 მლნ-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

**მონაცემები ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის მიერ გაჩაღებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც ახლახან გამოაქვეყნა საერთაშორისო ორგანიზაციამ „ექიმები ატომური ომის თავიდან ასაცილებლად“, 10-ჯერ აღემატება ამერიკის ხელისუფლების ოფიციალურ სტატისტიკას.**





„ბოლო 12 წლის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის საომარი მოქმედებების შედეგად 1,3 მილიონი ადამიანი დაიღუპა. ეს არის მსხვერპლთა რიცხვი მხოლოდ სამ ქვეყანაში — ერაყში, ავღანეთსა და პაკისტანში“, — ნათქვამია მოხსენებაში საერთაშორისო ორგანიზაციისა „ექიმები ატომური ომის თავიდან ასაცილებლად“ (Physicians For Social Responsibility). ეს ორგანიზაცია 1985 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოვდა.

**ერაყში აშშ-ის სამხედრო ინტერვენციის შედეგად დაიღუპა მილიონი ადამიანი (250 ათასი ქალი და ბავშვი — გ. გ.), რაც მოსახლეობის 5%-ს შეადგენს, ავღანეთში — 220 ათასი, პაკისტანში — 80 ათასი.**

**საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ამ მონაცემებში არ შედის აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ იემენსა და სირიაში ჩატარებული სამხედრო ოპერაციების შედეგად გამოწვეული მსხვერპლი, მათი გათვალისწინებით კი დაღუპულთა რაოდენობა 2 მილიონს აჭარბებს.**

გარდა ამისა, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ პენტაგონის მიერ განხორციელებული დაბომბვების შედეგად ერაყის, ავღანეთისა და **პაკისტანის 3 მლნ მოქალაქე იძულებული შეიქნა, მშობლიური კერა მიეტოვებინა და ქვეყნიდან გაქცეულიყო.**

**„მოპოვებული მონაცემები დაახლოებით 10-ჯერ აღემატება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებითაც ოპერირებენ ძირითადი მედიასაშუალებები და ექსპერტები... აშშ სკრუპულოზურად ანგარიშობს ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა მსხვერპლს თავის სამხედრო მოსამსახურეებს შორის, მაგრამ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რამდენია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. და ეს წინასწარგანზრახვით კეთდება“**, — ნათქვამია მოხსენებაში. ანგარიში ორგანიზაციისა „ექიმები ატომური ომის თავიდან ასაცილებლად“ ეფუძნება კვლევების შედეგებს, გაეროს მონაცემებს, სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებს.

საერთოდ კი, აშშ-ს უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი კაცობრიობის წინაშე: დაწყებული მილიონობით ამერიკელი ინდიელის განადგურებით (1622-1990) დამთავრებული სახელმწიფო გადატრიალებით უკრაინაში, რომლის შემდეგაც ამ ქვეყანაში ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე და სამხედრო დაიღუპა, ასიათასობით ლტოლვილად იქცა, ხოლო თვითონ სახელმწიფომ ტერიტორიები დაკარგა.



ამერიკელი სამხედროები მოკლული ავღანელის ფონზე პოზირებენ

## აშშ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში

* **1622-1990 წწ.** — ამერიკელი ინდიელების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა;
* **1812-1914 წწ.** — ომი ინგლისთან, კანადაში შეჭრა;
* **1812 წ.** — ესპანეთის კუთვნილ ფლორიდაში შეჭრა;
* **1824 წ.** — დესანტის გადასხმა კუბაში, რომელიც იმხანად ესპანეთს ეკუთვნოდა;
* **1833 წ.** — შეჭრა არგენტინაში;
* **1835 წ.** — მექსიკისთვის ტეხასის წართმევა;
* **1843 წ.** — სამხედრო ინტერვენცია ჩინეთში;
* **1846 წ.** — მექსიკასთან 2-წლიანი ომის შემდეგ კალიფორნიის მიერთება. მექსიკა აიძულეს, 15 მლნ დოლარად გაეყიდა 500 ათასი კვ. მილის ტერიტორია;
* **1854 წ.** — ამერიკელებმა მიწასთან გაასწორეს ნიკარაგუის ქალაქი სან ხუან დელ ნორტე;
* **1856 წ.** — პანამაში შეჭრა და ე.წ. პანამის ყელზე კონტროლის დამყარება;
* **1859 წ.** — ინტერვენცია კუნძულ ფიჯიზე;
* **1941-45 წლები** — ვიდრე საბჭოთა ჯარი ფაშისტებს ებრძოდა, ამერიკელები ბრიტანელებთან ერთად იმ გერმანულ ქალაქებს ბომბავდნენ, რომლებსაც ომთან და სამხედრო წარმოებასთან არაფერი აკავშირებდა. მაგალითად, დრეზდენში მხოლოდ ერთ ღამეში, ამერიკელთა დაბომბვების შედეგად, 200 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა;
* **1945 წ.** — იაპონიაში (ჰიროსიმასა და ნაგასაკიში) — ჩამოგდებულმა ორმა ატომურმა ბომბმა წამებში გაანადგურა 200 ათასი ადამიანი;
* **1948 წ.** — სახელმწიფო გადატრიალება პერუში აშშ-ის ფინანსური მხარდაჭერით;
* **1950-53 წლები** — მილიონი ამერიკელი ჯარისკაცი კორეაში შეიჭრა. ბრძოლებში დაიღუპა ასი ათასობით კორეელი;
* **1953 წ.** — სახელმწიფო გადატრიალება ირანში ამ ქვეყნის ნავთობსაბადოების გასაკონტროლებლად;
* **1954 წელი** — სახელმწიფო გადატრიალება გვატემალაში ამერიკელი კომპანიებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და პროდუქციის შესანარჩუნებლად;
* **1954 წ.** — ინტერვენცია ლაოსში;
* **1862 წ.** — ებრაელთა გაძევება ტენესის შტატიდან;
* **1865 წ.** — როტშილდების ოჯახის დაფინანსებით, პარაგვაის მოსახლეობის გენოციდი. იმხანად მდიდარი ქვეყანა დღეს მსოფლიოში აუტსაიდერია ცხოვრების დონის მიხედვით;
* **1868 წ.** — რამდენიმე შეჭრა იაპონიაში, სადაც სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა;
* **1868 წ.** — ინტერვენცია ურუგვაისა და კოლუმბიაში;
* **1878 წ.** — თავდასხმა კუნძულ სამოაზე;
* **1898 წ.** — აშშ-ესპანეთის ომი. აშშ-მა ესპანეთს ფილიპინები წაართვა. ამ ომში 600 ათასი ფილიპინელი დაიღუპა;
* **1903 წ.** — სამხედრო ქვედანაყოფების შეყვანა ჰონდურასში;
* **1904 წ.** — სამხედრო ქვედანაყოფების შეყვანა კორეაში, მაროკოსა და დომინიკის რესპუბლიკაში;
* **1912-1933 წწ** — ნიკარაგუის ოკუპაცია;
* **1914-1918 წლებში** — მექსიკაზე თავდასხმების სერია;
* **1918-1922 წლები** — ინტერვენცია რუსეთში. ამ სამხედრო აქციაში 14 სახელმწიფო მონაწილეობდა. ამერიკელებმა რუსეთის ოქროს მარაგის მნიშვნელოვანი ნაწილი მიითვისეს;
* **1960-1965 წლები** — სამხედრო გადატრიალება კონგოში (ზაირი) პატრის ლუმუმბას მკვლელობა და ხელისუფლების სათავეში პროამერიკელი მობუტუს მოყვანა;
* **1961 წელი** — დომინიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის რაფაელ ტრუხილიოს მკვლელობა. ტრუხილიო, რომელიც თვითონ ამერიკელებმა დასვეს ხელისუფლების სათავეში, მოკლეს იმიტომ, რომ მისი პოლიტიკის შედეგად ამერიკული კამპანიები დაზარალდნენ;
* **1964-1974 წლები** — სახელმწიფო გადატრიალება საბერძნეთში და ხელისუფლების სათავეში პროამერიკული „შავი პოლკოვნიკების“ ხუნტის მოყვანა;
* **1965-1973 წწ.** — სამხედრო აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ. დაიღუპა 4 მლნ ვიეტნამელი და 1 მილიონი ამერიკელი ჯარისკაცი; ▶



ერაყის დაბომბვა





ამერიკელი სამხედროები ოპიუმის ყაყაჩოს მოსავალს იცავენ

**თუ შავკანიანი ხართ, ცეცხლსასროლი იარაღით თქვენი მოკვლის ალბათობა 20-ჯერ აღემატება იმავე საშიშროებას, რომელიც შეიძლება თეთრკანიანს დაემუქროს. მაგრამ, ამასთანავე, 2014 წელს აფროამერიკელს უმაღლესი განათლების მიღების პერსპექტივა მეტი ჰქონდა, ვიდრე 1984 წელს, და გაცილებით მეტი — 1964 წელთან შედარებით.**

დემოკრატიის სახელით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ *** 1971-1973 წლები** — ლაოსის დაბომბვა. ამ ქვეყანაში ამერიკელებმა იმაზე მეტი ბომბი ჩამოაგდეს, ვიდრე მეორე მსოფლიო ომში იყო ჩამოგდებული;

*** 1973 წელი** — სახელმწიფო გადატრიალება ჩილეში და პროკომუნისტური პრეზიდენტის — ალიენდეს — მკვლელობა;

*** 1979-1989 წლები** — ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის შემდეგ ავღანელებისთვის იარაღის მიწოდება და „ალ ქაიდას" შექმნა;

*** 1981 წ.** — ამერიკელებმა ჩამოაგდეს ლიბიის ორი თვითმფრინავი. მიზანი: მუამარ კადაფის ანტიამერიკული ხელისუფლების დესტაბილიზაცია;

*** 1982-1983 წლები** — 800 ამერიკელი საზღვაო ქვეითის ტერორისტულ აქტს ლიბანში აურაცხელი მსხვერპლი მოჰყვა;

*** 1983 წ.** — ამერიკელთა ინტერვენციას გრენადაში ათასობით სიცოცხლე შეეწირა;

*** 1986 წ.** — თავდასხმა ლიბიაზე. ტრიპოლისა და ბენგაზის დაბომბვა. მრავალრიცხოვანი მსხვერპლი;

*** 1988 წ.** — აშშ-ის სამხედრო ხომალდმა „ვინსენსმა", რომელიც სპარსეთის ყურეში ცურავდა, ჩამოაგდო ირანის თვითმფრინავი, ბორტზე 290 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის, 57 ბავშვი;

*** 1989 წ.** — ინტერვენცია პანამაში და პრეზიდენტ ნორიეგას დაპატიმრება (ახლაც ამერიკულ ციხეშია);

*** 1989 წ.** — ჩამოაგდეს ლიბიის ორი თვითმფრინავი;

*** 1990 წ.** — სამხედრო გადატრიალების მხარდაჭერა ჰაიტიზე. დაამხეს პოპულარული და კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ჟან-ბერტრან არისტიდი, მაგრამ ხალხი აქტიურად მოითხოვდა მის დაბრუნებას. ამერიკელების მიერ ხელისუფლების სათავეში დასმული გენერალი პროსპერ ენვილი იძულებული შეიქნა, გაქცეულიყო (1990), ფლორიდაში, სადაც ამჟამადაც ცხოვრობს ფუფუნებაში ხალხისთვის მოპარული ფულით.

*** 1991 წ.** — ფართომასშტაბიანი ომი ერაყში, სადაც 450 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი შეიყვანეს. დაიღუპა 150 ათასი მშვიდობიანი მოსახლე;

*** 1992-94 წლები** — სომალის ოკუპაცია. დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი მოსახლე;

*** 1999 წ.** — საერთაშორისო სამართლის უგულებელყოფითა და გაეროს გვერდის ავლით, აშშ-სა და ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვა, რომელიც 78 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ამერიკელებმა გამოიყენეს აკრძალული იარაღი ფოსფორიანი და კასეტური ბომბები. დაიღუპა 2000 სამოქალაქო პირი 6 ათასი დაიჭრა და დასახიჩრდა. მილიონზე მეტი უსახლკარო დარჩა.

*** 2000 წ.** — ამერიკელებმა დაამხეს მილოშევიჩის რეჟიმი სერბეთში;

*** 2001 წ.** — ინტერვენცია ავღანეთში. მოსახლეობის განადგურება, წამება აკრძალული იარაღის გამოყენება. მიზეზი: ამერიკელების მიერ გამოგონილი — 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი თითქოს ბინ ლადენმა მოაწყო;

*** 2001-2004 წლები** — ვენესუელაში ამერიკელების დახმარებით დაამხეს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი უგო ჩავესი, მაგრამ მეორე დღესვე დაიწყო სახალხო აჯანყება. ჩავესი საპყრობილიდან გაათავისუფლეს და პოსტზე დააბრუნეს. ჩავესი 2013 წელს გარდაიცვალა. არის ეჭვი, რომ ამერიკელი სპეცსამსახურების ხელშეწყობით. ამჟამად ვენესუელაში პროამერიკული ძალები ქაოსის შექმნას ცდილობენ;

*** 2003-2011 წლები** — ომი ერაყში;

*** 2003 წ.** — სამხედრო კონფლიქტი სირიაში;

*** 2003 წ.** — „ვარდების რევოლუცია" საქართველოში. ამერიკელთა მიერ ხელდასმულმა „ნაცმოძრაობამ," აგრეთვე, სოროსის მიერ დაფინანსებულმა ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტმა" და „კმარამ" ქართველ ხალხს უამრავი უბედურება დაატეხა თავს;

*** 2010 წ.** — ე.წ. არაბული გაზაფხული, რომელმაც ტუნისში, ეგვიპტესა და იემენში მასობრივი გამოსვლებისა და პუტჩების ტალღა გამოიწვია;

*** 2011 წ.** — ლიბიის დაბომბვა, სამოქალაქო ომი და მუამარ კადაფის მკვლელობა;

*** 2013 წ.** — პროამერიკული გადატრიალება უკრაინაში. კიევში საპროტესტო გამოსვლები (ე.წ. ევრომაიდანი), რომელიც აშშ-ის სამხედრო დეპარტამენტის მაღალჩინოსნების აქტიური მხარდაჭერით მიმდინარეობდა, კანონიერად არჩეული პრეზიდენტის — ვიქტორ იანუკოვიჩის დამხობით დასრულდა. შემდეგ დაიწყო ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაცია უკრაინის აღმოსავლეთში, სადაც ახლა მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვა-ჟლეტა მიმდინარეობს. ყირიმის მოსახლეობის ნებით, ეს ნახევარკუნძული რუსეთს შეუერთდა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**



ამერიკელი სამხედროები აბუგრეიბის პატიმართა ფონზე

# შავკანიანი ამერიკელების დისკრიმინაცია გრძელდება

**ჰოლივუდურ კინოსურათებში აფროამერიკელებს პრაქტიკულად ყოველთვის დადებით გმირებად წარმოგვიდგენენ — უიშვიათეს შემთხვევაში — უარყოფით პერსონაჟებად. ამერიკულ მედიაში შავკანიანთა ასეთი რაკურსით პროპაგანდა ერთგვარ შტამპადაც იქცა: ასეა და არავითარი გამონაკლისი! ასეა ეკრანზე, მაგრამ არა — ცხოვრებაში. ამ თემას განიხილავს ფრანგული Atlantico ისტორიკოსისთვის და მწერლისთვის, აშშ-ისა და საფრანგეთის კულტურული განსხვავებულობის საკითხების სპეციალისტის ფრანსუა დიურპერისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუში.**





აშშ-ის ქალაქი ფერგიუსონი, — წერს გაზეთი,— კვლავ იქცა არეულობის ცენტრად მას შემდეგ, რაც სასამართლომ გაამართლა პოლიციელი, რომელმაც 18 წლის შავკანიანი მოზარდი მაიკლ ბრაუნი მოკლა. საფუძველი — დანაშაულის შემადგენლის არარსებობა. საპროტესტო აქციების მონაწილე აფროამერიკელები რასობრივი დისკირიმინაციის წინააღმდეგ ილაშქრებენ: აშშ-ში ცეცხლსასროლი იარაღით თეთრკანიანებზე 20-ჯერ მეტი შავკანიანი იღუპება.

**— Huffingtonpost-ის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, შავკანიანი რესპონდენტების სამ მეოთხედზე მეტი მიიჩნევს, რომ ბრაუნის მკვლელობა ზუსტად ასახავს, როგორ ეპყრობიან პოლიციელები ზანგებს. თეთრკანიანთა შორის ამ აზრს გამოკითხულთა მხოლოდ 40 პროცენტი იზიარებს.**

— აღქმის ასეთი განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ შავკანიანებსა და თეთრკანიანებს სრულიად განსხვავებული ისტორიული გამოცდილება აქვთ.

შავკანიანები უწინ მოსახლეობის დაჩაგრული ნაწილის სახით იყვნენ წარმოდგენილები და დღემდე შერჩათ ასეთი წარმოდგენა. ჯერ იყო მონობა, რომელსაც რასობრივი სეგრეგაცია მოჰყვა. ეს განსხვავებულობა ამერიკული საზოგადოების ყველა მხარეს არ ეხება. ბევრ საკითხში ეს დაპირისპირებული ორი მხარე ერთმანეთს ეთანხმება — ისინი ამერიკელები არიან. ამასთანავე, **მათ განსხვავებული თვალსაზრისი აქვთ რასების როლზე ამერიკელ საზოგადოებაში. თეთრები ფიქრობენ, რომ ოპონენტები ზედმეტად ამახვილებენ ამაზე ყურადღებას და რომ რასა მთავარ როლს არ თამაშობს.** ფერგიუსონის მოვლენების შემდეგ ამ ქალაქში ჩატარებული გამოკითხვით 80-მა პროცენტმა შავკანიანმა ჩათვალა, რომ არეულობის მასშტაბი განსაზღვრა რასობრივმა პრობლემამ. ამ აზრს იზიარებს თეთრკანიანი მოსახლეობის 30 პროცენტი. ამასთანავე, მათი 47 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ამოსავალი წერტილი კრიმინალის ერთი კონკრეტული ფაქტია.

თვალსაზრისების დაპირისპირებას უმთავრესად ორი საკითხი იწვევს. შავკანიანთა 60 პროცენტის აზრით, პოლიციელებს სროლის მიზეზი არ ჰქონდათ, ასე ფიქრობს თეთრკანიანთა 30 პროცენტზე ოდნავ მეტი.

მეორე საკითხი სამართალთან დამოკიდებულებას ეხება და გაცილებით რთულია. როგორ ფიქრობთ, რამდენ შავკანიანს მიაჩნია, რომ მაიკლ ბრაუნის საქმეში სამართალი იზეიმებს? — მხოლოდ 18 პროცენტს. მათი 76 პროცენტი ოდნავადაც არ ენდობა სასამართლოს. სამაგიეროდ თეთრკანიანთა 52 პროცენტს სჯერა მართლმსაჯულების. განსხვავება მნიშვნელოვანია.

საქმე ის არის, რომ **აფროამერიკელების ისტორიაში პოლიცია და სასამართლოები ფერადკანიანთა წინააღმდეგ მიმართული იარაღი იყო ყოველთვის. აშშ-ში მხოლოდ 1954 წელს გაუქმდა სეგრეგაცია სკოლებში, 1955 წელს — საზოგადოებრივ ტრანსპორტზეც.**

**— რით უნდა აიხსნას თეთრკანიანთა უუნარობა, სწორად აღიქვას ფერგიუსონის მოვლენები და, საერთოდ, ის დისკრიმინაცია, რომელსაც შავკანიანთა საზოგადოება დროდადრო განიცდის ხოლმე?**

— ფერგიუსონში არეულობის კადრების ხილვისას შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ამერიკა არ შეცვლილა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. თუ კარგად დავუკვირდებით ვაშინგტონსა და ნიუ იორკში გამართულ დემონსტრაციებს, დავრწმუნდებით, თეთრკანიანთა უმრავლესობა სოლიდარულია და მაიკლ ბრაუნის მხარესაა... დღეს პირველ ადგილზე გამოდის სხვა პრობლემა, რომელზეც ახალგაზრდა აფროამერიკელები ლაპარაკობენ. საქმე ის არის, რომ შავკანიანთა მთელი თაობა რასობრივი პროფილის თავსმოხვევას ემსხვერპლა: **თუ შავკანიანი ხართ, ცეცხლსასროლი იარაღით თქვენი მოკვლის ალბათობა 20-ჯერ აღემატება იმავე საშიშროებას, რომელიც შეიძლება თეთრკანიანს დაემუქროს. მაგრამ, ამასთანავე, 2014 წელს აფროამერიკელს უმაღლესი განათლების მიღების პერსპექტივა მეტი ჰქონდა, ვიდრე 1984 წელს, და გაცილებით მეტი 1964 წელთან შედარებით.**

**— სოციალური კვლევებით დადგენილია, რომ რასობრივ დისკრიმინაციას სოციალურიც ემატება. თეთრკანიანები უფრო კეთილმოწყობილ გარემოში ცხოვრობენ?**

— რასობრივი დისკრიმინაცია ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება სოციალურ საკითხებთან იყოს დაკავშირებული. მაგრამ სულ უფრო მეტი თეთრკანიანი ათვითცნობიერებს, რომ ამ დროს პრობლემების ნაწილი შეიძლება დაკავშირებული იყოს რასობრივ ცრურწმენასთან. რასობრივი და საზოგადოებრივი საკითხები ხშირად ერთმანეთსაა გადახლართული. სოციალური გარემოთი შეგვიძლია ავხსნათ არსებული შეუთანხმებლობანი.

ჯერ ერთი, **შავკანიანები მეტნი არიან ციხეებში, რადგან თეთრკანიანებზე აგრესიულები არიან.** ამასთანავე, უჭირთ კვალიფიციური ადვოკატების დაქირავება. თუ თქვენ არ შეგიძლიათ დაიცვათ თავი საბრალდებო სისტემაში, ეს ერთიორად ზრდის თქვენს მიმართ მკაცრი განაჩენის გამოტანის შანსს.

აკრიტიკებენ რასობრივ გარემოცვასაც: ბევრი ახალგაზრდა აფროამერიკელი თვლის, რომ თეთრკანიანი პოლიციელის წარმოსახვაში ყველა ზანგი ერთი სახისაა. და თუ იგი ეძებს კაპიუშონწამოხურულ შავკანიანს, ყველა კაპიუშონიან ახალგაზრდას განურჩევლად აკავებს.

...ფერგიუსონი შავ-თეთრი ამერიკის ანარეკლი კი არ არის, არამედ ადგილია, სადაც შემორჩენილია შავკანიანი ღარიბობა ძალაუფლების თეთრი ინსტიტუტებით. ბევრ სხვა ქალაქში ამერიკას სრულიად განსხვავებული სახე აქვს.

**— საზოგადოებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის უქონლობა უშლის თუ არა ხელს იმ რეალობის აღქმას, რომლებსაც შავკანიანები შეიძლება შეეჯახონ?**

— მეზობლების ურთიერთობა, შერეული კლასები სკოლებში, შერეული ქორწინებები ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურის აღქმას, რომლებიც ამ ქვეყნის საფუძვლად არის მიჩნეული. შერეულობის უმეტესი პოტენციალი დღეს დიდ საქალაქო ცენტრებშია დაგროვებული, იქ, სადაც ერთსა და იმავე ოჯახში შეიძლება აღნიშნონ ხანუქას დღესასწაულიც და ქრისტეს აღდგომაც. მაგრამ ამ შერეულობის დონე საზოგადოებების მიხედვით ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითად, ლათინოამერიკელი საზოგადოება გამორჩეულია შერეულობის მაღალი მაჩვენებლით. აფროამერიკელი კი სიის ბოლოშია მოქცეული.

**— როგორ შეიძლება გავაუმჯობესოთ ურთიერთგაგება და ახალ საფეხურზე ავიყვანოთ დიალოგი, დავძლიოთ სოციალური და რასობრივი რეალიების განსხვავებულობა?**

— განათლება რასობრივი ცრურწმენის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. რასიზმს ვერ მოვერევით მხოლოდ და მხოლოდ ანტიდისკრიმინაციული კანონებით: ამერიკელებმა უკვე განახორციელეს ღონისძიებები პოზიტიური დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ასეთი პედაგოგიური მუშაობა უნდა გაიშალოს არა მხოლოდ სკოლებში, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ექვთიმე თაყაიშვილის „მეთვალყურეობა“ და „განძის მცველობა“ მხოლოდ ხუთ დღეს გაგრძელდა. 1921 წლის 5 მარტს განძით დატვირთული ყუთები, აბელ შევალიეს განკარგულებით, ფრანგულ კრეისერ „ერნესტ რენანზე“ აიტანეს და ყოველგვარი მცველისა და გუშაგის გარეშე გაშლილ ზღვაში ვინმე საბახტარაშვილის დახმარებით დაშლილი ყუთებიდან და დახეული ტომრებიდან ხელიდან ხელში გადადიოდა ქართული საუნჯე.**

# სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში

**როგორც წინა წერილებში მოგახსენეთ, ექვთიმე თაყაიშვილს მხოლოდ სამჯერ ჰქონდა შეხება ქართულ განძთან: პირველად — როდესაც განძი გროვდებოდა ქართული ეკლესია-მონასტრებიდან და საზღვარგარეთ გასატანად მზადდებოდა; მეორედ — როდესაც საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას აღნიშნულ განძს აბარებდნენ; მესამედ — 1944 წლის თებერვალში, როდესაც განძს საქართველოში გამოსაგზავნად ამზადებდნენ.**



## წერილი მეექვსე

„ამგვარად, 1921 წლის პირველი მარტიდან ექვთიმე უკვე იურიდიულად ითვლებოდა ჩვენი საუნჯის მეთვალყურედ და ზედამხედველად. 1 მარტითაა დათარიღებული მენშევიკური მთავრობის მიერ ექვთიმეს სახელზე გაცემული ფრანგულ ენაზე დაბეჭდილი მოწმობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგს (მოადგილეს) — ექვთიმე თაყაიშვილს მიაქვს საზღვარგარეთ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კუთვნილი ოქრო-ვერცხლი ზოდებად და მონეტებად, ისევე, როგორც სხვა ძვირფასი ნივთები, რათა ჩააბაროს ისინი ევროპის ბანკებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით“, და, რომ ამ განძის „გამგებლობის უფლება ეკუთვნის აღნიშნული რესპუბლიკის მთავრობას“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართული განძის პატრონად ცხადდებოდა მენშევიკური მთავრობა“ (გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 44).

**ექვთიმე თაყაიშვილის „მეთვალყურეობა“ და „განძის მცველობა“ მხოლოდ ხუთ დღეს გაგრძელდა. 1921 წლის 5 მარტს განძით დატვირთული ყუთები, აბელ შევალიეს განკარგულებით, აიტანეს ფრანგულ კრეისერ „ერნესტ რენანზე“ და ყოველგვარი მცველისა და გუშაგის გარეშე, გაშლილ ზღვაში ვინმე საბახტარაშვილის დახმარებით დაშლილი ყუთებიდან და დახეული ტომრებიდან ხელიდან ხელში გადადიოდა ქართული საუნჯე.**

„მარსელის ბანკში მიტანილი საგანძური, თურმე ვერ ეტეოდა არა მხოლოდ ოთახებში, დერეფნებიც კი სავსე ყოფილა“. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, მთავრობის თავმჯდომარის მიერ გაცემული ცნობა ფრანგულ ენაზე, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა უნდა უზრუნველყოს ოქროს ზოდებისა და საგანძურის ჩაბარება ევროპის ბანკებში, უგულებელყოფილ იქნა და ბანკში 167 ყუთის ჩაბარებას, ექვთიმე თაყაიშვილის ნაცვლად, **აკაკი ჩხენკელმა, ზურაბ ავალიშვილმა** და **იოსებ ელიგულაშვილმა** მოაწერეს ხელი. მათვე დარჩათ უფლება, რომ მიბარებული საგანძურის 167 ყუთიდან 128 ყუთი გამოეტანათ, ოქროს ნაკეთობები გადაედნოთ და გაეყიდათ, ხოლო დარჩენილი 39 ყუთის შენახვაზე პასუხისმგებლობა აკაკი ჩხენკელმა დაიკისრა და ხელიც მან მოაწერა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექვთიმე თაყაიშვილმა დაკარგა იურიდიული კავშირი განძთან, მითუმეტეს, რომ აღნიშნულ 39 ყუთში მოთავსებული საქართველოს კუთვნილი განძეულის კონფისკაცია, როგორც უპატრონო ქონებისა, 1934 წლის 8 მაისის სასამართლო განაჩენის საფუძველზე საფრანგეთის მთავრობამ მოახდინა. ამ დღიდან ექვთიმე თაყაიშვილმა არ იცოდა ნივთების ბედი და, როცა შეიტყო, რომ ყველაფერი ხელუხლებელი აღმოჩნდა, მეტად გაეხარდა“ (შ. ამირანაშვილი. „საქ. სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება“, 1978 წელი გვ. 17). ეს მოხდა 1944 წელს.

**ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო შრომები, გამოკვლევები, აღმოჩენები, ისტორიული თუ ლიტერატურული შედევრები, არათუ ერთ მეცნიერს, ერს ეყოფა, რომ ის კულტურულ და განათლებულ ერად აღიაროს კაცობრიობამ. მიკვირს, რატომ სჭირდება დიდ მეცნიერს იმ სტატუსისა და ფუნქციების მინიჭება, რომელიც არ შეუსრულებია და არ შეეძლო, შეესრულებინა. ექვთიმე თაყაიშვილი თავისი ბუნებითა და ხასიათით არ შეიძლება ყოფილიყო „მცველი“ და „გუშაგი“. ის ხომ წმინდანად იყო დაბადებული და მისი სულიერი სარჩო, რომელიც მან ერს მიაწოდა, სრულიად საკმარისი უნდა იყოს ერთი კაცის გასასპეტაკებლად და გასაღმერთებლად.**

1935 წლის 9 აპრილის წერილით ექვთიმე თაყაიშვილი ატყობინებს საქართველოში ვუკოლ ბერიძეს: „ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული, მე აღარ მაქვს საშუალება და უფლება, ნივთების დაცვას და ჯეროვნად შენახვას მეთვალყურეობა გავუწიო. ნებაც რომ მქონდეს, ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას (გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 86).

ექვთიმე თაყაიშვილი განძის გარეშეც საქართველოსთვის ეროვნულ განძად მიიჩნეოდა. ასე თვლიდნენ არა მხოლოდ სამეცნიერო წრეები, არამედ მთავრობაც. **საქართველოში ჩამოსვლა, რაც საქართველოს აკადემიურმა წარმომადგენელმა დამიანე ჯგუშიამ 1923 წლის 15 იანვარს ექვთიმე თაყაიშვილს მისდამი გაგზავნილ წერილში შესთავაზა, უშუალოდ იოსებ სტალინის მითითებით მოხდა.** დამიანე ჯგუშია წერილში მიუთითებდა, რომ **„თქვენი ჩამოსვლაც თქვენი პირდაპირი მოვალეობის გასაგრძელებლად უნივერსიტეტში დღემდე ცარიელ კათედრაზე აუცილებელი და საჩქარო საქმეა“.**

ექვთიმე თაყაიშვილი არ ენდო არც დამიანე ჯგუშიას და არც სტალინს, რადგან, განძის გარდა, მას სხვა საქმეც ჰქონდა დაკისრებული. როგორც პროფესორი იაკობ ფუტკარაძე გვეუბნება, „თავმჯდომარის მოადგილედ იგი საქართველოს დამფუძნებელი კრების იმ პრეზიდიუმის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა, რომელიც მოქმედებას ემიგრაციაში (პარიზში) ფრაქციათა წარმომადგენლობით შევსებული, „გაფართოებული პრეზიდიუმის“ სახით განაგრძობდა“ („დიდი ექვთიმე“, 2014 წელი, გვ. 412).

**ექვთიმე თაყაიშვილის პარტიული აქტიურობისა და მიწერ-მოწერის დოკუმენტურ მასალებს დიდი დრო და ადგილი დასჭირდება და არც მე ვარ დიდად დაინტერესებული ამ მასალების გამოქვეყნებით, თუმცა პროფესორი იაკობ ფუტკარაძე რატომღაც დანაშაულად უთვლის კომუნისტებს და მათ შორის — სტალინს, ექვთიმე თაყაიშვილისათვის იმ ტალახის ჩამორეცხვას, რომელიც მას მენშევიკურმა მთავრობამ ესროლა, როგორც ემიგრაციამდე, ისე ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, რომელსაც ასე შეგნებულად თუ „შეუგნებლად“ რეცხავდა კომუნისტური მთავრობა და, კერძოდ, იოსებ სტალინი.**

მოგვიანებით პარიზში საქართველოს განათლების სახალხო კომისარი დავით კანდელაკი ჩავიდა, რომელსაც სხვა საკითხებთან ერთად დავალებული ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან მოლაპარაკებაც. დავით კანდელაკმა ექვთიმე თაყაიშვილთან მოლაპარაკებას შორიდან მოუარა და შუამავლობა ექვთიმესთან სთხოვა გიორგი ნიკოლაძეს, რომელიც იმხანად პარიზში მოღვაწეობდა. **გიორგი ნიკოლაძე ლევილში ეახლა ექვთიმე თაყაიშვილს და გადასცა, როგორც ქართველი ხალხის, ისე საქართველოს ხელისუფლების სურვილი სამშობლოში ექვთიმე თაყაიშვილის დაბრუნების შესახებ. ექვთიმემ უპასუხა, მენშევიკები განძს არ გამომატანენო.** პარიზში უარით დაბრუნებული გიორგი კანდელაკმა მეორე დღეს

**გიორგი ნიკოლაძე ლევილში ეახლა ექვთიმე თაყაიშვილს და გადასცა, როგორც ქართველი ხალხის, ისე საქართველოს ხელისუფლების სურვილი სამშობლოში ექვთიმე თაყაიშვილის დაბრუნების შესახებ. ექვთიმემ უპასუხა, მენშევიკები განძს არ გამომატანენო. პარიზში უარით დაბრუნებული გიორგი კანდელაკმა მეორე დღეს ახალი დავალება მიიღო მინისტრისგან (სატელეფონო საუბრების შემდეგ — გრ. ონიანი): „გადაეცით მეცნიერს, რომ ქართველ ახალგაზრდობას განძზე მეტად მეცნიერი სჭირდებათ, განძს, როცა იქნება, დავიბრუნებთ!“ (იმპერატიული ტონით ნათქვამი ეს ფრაზა, ადვილი მისახვედრია, ვისგანაც მოდიოდა — გრ. ონიანი)**



## არაბული ჯარები იემენში შეიჭრნენ

**საუდის არაბეთმა სუნიტი არაბული სახელმწიფოების კოალიციასთან ერთად იემენში მეამბოხე შიიტი ჰუსიტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყო.** ამის შესახებ აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩმა ადელ ალ-ჯუბეირმა განაცხადა. კოალიციამ, რომელშიც 10 არაბული ქვეყანა შედის, გადაწყვიტა, გადაარჩინოს პრეზიდენტ აბდ რაბუ მანსურ ჰადის რეჟიმი. სუნიტმა პრეზიდენტმა იემენი მას შემდეგ დატოვა (ზოგიერთი ცნობით, გაიქცა ნავით), რაც ირანის მხარდაჭერით შიიტმა მეამბოხეებმა დედაქალაქ სანააში საპრეზიდენტო სასახლე დაიკავეს. საუდელმა ელჩმა აღნიშნა, რომ შიიტმა მეამბოხეებმა იემენის საჰაერო სამხედრო ძალებზეც დაამყარეს კონტროლი. „ძალიან სახიფათო სიტუაცია შეიქმნა და ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა დავიცვათ იემენის ხალხი და იემენის ლეგიტიმური მთავრობა“, — განაცხადა ადელ ალ-ჯუბეირმა.



**ექვთიმე თაყაიშვილს ემსახურებოდა სახელმწიფო მანქანა თავისი მძღოლით, სამკურნალო კომბინატში ყოველდღიურ მეთვალყურეობას უწევდნენ, ასევე, სარგებლობდა სხვა მრავალი შეღავათი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მოხუცებულ მეცნიერს გამონათქვამების ჩამწერად და მასალების მოსაწესრიგებლად მდივნად დაუნიშნა გიორგი ლომთათიძე, რომელიც ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ახალი დავალება მიიღო მინისტრისგან (სატელეფონო საუბრების შემდეგ — გრ. ონიანი): **„გადაეცით მეცნიერს, რომ ქართველ ახალგაზრდობას განძზე მეტად მეცნიერი სჭირდებათ, განძს, როცა იქნება, დავიბრუნებთ!“** (იმპერატიული ტონით ნათქვამი ეს ფრაზა, ადვილი მისახვედრია, ვისგანაც მოდიოდა — გრ. ონიანი).

გიორგი ნიკოლაძე მეორედ ესტუმრა ლევილს და მეცნიერს განუცხადა: „დასტოვეთ ნივთები, თქვენ საჭირო ხართ და წამოდით“. „მე კატეგორიული უარი მივეცი... იქ უნდა ვიყო, სადაც ნივთები არის და რა გარანტია მაქვს, რომ უჩემოდ ნივთები არ განიავდებამეთქი“ (გ. ჟორდანია, „დაბრუნებული საუნჯე“, გვ. 72). **გაუგებარია ექვთიმეს წუხილი, რომელ ნივთებზეა საუბარი — იმ ნივთებზე, რომლებიც მას არ ებარა და რომლის მოვლა-პატრონობაზე არავითარი უფლება და შეხება არ ჰქონდა?**

1935 წლის 26 მაისს ექვთიმე თაყაიშვილმა თბილისიდან მიიღო პროფესორ **ვუკოლ ბერიძის** მიერ 10 მაისს დაწერილი წერილი, სადაც ქართველ მეცნიერთა სახელით სთავაზობდა მოხუც მეცნიერს სამშობლოში დაბრუნებას და ნაყოფიერი მეცნიერული კვლევის გაგრძელებას. ეს უკვე მესამე წინადადება იყო ექვთიმესთვის საბჭოთა მთავრობის (ესე იგი სტალინის — გრ. ონიანი) მიერ შეთავაზებული სამშობლოში დაბრუნების შესახებ — დამიანე ჯგუშიას (1923 წელი), დავით კანდელაკის (1927-1928) და ვუკოლ ბერიძის (1935) პირით.

## მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო

**1945 წლის 11 აპრილს თბილისში დაეშვა 2 საგანგებო თვითმფრინავი, ერთ-ერთით 25-წლიანი განშორების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა დიდი მეცნიერი და ქართული კულტურის მოამაგე ექვთიმე თაყაიშვილი.**

**ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო შრომები, გამოკვლევები, აღმოჩენები, ისტორიული თუ ლიტერატურული შედევრები, არათუ ერთ მეცნიერს, ერს ეყოფა, რომ ის კულტურულ და განათლებულ ერად აღიაროს კაცობრიობამ. მიკვირს, რატომ სჭირდება დიდ მეცნიერს იმ სტატუსისა და ფუნქციების მინიჭება, რომელიც არ შეუსრულებია და არ შეეძლო, შეესრულებინა. ექვთიმე თაყაიშვილი თავისი ბუნებითა და ხასიათით არ შეიძლება ყოფილიყო «მცველი» და «გუშაგი». ის ხომ წმინდანად იყო დაბადებული და მისი სულიერი საგანძური, რომელიც მან ერს მიაწოდა, სრულიად საკმარისი უნდა იყოს ერთი კაცის გასასპეტაკებლად და გასაღმერთებლად**

**მასთან ერთად ქართველ ხალხს დაუბრუნდა მენშევიკური მთავრობის მიერ ყაჩაღურად გატაცებული განძის ნაწილი. ქართველი ხალხი, როგორც მეცნიერის, ისე განძის დაბრუნებას აღფრთოვანებით შეხვდა.**

თბილისში ჩამოსვლისთანავე ექვთიმე თაყაიშვილს ვაშლოვანის ქუჩაზე იმ სახლში, სადაც ემიგრაციამდე ცხოვრობდა, მისივე მოთხოვნით, გამოუთავისუფლეს ორი ბინა, რათა ახლოს ყოფილიყო თავისი მეუღლის ახლობლებთან. ექვთიმე თაყაიშვილის საცხოვრებელი სახელმწიფო სახსრებით მოაწყვეს ყოველმხრივ, საძინებლებითა და სამუშაო კაბინეტით დაწყებული, სანიტარული კვანძებით დამთავრებული (მანამდე მას სანაპიროზე სტალინურ სახლებში ურემონტებდნენ „ასობნიაკს“, მაგრამ უარი თქვა).

**1945 წლის 11 აპრილს პარიზიდან ჩამოფრენილი 83 წლის მხცოვანი მეცნიერი, სტალინის განკარგულებით და საქართველოს განათლების მინისტრ ვიქტორ კუპრაძის შესრულებით, დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორად.** (იხ. დოკუმენტი №1)

1946 წელს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოთხოვნით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისთვის დამატებით გამოეყოთ აკადემიის ნამდვილი წევრის ერთი საშტატო ერთეული. საქ. სსრ მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინა საკავშირო მთავრობის (სტალინის) პირად კონტროლზე აყვანილი მეცნიერის უზრუნველყოფის საკითხი და სასწრაფოდ დაუშვა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ერთი საშტატო ერთეული. 1946 წლის 28 დეკემბერს ჩატარდა აკადემიის სხდომა, რომლის შედეგიც ასე აისახა წერილში: (იხ. დოკუმენტი №2)

1946 წლის 28 დეკემბრიდან 1953 წლის 21 თებერვლამდე, ანუ გარდაცვალების დღემდე, ექვთიმე თაყაიშვილს ყოველთვიურად გამოწერილი აქვს აკადემიის ნამდვილი წევრის **თვიური სარგო 3500 მანეთი.** აქვე წარმოგიდგენთ საარქივო მასალას, მისი ბოლო თვეების სახელფასო უწყისის ფოტოპირს: (იხ. დოკუმენტი №3)

გადაჭარბებულმა ყურადღებამ და პატივისცემამ ზოგიერთი ულირსი მეცნიერი გააღიზიანა და არცთუ სასიამოვნო საჩივრის წერილები დაიწერა, არა მხოლოდ აკადემიის პრეზიდიუმში, არამედ საკავშირო მთავრობაში. მიიჩნევდნენ, რომ ექვთიმე თაყაიშვილს ყოველგვარი წესების დარღვევით მინიჭებული ჰქონდა პროფესორის წოდება და მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობაც. საქმე იმით დასრულდა, რომ უნივერსიტეტის რექტორ ნიკო კეცხოველს მოსკოვიდან დაურეკეს, „ვაკში“ (უმაღლესი საატესტაციო კომისია) წარედგინა ექვთიმე თაყაიშვილისათვის ხარისხის მინიჭების მოთხოვნა და აი, „ვაკმა“ 1949 წლის 17 სექტემბერს შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: (იხ. დოკუმენტი №4)

აღნიშნული გადაწყვეტილებით ექვთიმე თაყაიშვილის ყველა წოდება და ხარისხი იურდიულ ჩარჩოებში მოექცა და ულირს ადამიანებს ღირსეულ ადამიანზე აუგის თქმის უფლება მოესპოთ.

**ახლა კი წარმოგიდგენთ 1945-1952 წლების სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილზე სახელფასო უწყისებით გაცემული თანხის რაოდენობას თვეებისა და წლების მიხედვით:** (იხ. დოკუმენტი №5)

გასათვალისწინებელია ისიც, რომ **ექვთიმე თაყაიშვილს ემსახურებოდა სახელმწიფო მანქანა თავისი მძღოლით, სამკურნალო კომბინატში ყოველდღიურ მეთვალყურეობას უწევდნენ, ასევე, სარგებლობდა სხვა მრავალი შეღავათი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მოხუცებულ მეცნიერს გამონათქვამების ჩამწერად და მასალების მოსაწესრიგებლად მდივნად დაუნიშნა გიორგი ლომთათიძე, რომელიც ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდა.**



დოკუმენტი №1



დოკუმენტი №2



დოკუმენტი №3



ВЫПИСКА

Утвердить ТАКА... Эфимия Семеновича в ученой степени доктора исторических наук и в ученом звании профессора по кафедре "История"

დოკუმენტი №4



დოკუმენტი №5

## ამერიკა რუსეთში «ფერად რევოლუციებს» გეგმავს

**რუსეთის უშიშროების საბჭო აცხადებს, რომ აშშ-ის მიერ რუსეთის წინააღმდეგ „ფერადი რევოლუციების“ ტექნოლოგიების გამოყენების ალბათობა მაღალია.** შესაბამისი ოფიციალური განცხადება რუსეთის უშიშროების საბჭომ ოფიციალურ ვებგვერდზე აშშ-ში უშიშროების ახალი სტრატეგიის ანალიზის საფუძველზე გამოაქვეყნა. საუბარია დოკუმენტზე, რომელიც შეერთებულმა შტატებმა 2015 წლის თებერვალში მიიღო. კრემლი აცხადებს, რომ აშშ-ის „მზაკვრულ“ გეგმებში წამყვანი როლი ამერიკის ნატოელ და ევროპელ მოკავშირეებს აკისრიათ, რომ ვაშინგტონი „გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციას გააგრძელებს“. მოსკოვის აზრით, იზოლაციის გეგმებში ასევე შედის რუსული „ენერგორესურსების ექსპორტის შესაძლებლობების შეზღუდვა და შეიარაღების მსოფლიო ბაზრიდან რუსეთის გაძევება“.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უსინდისო ამერიკული სასამართლოები ძალზე სახიფათოა ამერიკაში მოხვედრილი მოგზაურებისა და ტურისტებისთვისაც — ისინი იოლად შეიძლება მოხვდნენ ორ მილიონ პატიმარს შორის ან დაკარგონ ოჯახის მთელი ქონება კორუფცირებული ამერიკელი იურისტების სასარგებლოდ.**



# აშშ-ის სასამართლო სისტემა: ქრთამი, სიცრუე, შიში და ძალადობა

**აშშ-ის იურიდიული სისტემა დღეს მსოფლიოში ყველაზე კორუფცირებულია. გაყიდული სასამართლო, რომელშიც წინასწარ შეთანხმებული გადაწყვეტილებები გამოაქვთ; იურისტები, რომლებიც ფულს სძალავენ კლიენტებს; უსინდისო მოსამართლეები, რომლებთანაც ქრთამი მიაქვთ — ასეთია თავისუფლების ქვეყნის ტრაგიკული რეალობა; ქვეყნისა, რომლის ციხეების გისოსებს მიღმა ორ მილიონზე მეტი ადამიანია გამოკეტილი. საერთაშორისო სამართლის ყველა დარღვევა აშშ-ში კორუმპირებული ნაციონალური სამართლებრივი სისტემის ნაწილს წარმოადგენს.**



ეს მხოლოდ ამერიკელების პრობლემა არ არის. უსინდისო ამერიკული სასამართლოები ძალზე სახიფათოა ამერიკაში მოხვედრილი მოგზაურებისა და ტურისტებისთვისაც — ისინი იოლად შეიძლება მოხვდნენ ზემოხსენებულ ორ მილიონ პატიმარს შორის ან დაკარგონ ოჯახის მთელი ქონება კორუფცირებული ამერიკელი იურისტების სასარგებლოდ. ამიტომ მსოფლიოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ რამდენადაა მექრთამეობაში ჩაძირული აშშ-ის სამართლებრივი სისტემა და რა საფრთხეს წარმოადგენს ის აშშ-ში მოხვედრილი ნებისმიერი ადამიანისთვის. საკმარისია გაესაუბროთ აშშ-ში სიკვდილით დასჯილი უცხოელი პატიმრების ოჯახის წევრებს, მათი საელჩოების თანამშრომლებს, რომელთაც არც კი აცნობეს დაკავების შესახებ, ან უცხოელებს, რომელიც რაღაც გამოგონილი დანაშაულებისა და უცნაური მტკიცებულებების ხარჯზე გრძელვადიან სასჯელს იხდიან ამერიკის ციხეებში.

რეალურად ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც საკუთარ თავს თავისუფლების სამშობლოს უწოდებს, ბევრად უფრო უსინდისო, სახიფათო და უვარგისი იურიდიული სისტემა აქვს, ვიდრე განვითარებული მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანას.

მხოლოდ ამერიკის ციხეებში გამოკეტილია მსოფლიოს პატიმრების 25% — ორ მილიონზე მეტი ადამიანი, ანუ ამერიკაში ყოველი 150 ადამიანიდან ერთი ციხეში ზის. დღეს ამერიკული ციხე არის მსოფლიოს უდიდესი სისტემა, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს ეფექტურ საკონცენტრაციო ბანაკს.

სხვადასხვა უმცირესობებისთვის სტატისტიკა კიდევ უფრო უარესია. მაგალითად, ამერიკის იუსტიციას ამერიკელი შავკანიანი ახალგაზრდობა ცალსახად ციხის კედლებში მჯდომი მოსწონს და უყვარს.

არსად სვამენ ადამიანს, მათ შორის უდანაშაულოსაც, ციხეში ისე ადვილად, როგორც ამერიკაში. დღეს ამერიკის ციხეებში სასჯელს იხდის, სულ მცირე, 100 000 აბსოლუტურად უდანაშაული ადამიანი, მაგრამ უდანაშაულობის სტატისტიკა რეალურად შესაძლოა ბევრად უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევდეს. იმ უდანაშაულო ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც ამერიკულმა სასამართლომ უკანასკნელ წლებში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, ასეულობითაა.

**ჩასვა რა ციხეში ორ მილიონზე მეტი ადამიანი, აშშ პირდაპირი მნიშვნელობით აცოცხლებს მონობისა და მონური შრომის პრაქტიკას.** ამერიკული კორპორაციები პატიმრებს იყენებენ, როგორც მონური შრომის გიგანტურ წყაროს. პატიმრები იძულებულნი არიან, აწარმოონ საქონელი და პროდუქტი და სანაცვლოდ მიიღონ რაღაც გროშები, რომელთაც ზოგჯერ ისევ ციხეს უხდიან, თავი რომ შეინახონ. აშშ-ის ციხეებში მონური შრომის სისტემის გაფართოება მომგებიანია არა მხოლოდ ბიზნესისთვის, არამედ იმ ზეწოლისთვისაც, რომლის წყალობითაც ციხის კედლებს გარეთ მომუშავებსაც უმცირებენ ანაზღაურებას.

**ამერიკის ციხეებში გამოკეტილი ორი მილიონი ადამიანიდან დაახლოებით 50 000 უცხოელია. ეს რიცხვი, შესაძლოა, მცირედ მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მთელ რიგ ქვეყნებში პატიმართა საერთო რაოდენობა ამაზე ნაკლებია.** აშშ-ში უკიდურესად ქარაფშუტულად უდგებიან უცხოელების დაპატიმრების საკითხს, პატივს არ სცემენ მათ უფლებებს და ხშირად ისე გამოაქვთ მათთვის სასიკვდილო განაჩენი, რომ მათსავე საელჩოს ამის შესახებ შეტყობინებასაც კი არ უგზავნიან.

ამჟამად მასმედიიდან იშვიათად თუ ვინმე გააშუქებს იმ საშინელებებს, რომლებიც ამერიკის იურისპრუდენციაში ხდება. პატიმართა უკანონო გამოკეტვა და სასტიკი წამება ამერიკის საზღვრებს გარეთ მდებარე ამერიკულ ციხეებშიც ისევე ხდება, როგორც აშშ-ის ტერიტორიაზე.

**ამერიკის ციხეებში გამოკეტილი ორი მილიონი ადამიანიდან დაახლოებით 50 000 უცხოელია. ეს რიცხვი, შესაძლოა, მცირედ მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მთელ რიგ ქვეყნებში პატიმართა საერთო რაოდენობა ამაზე ნაკლებია**

აშშ-ის სასამართლო გარჩევების პრაქტიკა იმაზე მეტყველებს, რომ ამერიკელი იურისტები და მოსამართლეები ადამიანებს იქ ციხეში უკანონოდ გამოკეტვით, გაუპატიურებით, წამებებითა და ციხეში მკვლელობით ისევე ემუქრებიან, როგორც ამას ერაყელი ტყვეების შემთხვევაში აკეთებენ. ამერიკელებს, რომელთაც ჯერ კიდევ სჯერათ, რომ მათ კონსტიტუცია იცავთ, უბრალოდ, საქმე არ ჰქონიათ თავიანთი სამშობლოს სამართლებრივ სისტემაში მომუშავე მოსამართლეებთან და ადვოკატებთან. სინამდვილეში ამერიკის კონსტიტუცია უფლებების დაცვის შესახებ ფაქტობრივად მკვდარია, რადგან ამერიკელ იურისტებს მათ დასაცავად ბრძოლაც კი არ სურთ. დღესდღეობით ამერიკაში უბრალო ადამიანი სასამართლო „ხორცსაკეპისთვის“ მხოლოდ „ფარშია“.

**ამერიკაში იურისტები კლიენტებზე არ მუშაობენ, ისინი მოსამართლეებს ექვემდებარებიან. თუ ფულს გადაუხდით ამერიკელ ადვოკატს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე დაგიცავთ, პირიქით, ძალიან მალე ზურგს გაქცევენ და ციხეშიც გამოგამწყვდევენ.** ადვოკატები და იურისტები მოსამართლეებისა და ხელისუფლების მხრიდან დიდი ზეწოლის ქვეშ არიან და ისინი მყისიერად შეიძლება თავადაც აღმოჩნდნენ ციხეში რაღაც გამოგონილი საბაბით, თუკი გაბედავენ და ხმას აიმაღლებენ სასამართლო სისტემაში გამეფებული კორუფციის წინააღმდეგ. მათ არც ერთი კოლეგა არ დაიცავს. ეს არის აბსოლუტურად უსინდისო სისტემა, რომელიც ამერიკაში მოქმედებს და მუშაობს.

ამერიკელ ადვოკატებს ეშინიათ, სასამართლოში გამოიყენონ რაიმე, რაც მოსამართლეს არ მოეწონება. ამერიკელი ადვოკატების არმია ლამის მილიონ ადამიანს ითვლის და ამ მილიონიან ჯარს რამდენიმე ათასი მოსამართლე აკონტროლებს თავისი ღრმად ფესვგადგმული მექრთამეობის, თაღლითობისა და სასამართლო შეცდომების პრაქტიკით.

**ამერიკელი იურისტები ეშმაკთან გარიგებით მუშაობენ და ნებისმიერ მომენტში, როდესაც მათ ვიღაც ქირაობს, უკვე ინტერესთა კონფლიქტი აქვთ.** პირველ რიგში მათ მოსამართლეები უნდა გააბედნიერონ, ხოლო თუ მოსამართლეს სურს, რომ კიდევ ვიღაც სხვაც გააბედნიეროს, გამოიცანით, ვინ გადაიხდის ამ ჯაჭვში ყველაზე დიდ ქრთამს? კლიენტს გაანადგურებენ და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენი გადაუხადა მან საკუთარ დამცველს. ამერიკის სამართლებრივ სისტემაში ადამიანს არ გააჩნია არანაირი საშუალება იმისათვის, რომ თავი დაიცვას საკუთარი ადვოკატის დამნაშავეობრივი ზრახვებისაგან. ადვოკატს შეუძლია, გაყიდოს კლიენტი, მოპაროს ფული, ხლართოს ინტრიგები მის წინააღმდეგ, დაეხმაროს მოწინააღმდეგე მხარეს, დამალოს კლიენტის გამამართლებელი სამხილები ან სულაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინოს მის მიმართ და მას ვერავინ შეაჩერებს, ვიდრე მოსამართლე კლიენტის გადახდილი თანხიდან წილს იღებს.

**ამერიკაში არასდროს აღიარებენ, რომ უდანაშაულო ადამიანი დააკავეს. ფაქტობრივად ყველა, ვინც ამერიკაში ცხოვრობს ან სტუმრობს, საკუთარი ბედით თამაშობს. ამ ქვეყანაში პოლიციასა და პროკურატურას საერთოდ არ აინტერესებთ, დამნაშავეა თუ არა დაკავებული ადამიანი. მთავარია, საქმე დაიხუროს და ანგარიშში ეწეროს, რომ დამნაშავე დაკავებულია.**

თუ ამერიკაში ვინმეს აპატიმრებენ, უმალ იწყებენ მისთვის უამრავი დანაშაულის დაბრალებას. ვიდრე დაკავებული შოკშია, აიძულებენ, ამ უამრავიდან 2-3 მაინც აღიაროს ან გარიგებას დათანხმდეს. დანაშაულის ნებისმიერი აღიარება წარმატებად ითვლება, თუნდაც ის აბსოლუტურად არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ამ მეთოდებით ნებისმიერი უდანაშაულო ადამიანი შეიძლება მარტივად მივიდეს სასიკვდილო განაჩენამდე.

ბრალდებულების ერთადერთი კატეგორია, რომელმაც ამერიკის სასამართლოში შეიძლება წარმატებასა და გამარჯვებას მიაღწიოს,

▶

მოკლედ



## მონტენეგრო წლის ბოლომდე ნატოში შესვლას გეგმავს

**მონტენეგროს (ჩერნოგორია) პრემიერი მილო ჯუკანოვიჩი თვლის, რომ ქვეყანა წლის ბოლომდე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი უნდა გახდეს. „2015 წლის ბოლომდე ჩვენ ნატოს წევრები უნდა გავხდეთ.** ჩვენ ვასრულებთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა მოთხოვნას და ვაკმაყოფილებთ ყველა კრიტერიუმს. იმედი მაქვს, რომ წლის ბოლომდე მიგვიღებენ. ნატო უნდა ფართოვდებოდეს და ავრცელებდეს ჩრდილოატლანტიკურ ღირებულებებს მთელ კონტინენტზე“, — ეს განცხადება ჯუკანოვიჩმა ბულგარელ კოლეგა ბოიკო ბორისოვთან შეხვედრაზე გააკეთა. იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკის პრემიერმა აღნიშნა, რომ მონტენეგროს დადებითი გამოცდილება ალიანსში გაწევრიანების მსურველ სხვა ბალკანურ ქვეყნებსაც დაეხმარება. მისი თქმით, ნატო დღეისთვის ევროპაში სტაბილურობის გარანტია.



## წლიდან წლამდე აშშ-ის სამართლებრივ სისტემაში მდგომარეობა მხოლოდ უარესდება. მოსამართლეები და ადვოკატები შეეჩვივნენ ადამიანების მიმართ უსამართლობას, უზარმაზარ ქრთამს და სისხლის დანაშაულებრივ ქმედებებსაც კი. კორუფციის მასშტაბები განუწყვეტლივ იზრდება. სოციალური აფეთქების ნიშნები უკვე ჟონავს, ამერიკაში მოსამართლეებს ხოცავენ, სასამართლო დარბაზებს წვავენ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მილიარდერებისა და მსხვილი კორპორაციებისგან შედგება. სინამდვილეში ამერიკელი მოსამართლეებისა და ადვოკატებისთვის სხვას არც არავის აქვს რაიმე მნიშვნელობა.

**აშშ-ის იურიდიული სისტემა გაჯერებულია ქრთამით. ზოგიერთმა მოსამართლემ აღიარა კიდეც ეს, რომ მოსამართლის მოსყიდვის ყველაზე უსაფრთხო სქემაა ფულის გადაცემა ადვოკატის მეშვეობით.**

ამერიკელი მოსამართლეები ათასგვარ ხრიკს მიმართავენ იმისათვის, რომ მსხვერპლად შერჩეულმა ადამიანმა პროცესი წააგოს. საჭიროების შემთხვევაში ისინი აკრძალვებს აწესებენ ჩვენებების საზოგადოებისთვის წარდგენაზე, სიტყვის თავისუფლებაზე, მსაჯულთათვის მტკიცებულებების წარდგენაზე და ასე შემდეგ. საქმეების უმეტესობა მთავრდება გარიგებების, დაშინებების ან გამოძალვების გზით ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე სასამართლო განხილვა დაიწყება. თუ მსახურთა სასამართლო მაინც უნდა შედგეს, მას, როგორც წესი, დააკომპლექტებენ გაუნათლებელი იდიოტებით, რომლებიც დაიჯერებენ მოსამართლეებისა და ხელისუფლების ნათქვამ ყველა სიტყვას.

კი, არსებობს სააპელაციო სასამართლოები, მაგრამ იქ არის სულ რამდენიმე მოსამართლე, რომლებიც ხშირად მეგობრობენ დაბალი ინსტანციის მოსამართლეებთან, იმათთან, ვის ხელშიც უკვე გაიარა ბრალდებულმა. ამერიკელები ხშირად იმასაც ამბობენ, რომ საჭიროა, საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდეს, მაგრამ ეს მხოლოდ დროის ფუჭად კარგვაა — უზენაესი სასამართლო, უბრალოდ, უარს აცხადებს საქმეების უმეტესობის განხილვაზე. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადამიანები ისე მიაბეს სავარძელზე და ისე გაუკეთეს სასიკვდილო ინიექცია, რომ სააპელაციო სასამართლოს მათ საქმეში არც კი ჩაუხედავს.

**შესაძლოა, ვინმეს გაახსენდეს შემთხვევები, როდესაც ხალხმა მილიონობით დოლარიანი სარჩელი მოუგო მსხვილ კომპანიას, მაგრამ ეს იშვიათობაა და ლატარეაში მოგების ტოლფასია.**

ამერიკაში მოსამართლეებისა და იურისტების დანაშაულების გასაჩივრება უკიდურესად რთულია. ადვოკატებზე დაწერილი საჩივრები მიდის იმ მოსამართლეების მაგიდებზე, რომლებიც თავად იყოფენ ქრთამს ამ ადვოკატებთან, მოსამართლეებზე შედგენილი საჩივრები კი მათი მეგობარი სხვა მოსამართლეების ხელში ხვდება. ფაქტობრივად, ვერ მოძებნით ადვოკატს, რომელიც დაგეხმარებათ, სარჩელი შეიტანოთ სასამართლოში სხვა ადვოკატის წინააღმდეგ.

გაზეთები იმდენად დაახლოებულნი არიან მოსამართლეებისა და ადვოკატების საზოგადოებასთან, რომ ხანდახან დანაშაულებათა ჩადენაშიც კი უწყობენ მათ ხელს და უსამართლოდ ესხმიან თავს მსხვერპლს. დიდი გაზეთები სისტემას ეხმარებოდნენ ყალბი „მტკიცებულებებით“ სასამართლო საქმეებში, რაც უდანაშაულო ადამიანებს ანადგურებდა. მასმედიის ის საშუალებები, რომლებიც არ ეხმარებიან იურისტებს, არ ეხმარებიან არც მათ კლანჭებში მოხვედრილ უდანაშაულო ადამიანებს, რადგან სისტემის მხრიდან შურისძიებისა ეშინიათ.



## აშშ-ის მთელი მედია, მათ შორის რადიკალური და ალტერნატიული საშუალებები, ბლოგერები და ინტერნეტსაიტების მფლობელები გააკრიტიკებენ ამერიკის საგარეო პოლიტიკას და სხვა ყველაფერსაც, მაგრამ სიტყვას არ იტყვიან მექრთამე მოსამართლეების სამხილებლად

**აშშ-ის მთელი მედია, მათ შორის რადიკალური და ალტერნატიული საშუალებები, ბლოგერები და ინტერნეტსაიტების მფლობელები გააკრიტიკებენ ამერიკის საგარეო პოლიტიკას და სხვა ყველაფერსაც, მაგრამ სიტყვას არ იტყვიან მექრთამე მოსამართლეების სამხილებლად.**

ცხადია, პოლიტიკოსებიც არ დაეხმარებიან სისტემის მსხვერპლთ. მათი უმეტესობა თავადაც იურისტია, ისინი მიჩვეულნი არიან ქრთამს მოსამართლეებთან და სხვა იურისტებთან გარიგებების გაფორმებისას. პოლიტიკოსები აშშ-ის გაყიდულ სასამართლო სისტემას აღიქვამენ, როგორც საშუალებას, რომლის წყალობითაც ამერიკაში საქმე კეთდება და ინსტრუმენტს, რომლის დახმარებითაც ორი პოლიტიკური პარტიიდან ერთ-ერთი ცდილობს პოლიტიკური სცენის მონოპოლიზებას.

შეგიძლიათ, დაივიწყოთ ადამიანთა უფლებები და სამოქალაქო უფლებების ჯგუფები. მრავალი ამგვარი ორგანიზაცია შექმნილია ფულის შესაგროვებლად და მათაც ეშინიათ სასამართლო სისტემის.

ვინაიდან მოსამართლეებსა და ადვოკატებს აქვთ შესაძლებლობა, დაფარონ საკუთარი დანაშაული, ეს ქმედებები სულ უფრო საარაკო ხდება, სისხლის სამართლის დანაშაულებებს სჩადიან და იციან, რომ მათ ვერავინ დაადანაშაულებს და დასჯის.

თუ ამერიკაში თქვენ წინააღმდეგ რაიმე სარჩელი შევიდა სასამართლოში, პირველი, რაც უნდა გააკეთოთ, არის ის, რომ გადამალოთ ფული და ქონება ამ ქვეყნიდან შორს. გააკეთეთ ეს რაც შეიძლება სწრაფად, ვიდრე ადვოკატები გაგიყინავენ ანგარიშებს. გაყიდეთ ყველაფერი, გადარიცხეთ ფული სადმე, სადაც ვერ მიწვდებიან ამერიკელი მოსამართლეები და არასდროს ელოდოთ სამართლიანობას. ერთადერთი, რასაც შეიძლება ამერიკული მართლმსაჯულებისგან და ორივე მხარის ადვოკატებისგან ელოდოთ, ეს არის პოლიტიკური სისტემის და სახელისუფლო ჩინოვნიკების, ასევე ქრთამის რეგულარულად გადამხდელი დიდი კომპანიების დაცვა და ხელშეწყობა. დარდი და ცარიელი ჯიბეები არის ერთადერთი, რასაც ამერიკული სასამართლოდან გამოიტანს ნებისმიერი ჩვეულებრივი მოკვდავი.

თუ საქმე სასამართლოსთან გაქვთ, ადვოკატის დაქირავება მაინც მოგიწევთ — ამერიკელი მოსამართლეები პირად შეურაცხყოფად მიიჩნევენ, თუ მათ რომელიღაც მეგობარს მაინც არ უხდით ფულს. ამიტომ იმისათვის, რომ სასამართლო პროცესი თქვენ მიმართ დაცინვად და შურისძიებად არ იქცეს, უნდა აიყვანოთ ადვოკატი, თუნდაც ძალიან შტერი, მთავარია, გვერდით იდგეს.

**ის, რაც ამერიკელ იურისტებს ყველაზე ძალიან უყვართ, არის უსაფუძვლო დაპირებების მიცემა. მათ იოლად შეუძლიათ, სხვა ქვეყანასაც კი მიჰყიდონ ბრალდებული, ეს იდეალური სცენარია მათთვის, რადგან მათი ერთადერთი მიზანია, ბრალდებულს რაც შეიძლება მეტი ფული გამოსძალონ და რაც შეიძლება ნაკლები საქმე აკეთონ.**

**ვიდრე ადვოკატს აიყვანდეთ, წინასწარ უნდა იცოდეთ, რომ ამერიკაში ადვოკატის მიზანია, გაგყვლიფოთ და გაგყიდოთ,** ამიტომ უმჯობესია, არასდროს ენდოთ მას, მაგრამ არც ის აგრძნობინოთ, რომ იცით მისი თაღლითობის შესახებ. გადაუხადეთ ნელ-ნელა, მცირე პორციებად, ასე, შესაძლოა, ცოტა ფული მაინც შეგრჩეთ.

**წლიდან წლამდე აშშ-ის სამართლებრივ სისტემაში მდგომარეობა მხოლოდ უარესდება. მოსამართლეები და ადვოკატები შეეჩვივნენ ადამიანების მიმართ უსამართლობას, უზარმაზარ ქრთამს და სისხლის დანაშაულებრივ ქმედებებსაც კი. კორუფციის მასშტაბები განუწყვეტლივ იზრდება. სოციალური აფეთქების ნიშნები უკვე ჟონავს, ამერიკაში მოსამართლეებს ხოცავენ, სასამართლო დარბაზებს წვავენ.**

ინტერნეტში გამოჩნდა კერძო ანგარიშები და დოკუმენტები, რომლებიც ამერიკის იურიდიული სისტემის კორუმპირებულობას ამხელს. ამ წამოწყების მიზანია რეფერენდუმის მოწყობა ახალი პროცედურით, რათა მოქალაქეებს მიეცეთ საშუალება, კორუმპირებული მოსამართლეების მიერ მიყენებული ზიანის რეალური ანაზღაურებისთვის. სამწუხაროდ, შიშის გამო ამ ინიციატივაში არ მონაწილეობს არც ერთი ადამიანი, რომელსაც დიდი ფული ან მასმედიაზე გავლენა აქვს, რომლიც შეძლებდა, საზოგადოების სამსჯავროზე გამოეტანა მთელი ის კოშმარი, რომელიც ამერიკის სასამართლოებისა და ციხეების რეალურ ცხოვრებაში ხდება. ეს თემა ტაბუდადებულად რჩება ამერიკული მასმედიისათვის, ამ უკანასკნელის დუმილი კი ასაზრდოებს და სტიმულს აძლევს ქრთამებისა და რეპრესიების მთელ მანქანას.

შესაძლოა, დუმილი მხოლოდ მაშინ დაირღვეს, როდესაც ამერიკაში დიდი ეკონომიკური ან სოციალური კატაკლიზმები მოხდება და იურიდიული კორუმპირებულობის უზარმაზარი მანქანაც ბოლოს და ბოლოს დაექვემდებარება რეფორმებს. სოციოლოგიის თვალსაზრისით, ამერიკელი იურისტები ერთდროულად მაფიადაც იქცნენ და გესტაპოდაც ამერიკელთა ცხოვრებაში.

ახლა ამერიკის რეალობა ისაა, რომ, მიუხედავად საერთო ეროვნული სიმდიდრისა, ამერიკელები დიდი შიშის ქვეშ ცხოვრობენ. ამ შიშს ამერიკელთა უმეტესობა სიტყვებით ვერც კი გადმოსცემს მის არსს. მათ ეშინიათ იურისტებისა და პენიტენციალური სისტემის. ეშინიათ სამუშაო ადგილების დაკარგვისა იმ დაუნდობელ საზოგადოებაში, რომელშიც არ არსებობს არანაირი სოციალური დაცვა, ეშინიათ ავად გახდომის და სამედიცინო დახმარების საჭიროების, ეშინიათ იმის, რაც მოხდება, თუ ეჭვის ქვეშ დააყენებენ საკუთარ სისტემას და მისი მუშაობის სტილს. ისინი უსუსურებად გრძნობენ თავს იმ დიდი ძალების წინააღმდეგ, რომლებიც სინამდვილეში დომინირებენ და მართავენ მათ ქვეყანაში.

ამერიკელებს სურთ, სჯეროდეთ, რომ დღემდეც ცხოვრობენ თავისუფალ ქვეყანაში, მათთვის, უბრალოდ, გაუსაძლისია სიმართლისათვის თვალის გასწორება და იმის აღიარება, რომ მათი თავისუფლება უკვე დიდწილად განიავებულია. არადა, მათი თავისუფლება მხოლოდ იმაშიღა გამოიხატება, რომ ამერიკელებს ჯერ კიდევ შეუძლიათ, მაღაზიაში სხვადასხვა პროდუქტებიდან სასურველი აირჩიონ ან იარაღი შეიძინონ.

თუ ამერიკაში კიდევ დარჩა ვინმე, ვისაც ჰგონია, რომ კვლავინდებურად თავისუფალია, ის, უბრალოდ, ჯერ არ ყოფილა ამერიკულ სასამართლოში, საქმე არ ჰქონია საკუთარი ქვეყნის სამართლებრივ სისტემასთან, არ შეხვედრიან ადვოკატებსა და მოსამართლეებს, რომლებიც ადამიანის ძირითად უფლებებს ართმევენ საკუთარ მსხვერპლთ.

ამერიკის შიგნით კოშმარი დაიწყო...

injusticexposed.org



## ვიდრე ადვოკატს აიყვანდეთ, წინასწარ უნდა იცოდეთ, რომ ამერიკაში ადვოკატის მიზანია, გაგყვლიფოთ და გაგყიდოთ

მოკლედ



## ირანი «გაბატონებისკენ მისწრაფებაში» დაადანაშაულეს

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ირანი იემენელი შიიტი მეამბოხეების მხარდაჭერასა და ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისკენ მისწრაფებაში დაადანაშაულა.** „ირანი რეგიონში გაბატონებისკენ მიისწრაფვის. ეს აღიზიანებს აშშ-ს, საუდის არაბეთსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებს. ამის მოთმენა მართლაც დაუშვებელია და ირანმა ეს უნდა დაინახოს“, — განაცხადა თურქეთის პრემიერმა. ერდოღანმა ირანს იემენიდან, სირიიდან და ერაყიდან „თავისი ძალების გაყვანა“ მოსთხოვა. აღსანიშნავია, რომ იემენში არაბული კოალიციის მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან რამდენიმე საათში ირანის პრეზიდენტმა რუს კოლეგასთან სატელეფონო მოლაპარაკებები გამართა. ამ კონფლიქტში თეირანს პირველ რიგში მოსკოვის იმედი აქვს.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ევრაზიის კავშირი გადის თავისი კონტინენტური საზღვრების მიღმა და ქმნის თავისუფალი ვაჭრობის ზონებს ჩინეთთან აზიაში, ეგვიპტესთან ჩრდილოეთ აფრიკაში და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზართან (მერკოსური), მათ შორის არგენტინასთან, ბრაზილიასთან, პარაგვაისთან, ურუგვაისა და ვენესუელასთან.

# მერკოსური და ევრაზიის კავშირი აშშ-სა და დოლარის ჰეგემონიის წინააღმდეგ

**მერკოსურსა (სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზარი) და ევროპის კავშირს შორის სტრატეგიული პარტნიორობა არის გადამწყვეტი მექანიზმი მრავალპოლარულობაზე დაფუძნებული ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების საქმეში. რუსეთსა და ლათინური ამერიკის დემოკრატიულ ხელისუფლებებზე ვაშინგტონის იმპერიული შეტევის ფონზე მერკოსურსა და ევროპის კავშირს შორის სტრატეგიული ალიანსი ხდება მნიშვნელოვანი მექანიზმი სუვერენიტეტის დაცვისა და მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის მშენებლობის საქმეში. ეს არის მსოფლიო წესრიგი, რომელიც სულ უფრო შორსაა დოლარის ორბიტისგან და სულ უფრო ნაკლებადაა ფოკუსირებული ამერიკის ეკონომიკაზე.**



ვაშინგტონის მხრიდან მოსკოვისა და კარაკასის მიმართ განხორციელებულმა ეკონომიკური თავშეკავების პოლიტიკამ დააჩქარა მსოფლიო არენაზე კავშირების რეკონსტრუქცია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი გეოგრაფიულად ჩრდილოეთ ნახევარსფეროშია, დღეისათვის მისი ყველაზე მჭიდრო დიპლომატიური კავშირები განვითარებად ქვეყნებთან მყარდება. ეს ეხება ლათინური ამერიკის ქვეყნებსაც, რეგიონისა, რომელიც, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — სერგეი ლავროვის განცხადებით, შესაძლოა, მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის შექმნაში ქვაკუთხედად იქცეს.

საბაზისო დარგებში მოქმედებს ეკონომიკური ურთიერთშევსებადობის პრინციპი. ლათინური ამერიკის ქვეყნებში რუსული ექსპორტის 50%-ზე მეტს შეადგენს სასუქი, მინერალები და საწვავი. თავის მხრივ, მოსკოვი მათგან ყიდულობს ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ხორცს და ელექტროხელსაწყოების ელემენტებს. იმ პროგნოზების თანახმად, რომლებიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლათინური ამერიკის ქვეყნების ინსტიტუტმა მოამზადა, ორმხრივი ვაჭრობის მოცულობა 2030 წლისათვის 100 მილიარდ დოლარს მიაღწევს, რაც 500-პროცენტიან ზრდას ნიშნავს.

მიუხედავად ამისა, ჰორიზონტზე ჯერ კიდევ უამრავი ამოცანაა, რომლებიც გადაჭრას საჭიროებს. მსოფლიო ეკონომიკაში შესამჩნევი ვარდნა, დეფლაციის ტენდენცია ნედლეულის ბაზრებზე, ეკონომიკური განვითარების შენელება აზიის ქვეყნებში, ასევე ეკონომიკური სანქციები, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპის კავშირმა დააწესეს, ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს მწვავე აუცილებლობაზე, რომ რუსეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ახალ დონეზე უნდა გადავიდეს.

რუსეთსა და ევროკავშირს შორის საქონელბრუნვის მკვეთრად შემცირების შედეგად ლათინური ამერიკა გარკვეულწილად გამოდის ბაზრის ჩამნაცვლებლის როლში და ამავე დროს იზიდავს თავისკენ მაღალტექნოლოგიურ ინვესტიციებს. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაციონალური სანავთობე კონსორციუმის პროექტები (ამ კონსორციუმის შემადგენლობაში შედის Роснефть, Газпром нефть, ЛУКОЙЛ, ТНК-ВР жп Сургутнефтегаз), რომლებიც ხორციელდება ბრაზილიის, არგენტინის, ვენესუელის, ჰაიტისა და კუბის მსგავსი ქვეყნების კომპანიების მონაწილეობით.

ამ ყველაფრის პარალელურად არსებობს შესაძლებლობათა ფართო სპექტრი სამეცნიერო და ტექნოლოგიური ალიანსების შესაქმნელად. **ეს ალიანსები, ერთი მხრივ, ხელს უწყობენ ლათინოამერიკული რეგიონის სამრეწველო განვითარებას; მეორე მხრივ კი, ეხმარებიან მოსკოვის ექსპორტის დივერსიფიცირებას, ექსპორტისა, რომელიც ამ ეტაპზე ნახშირწყალბადებზეა კონცენტრირებული.**

გლობალურ ეკონომიკურ ქმედებებში გრძელვადიანი სტაგნაცია, ასევე სახელმწიფოთაშორისი კონკურენციის გაძლიერება ნედლეულის ძირითადი სახეობების (ნავთობი, გაზი, ლითონი, მინერალები, იშვიათი ელემენტები და ასე შემდეგ) მიწოდებების სფეროში ხელს უწყობენ პრეფერენციალური სავაჭრო შეთანხმებების, ენერგეტიკულ სექტორში ერთიანი ინვესტიციების, ტექნოლოგიების გაცვლის, სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გზით ახალი სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბებას.

ამ პოზიციიდან რუსეთის მიერ მთელ რიგ ლათინოამერიკულ ქვეყნებთან (არგენტინა, ბრაზილია, კუბა, ეკვადორი, ნიკარაგუა, ვენესუელა და ასე შემდეგ) ორმხრივ საფუძველზე აგებული სტრატეგიული დამოკიდებულება სამხრეთ ამერიკის რეგიონისკენ გასაფართოებლად მიისწრაფის და ათვლის წერტილად ევრაზიის კავშირს იყენებს.

2011 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დაიცვა ევრაზიის კავშირის ტრანსფორმაცია ძირითად მექანიზმად აზია-წყნარი ოკეანის რეგიონსა და ევროპის კავშირს შორის ურთიერთთანამშრომლობის დამყარების საქმეში, მაგრამ ნატოს მიერ ორგანიზებულმა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკურმა ბლოკადამ დროებით გააუქმა ეს შესაძლებლობა.

შედეგად, **ევრაზიის კავშირი გადის თავისი კონტინენტური საზღვრების მიღმა და ქმნის თავისუფალი ვაჭრობის ზონებს ჩინეთთან აზიაში, ეგვიპტესთან ჩრდილოეთ აფრიკაში და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზართან (მერკოსური), მათ შორის არგენტინასთან, ბრაზილიასთან, პარაგვაისთან, ურუგვაისა და ვენესუელასთან.**

უკანასკნელი წლების განმავლობაში რუსეთი დიდ იმედებს ამყარებს ევრაზიის კავშირსა და მერკოსურს შორის სტრატეგიულ თანამშრომლობაზე, მერკოსური მისი მთავარი მეგზურია სამხრეთ ამერიკის რეგიონში რეგიონული ინტეგრაციის თვალსაზრისით: ორი ბლოკი ფლობს 33 მილიონი კვადრატული კილომეტრის მომცველ ტერიტორიას, 450-მილიონიან მოსახლეობას, საერთო შიგა პროდუქტის ჯამური რაოდენობა კი აჭარბებს 8,5 მილიარდ დოლარს (ეს არის მსოფლიოს საერთო შიგა პროდუქტის ნომინალური მოცულობის 11,6 პროცენტი). სტრატეგიულ ურთიერთობას აქვს ორი ძირითადი მიზანი: ერთი ის, რომ შეამციროს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის კავშირის მონაწილეობა სავაჭრო და არარეგიონულ საინვესტიციო ნაკადებში; და მეორეც ის, რომ დააჩქაროს საერთო დედოლარიზაცია გადახდის საშუალებად ნაციონალური ვალუტების გამოყენების გზით.

რუსეთის მიერ შექმნილი გადახდის სისტემები წარმოადგენს მსოფლიო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების ალტერნატივას. ჩინეთმა ცოტა ხნის წინათ გამოაცხადა, რომ უშვებს თავის გადახდის სისტემას, რომელიც, შესაძლოა, 2015 წლის სექტემბრიდან ამოქმედდეს. ეს ფაქტი და ლათინური ამერიკის გამოცდილება რეგიონული კომპენსაციის ერთიან სისტემაში (SUCRE), რომელიც გამიზნულია მთლიანად რეგიონზე გარეშე ეკონომიკური გავლენის შესამცირებლად, მიანიშნებს ორივე მხარის მზარდ როლზე იმ ახალი ინსტიტუტებისა და ფინანსური მექანიზმების შექმნის საქმეში, რომლებიც ტოვებენ დოლარის ორბიტას.

უდავოა, რომ ჩრდილოამერიკული იმპერიალიზმის ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ზეწოლის წნეხში განვითარებადი ეკონომიკები რეგიონალიზაციის საშუალებით ცდილობენ პირდაპირი შეჯახებების თავიდან აცილებას. მოკლედ, ევრაზიული კავშირი და მერკოსური საკუთარ ძალებს უნდა მიმართავდნენ ფინანსური თანამშრომლობის გამყარებისკენ და პარალელურად უნდა აყალიბებდნენ ერთიან ფრონტს ნაციონალური სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების დასაცავად.

დასასრულ, ევრაზიის კავშირსა და მერკოსურს შორის სტრატეგიულ ურთიერთობებს აქვს შესანიშნავი შესაძლებლობა, გამწვავებადი ეკონომიკური კრიზისის კონტექსტში მსოფლიოს წარმატებული გამოსავლის მაგალითი აჩვენოს და გადამწყვეტი წვლილი შეიტანოს დოლარის ჰეგემონიის შესუსტების საქმეში.

**CartaMaior**

---

**აშშ-ის მიერ გაჩაღებული მიმდინარე ომებისა და კონფლიქტების საფუძველში დევს აშშ-ის შიში მსოფლიო სავალუტო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით.**

# აშშ მზადაა, დოლარის გამო მსოფლიო ომში ჩაითრიოს

ვინაიდან ამ დროისათვის დოლარი წარმოადგენს არა მხოლოდ მსოფლიო ვალუტას, არამედ ლომის წილი აქვს მსოფლიო ვაჭრობაშიც, რითაც აიხსნება კიდეც ამერიკის დიდი ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელოვნება, ამერიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ნებისმიერ ფასად, მათ შორის ომის საშუალებითაც კი, შეინარჩუნოს თავისი ვალუტის არსებული სტატუსი.

ამის პარალელურად ბრიკსი, ითვალისწინებს რა 2008 წლის მსოფლიო კრიზისსაც, აქტიურად ცდილობს დოლარის ჰეგემონიის აღკვეთას. მაგალითად, რუსეთმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ჯერ კიდევ 2009 წელს წამოაყენეს ნეიტრალური მსოფლიო ვალუტის — Special Drawing Rights-ის შემოღების იდეა.

პერსპექტივაში ბრიკსის განვითარების ახალ ბანკს შეუძლია, შემოიღოს ახალი ვალუტა, რომელსაც მსოფლიოში დოლარის თანასწორად გამოიყენებენ და ეს სერიოზული გამოცდა იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკისთვის. ამასთან, უკვე ბრიკსის სახელმწიფოები აფართოებენ ნაციონალური ვალუტების გამოყენებას ვაჭრობაში და საუბრობენ იუანის, როგორც აზიასა და ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში რეგიონული ვალუტის, შესახებ.

ახლა რუსეთი, მას შემდეგ, რაც მისმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა არ დამალა საკუთარი აზრი დოლარის სისტემის ცალგვერდიანობის შესახებ, სანქციების, სავალუტო შეტევების, ნავთობზე ფასების დაწევის, ქვეყანაში მდგომარეობის დესტაბილიზებისთვის ამერიკის მიერ მიღებული ზომების და თვით საომარი საფრთხეების გამო ფინანსურ პრობლემებს განიცდის. კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს ბაზების განლაგება და უკრაინის მოვლენები წარმოადგენს მორიგ მცდელობებს, რუსეთსა და ამერიკის დამჯერ ევროპას შორის ურთიერთობის გასართულებლად.




გარკვეული ზიანი შეგნებულად მიაყენეს ჩინეთსაც, რომელიც აზიაში ამერიკული სამხედრო „ღერძის“ გამო დაზარალდა. გარდა ამისა, ჰონკონგსა და დასავლეთ პროვინციებში პოლიტიკური სიტუაზიის გამწვავებამაც ჩინეთს გარკვეული ზარალი მიაყენა.

ამრიგად, რუსეთის, ჩინეთისა და ბრიკსის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ძლევამოსილების შერყევა არის ბაზა, რომელსაც ეფუძნება აშშ-ის მთელი სტრატეგია დოლარის ჰეგემონიის შენარჩუნების მიმართულებით.

**ამერიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ნებისმიერ ფასად, მათ შორის ომის საშუალებითაც კი, შეინარჩუნოს თავისი ვალუტის არსებული სტატუსი**

**CounterPunch**

**გამოძიების ფედერალურ ბიუროში აღიარეს, რომ ისლამური სახელმწიფოს ემისრები მოქმედებენ აშშ-ის ყველა შტატში, დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ევროპის ქვეყნებსა და დსთ-ში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ისლამური სახელმწიფო“ უყურადღებოდ არ ტოვებს არც აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ისლამური სახელმწიფოს» ანატომია და მისი განვითარების შესაძლო სცენარები

**ბოლო პერიოდში მსოფლიო მასმედია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს „ისლამური სახელმწიფოს“ ქმედებების გაშუქებას, ავრცელებენ ვიდეოკადრებს, რომლებზეც ასახულია ჯიჰადისტების აღლუმები მძიმე შეიარაღებითა და საბრძოლო ტექნიკით, დაუნდობელი მკვლელობები, ტყვეებისა და მძევლების მიმართ სისასტიკე, მსოფლიო მნიშვნელობის სამუზეუმო ფასეულობების განადგურება. მიუხედავად აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარაკეტო დარტყმებისა და დაბომბვებისა, „ისლამური სახელმწიფო“ ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე თავისი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნასა და შარიათის კანონების დამყარებას განაგრძობს, შეტევით საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებს ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე.**



ეგრეთ წოდებულ ერთგულების ფიცს ახლადგამომცხვარ ხალიფას აძლევენ ერაყისა და სირიის გარეთ (ლიბიაში, იემენში, ლიბანში, იორდანიაში, ავღანეთში, პაკისტანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ცენტრალური აზიის ქვეყნებში და სხვაგან) მყოფი ისლამისტი ბოევიკები.

**მსოფლიო საზოგადოება საკუთარ თავს უსვამს კითხვას: საიდან გაჩნდა ეს ახალი ტერორისტული მონსტრი, რომელმაც საკუთარი დანაშაულებით დაჩრდილა „ალ ქაიდაცა“ და „თალიბანიც“? რა იმალება მისი შუასაუკუნოვანი მხეცობების უკან, როგორია ამ მოვლენის ფესვები, მიზეზები, რას შეიძლება ველოდოთ მომავალში „ისლამური სახელმწიფოსაგან“?** ასწლეულები გავიდა მას შემდეგ, რაც ევროპაში შეწყდა რელიგიური ომები და რელიგიური უთანხმოებების გამო ხალხი აღარ იხოცება.

როგორც ჩანს, მსოფლიოს ჯერაც არ აქვს ბოლომდე გააზრებული რადიკალური ისლამის საფრთხეების ხარისხი ჩვენი ცივილიზაციის მიმართ. ნამდვილად არასაკმარისი ყურადღება ეთმობა იდეური ბაზის და ჩვენი პლანეტის მილიონობით მკვიდრის მხრიდან ისლამური სახელმწიფოს მიმართ მიზიდულობის მიზეზების შესწავლას. თუ არაბებისა და მუსლიმანების მისწრაფება, იომონ ურწმუნოთა წინააღმდეგ, ანუ ჩაერთონ ჯიჰადში, თუნდაც რამენაირად შეიძლება აიხსნას, გამოცანად რჩება უზრუნველად მცხოვრები ევროპელი ახალგაზრდების შეერთება ჯიჰადისტებთან. საეჭვოა, რომ ამ ახალგაზრდებს შორის ყველა არამდგრადი ფსიქიკის პიროვნება ან უბრალო ავანტიურისტი იყოს.

ნაწილობრივ „ისლამური სახელმწიფოს“ მიმართ მათი მისწრაფება აიხსნება იდეური და დასავლური ცივილიზაციის ზნეობრივი ორიენტირების ვაკუუმით, საზოგადოების მორალური დეგრადაციით, როდესაც ტრადიციული ოჯახური ფასეულობების ნაცვლად პროპაგანდა ეწევა ინდივიდუალიზმს, ძალადობას, ნებისმიერ ფასად გამდიდრებისკენ მიდრეკილებას, ერთსქესიან ქორწინებებს, სქესობრივ აღვირახსნილობას, კულტურის, რელიგიისა და საუკუნოვანი ტრადიციებისადმი უპატივცემულობას.

ამ ყველაფერს შეიძლება დაემატოს ახალგაზრდობის მზარდი დაუკმაყოფილებლობა საკუთარი მდგომარეობით საზოგადოებასა და ოჯახში, მათი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზების საშუალებათა არარსებობა, ისლამისტების აქტიური ზემოქმედება აუდიტორიაზე ინტერნეტის მეშვეობით. ეს აფართოებს ჯიჰადისტური მოძრაობის გეოგრაფიასა და დემოგრაფიას და საშუალებას აძლევს, ეროვნების, სქესისა და მატერიალური მდგომარეობის მიუხედავად, ნებისმიერ ახალგაზრდას, ვირტუალურად ეკონტაქტოს პროპაგანდისტს, რის შედეგადაც ისინი ნებაყოფლობით მიემგზავრებიან სირიისა და ერაყისკენ.

**გამოძიების ფედერალურ ბიუროში აღიარეს, რომ ისლამური სახელმწიფოს ემისრები მოქმედებენ აშშ-ის ყველა შტატში, დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ევროპის ქვეყნებსა და დსთ-ში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ისლამური სახელმწიფო“ უყურადღებოდ არ ტოვებს არც აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს.** დღეისათვის „ისლამური სახელმწიფო“ ერაყისა და სირიის არაბულ-სუნიტური მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობს. ეს კი, ყველაზე მოკრძალებული გათვლებით, 12 მილიონზე მეტ ადამიანს მოიცავს.

ბაღდადსა და დამასკოში ცენტრალური ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში უგულებელყოფდა სუნიტების საჭიროებებს და, როგორც ჩანს, განდევნა კიდეც ისინი „ისლამურ სახელმწიფოში“.

**მსოფლიო საზოგადოება საკუთარ თავს უსვამს კითხვას: საიდან გაჩნდა ეს ახალი ტერორისტული მონსტრი, რომელმაც საკუთარი დანაშაულებით დაჩრდილა «ალ ქაიდაცა» და «თალიბანიც»? რა იმალება მისი შუასაუკუნოვანი მხეცობების უკან, როგორია ამ მოვლენის ფესვები, მიზეზები, რას შეიძლება ველოდოთ მომავალში «ისლამური სახელმწიფოსაგან»?**

**არ წყდება „ისლამური სახელმწიფოს“ ფინანსური მხარდაჭერა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ისლამური ფონდებიდან, რომლებსაც სპარსეთის ყურის მონარქიები უდგანან სათავეში, მათ არ ჩამორჩებიან არც სხვა არაბული და მუსლიმანური სახელმწიფოები თურქეთის ჩთვლით.**

თუ თეოლოგიის სიღრმეებს არ განვიხილავთ და „ისამური სახელმწიფოს“ ლოზუნგებსა და მისი ლიდერების ქმედებებს დავჯერდებით, შეგვიძლია, აღვნიშნოთ შემდეგი:



პლანეტაზე ისლამის, როგორც ყველაზე ახალგაზრდა და პოპულარული რელიგიის, გავრცელების კვალდაკვალ სახეზეა მისი მანკიერი მხარეც — რადიკალური ან პოლიტიზირებული ისლამის იდეის გავრცელება. მიუხედავად მისი გარეგნული, გაუმართლებელი აგრესიული და დოგმატური შეხედულებებისა, არ შეიძლება, სათანადოდ არ იქნეს შეფასებული „ისლამური სახელმწიფოს“ რელიგიური და ინტელექტუალური მიმზიდველობა. რადიკალური ისლამის მომხრეები ცდილობენ, რომ არაბული (მუსლიმანური) საზოგადოება დააბრუნონ მე-7 საუკუნეში, როდესაც ისლამმა გადაარჩინა არაბული თემები და უზრუნველყო ისინი შემდგომში უზარმაზარი იმპერიის შექმნით, იმპერიისა, რომელსაც არაბული ან ისლამური ხალიფატი ეწოდა.

**დღეს ერაყში, სირიაში, ლიბიასა და სხვა ქვეყნებში სახეზეა ადრეული ისლამის ნამდვილი რეციდივი, იმ ისლამისა, რომლის დროსაც ურწმუნოთა ხოცვა, ომი, კულტურული და ისტორიული ძეგლების განადგურება კვლავაც ნორმალური ქმედების ჩარჩოებში ექცევა.**

ჯიჰადისტები თვლიან, რომ ყურანის სიწმიდისა და მუჰამედის წინასწარმეტყველებათა ნებისმიერი უარყოფა ეს ღიად გადახვევაა რწმენის გზიდან და ამავე დროს ჩამოთვლიან უამრავ სხვა საქციელს (ალკოჰოლის მოხმარება ან გაყიდვა, დასავლური სამოსის ტარება, წვერის გაპარსვა, არარელიგიური ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობა, ნარკოტიკების მოხმარება და გაყიდვა და სხვ.), რომელთა გამოც მუსლიმანი შეიძლება ჩამოშორებულ იქნას ისლამს.

ამ სიაში შედის ასევე შიიზმისადმი კუთვნილება, რადგან „ისლამური სახელმწიფო“ შიიზმს სიახლედ მიიჩნევს; ყურანის მიხედვით კი, ეს მოვლენა საწყისი სრულყოფილების უარყოფაა. ტაკფირის (ურწმუნოებაში დადანაშაულების) წეს-ჩვეულებების მიხედვით, „ისლამური სახელმწიფო“ აპირებს, გაწმინდოს მსოფლიო ურწმუნოთაგან და ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან არა მხოლოდ ათეისტები, კერპთაყვანისმცემლები, სხვა რელიგიების წარმომადგენლები, შიიტები, არამედ ისინიც, ვინც არ იზიარებს მუსლიმან-სუნიტების მათეულ უკიდურეს შეხედულებებს.

ყურანის მეცხრე თავის შესაბამისად, „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერები სიცოცხლეს უნარჩუნებენ და ხალიფატის ტერიტორიაზე ტოვებენ მხოლოდ იეზიდებს, ქრისტიანებს, სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს, თუ ისინი იხდიან განსაკუთრებულ გადასახადს, რომელიც ცნობილია ჯიზიას სახელწოდებით და აღიარებენ მონობასთან მიახლოებულ საკუთარ მდგომარეობას.

როგორია ამჟამად არსებული დე ფაქტო „ისლამური სახელმწიფოს“ შესაძლო განვითარების სცენარები?

**1. მსოფლიო საზოგადოება, ბოლოს და ბოლოს, მოახერხებს მის წინააღმდეგ საკუთარი ძალისხმევის გაერთიანებას, აღუკვეთავს მას ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას, მოახერხებს გარედან იზოლირებას, გაანადგურებს მის ყველაზე ბრძოლისუნარიან რაზმებს და განაიარაღებს დანარჩენებს. დასავლელი ექსპერტების შეფასებით, ეს შეიძლება მოხდეს მომდევნო რამდენიმე წელიწადში კოალიციის ქვეყნების მიერ განხორციელებული ახალი მასშტაბური სახმელეთო ოპერაციის გზით;**

**2. ხალიფატი უარს განაცხადებს თავის აგრესიულ მისწრაფებებზე, შეწყვეტს მასობრივ მკვლელობებსა და ძალადობას და გადაკეთდება არაბულ-სუნიტურ ზომიერ სახელმწიფოდ, რომელიც მოახერხებს ურთიერთობების დარეგულირებას დამასკოსთან, ბაღდადთან, ერ-რიადთან, დოხასა და ანკარასთან. ასევე, სხვა სახელმწიფოებთანაც. ამ შემთხვევაში ის შეიძლება გადარჩეს და დასავლეთისთვის ირანის გაძლიერების საწინააღმდეგო ფორპოსტადაც კი იქცეს;**

**3. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებების შეუთანხმებლობამ და თვით ხალიფატის ლიდერთა მხრიდან რადიკალურ შეხედულებებსა და დამნაშავეობრივ ქმედებებზე ჩაციკვლამ, შესაძლოა, რეგიონის სომალიზაცია განაპირობოს და მრავალი წლით გამეფდეს ძალადობა და ქაოსი. შედეგად, ერაყმა და სირიამ, შესაძლოა, საბოლოოდ დაკარგონ სახელმწიფოებრიობა და ეთნო-კონფესიური ნიშნით დაიხლიჩონ.**

posthunt.net

მოკლედ



## არაბული სახელმწიფოები ერთიან არმიას ქმნიან

**იემენში არაბული კოალიციის სამხედრო ინტერვენციის ფონზე არაბული ქვეყნების ლიგა ერთიან ჯარებს ქმნის.** შესაბამისი ოფიციალური განცხადება არაბული ქვეყნების ლიგის პრეზიდენტმა ნაბილ ალ-არაბიმ გააკეთა. არაბული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა შესაბამის შეთანხმებას მიაღწიეს და ხელშეკრულების პროექტიც მოიწონეს. შეთანხმება ეგვიპტეში დაგეგმილი არაბული ქვეყნების სამიტზე დამტკიცდება. ალ-არაბის განცხადებით, გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებს უნდა შეეძლოთ, „სწრაფად ჩაერიონ, რათა აღკვეთონ ტერორისტული დაჯგუფებების მოქმედება“. ასეთ საფრთხეში, პირველ რიგში, იგულისხმება ჰუსიტების შიიტური დაჯგუფება, რომელმაც იემენის დედაქალაქი დაიკავა და სუნიტი პრეზიდენტი ქვეყნიდან გააძევა.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უშიშროება იტყვის თავის სათქმელს, ზემოხსენებულ უცხოელ ბატონებს, უცხოეთის აგენტებს მადა გაუფუჭდებათ და, თუ მთლიანად არა, საგრძნობლად დათმობენ პოზიციებს. თქვენი მთავრობა შვებით ამოისუნთქავს და დაიწყება ქართული საქმის კეთება — ქართული სახელმწიფო განმტკიცდება, მასში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი ქვეყნის ნამდვილ პატრონად იგრძნობს თავს. ამისთვის საკმარისი იქნება ერთი-ორი უცხოელი აგენტის გამომჟღავნება და საკადრისად დასჯა. აი, მაშინ ნახავთ, როგორ შეძვრებიან შიშით სოროებში ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მამამთავრები და მოწმე გავხდებით იმისა, როგორ გათავისუფლდება ქართული პოლიტიკური ველი ნაგვისგან.**


მამანტი ჯოლია

# ღია წერილი

## საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

**ბატონო ირაკლი, თავდაპირველად მინდა, გამოვხატო თქვენდამი პატივისცემა საქართველოსადმი ერთგულებისა და პატიოსნებისთვის. ამას ხედავს და აფასებს საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა სახელმწიფოს სამართავად. თუ ვინმემ წაიკითხა ჩემი ღია წერილი საგარეო საქმეთა მინისტრისადმი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთებში — „ილორი“ და „საქართველო და მსოფლიო“, საკმარისად გამოვთქვი ჩემი თვალსაზრისი, რა არის ამისთვის საჭირო და ამიტომ ახლა გამეორებას არ დავიწყებ. ამჯერად მინდა, შევეხო საკითხს უშიშროების ორგანოსთან დაკავშირებით.**



საქართველოს უნდა ჰყავდეს ძლიერი სახელმწიფო უშიშროების ორგანო (ყველა ქვეყანა ცდილობს ამას). თქვენი მთავრობისთვის ცხადი გახდა და უკვე ორი წელია, ამაზეა ლაპარაკი, მაგრამ არ დაადგა საშველი და **ვერ გაყავით შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროება.**

დავესესხები საბჭოთა კავშირის საპატიო ჩეკისტს — გენერალ ანზორ მაისურაძეს. მან გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2014 წლის 4 თებერვლის ნომერში აღნიშნა: „...სტალინს, ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების გარდა, ჰყავდა პირადი სტრატეგიული დაზვერვა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ატომური ბომბის „მამა“, დიდი ამერიკელი მეცნიერი რობერტ ოპენჰაიმერი ერთი თვე მოსკოვის მახლობლად ბერიას აგარაკზე ცხოვრობდა, რომ შეხვდა სტალინს და მალევე საბჭოთა კავშირმა შექმნა ატომური ბომბი“.

სწორედ ასეთი კოორდინირებული მუშაობის გამო იყვნენ გაკვირვებულები რუზველტი და ჩერჩილი სტალინთან შეხვედრისას და გაოცებას ვერ მალავდნენ სტალინის ზედმიწევნით ინფორმირებულობაში არა მხოლოდ საშინაო, არამედ საერთაშორისო საკითხებში (ჩერჩილის ორტომეული, მემუარები). ბურჟუაზიის იდეოლოგები — ჩერჩილი და რუზველტი — სტალინის გამოჩენისას ფეხზე წამოვარდებოდნენ და მქუხარე ტაშით ხვდებოდნენ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, **თუ გსურთ, გქონდეთ ძლიერი სახელმწიფო, არა მხოლოდ ძალოვნებს უნდა ჰყავდეთ შემმოწმებელი — იდეური აგენტურა, არამედ სახელმწიფოს მეთაურიც უნდა ფლობდეს საიდუმლოების წვდომის მექანიზმს (არა — ნათესაურმეგობრულს), რომელმაც უნდა აკონტროლოს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. გასაგები ენით რომ ვთქვათ, თუ გვსურს, შევქმნათ ძლიერი საქართველოს სახელმწიფო, პირველ რიგში, უნდა დავიცვათ ჩვენი მოქალაქეების — ქართველთა და არაქართველთა — ინტერესები.**

ვიცი, აყაყანდებიან ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციები, იტყვიან, რუსეთის აგენტიაო და ა. შ. ასეთები თუ აღმოჩნდებიან, სწორედ ისინი იქნებიან უცხოეთის აგენტები, რომლებიც ფინანსდებიან ამერიკიდან და ევროპის მრავალი ქვეყნიდან, ემსახურებიან მათ და ფეხზე ჰკიდიათ საქართველოს ბედ-იღბალი. ფაქტია, ჯერ კიდევ ვერ გამოვედით უცხოელთა მონობის მდგომარეობიდან, რაც იმის ნიშანია, რომ **არ გვყავს გამოცდილი კადრებით დაკომპლექტებული და კვალიფიციური ორგანო.** ამ ყველაფრის საჭიროებას ადასტურებს ის, რომ ჯერ უშეცდომო კაცი მსოფლიოში არ დაბადებულა.

მოგიწოდებთ, დააჩქაროთ შს სამინისტროს გაყოფა და მალე დარწმუნდებით, რომ უშიშროების სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო გაძლიერდება. სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემას ერთ წელიწადში დაეტყობა გაჯანსაღება და უჩინრად დაიწყება მონური დამორჩილებიდან საქართველოს გამოსვლა — ახლა კი ამერიკის ელჩი ყველგან აცეცებს თვალს. ძლიერი უშიშროების ორგანოს ჩამოყალიბების შემთხვევაში, ვერც ამერიკის ელჩი და ვერც სხვა გარეწარი გაბედავს საქართველოსთვის ჭკუის სწავლებას!

**როცა უშიშროების ორგანოები დაკომპლექტდება სათანადო კადრებით და გახდება ძლიერი, საგრძნობლად შემცირდება ჩვენს ქვეყანაში ამერიკიდან და ევროპიდან შემოსული აგენტურის პარკაში, რამეთუ ახლა ვინც ჩამოდის და ჭკუას გვარიგებს, თითქმის ყველა აგენტია**

საქართველოში გამომავალ გაზეთებში ექსპერტები თუ სხვა პირები ერთხმად წერენ: **„საქართველო უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებიდან იმართება. მათ გარეშე ვერც ერთი პოლიტიკოსი ნაბიჯს ვერ დგამს. ყველაფერს პატრონები წყვეტენ“**, შემდეგ: **„ამ ქვეყანაში არაფერი დალაგდება, სანამ ქართული პოლიტიკური ველი უცხო ქვეყნების მიერ მართული ლიდერებისგან არ გათავისუფლდება“** და ა.შ.

გარწმუნებთ, ბატონო ირაკლი, ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები გაქრება, როგორც კი ჩამოყალიბდება კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული უშიშროების ორგანო, რამეთუ **უშიშროება იტყვის თავის სათქმელს, ზემოხსენებულ უცხოელ ბატონებს, უცხოეთის აგენტებს მადა გაუფუჭდებათ და, თუ მთლიანად არა, საგრძნობლად დათმობენ პოზიციებს; თქვენი მთავრობა შვებით ამოისუნთქავს და დაიწყება ქართული საქმის კეთება — ქართული სახელმწიფო განმტკიცდება, მასში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი ქვეყნის ნამდვილ პატრონად იგრძნობს თავს. ამისთვის საკმარისი იქნება ერთი-ორი უცხოელი აგენტის გამომჟღავნება და საკადრისად დასჯა. აი, მაშინ ნახავთ, როგორ შეძვრებიან შიშით სოროებში ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მამამთავრები და მოწმე გავხდებით იმისა, როგორ გათავისუფლდება ქართული პოლიტიკური ველი ნაგვისგან.**

აღვნიშნავ, რომ ზოგიერთი ჟურნალისტი, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს ერის გახლეჩას, რადგან თოქშოუები, რომლებიც ტარდება ტელეარხებზე, არ ემსახურება ერის გამთლიანებას, პირიქით — უფრო აშორებს დაპირისპირებულ მხარეებს. ერთია დანაშაული და მეორე — შეცდომა. სააკაშვილი ქვეყნის ერთმმართველი იყო, თავისი სურვილის მიხედვით მართავდა ქვეყანას და სჩადიოდა დანაშაულებს, რომელთაც ქვეყნის დანგრევა მოჰყვა.

ამჟამინდელი მთავრობა დანაშაულს არ სჩადის, მაგრამ უშვებს შეცდომებს. ეს სულ სხვა საქმეა — უშეცდომო კაცი ამქვეყნად ჯერ არ დაბადებულა და არც დაიბადება. აი, ამის გარკვევას უნდა ცდილობდეს ჟურნალისტი და ყოფილ და მოქმედ ხელისუფლებას ერთი არშინით არ უნდა ზომავდეს. მინდა, ვიფიქრო, რომ მათ ეს უნებლიეთ მოსდით.

ჩემი ღრმა რწმენით, **თუ დროულად არ იქნა ზომები მიღებული, ხალხი თვითონ გაუსწორდება ასეთ ადამიანებს. ნუ ჰგონია ვინმეს, ხალხი ბრმაა და შენიღბულ მზაკვრულ მოქმედებებს ვერ ხვდება. იმის ცოდნა, რა ხდება და სწორი ანალიზი გამარჯვების საწინდარია — ამისკენ უნდა ისწრაფვოდეს დღეს ჟურნალისტიც და ისიც, ვისაც ხელეწიფება მასმედიიდან ხალხთან ურთიერთობა.**

შორს რომ არ წავიდეთ, გენერალ-პოლკოვნიკ **ალექსი ინაურის** მოღვაწეობის პერიოდი აჩვენებს უშიშროების ორანოების უმწიკვლო, თავდადებულ მუშაობას საქართველოს რესპუბლიკის ძლიერებისთვის. საქართველო სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მოწინავე იყო. ყვაოდა მეცნიერება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ყველა დანარჩენი დარგი. ეს განაპირობა, ზემოთ თქმულის გარდა, იმანაც, რომ ქვეყანას მართავდა პატრიოტი კაცი — ვასილ პავლე ძე მჟავანაძე, რომელმაც ბატონ ინაურთან ერთად ხელი შეუწყო ქვეყნის უშიშროების ორგანოს ღირსეული თანამშრომლებით დაკომპლექტებას.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი იყო, რაიონებში გადაადგილებისას მას 1 კაცი იცავდა. კარგად მახსოვს, დაცვის წევრებს ერქვათ გივი და მერაბი და ისინი ერთმანეთს ცვლიდნენ.

„ნაციონალი“ **დავით საყვარელიძის** (რომელიც უკრაინაში წავიდა „კორუფციის დასამარცხებლად“) თქმით, საქართველო საბჭოთა კავშირის პერიოდში თურმე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო და მან და მისმა საძმომ („ნაციონალებმა“) განვითარებულ ქვეყნად აქციეს. აი, ასეთ ტყუილებში გაწაფული ადამიანები — „ნაციონალები“ — ვერ მოიშორეთ და თავზე დაგვაჯდნენ. ეს ყველაფერი კი იმის დასტურია, რომ მათ კარგად არ იცნობთ და პასუხს ვერ გასცემთ, თუ ისეთი უშიშროების ორგანო გეყოლებათ, როგორიც ახლა გყავთ. **იჩქარეთ, გაყავით!**

გენერალ ინაურს დაცვის წარმომადგენელი მძღოლად ეჯდა მანქანაში, ეს იყო და ეს — ახლა კი, ინაურის რანგის კაცს კი არა, უბრალო სახელმწიფო მოხელეს ესკორტი ემსახურება.

კაპიტალისტური ქვეყნების აგენტურა საქართველოში შემოსვლისას შიშით თრთოდა, ისეთი კადრებით იყო დაკომპლექტებული ჩვენი ქვეყნის უშიშროების ორგანო; მაგალითად, აფხაზეთის უშიშროებას სათავეში ედგა **ფიოდორ სერგოს ძე პილიუგინი**, რომელიც ფაშისტების ზურგში მეთაურობდა მზვერავთა ჯგუფს და მისი მეშვეობით ბევრ წარმატებას აღწევდნენ ჩვენი ჯარის ნაწილები. ვამაყობ, რომ მასთან დიდი ხნით მომიწია მუშაობა, ბოლოს ინაურის მო- ▶

## ნოდარ ხადური: შიგა შოკები არ გვაქვს, გვაქვს პატარა შოკუნიები

**საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა „პალიტრა TV“-ის გადაცემა „ბიზნეს-PRESS“-თან, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე ისაუბრა. ფინანსთა მინისტრის განმარტებით, შექმნილი ვითარება გარე ფაქტორებთან ერთად შიგა ფაქტორებითაც არის განპირობებული, რომელთა შორისაც უპირველესია ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით მოსახლეობის გადაჭარბებული მოლოდინი.** „შოკი შეიძლება იყოს, როგორც გარე, ისე შიგა. გარე შოკებზე ბევრს არ მოვყვები, რაც შეეხება შიგა შოკებს, მადლობა ღმერთს, არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს პატარა შოკუნიები და ეს პატარა შოკუნიები არის სურვილი ჩვენი ოპონენტების, რომ ნახონ ცეცხლში გახვეული საქართველო. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ ამას, ეს არის ყველაფრის გაბაიბურების მცდელობა, ეს არის მოსახლეობაში ნიჰილიზმის დათესვის მცდელობა, ეს არის ადამიანებისთვის ხვალინდელი დღის იმედის დაკარგვის მცდელობა, რასაც ცდილობენ ჩვენი ოპონენტები, ადამიანები, რომლებიც ჩაბღაუჭებულები არიან თავიანთ წარსულს. ეს არის მთავარი პრობლემა საქართველოს ეკონომიკის. როგორ ფიქრობთ, ახლა ვილაც რომ დაიწყებს საუბარს იდიოტურ იდეაზე, რომელსაც იმპიჩმენტი ჰქვია, ეს ბიზნესმენებს გაახარებს, გამოიქცევიან და აქ ინვესტიციებს ჩადებენ?“ — განაცხადა ნოდარ ხადურმა.



**დაიცავით მართლმადიდებლები, ეროვნულობა, აკეთეთ ქართული საქმე; იყავით კარგად ამერიკასთან და ევროპასთან, მაგრამ არ გქონდეთ მონური დამოკიდებულება მათდამი! დააჩქარეთ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება — კი, ბატონო, როგორც ადრე მითქვამს, რუსეთმა ჩვენი ორი რეგიონის ოკუპირება მოახდინა (სხვა საკითხია, ვინ აიძულა რუსეთი, ეს გაეკეთებინა), მაგრამ სულ რომ ვიძახოთ, რუსეთი ოკუპანტიაო, არაფერს მოგვიტანს, უბედურების გარდა. გადადგით გაბედული ნაბიჯი რუსეთისკენ.**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ადგილე გახდა. გჯეროდეთ, რომ, **როცა უშიშროების ორგანოები დაკომპლექტდება სათანადო კადრებით და გახდება ძლიერი, საგრძნობლად შემცირდება ჩვენს ქვეყანაში ამერიკიდან და ევროპიდან შემოსული აგენტურის პარაპაში, რამეთუ ახლა ვინც ჩამოდის და ჭკუას გვარიგებს, თითქმის ყველა აგენტია.**

მეამაყება, რომ ვმუშაობდი ისეთ ადამიანებთან, სსრკ-ის საპატიო ჩეკისტებთან (საპატიო ჩეკისტის წოდებას ანიჭებდა საკავშირო ორგანოს კოლეგია), როგორებიც იყვნენ ალექსი ინაური, ბორის კაციტაძე, ფიოდორ პილიუგინი, ნოდარ მაისურაძე, ანზორ მაისურაძე, გივი ჯორბენაძე, გენრიხ გელავა, ვალერი ჩხეიძე, ვალერი ბენიძე, გრიშა ქომოშვილი, ალექსანდრე სამხარაძე, ნუგზარ ძიაპშპა, სერგო ცარგუში და სხვ.

საქართველოში 70 წლის განმავლობაში მხოლოდ 42 საპატიო ჩეკისტი იყო. თუმცა, როგორც კი უშიშროების მინისტრად დაინიშნა შოთა კვირაია, ერთი წლის განმავლობაში ასობით ადამიანს დაურიგა საპატიო ჩეკისტის წოდება, არა დამსახურების, არამედ თანამდებობის მიხედვით, რასაც უცოდინარობის ტრიუმფი შეიძლება ვუწოდოთ. ასე გაუფასურდა საპატიო ჩეკისტობა, გაუფასურდა სხვა დარგებში მომუშავეთა ღვაწლიც და, რაც დაგვემართა, ყველამ იცის. **დაიცავით მართლმადიდებლები, ეროვნულობა, აკეთეთ ქართული საქმე;** იყავით კარგად **ამერიკასთან და ევროპასთან, მაგრამ არ გქონდეთ მონური დამოკიდებულება მათდამი!** დააჩქარეთ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება. კი, ბატონო, როგორც ადრე მითქვამს, რუსეთმა ჩვენი ორი რეგიონის ოკუპირება მოახდინა (სხვა საკითხია, ვინ აიძულა რუსეთი, ეს გაეკეთებინა), მაგრამ, სულ რომ ვიძახოთ, რუსეთი ოკუპანტიაო, არაფერს მოგვიტანს, უბედურების გარდა. **გადადგით გაბედული ნაბიჯი რუსეთისკენ. ამერიკა და ევროპა როგორც დაგვეხმარა 2008 წელს, ყველამ ნახა. ამერიკას მხოლოდ ჩვენი ტერიტორია უნდა — ხალხი მას არ ანაღვლებს, გვეფერება, რომ რუსეთის წინააღმდეგ ვიმოქმედოთ.** ეს ძნელი გასარკვევი არ უნდა იყოს თქვენთვის, მაგრამ ახლა სახელმწიფო უძლურია ყოველმხრივ და ეს (უნდა გამოვტყდეთ) გაიძულებთ, იყოთ მათთან. გთხოვთ, გადალახოთ ეს ბარიერი, თორემ ხალხი გეტყვით არას და აღარაფერი გეშველებათ.

და კიდევ — **რაც შეიძლება მალე მოიშორეთ „ნაციონალები“** (არა ყველა, რასაკვირველია, მათ შორისაც არიან ისეთები, რომლებსაც დანაშაული არ ჩაუდენიათ), **რომლებმაც დაამხეს ქვეყანა — სანაგვე ყუთებში მქექავ ერად გვაქციეს, შვილები დაგვიხოცეს, ხალხი აწამეს. გამოცდილებისა და ქვეყნისადმი ერთგულების მიხედვით მოიზიდეთ კადრები, გათავისუფლდით უსუსური მინისტრებისგან, ნუ გეშინიათ ძველი კადრების — თუ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ, დააწინაურეთ ისინი გამოცდილებისა და ერთგულების მიხედვით. ნუ შედიან თანამდებობის პირები პოლემიკაში „ნაციონალებთან“, რაც კატასტროფულად მოქმედებს ხალხის, თითოეული ადამიანის ფსიქიკაზე.**

რა მოხდება, ბოლოს და ბოლოს, რომ გასამართლდეს „ნაციონალური მოძრაობა“? რისი გეშინიათ? ფაქტები საკმარისზე მეტია და, რომ გასაჯაროვდება, ის ამერიკელი და ევროპელი იძულებული იქნება, სიმართლეს თვალი გაუსწოროს; სხვა ჩვენ არაფერი გვიშველის, რადგან სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა იმდენი ფული დახარჯეს, ახლაც დავალებულები არიან მისგან. დროა, მოქალაქეთა შორის დაპირისპირება აღმოვფხვრათ, თუ ადამიანს დანაშაული არ ჩაუდენია, ნუ გავკიცხავთ, სად გვყავს ჩვენ დასაკარგი შვილები, გავერთიანდეთ და ჩვენი ქვეყანაც გაძლიერდება!

იმედს გამოვთქვამ, გაითვალისწინებთ ხალხის ნებას, ხელს შეუწყობთ ქვეყნის გაერთიანებას და მისი ძლიერების განმტკიცებას, სხვა გზა მცდარია.

უკვე გადავაბიჯე 91 წელს. ვიღაც იტყვის, რა ალაპარაკებს, რა უნდაო. მერწმუნეთ, არაფერი მინდა, მალაპარაკებს მხოლოდ სამშობლოსადმი, ქართველი ერისადმი უსაზღვრო სიყვარული. საბჭოთა კავშირის პერიოდშიც და დღესაც სათანადოდ ვიყავი და ვარ დაფასებული. მინდა, საქართველო ეკუთვნოდეს ქართველებს და არა — გადამთიელ ამერიკელებს, რომლებმაც ამოწყვიტეს მილიონობით ამერიკელი ინდიელი და გაიძახიან, — ამერიკა ჩვენი სამშობლოაო. ასეთი ტყუილებით სურთ, მსოფლიოს მბრძანებლები გახდნენ. ამაზე მეტყველებს 100-ზე მეტი ომის წამოწყება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მილიონობით უდანაშაულო ხალხის გაჟლეტა. თუ ასე დავბრმავდებით და გავაგრძელებთ ცხოვრებას, შორს არ არის დრო, როდესაც ქართველი თითზე ჩამოსათვლელი დარჩება, საქართველო კი სხვათა სათარეშო გახდება, — აი, კიდევ რატომ ვლაპარაკობ 91 წელს გადაცილებული ადამიანი, რომელსაც არც გამოცდილება აკლია და არც სამშობლოსადმი ერთგულება!

დამიჯერეთ, ბატონო ირაკლი, ნუ აყოვნებთ, რაც უნდა ძნელი იყოს, გამოყავით უშიშროება შინაგან საქმეთა სამინისტროსგან.

და მაშინ, მერწმუნეთ, ყველაფერი მოგვარდება — უფრო ლაღად და თავისუფლად იგრძნობს თავს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურები, ისე ბიზნესი. რაც მთავარია, ლაღად და გამართულად ივლის თავის სამშობლოში საქართველოს მოქალაქე!

**მამანტი ჯოლია,**
**საბჭოთა კავშირის საპატიო ჩეკისტი,**
**გადამდგარი პოლკოვნიკი,**
**აფხაზეთიდან დევნილ ქართველ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**

**მოგიწოდებთ, დააჩქაროთ შს სამინისტროს გაყოფა და მალე დარწმუნდებით, რომ უშიშროების სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო გაძლიერდება. სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემას ერთ წელიწადში დაეტყობა გაჯანსაღება და უჩინრად დაიწყება მონური დამორჩილებიდან საქართველოს გამოსვლა — ახლა კი ამერიკის ელჩი ყველგან აცეცებს თვალს. ძლიერი უშიშროების ორგანოს ჩამოყალიბების შემთხვევაში ვერც ამერიკის ელჩი და ვერც სხვა გარეწარი ვერ გაბედავს საქართველოსთვის ჭკუის სწავლებას!**

ვახტანგ მაისაია:

# საქართველოში ამოქმედდა დესტაბილიზაციის გამომწვევი სარეზერვო გეგმა «ბ»

**პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია გასულ კვირას უკრაინაში იმყოფებოდა. დაბრუნების შემდეგ მან სააგენტო „ფოსტალიონთან“ საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ-კრიმინალურ პროცესებზე ისაუბრა:**



„2014 წლის ზაფხულიდან ამა წლის მარტის ჩათვლით, საქართველოში განხორციელდა სამი მსხვილი პოლიტიკური ტერაქტი — ეროსი კიწმარიშვილის საეჭვო მკვლელობა, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა და ახლა ბესო ხარძიანის დაკვეთილი მკვლელობა. სამივე დანაშაული აღსრულებულია გასული საუკუნის 90-იანი წლების პერიოდის მკვლელობათა ფორმებით. მაგალითად, იმჟამინდელ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში არც ისე იშვიათი იყო მკვლელობების დამალვა თვითმკვლელობების ფორმატში.

აღნიშნული დანაშაულების განხორციელებას პირდაპირ უკავშირდება ხოლმე პოლიტიკური ტერორის დაწყების ეტაპი, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს სამხედრო გადატრიალებაში. ასე დაიწყო ჩილეში კანონიერი პრეზიდენტის, სალვადორე ალიენდეს, დამხობის პროცესი 1971-73 წლებში. **ძალოვან სტრუქტურებში მოქმედი ე. წ. „მეხუთე კოლონა“ და ქვეყანაში მოქმედი „სიკვდილის ესკადრონების“ იატაქქვეშა ჯგუფები, როგორც ჩანს, უკვე გააქტიურდნენ.** მათ აამოქმედეს რეგიონებში დამალული იარაღის სამარხები და სათანადო ინსტრუქციები. **პოლიტიკური ბანკროტობის ფონზე, რომელიც თვალნათლივ გამოჩნდა 21 მარტის ე. წ. საპროტესტო აქციის ჩატარებისას, ამოქმედდა პოლიტიკური პროცესებით დესტაბილიზაციის გამომწვევი სარეზერვო გეგმა „ბ“, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ყოფილი ხელისუფლების დაბრუნებას ყველანაირი საშუალებით.** მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს მალე შეექმნება სერიოზული პრობლემები უკრაინაში და ეს იქნება მისი უკანასკნელი ბასტიონი, რომლის იქითაც გზა მოჭრილი ექნება. მას დარჩება ბოლო შანსი – ფეხი მოიკიდოს საქართველოში. ეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ერთგვარ ჰიპოთეტურ სცენარს, რომელიც ეფუძნება ფაქტებისა და მოვლენების ოპერატიული ანალიზის შედეგებს,“ — განაცხადა ვახტანგ მაისაიამ.

# ხმაურზე ადმინისტრაციული ჯარიმების შესახებ პროექტი პარლამენტში წარადგინეს

**თბილისის საკრებულოში მომზადებული პროექტი, რომელიც დადგენილ ნორმაზე მეტი ხმაურისთვის ადმინისტრაციულ ჯარიმებს აწესებს, განსახილველად პარლამენტში შევიდა. კანონპროექტის ავტორია თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თევდორე კობახიძე, პარლამენტში ინიცირება კი ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტმა განახორციელა. დაგეგმილია ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ და კოდექსისათვის ახალი მუხლის დამატება.**



პროექტის მიხედვით, „ხმაური დღის საათებში, რომლის დონე დადგენილ ნორმატივს აღემატება, თავისი ხასიათით არის განგრძობადი და შეუძლია, უარყოფითად იმოქმედოს პირის ჯანმრთელობაზე ან საყოფაცხოვრებო პირობებზე, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარით, ხოლო იურიდიული პირის და დაწესებულების — 500 ლარით. იგივე ქმედება, ჩადენილი ღამის საათებში გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 300 ლარით, იურიდიული პირისა და დაწესებულების — 1000 ლარით. ამასთანავე, აღნიშნული ქმედების ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას ორმაგი ოდენობით“. პროექტის მიხედვით, „დღის საათებად“ ითვლება დროის მონაკვეთი 07:00 საათიდან 23:00 საათამდე, ხოლო „ღამის საათებად“ — დროის მონაკვეთი 23:00 საათიდან 07:00 საათამდე.

„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ხმაური, მისი ინტენსივობის გათვალისწინებით, სხვადასხვა დაავადების წყაროა. მაგალითად, 100 დეციბელზე მაღალი ინტენსივობის ხმაური იწვევს სმენის დაქვეითებას, სრულ სიყრუემდე. ღამით 50 დეციბელის ინტენსივობის ხმაურმა შეიძლება გამოიწვიოს გულ-სისხლძარღვთა დაავადება. 42 დცბ ინტენსივობის ხმაური ავითარებს უძილობას, ხოლო 35 დცბ საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანი ადვილად გაღიზიანდეს. ხმაური ძილის დროსაც კი იწვევს სისხლში ისეთი სტრესული ჰორმონების დონის მატებას, როგორიცაა: კორტილოზი, ადრენალინი, ნორადრენალინი“, — ნათქვამია განმარტებით ბარათში, რომელიც კანონპროექტს თან ერთვის.

მსოფლიო

# იემენის პრეზიდენტმა ქვეყანა დატოვა

**იემენის პრეზიდენტი აბდ რაბო მანსურ ჰადი იძულებული შეიქნა, შექმნილი ვითარების გამო, ქვეყანა დაეტოვებინა. იგი საუდის არაბეთში გადავიდა.**

იემენში ჰუსიტი მებრძოლები ქვეყანაზე კონტროლის დამყარებას ცდილობენ. მათ გასული წლის სექტემბერში დედაქალაქი სანა დაიკავეს, რის გამოც პრეზიდენტი სანადან გაიქცა და ქალაქ ადენში გადავიდა. თუმცა, რამდენიმე დღის წინათ ჰუსიტები ადენშიც შეიჭრნენ და რამდენიმე სტრატეგიული ობიექტი დაიკავეს. იემენის მთავრობამ დახმარების თხოვნით მეზობლებს მიმართა, რის შემდეგაც საუდის არაბეთმა სამხედრო ოპერაცია დაიწყო და საჰაერო იერიში მიიტანა ჰუსიტების პოზიციებზე. არიან დაღუპულები და დაშავებულები. საუდის არაბეთი აცხადებს, რომ იგი ლეგიტიმურ მთავრობას იცავს. შიიტი ჰუსიტები მოქმედ მთავრობას ეწინააღმდეგებიან და ყოფილი პრეზიდენტ ალი აბდულა სალეჰს უჭერენ მხარს.



ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დონის როსტოვის დაცემის შემდეგ კავკასიასა და რუსეთის სამხრეთ რაიონებთან კავშირი შესაძლებელი იყო მხოლოდ კასპიის ზღვიდან მდინარე ვოლგითა და შემდეგ სალსკ-სტალინგრადის სარკინიგზო მაგისტრალით. ამ კომუნიკაციის გადაჭრით, გერმანელები სრულიად კავკასიას ხელში ჩაიგდებდნენ და საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანეს რესურსს წაართმევდნენ, ამიტომ სტალინგრადზე შესატევად შეიქმნა არმიების ჯგუფი B, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფელდმარშალი ფონ ვეიხსი. 1942 წლის ნოემბრამდე სტალინგრადის მიმართულება დამხმარე მიმართულებად ითვლებოდა კავკასიის დაპყრობის გეგმაში.**

# ოპერაცია «ედელვაისის» კრახი და ლავრენტი ბერიას როლი კავკასიის დაცვის საქმეში



**კავკასიისთვის ბრძოლა, რომელიც 1942 წლის 25 ივლისიდან 1943 წლის 9 ოქტომბრამდე გრძელდებოდა, მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა და ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს: ფაშისტური გერმანიის, რუმინეთისა და სლოვაკეთის შეიარაღებული ძალების შეტევად (1942 წლის 25 ივლისი — 31 დეკემბერი) და საბჭოთა არმიის კონტრშეტევად (1943 წლის 1 იანვარი — 9 ოქტომბერი).**

იმჟამინდელი სსრკ-ის ეკონომიკისთვის ნავთობის ძირითადი წყარო ჩრდილოეთ კავკასია და ბაქო იყო, გარდა ამისა, ფაშისტების მიერ უკრაინის დაპყრობის შემდეგ ძალიან გაიზარდა ყუბანის ოლქის როლი უზარმაზარი ქვეყნის ხორბლით მომარაგებაში. კავკასიის დაკარგვას შეეძლო, გადამწყვეტი როლი ეთამაშა სსრკ-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ ჰიტლერმა კავკასია ძირითად მიმართულებად აირჩია.

ვერმახტის არმიების ჯგუფმა, რომელიც კავკასიაზე შესატევად შეიქმნა, მიიღო **კოდი A.**

**ჯგუფ A-ს ამოცანა იყო: სამხრეთის ფრონტზე განლაგებული საბჭოთა არმიის ნაწილების განადგურება და ჩრდილოეთი კავკასიის დაპყრობა; გროზნოსა და ბაქოს ნავთობსაბადოების დაუფლება; ამასთანავე, — კავკასიის ქედის უღელტეხილებიდან საქართველოზე იერიში; ხოლო ცოტა მოგვიანებით, სტალინგრადის ხელში ჩაგდების შემდეგ, — ახლო აღმოსავლეთში განლაგებულ ბრიტანულ საჯარისო ქედანაყოფზე შეტევა.**

ფაშისტთა სარდლობამ გაითვალისწინა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ნაწილი, განსაკუთრებით — ჩეჩნები, მტრულად იყვნენ განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (ჩეჩნეთში ანტისაბჭოთა გამოსვლები ჯერ კიდევ 1940 წელს დაიწყო ჰასან ისრაილოვის ხელმძღვანელობით და გააქტიურდა 1941-42 წლებში, როცა საბჭოთა არმია უკან იხევდა) და კავკასიაში კაზაკებისა და მთიელებისგან რამდენიმე ქვედანაყოფი ჩამოაყალიბა, რომლებიც ვერმახტს დაექვემდებარა.

დონის როსტოვის დაცემის შემდეგ კავკასიასა და რუსეთის სამხრეთ რაიონებთან კავშირი შესაძლებელი იყო მხოლოდ კასპიის ზღვიდან მდინარე ვოლგითა და შემდეგ სალსკ-სტალინგრადის სარკინიგზო მაგისტრალით. ამ კომუნიკაციის გადაჭრით, გერმანელები სრულიად კავკასიას ხელში ჩაიგდებდნენ და საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანეს რესურსს წაართმევდნენ, ამიტომ სტალინგრადზე შესატევად შეიქმნა **არმიების ჯგუფი B**, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფელდმარშალი **ფონ ვეიხსი.** 1942 წლის ნოემბრამდე სტალინგრადის მიმართულება დამხმარე მიმართულებად ითვლებოდა კავკასიის დაპყრობის გეგმაში.

**გერმანელთა მხრიდან კავკასიაზე შეტევაში მონაწილეობდა ვერმახტის სამხრეთის არმიების ჯგუფი A:**

*** 1 სატანკო არმია ფელდმარშალ ევალდ ფონ კლეისტის ხელმძღვანელობით;**

*** მე-17 არმია გენერალ-პოლკოვნიკ რიჰარდ რუოფის ხელმძღვანელობით;**

*** რუმინეთის მესამე არმიის სამთო კორპუსი და კავალერია;**

*** ლიუფტვაფეს მე-4 საჰაერო ფლოტი.**

თავდაპირველად არმიების ჯგუფს ხელმძღვანელობდა ფელდმარშალი **ვილჰელმ ლისტი**, მაგრამ, სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ შეტევის ტემპით უკმაყოფილო ჰიტლერმა სარდლობა თვითონ დაიკისრა, მოგვიანებით კი უფლებამოსილება ფელდმარშალ **პაულ ლუდვიგ კლეისტს** გადასცა. ბოლოს არმიების ჯგუფ A-ს გენერალ-პოლკოვნიკი **ებერჰარდ ფონ მაკენზენი** ხელმძღვანელობდა.

კავკასიის დაცვაში **სსრკ-ის მხრიდან მონაწილეობდნენ:**

***სამხრეთის ფრონტი (სარდალი როდიონ მალინოვსკი), რომელშიც შედიოდა მე-9, მე-12, მე-18, 24-ე, 37-ე, 51-ე და 56-ე არმიები. 1942 წელს სამხრეთის ფრონტი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტთან გაერთიანდა, 51-ე არმია კი სტალინგრადის ფრონტს გადაეცა.**

*** ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი (სარდალი — სემიონ ბუდიონი), რომელშიც გაერთიანებული იყო 47-ე არმია, პირველი მსროლელთა კორპუსი, კავალერისტების მე-17 კორპუსი და მე-5 საჰაერო არმია. 1942 წლის 4 სექტემბერს ეს ფრონტი დაიშალა, მისი ქვედანაყოფი კი ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შევიდა.**

*** ამიერკავკასიის ფრონტი (სარდალი — ივან ტიულენევი), რომელშიც გაერთიანებული იყო: 44-ე არმია, 45-ე არმია, კავალერისტების მე-15 კორპუსი, 14 საავიაციო პოლკი. 30 აგვისტოს ჩამოყალიბდა 58-ე არმია. სექტემბერში კი ფრონტს გადაეცა მე-12, მე-18, 56-ე და 58-ე არმიები დაშლილი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტიდან.**

*** შავი ზღვის ფლოტი (სარდალი — ადმირალი ფილიპ ოქტიაბრსკი).**








1942 წლის 21 აგვისტოს ფაშისტებმა დროშა აღმართეს იალბუზზე



გერმანელი სამხედროები კავკასიაში

გერმანელებმა შეტევა წარმატებით დაიწყეს. საბჭოთა არმიების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, დაეცა სევასტოპოლი, არმავირი, მაიკოპი, კრასნოდარი, ელისტა, მოზდოკი და ნოვოროსიისკის დიდი ნაწილი. 21 აგვისტოს კი გერმანელებმა იალბუზზე ფაშისტური დროშა აღმართეს.

საბჭოთა არმიამ გერმანელების შეჩერება მხოლოდ ტუაფსესთან მოახერხა.

ამის შემდეგ საბჭოთა არმიამ ნელ-ნელა მოიპოვა უპირატესობა. 1943 წლის დასაწყისში კი კონტრშეტევაზე გადავიდა და გერმანელებს უკანდახევა აიძულა.

**კავკასიისთვის ბრძოლებში აღსანიშნავია გერმანელთა მიერ დაგეგმილი ოპერაცია „ედელვაისი“, რომლის კრახით დასრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველებმა.**

„ედელვაისი“ (გერმ. — Operation Edelwei() — ეს არის კოდური სახელწოდება გერმანიის სარდლობის მიერ დაგეგმილი ოპერაციისა, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის დაპყრობას და რომელიც 1942 წლის 23 ივლისს დაამტკიცა ჰიტლერმა. ოპერაციაში მონაწილეობდნენ შემდეგი ძალები:

*** არმიების ჯგუფი A ვილჰელმ ლისტის ხელმძღვანელობით;**

*** 1-ლი სატანკო არმია ევალდ ფონ კლეისტის ხელმძღვანელობით;**

*** მე-4 სატანკო არმია გერმან გოტის ხელმძღვანელობით;**

*** მე-17 არმია რიჰარდ როუფის ხელმძღვანელობით;**

*** ლიუფტვაფეს მე-4 საჰაერო ფლოტი (1000 თვითმფრინავი) გენერალ-ფელდმარშალ ვოლფრამ ფონ რიხტჰოფენის ხელმძღვანელობით;**

*** რუმინეთის მე-3 არმია გენერალ პეტრე დუმიტრესკუს ხელმძღვანელობით.**

არმიების ჯგუფ A-ს აღმოსავლეთიდან ეხმარებოდა არმიების ჯგუფი B, გენერალ-პოლკოვნიკ **ფედორ ფონ ბოკის** ხელმძღვა- ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1942 წლის 23 ივლისს, დონის როსტოვის დაცემის შემდეგ, ევალდ ფონ კლეისტის სატანკო შენაერთები კავკასიის ქედისკენ დაიძრნენ. სამთო დივიზია „ედელვაისის“ მეთაურმა ჰუბერტ ლანცმა გადაწყვიტა, საბჭოთა არმიისთვის მდინარე ყუბანის ხეობიდან შეეტია — გადასულიყო მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილებზე. გერმანელი ფაშისტების მე-4 სამთო-მსროლელთა დივიზია კი, რომლის შემადგენლობაშიც ტიროლელები იყვნენ, საქართველოში გადმოსვლას სანჩარის უღელტეხილიდან შეეცადა.**

◀ ნელობით. სახმელეთო ჯარებში იყო 167 ათასი ჯარისკაცი, 15 ათასი სამხედრო ინჟინერი, 4540 ტყვიამფრქვევი და 1130 ტანკი.

## მზადება

**კავკასიაზე შეტევის წინ გერმანიაში დაარსდა სანავთობე ფირმები — „ოსტ ოილი“ და „კარპატენ ოილი“, რომლებმაც გერმანიის ხელისუფლებასთან ხელშეკრულების საფუძველზე მოიპოვეს ექსკლუზიური უფლება, 99 წლის განმავლობაში გაეწიათ ექსპლუატაცია კავკასიის ნავთობსაბადოებისთვის. ამ მიზნით, გერმანიაში ჩამოასხეს უამრავი მილი, რომლებიც მოგვიანებით ხელში ჩაიგდო და გამოიყენა საბჭოთა კავშირმა.**

გერმანელებმა შექმნეს სპეციალური ეკონომიკური კომისია, რომელმაც აკრძალა ნავთობსაბადოების დაბომბვა. ნავთობის მწარმოებელი ობიექტის დასაცავად და საბჭოთა არმიის ქვედანაყოფების შესაჩერებლად კი ეს-ესისა და კაზაკების სპეციალური პოლკები შეიქმნა.

## ოპერაცია

**1942 წლის 23 ივლისს, დონის როსტოვის დაცემის შემდეგ, ევალდ ფონ კლეისტის სატანკო შენაერთები კავკასიის ქედისკენ დაიძრნენ. სამთო დივიზია „ედელვაისის“ მეთაურმა ჰუბერტ ლანცმა გადაწყვიტა, საბჭოთა არმიისთვის მდინარე ყუბანის ხეობიდან შეეტია — გადასულიყო მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილებზე. გერმანელი ფაშისტების მე-4 სამთო-მსროლელი დივიზია კი, რომლის შემადგენლობაშიც ტიროლელები იყვნენ, საქართველოში გადმოსვლას სანჩარის უღელტეხილიდან შეეცადა.**

დივიზია „ედელვაისის“ ფლანგების დასაცავად და იალბუზისკენ მიმავალი ბილიკის ხელში ჩასაგდებად შეიქმნა სპეციალური რაზმი. 1942 წლის 21 აგვისტოს ჰაუპტმან **ჰაინც გროტის** რაზმმა კავკასიონის უმაღლეს წერტილზე — იალბუზზე — გერმანული დროშები (ტევტონების შტანდარტები) აღმართა — ნაცისტთა იდეოლოგები თვლიდნენ, რომ იალბუზი იყო არიელთა წმინდა მთა, რომელშიც დამალულია ლეგენდარული შამბალას (მითური ქვეყანა) შესასვლელი. ნახევარი წლის შემდეგ კი, 1943 წლის 13 თებერვალს, გერმანელთა დროშები საბჭოთა სამხედრო ალპინისტებმა ჩამოხსნეს და მათ ნაცვლად საბჭოური დროშები და სიმბოლოები აღმართეს.



ბექნუ და გაბრიელ ხერგიანები, რომლებმაც ჩამოხსნეს ფაშისტების მიერ იალბუზზე აღმართული დროშა



გენერალ-მაიორი კონსტანტინე ლესელიძე



**როცა გერმანელები გუდაუთას 20-25 კმ-ზე მიუახლოვდნენ, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ მტერს საქართველოს დაპყრობა რამდენიმე დღეში შეეძლო, თურქეთის მილიონიანი არმიაც მზად იყო სსრკ-ის წინააღმდეგ შეტევის დასაწყებად. კავკასიის ნავთობსაბადოების დაკარგვა საბჭოთა არმიას კატასტროფამდე მიიყვანდა, რადგან არმიის მომარაგება საწვავით შეუძლებელი იქნებოდა — გაჩერდებოდა ტანკები, თვითმფრინავები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები.**

## ლავრენტი ბერიას როლი კავკასიის დაცვის საქმეში



1942 წლის 18 აგვისტოს სტალინმა თავის კაბინეტში გამოიძახა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლავრენტი ბერია და მას კავკასიის დაცვის ორგანიზება დაავალა.

**„23 აგვისტოს ლავრენტი ბერია, თავისი საუკეთესო თანამშრომლებისა და ქართველი გენერლების თანხლებით, მოსკოვიდან შუა აზიის გავლით (ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე ფაშისტები იდგნენ) თბილისში ჩაფრინდა, სადაც მას ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის პირველი პირები: საქართველოს — კანდიდ ჩარკვიანი, სომხეთის — გრიგორი არუთინოვი, აზერბაიჯანის — მირ ჯაფარ ბაგიროვი და ამიერკავკასიის ფრონტის სარდალი, გენერალი ივან ტიულენევი დახვდნენ. ისინი ისე დათრგუნვილები ჩანდნენ, რომ ბერიამ თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე გალანძღა — „რატომ ხართ გაუპარსავები? პანიკურად რატომ ხართ განწყობილი? ქალაქში რატომ დადის ხმები, რომ წყალი არ არის, და რატომ არ დადის ტრამვაი? რა, ტრამვაიც ფრონტზე წავიდა?“**

**სამი საათის შემდეგ ბერიას მოადგილე, პოლკოვნიკი პიაშევი შინაგან ჯართან ერთად სოხუმისკენ გაემგზავრა. მათ იმავე დღეს დაიკავეს ქლუხორის უღელტეხილი, ხოლო მეორე დღეს დაიწყეს ოპერაცია გერმანელების გასანადგურებლად. გარდა ამისა, ბერიამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შექმნა სნაიპერთა სპეციალური ჯგუფები. იმხანად კავკასიონის უღელტეხილებზე ერთ სნაიპერს მთელი ბატალიონის შეკავება შეეძლო. რა როლი ითამაშეს სნაიპერებმა სტალინგრადის დაცვისას, ვიცით, მაგრამ ბევრისთვის არ არის ცნობილი, რომ ქართველმა გენერალმა ნესტორ ლაბაძემ სნაიპერთა რაზმები შექმნა, რომლებიც კავკასიის დაცვის პერიოდში ყოველდღიურად 100-200 გერმანელ ჯაშუშსა და დივერსანტს ანადგურებდნენ.**

**ამ მძიმე ვითარებაში, საქართველოში ჩამოსვლიდან ერთი დღე-ღამის შემდეგ, ლავრენტი ბერიამ 46-ე არმიის ახალ სარდლად გენერალი კონსტანტინე ლესელიძე დანიშნა. ამ არმიამ, რომელიც კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს იცავდა, დაიწყო კავკასიონის უღელტეხილების დაცვა, რათა გერმანელ ფაშისტებს ნოვოროსიისკიდან ფოთსა და ბათუმში არ შეეღწიათ. საქართველოში მნიშვნელოვან გადასასვლელებსა და მარშრუტებზე მოაწყვეს წინაღობები, საქართველოს სამხედრო გზის ჩასახერგად დაიწყო მთის ფერდობების ჩამოსაშლელი სამუშაოები, გზებზე განალაგეს საცეცხლე წერტილები, გათხარეს სანგრები და ტანკსაწინააღმდეგო თხრილები. შეიქმნა სამთო-მსროლელთა ბატალიონები და სხვ. ლესელიძის შტაბის უფროსი იყო პოლკოვნიკი, შემდგომში კი გენერალი — მიხეილ მიქელაძე. სხვათა შორის, მანამდე ლესელიძე ხელმძღვანელობდა 50-ე არმიის არტილერიას, რომელიც ტულას იცავდა, შემდეგ — 47-ე და მე-18 არმიებს და, ტრაგიკულად რომ არ დაღუპულიყო, მარშლის წოდებასაც მიაღწევდა, ისეთი ნიჭიერი გახლდათ.**

**ასე რომ, კავკასიის დაცვაში უზარმაზარი წვლილი შეიტანა ლავრენტი ბერიამ, დიდი როლი ითამაშეს სხვა ქართველმა სამხედროებმაც: გენერალ-მაიორმა ვარლამ კაკუჩაიამ, გენერალ-ლეიტენანტმა გრიგოლ კარანაძემ; ჩეკისტებმა: შალვა წერეთელმა, ილარიონ გაგუამ, მიხეილ მიქელაძემ და სხვ. კავკასიის დაცვაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის ლავრეტი ბერიას მარშლის წოდება მიანიჭეს“,** — ამბობს მეორე მსოფლიო ომის მკვლევარი, უამრავი პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, დამსახურებული ჟურნალისტი **ლევან დოლიძე.**

## შედეგები

კავკასიისთვის ბრძოლებში გერმანელმა ფაშისტებმა 100 ათასამდე ჯარისკაცი დაკარგეს, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს კავკასიის დაპყრობა. სტალინგრადის ომში გამარჯვებისა და საბჭოთა არმიის შეტევის შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასია სრულიად გათავისუფლდა ფაშისტებისგან.

აღსანიშნავია, რომ **სამთო მსვლელთა იმ დანაყოფში, რომელმაც 1943 წლის 13 თებერვალს გერმანელთა დროშები ჩამოაგდო და მათ ნაცვლად საბჭოთა კავშირის დროშები აღმართა, ქართველებიც იყვნენ — გაბრიელ** და **ბექნუ ხერგიანები.**

**1942 წლის 21 აგვისტოს ჰაუპტმან ჰაინც გროტის რაზმმა კავკასიონის უმაღლეს წერტილზე — იალბუზზე — გერმანული დროშები (ტევტონების სტანდარტები) აღმართა — ნაცისტთა იდეოლოგები თვლიდნენ, რომ იალბუზი იყო არიელთა წმინდა მთა, რომელზეც დამალულია ლეგენდარული შამბალას (მითური ქვეყანა) შესასვლელი. ნახევარი წლის შემდეგ კი, 1943 წლის 13 თებერვალს, გერმანელთა დროშები საბჭოთა სამხედრო ალპინისტებმა ჩამოხსნეს და მათ ნაცვლად საბჭოური დროშები და სიმბოლოები აღმართეს**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ლოტოსი








# ინდოეთი — ლოტოსისა და თაჯ-მაჰალის ქვეყანა

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

რესპუბლიკა ინდოეთი სამხრეთ აზიის სახელმწიფოა, რომელიც დასავლეთით ესაზღვრება პაკისტანს, ჩრდილო-აღმოსავლეთით — ჩინეთს, ნეპალსა და ბუტანს, აღმოსავლეთით — ბანგლადეშსა და მიანმას. გარდა ამისა, ინდოეთს სამხრეთ-დასავლეთით აქვს საზღვაო საზღვარი მალდივის კუნძულებთან, სამხრეთით — შრი-ლანკასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთით — ინდონეზიასთან. ქაშმირისა და ჯამუს შტატის სადავო ტერიტორია კი ესაზღვრება ავღანეთს.

ქვეყნის სახელწოდება — ინდოეთი — მომდინარეობს ძველსპარსული სიტყვიდან ჰინდუ, რომელიც სანსკრისტულ „სინდჰუს“ ენათესავება და მდინარე ინდის ისტორიული სახელწოდებაა.

ინდოეთის სუბკონტინენტი უძველესი ინდური ცივილიზაციის სამშობლოა, რომელიც უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მარშრუტების ცენტრი იყო და სიმდიდრითა და კულტურით გამოირჩეოდა.

XVIII-დან XX საუკუნის პირველ ნახევრამდე ინდოეთი დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. 1947 წელს კი, მრავალწლიანი ომის შემდეგ, ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ინდოეთს, რომელიც პოტენციურ ზესახელმწიფოდ ითვლება, აქვს ატომური იარაღი.

ინდოეთი მთაგორიანი ქვეყანაა, რომელიც დასერილია მდინარეებით. მათ შორის ყველაზე დიდია: **ინდი** (3180 კმ. ინდოეთის გაყოფის შემდეგ ამ მდინარის დიდი ნაწილი პაკისტანის ტერიტორიაზეა); **განგი** (2700 კმ) და **ბრაჰმაპუტრა** (2896 კმ). **ყველაზე მაღალი მთა** კი არის ჰიმალაიში, ნეპალის საზღვართან მდებარე **კანჩენჯანგა — 8586 მ. კლიმატი.**

ინდოეთი, რომელიც ტროპიკულ და სუბეკვატორულ ზონაში მდებარეობს და ჰიმალაის მთათა სისტემით დაცულია არქტიკული ცივი ჰაერის ზემოქმედებისგან, ერთ-ერთ ცხელ ქვეყნად ითვლება მსოფლიოში. აქ საშუალო ტემპერატურა **პლუს 28 გრადუსია**, ცხელ პერიოდებში კი **პლუს 45-48 გრადუსს** აღწევს.

**ფლორა.** ინდოეთის სამხრეთში ხარობს ძვირფასმერქნიანი ხეები: ვარდისფერი ხე, სანდალოზი, ტექტონა, ბამბუკი, აკაცია, პალმა, აგრეთვე, ლოტოსი და ნიიმი (ხე აფთიაქი), რომელსაც აიურვედური მედიცინის პრეპარატების დასამზადებლად იყენებენ.

**ფაუნა.** ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანია. ქვეყნის სამხრეთის ტყეებში ბინადრობენ სპილოები. ბენგალიის რაიონში — მარტორქები, ბენგალური ვეფხვები და ლომები. ქვეყანაში ბევრია ავაზა და ქვეწარმავალი. ყველგან შეგხვდებათ მაიმუნი — ტყეში, ტაძრებთან, ქალაქის ქუჩებში. ფრინველებიდან გავრცელებულია თუთიყუში, არწივი, ფარშავანგი.

ინდოეთის ტერიტორია 3,2 მლნ კვ.კმ-ია (მე-7 მსოფლიოში).


სარკინიგზო სადგური მუმბაიში

**მოსახლეობა.** 2013 წლის აღწერით, ინდოეთის მოსახლეობის რაოდენობა **1,2 მილიარდი იყო** (მე-2 მსოფლიოში) და სწრაფი ტემპით განაგრძობს მატებას.

ინდოეთი მრავალეროვანი ქვეყანაა. აქ ცხოვრობენ ჰინდუსტანელები — 10,5%, ტულუგები — 7,6%, ბენგალიელები — 8,4%, თამილები — 6,9, გუჯარათები — 5,5%, პენჯაბელები — 5% და სხვა.

**დედაქალაქი: ნიუ დელი** (ქალაქ დელის რაიონი, რომელსაც 42,7 კვ.კმ უკავია) — 300 ათასი კაცი.

**უდიდესი ქალაქები: მუმბაი** (ადრე — ბომბეი — 12,4 მლნ); **დელი** (11 მლნ); **კოლკატა** (ადრე — კალკუტა. 4,4 მლნ); **ჩენაი** (ადრე — მადრასი. 4,4 მლნ); **ჰაიდარაბადი** (3,6 მლნ) და **ახმადაბადი** (3,6 მლნ).

**ოფიციალური ენა: ჰინდი, ინგლისური და კიდევ 22 ენა,** რომლებიც ინდოეთის შტატების ადმინისტრაციას სხვადასხვა ადმინისტრაციული მიზნისთვის შეიძლება გამოიყენოს.


თაჯ-მაჰალი

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ინდოეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, რომელიც 22 შტატისაგან, 6 სამოკავშირეო ტერიტორიისა და 1 ნაციონალური ოლქისგან (დელი) შედგება. ყველა შტატსა და 2 სამოკავშირეო ტერიტორიას ჰყავს თავისი არჩეული ხელისუფლება. ყველა შტატი და სამოკავშირეო ტერიტორია დაყოფილია ოლქებად (სულ 600 ოლქი), ოლქები, თავის მხრივ, იყოფა უფრო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად, თალუკებად.

სახელმწიფო ხელისუფლება დაყოფილია სამ შტოდ — საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად.

სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. მთავრობის — პრემიერმინისტრი. ინდოეთის პრეზიდენტია **პრანაჰ კუმარ მუკერჯი.** პრემიერ მინისტრი — **ნარენდრა მოდი.**

**რელიგია.** 1,2 მილიარდიან ინდოეთში მოსახლეობის **80,5% აღიარებს ინდუიზმს.** სხვა რელიგიები, რომლებსაც ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავს, არის ისლამი (13,4%), ქრისტიანობა (2,3), სიკჰიზმი (1,9%), ბუდიზმი (0,8%) და ჯაინიზმი (0,4%). არიან, აგრეთვე, იუდაიზმის, ზოროასტრიზმისა და ბაჰაის მიმდევრებიც. აბორიგენთა შორის, რომლებიც მოსახლეობის 8,1%-ს შეადგენენ, გავრცელებულია ანიმიზმი.


ქარების სასახლე ჯაიპურში

## ეკონომიკა

1947 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ინდოეთი სოციალისტური ეკონომიკის პოლიტიკას ატარებდა, მაგრამ 1991 წელს რეფორმები გაატარა, სახელმწიფო კონტროლი შეასუსტა და თავისი ბაზრის კარი გახსნა.

ინდოეთში განვითარებულია სოფლის მეურნეობა. მოჰყავთ ბრინჯი, ხორბალი, ბამბა, ჩაი, შაქრის ლერწამი, კარტოფილი. განვითარებულია აგრეთვე მანქანათმშენებლობა, ქიმიური და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების მრეწველობა, ფარმაცევტული და მსუბუქი მრეწველობის დარგები. დიდი შემოსავალი მოაქვს ტურიზმს, განსაკუთრებით — სამედიცინო ტურიზმს.

ძირითადი ბუნებრივი რესურსებია: ბოქსიტები; ქრომიტები; ქვანახშირი; ალმასები; რკინა; მარგანეცი; ტიტანი; ბუნებრივი აირი და ნავთობი.

მთლიანი შიგა პროდუქტი შეადგენს 7,2 ტრილიონ დოლარს (მე-3), მოსახლეობის ერთ სულზე — 3,6 ათასი დოლარი.

**ვალუტა: ინდური რუპია (1 რუპია = 0,02 დოლარს).**

**ინტერნეტდომენი: in.**

**სატელეფონო კოდი: +91.**

**საათობრივი სარტყელი: UTC/CMT + 5:30.**

## კულტურა

ინდოელებმა დღემდე შეინარჩუნეს უძველესი კულტურული ტრადიციები, ამასთანავე, შეისისხლხორცეს დამპყრობლებისა და იმიგრანტების ადათ-წესებიც.

არქიტექტურა ერთ-ერთი სფეროა, სადაც წარმოდგენილია ინდური კულტურის მრავალფეროვნება. არქიტექტურული ძეგლების დიდი ნაწილი, მათ შორის — ისეთი ბრწყინვალე მონუმენტური ნაგებობა, როგორიცაა **თაჯ-მაჰალი**, აგრეთვე, მოგოლებისა და სამხრეთი ინდოეთის არქიტექტურული ძეგლები, ადგილობრივი და უცხოური არქიტექტურების შერწყმის ნიმუშებია.

არქიტექტურული ძეგლებიდან თაჯმაჰალის (ქალაქი აგრა) გარდა, აღსანიშნავია ქარების სასახლე ჯაიპურში, ინდის ველის ცივილიზაციის ქალაქის — მოჰენჯო დაროს ნანგრევები (ამჟამად პაკისტანის ტერიტორიაზეა); უმაიდ-ბჰავანი, სასახლე ქალაქ ჯოდჰპურში, ვიქტორიას მემორიალი კოლკატაში, ჩხატრაპატი შივაჯის სარკინიგზო სადგური მუმბაიში, ლოტოსის ტაძარი ნიუ დელიში და სხვ.

**ლიტერატურა.** ინდური ლიტერატურის ადრეული ნაწარმოებები მრავალი საუკუნის განმავლობაში სიტყვიერად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ასეთია, მაგალითად, „მაჰაბჰარატა“ და „რამაიანა“. თანამედროვე ინდოელ მწერალთა შორის აღსანიშნავია **რაბინდრანატ თაგორი,** რომელსაც 1913 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს.

ინდოეთის კინოინდუსტრიის გიგანტი „ბოლივუდი“ ყოველწლიურად 1000-ზე მეტ ფილმს იღებს.

## სამზარეულო

ინდური სამზარეულო მრავალფეროვანია. კერძების ძირითადი ინგრედიენტებია მცენარეების ფესვები, ბალახები, სანელებლები (შავი და წითელი პილპილი), მარცვლეული და ბოსტნეული. ინდუიზმის გავლენით, კერძებიდან გამორიცხულია ძროხის ხორცი, რადგან ძროხა წმინდა ცხოველად ითვლება. თუმცა ინდოელები სიამოვნებით მიირთმევენ ფრინველისა და ცხვრის ხორცს.

მოამზადა
გიორგი ბერიძე

### შემწვარი ქათამი ინდურად

**ინდოეთში ქათამს კანის გარეშე ამზადებენ. დასერილი ხორცი კი კარგად ითვისებს სანელებლებს. სუფრაზე ქათამი ტრადიციულად ლავაშთან ან შემწვარი სიმინდის ტაროსთან ერთად მიაქვთ.**



**ინგრედიენტები:**

*ქათამი — 1 ც (1,3-1,5 კგ)
*ლიმონის წვენი — 3 სუფრის კოვზი
*წყალი — 1 1/2 ს.კ.
*მარილი — 1/4 ჩ.კ.
*კოჭა — 1 ს.კ.
*იოგურტი — 1/2 ჭიქა
*ნიორი — 2 კბილი
*ქინძი — 2 ჩ.კ.
*ძირა — 2 ჩ.კ.
*პილპილი შავი — 1/2 ჩ.კ.
*ზეითუნის ზეთი — 3 ს.კ.

**მომზადება:**

*დაჭერით ქათამი 8 ნაწილად. მოაცალეთ კანი. დასერეთ ხორცი ყოველ 1 სმ-ზე.

*მინის ან უჟანგავ ჭურჭელში აურიეთ ლიმონი, წყალი, მარილი, კოჭა. დაუმატეთ ქათმის ნაჭრები და აურიეთ. ასე დატოვეთ 5 წთ-ის განმავლობაში.

*იოგურტი, წვრილად დაჭრილი ნიორი, ქინძი, ძირა და პილპილი ერთმანეთში აურიეთ და დაუმატეთ ქათამს. მიღებული მასა აურიეთ და 10 წუთით გააჩერეთ.

*ქათამი შეწვით გრილში ან აირღუმელში მაღალ ტემპერატურაზე 10 წუთის განმავლობაში. პერიოდულად წაუსვით ზეთი. შემდეგ გადააბრუნეთ და განაგრძეთ შეწვა 10-12 წუთის განმავლობაში. პერიოდულად წაუსვით ზეთი.

**ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს და თითოეული ნაბიჯი კარგად გააანალიზეთ. წარმატებას ის ადამიანები მიაღწევენ, რომლებიც შემოქმედებითი სამუშაოთი არიან დაკავებულნი. წარმატებული პერიოდია ვერძისა და მორიელის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**1 – 7 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი – 20 აპრილი

ეძებეთ მოკავშირეები დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად და გაბედულად დაიცავით თქვენი ინტერესები თუ პოზიციები. კოლეგებისა და პარტნიორების კრიტიკას, შესაძლოა, კონფლიქტი მოჰყვეს. ამიტომ სჯობს, ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღოთ. ამ პერიოდში თქვენი შემოსავლები შესამჩნევად მოიმატებს, მაგრამ ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

მარტოხელა ვერძი შეიძლება შეხვდეს ადამიანს, რომელიც მისი ცხოვრების თანამგზავრი გახდება. დაქორწინებული ვერძების ოჯახში კი ჰარმონია დაისადგურებს. ახლა ვერძები ენერგიით აღსავსენი არიან და მათ ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება.

**დადებითი დღე: 5 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 6 აპრილი.**

## კურო 21 აპრილი – 21 მაისი

სასიკეთო პერიოდია. გაგიჩნდებათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი. სამსახურში კი კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა კარიერის კიბეზე თქვენს აღმასვლას შეუწყობს ხელს.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და იმ ადამიანის ყურადღებას მოიპყრობთ, რომელიც ძალიან მოგწონთ, რაც თქვენთვის შესანიშნავი საჩუქარი იქნება.

დაოჯახებულმა კუროებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ შვილებს.

ამ პერიოდში დიდია წონის მომატების ალბათობა, ამიტომ დაიცავით დიეტა და ფიზიკურად დაიტვირთეთ.

**დადებითი დღე: 1 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 4 აპრილი.**

## ტყუპი 22 მაისი–21 ივნისი

შეძლებთ შემოქმედებითი უნარის გამოვლენასა და სასარგებლო ურთიერთობების დამყარებას, რაც დასახული მიზნების მიღწევაში დაგეხმარებათ. მოსალოდნელია ფინანსური მხარდაჭერა უცხოეთიდან.

მარტოხელა ტყუპმა, შესაძლოა, მგზნებარე რომანი გააჩაღოს საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან, თუმცა არც წარსული ურთიერთობის განახლებაა გამორიცხული.

შესაძლოა, თქვენი მზრუნველობა ახლობელ ადამიანებს დასჭირდეთ და ამისათვის დრო აუცილებლად გამოძებნეთ.

ახლა ენერგიით აღსავსე ხართ და თქვენს ჯანმრთელობას არაფერი ემუქრება.

**დადებითი დღე: 21 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 4 აპრილი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი–22 ივლისი

შესაძლოა, მოგიწიოთ ახალ პროექტებში ჩართვა, რომლებსაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება. თუ გულმოდგინედ იმუშავებთ, შესანიშნავ შედეგს მიიღებთ და ეს თქვენს ბიუჯეტზეც დადებითად აისახება.

უარი არ თქვათ იმ ადამიანების დახმარებაზე, რომლებიც თქვენთვის ძვირფასია, სიკეთე ათმაგად დაგიბრუნდებათ.

თუ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დაძაბული გაქვთ, ეს საუკეთესო პერიოდია ვითარების გამოსასწორებლად. გადადგით პირველი ნაბიჯი, თუ ეს ურთიერთობა რამედ გიღირთ.

მარტოხელა კირჩხიბებმა, შესაძლოა, გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომლის მიმართ სიმპათიაც სწრაფად გადაიზრდება სიყვარულში.

დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო თუ დაღლილობას იგრძნობთ, შეეცადეთ, ბუნების წიაღში დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 6 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 2 აპრილი.**

## ლომი 23 ივლისი –22 აგვისტო

ამ პერიოდში ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც დაგეგმილი გქონდათ და შესანიშნავ განწყობაზე დადგებით. მოგიწევთ ბევრ ადამიანთან ურთიერთობა, რომლებიც თქვენ მიერ დაწყებულ პროექტებში ჩაერთვებიან.

დაქირავებულ ლომებს დაწინაურების შანსი მიეცემათ ან სხვა, უფრო შემოსავლიან სამსახურში გადასვლის შეთავაზებას მიიღებენ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მას მეტისმეტ მოთხოვნებს არ წაუყენებთ.

ამ პერიოდში მაღალია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 3 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 1 აპრილი.**

## ქალწული 23 აგვ. –23 სექტემბ.

თუ დაგეგმილ პროექტებს თანმიმდევრობით განახორციელებთ, სასურველი შედეგი არ დააყოვნებს. განსაკუთრებით გაუმართლებთ იმ ქალწულებს, რომელთა სამუშაოც უძრავ ქონებასთან ან ოჯახურ ბიზნესთან არის დაკავშირებული.

არ არის გამორიცხული, ფინანსური მხარდაჭერა მიიღოთ პარტნიორებისგან ან ახლობლებისგან.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შეიძლება გააუარესოს თქვენს საქმეებში ნათესავების ჩარევამ. აღიჭურვეთ მოთმინებით და ყველა უთანხმოება მოგვარდება.

აუცილებლად იპოვეთ ოქროს შუალედი სამუშაოსა და დასვენებას შორის, რადგან შესაძლოა, გადაღლილობის შედეგად ქრონიკული დაავადება გაგიმწვავდეთ.

**დადებითი დღე: 4 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 1 აპრილი.**

## სასწორი 24 სექტ. – 23 ოქტ.

ამ პერიოდში უნდა დაამტკიცოთ, რომ თქვენი პროექტები პერსპექტიულია და დაუღალავად მუშაობა შეგიძლიათ. თუ აქცენტს გუნდურ მუშაობაზე გააკეთებთ, წარმატებას მიაღწევთ. დახმარების ხელი შეიძლება მეგობრებმაც გამოგიწოდონ. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწევენ ის სასწორები, რომლებიც შემოქმედებით სფეროში ან პოლიტიკაში მოღვაწეობენ. მარტოხელა სასწორს საწინააღმდეგო სქესის საინტერესო წარმომადგენლებთან შეხვედრა ელის და ურთიერთობა, შესაძლოა, მგზნებარე რომანში გადაიზარდოს.

დაოჯახებულ სასწორებს კი, შესაძლოა, მეუღლის მშობლებთან შეექმნათ პრობლემები.

მეტი დაისვენეთ და დაიცავით კვების რეჟიმი!

**დადებითი დღე: 3 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 6 აპრილი.**

## მორიელი 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

ამ პერიოდში ნებისმიერი კოლექტივის შეუცვლელი წევრი იქნებით და თქვენს მხრებს ბევრი საქმე დააწვება — მნიშვნელოვანიც და მეორეხარისხოვანიც, თუმცა ყველას შესანიშნავად გაუმკლავდებით. თქვენი მონდომება ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც.

აპრილის პირველ რიცხვებში ძალიან დაკავებული იქნებით სამსახურებრივი პრობლემებით და პირადი ცხოვრებისთვის დრო თითქმის აღარ დაგრჩებათ. თუმცა ახლობელი ადამიანები ამ მდგომარეობას გაითვალისწინებენ და თქვენგან მეტისმეტ ყურადღებას არ მოითხოვენ.

გაფრთხილდით ავტომობილის მართვისას!

**დადებითი დღე: 6 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 1 აპრილი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. – 21 დეკ.

მოაგვარებთ იმ პრობლემებს, რომლებიც ძალიან გაწუხებდათ. ამას კი ვითარების სწორი შეფასებით მოახერხებთ. შეამცირეთ გასავლები და შეეცადეთ, ფული მხოლოდ აუცილებელი საჭიროებისთვის დახარჯოთ.

ახლობელმა ადამიანმა შეიძლება ისეთი რამ გთხოვოთ, რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით, მაგრამ უარი არ უთხრათ — ეს მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში შეიძლება ბზარი გაჩნდეს, თუ ემოციებს ვერ დაიოკებთ და სამართლიანობის განცდას დაკარგავთ. დაიცავით კვების რეჟიმი, რადგან დიდია კუჭ-ნაწლავის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 4 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 7 აპრილი.**

## თხის რქა 22 დეკემ. – 20 იან.

ბიზნესმენი თხის რქები საქმის რეორგანიზების აუცილებლობის წინაშე დადგებიან. შესაძლოა, შეიცვალოთ ოფისი ან გაყიდოთ უძრავი ქონება. რთულ ვითარებაში პარტნიორების დახმარების იმედი გქონდეთ, რომლებიც მხარს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ფინანსურადაც დაგიჭერენ.

თხის რქებს შესაძლოა, ურთიერთობა გაუმწვავდეთ საყვარელ ადამიანთან. მიზეზი კი ძუნწობა იქნება.

დაოჯახებულმა თხის რქებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ შვილებს, რომელთა პრობლემების მოგვარებასაც საკმაო დანახარჯები დასჭირდება.

**დადებითი დღე: 6 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 2 აპრილი.**

## მერწყული 21 იან. – 19 თებ.

ეძებეთ თანამოაზრეები. სწორედ ასეთი ადამიანები იქნებიან თქვენი საყრდენი ცხოვრების გზაზე. მათი დახმარებით შეძლებთ წინსვლას კარიერაში. მთავარია, სწორად შეაფასოთ პერსპექტივები და შეძლოთ მთავარი მიზნის გარჩევა მეორეხარისხოვანისგან.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში მოსალოდნელია პრობლემები, რაც თქვენი წინდაუხედაობით იქნება გამოწვეული. თუ საყვარელი ადამიანი გაგინაწყენდებათ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ თქვენს საქციელზე სასწრაფოდ უნდა დაფიქრდეთ.

სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოების გამოყენებისა და ავტომობილის მართვისას!

**დადებითი დღე: 5 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 1 აპრილი.**

## თევზები 20 თებ. – 20 მარტი

სამსახურში ვითარება სულ უფრო სტაბილურდება და დიდია, დამატებითი შემოსავლის მიღების ან დაწინაურების შანსი. შესაძლოა, მოგიწიოთ უცხოეთში გამგზავრება ახალ პარტნიორებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

კოლეგებთან ურთიერთობისას კი თავი შეიკავეთ კრიტიკისგან, რადგან დიდია კონფლიქტის ალბათობა.

მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანს, თქვენი მზრუნველობა მას ბედნიერებას მოჰგვრის. ამ პერიოდში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი შემცირებულია, ამიტომ შეეცადეთ, დაისვენოთ და სწორად იკვებოთ.

**დადებითი დღე: 6 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 2 აპრილი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეთოდები, რომელთა საშუალებით ინფორმაციის გადაცემის ფაქტი საიდუმლოდ რჩება, ძველთაგანვე არსებობდა. სპარსეთში მცხოვრებმა სპარტელმა დემარატემ ძვ.წ. 480 წელს სპარტაში გასანთლული სუფთა საწერი ფიცრები გაგზავნა, რითაც ბერძნები სპარსელთა თავდასხმის შესახებ გააფრთხილა. მან პირდაპირ ხის ფიცარზე დაწერა წერილი, რომელიც შემდეგ ცვილის ახალი ფენით დაიფარა.**



# ზოგი რამ შიფრებისა და კოდების შესახებ

**კოდები და შიფრები საიდუმლო ინფორმაციის დასაცავად გამოიყენება, თუმცა ამ როლს ისინი სხვადასხვაგვარად ასრულებენ. კოდირების დროს გზავნილის ყველა სიტყვა ან ფრაზა იცვლება კოდური სიტყვებით ან ციფრებით. კოდირებული ინფორმაციის ჩაწერის ან წაკითხვის ერთადერთი გზაა კოდების წიგნის გამოყენება. დაშიფრვის დროს ტექსტში ასოების სხვა ასოებით ჩანაცვლება ხდება. შიფრით ჩაწერისა და ამოკითხვისთვის აუცილებელია, თითოეული ასოს დაშიფრვის წესის ცოდნა.**

კრიპტოგრაფია (წარმოიშვა ბერძნული სიტყვებიდან „კრიპტოს“ — ფარული, და ზმნიდან „გრაფო“ — წერა, ანუ ფარული წერა) არის მეცნიერება ინფორმაციის დაფარვის შესახებ. კრიპტოგრაფია მჭიდროდაა დაკავშირებული მათემატიკასთან, ინფორმაციის თეორიასთან, კომპიუტერული უსაფრთხოებასთან. დღეს იგი გამოიყენება ტექნოლოგიურად განვითარებულ სფეროებში, როგორიცაა: საკრედიტო ბარათები, კომპიუტერული პაროლები, ელექტრონული კომერცია და მრავალი სხვ.

**კრიპტოგრაფიული სისტემა ყოველთვის გულისხმობს 2 ან მეტ მონაწილეს — „გამგზავნს“ და „მიმღებს“, რომელთაც სურთ, ერთმანეთს გადასცენ რაიმე სახის ინფორმაცია ისე, რომ ამ სისტემისთვის გარეშე პირმა ვერ შეძლოს მისი მოპოვება (კერძო შემთხვევებში მონაწილე შეიძლება იყოს ერთი პირი, რომელსაც სურს, მოახდინოს ინფორმაციის საიმედოდ შენახვა, ანუ ინფორმაცია გადასცეს თავის თავს, ოღონდ მომავალში).**

გადასაცემ ინფორმაციას ეწოდება ღია ტექსტი. ინფორმაციის სახეცვლილებას ისე, რომ დაფარულ იქნას მისი აზრი, შიფრაციას უწოდებენ, უკუპროცესს — დეშიფრაციას, მიღებულ შედეგს — შიფროტექსტს, ხოლო შიფრაცია-დეშიფრაციის ალგორითმს — შიფრს. ეს პროცესი უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია გასაღებზე. გასაღები არის საიდუმლო პარამეტრი, რომელიც ცნობილია მხოლოდ ურთიერთმოკავშირე მხარეებისთვის.

შიფრები გასაღების გარეშე უსარგებლოა, მაგრამ არსებობს მათი გატეხვის ტრივიალური ხერხები. კრიპტოსისტემა წარმოადგენს შიფრის, ყველა შესაძლო ღია ტექსტის, შიფროტექსტისა და გასაღების ერთობლიობას. კრიპტოგრაფიული პროტოკოლები წარმოადგენენ წესების ერთობლიობას, რომლებიც სრულდება კრიპტოგრაფიული სისტემის მონაწილეების მიერ თანმიმდევრობით და უპირობოდ.

ტერმინი „კოდი“ კრიპტოგრაფიაში აღნიშნავს ჩვეულებრივი ტექსტის ნაწილის შეცვლას კოდური სიტყვით ან ფრაზით. კოდები სერიოზულ კრიპტოგრაფიაში აღარ გამოიყენება, რადგან მისი გამოყენება მოითხოვს, რომ მონაცემთა გადაცემამდე მოკავშირეთა შორის ყველა შესაძლო მონაცემი შესაბამისი სიტყვებით კოდირებული და ურთიერთშეთანხმებული იყოს. ამავე დროს ყოველთვის არსებობს მონაცემთა სიმრავლე, რომელთათვისაც შესაბამისი კოდური სიტყვა ჯერ არ შეთანხმებულა. შიფრები უფრო მოსახერხებელია და ამავე დროს უფრო მისადაგებული კომპიუტერულ გამოთვლებთან.

კრიპტოგრაფია უძველესი დროიდან გამოიყენებოდა შეტყობინებათა საიდუმლოების დასაცავად. ამას აკეთებდნენ ტექსტის გარდაქმნით სიმბოლოების გაურკვეველ ნაკრებად ისე, რომ უკუგარდაქმნა იოლი ყოფილიყო მხოლოდ შეტყობინების ადრესატისთვის. უკანასკნელ ათწლეულებში კრიპტოგრაფიამ ისეთი ფუნქციებიც შეიძინა, როგორიცაა შეტყობინების მთლიანობის შემოწმება, აუთენტიფიკაცია, ციფრული ხელმოწერა, პირადობის შემოწმება, საიდუმლო გამოთვლები და სხვ.

**დაწერილი ინფორმაციის ფარულად გადაცემის მეთოდებსა და საშუალებებს სტეგანოგრაფია შეისწავლის. მეთოდები, რომელთა საშუალებით ინფორმაციის გადაცემის ფაქტი საიდუმლოდ რჩება, ძველთაგანვე არსებობდა. სპარსეთში მცხოვრებმა სპარტელმა დემარატემ ძვ.წ. 480 წელს სპარტაში გასანთლული სუფთა საწერი ფიცრები გაგზავნა, რითაც ბერძნები სპარსელთა თავდასხმის შესახებ გააფრთხილა. მან პირდაპირ ხის ფიცარზე დაწერა წერილი, რომელიც შემდეგ ცვილის ახალი ფენით დაიფარა.** 80 წლის შემდეგ სპარტელებმა მსოფლიოში პირველი გასაშიფრი მოწყობილობა გამოიგონეს, რომელსაც **სკიტალი** ეწოდება. იმ დროიდან კოდები, შიფრები და სტეგანოგრაფიული მეთოდები ფართოდ გამოიყენება სამხედრო და პოლიტიკური საიდუმლო ინფორმაციის გადასაცემად.

მორზეს ანბანი, რომელიც ამერიკელმა სემიუელ მორზემ 1835 წელს გამოიგონა, მსოფლიოში მილიონობით ადამიანმა იცის. იგი ინფორმაციის გაგზავნა-გადაცემის საშუალებაა და არა საიდუმლო კოდი. ჩვეულებრივი ანბანის ყოველ ასოს, რიცხვსა და სასვენ ნიშანს მორზეს ანბანში წერტილებისა და ტირეების გარკვეული კომბინაცია შეესაბამება. მათგან შედგენილი დაშიფრული გზავნილი კი ელექტროსიგნალების სახით ტელეგრაფის გადამცემი ხაზებით იგზავნება. მორზეს ანბანის გამოყენებით პირველად გახდა შესაძლებელი შეტყობინების მყისიერი გადაგზავნა. იგი, როგორც ინფორმაციის გადაცემის ოფიციალური სისტემა, 2008 წელს გაუქმდა.

თავად სემიუელ მორზე ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორი იყო სახვითი ხელოვნების დარგში, როდესაც ანბანის შედგენის იდეა დაებადა; ის და მისი მხარდამჭერები მრავალი წელი ეძებდნენ თანხებს ახალი სატელეგრაფო სისტემის შესაქმნელად. მორზეს ანბანის გამოყენებით 1844 წელს გადაიცა პირველი გზავნილი კაპიტოლიუმიდან ბალტიმორში.




კიდევ ერთი სახელგანთქმული ისტორიული სისტემა არის **ენიგმა**. ეს გერმანული წარმოების პორტატიული ელექტრომექანიკური მანქანაა, რომელიც იყენებს როტორებს, უხმობს მათ, ავიდნენ ცილინდრებზე ინფორმაციის კოდირებისათვის და\ან დეკოდირებისთვის. უფრო სწორად, ენიგმა მანქანების მთელი ოჯახია, ვინაიდან არსებობდა მრავალი სხვადასხვა ვარიანტი. მსოფლიოში ის გაყიდვაშია 1920 წლიდან; გამოიყენებოდა სამხედრო და დიპლომატიური დანიშნულებით არაერთ ქვეყანაში. ყველაზე მეტად მას იყენებდნენ გერმანელები და მათი მოკავშირეები მეორე მსოფლიო ომში და მის დაწყებამდე.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომამდე მისი მომხმარებლების მიერ ის განიხილებოდა, როგორც ზუსტი, ინგლისელ კრიპტოლოგების შეგულით ამ მანქანით დაშიფრული გზავნილების გაშიფრვა ელექტრომექანიკური ბომბებით. ამ წყაროს წყალობით მიღებულმა ინფორმაციამ საკმაოდ წინ წასწია ინგლისი ომში. ნავარაუდევია, რომ ევროპის ბრძოლა დასრულდა ერთი წლით ადრე გერმანული კრიპტოანალიზის კოდის ხარჯით, რომელშიც საკმაო როლი ითამაშა ენიგმათი დაშიფრული ინფორმაციის გაშიფრვამ. თუმცა მანქანას ჰქონდა ნაკლიც, დაშვებული ენიგმას გამომყენებელი დამშიფრველების მიერ, ისევე, როგორც პოლიტიკოსების არასწორი ნაბიჯები, რომლებმაც შეამცირეს დაშიფრვის სირთულე.

ენიგმას ჰქონდა 26-ასოიანი კლავიატურა ლათინური ანბანით, 26-ნათურიანი პანელი, საკომუნიკაციო პანელი, როტორების სისტემა შიფრატორი დისკოებით და ელექტრობატარეა. ენიგმა ასოთა გადაცვლების მილიარდობით შესაძლებლობას იძლეოდა. ყოველდღე განისაზღვრებოდა მისი შიფრი: მანქანის ხუთი როტორიდან რომელ სამს და როგორი თანმიმდევრობით ემუშავა. დაშიფრულ ტექსტს ოპერატორები ხელით იწერდნენ და მორზეს ანბანით ან სხვა საშუალებით ადრესატს გადასცემდნენ. გერმანიის ქვეითი ჯარი, საჰაერო ძალები და ფლოტი სხვადასხვა დღიურ კოდს იყენებდნენ.

შიფრის კლასიკური ტიპებია გადანაცვლებადი შიფრი (ტექსტში ხდება სიმბოლოების გარკვეული გადაადგილება) და ჩანაცვლებადი შიფრი (ტექსტში ხდება ერთი სიმბოლოს ან სიმბოლოების ჯგუფის სხვებით შეცვლა). ჩანაცვლებადი შიფრის პირველი ცნობილი მაგალითია **იულიუს კეისრის** შიფრი, რომელშიც ლათინური ანბანის ყოველი ასო იცვლებოდა მისგან მარჯვნივ 3 პოზიციით დაცილებული სიმბოლოთი.

კეისრის შიფრის განვითარებულ სახეს წარმოადგენს ვიჟნერის შიფრი. დღესდღეობით ის კიდევ გამოიყენება ROT13-ში. თანამედროვე კრიპტოანალიზის თვალსაზრისით, კეისრის შიფრს არ გააჩნია სასურველი ღირებულება.

კეისრის კოდის გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ ლათინური ანბანისთვის, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი ანბანისთვის. კეისრის კოდი, ვიჟნერის კოდისგან განსხვავებით, ერთი ტექსტისთვის ერთსა და იმავე ბიჯს იყენებს.

კეისრის კოდი თავის დასახელებას იღებს იულიუს კეისრისგან, რომელმაც პირველმა გამოიყენა დაშიფვრა ბიჯით 3 მარცხნივ სამხედრო სახის მიმოწერაში.

„ ...და მათ, ვისაც სურდა, ნაწილობრივ დაემალა ტექსტის შინაარსი, ცვლიდა ტექსტის ასოებს ისე, რომ ტექსტი კარგავდა ჭეშმარიტ სახეს. და მათ, ვისაც სურს ტექსტის გაშიფვრა, ვუთითებ, რომ შეცვლა მოხდა ასო-ასო: ანბანის პირველ ასოს შეესაბამება მეოთხე, თუ გვაქვს A, გვექნება D, და ა. შ.“ (სუეტონი, თორმეტი კეისრის ცხოვრება, წიგნი I, პარაგრაფი 56)

მიუხედავად იმისა, რომ კეისარი იყო პირველი ცნობილი ისტორიული პერსონაჟი, რომელმაც გამოიყენა დაშიფრვის ეს ტექნიკა, ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს ტექნიკა მანამდეც იყო გამოყენებული მისი ნათესავის — ავგუსტუსის მიერ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ბიჯი იყო ერთი.

„ყოველთვის, როდესაც ის წერდა დაშიფრული სახით ტექსტს, იყენებდა B-ს A-ს მაგივრად, C-ს B-ს მაგივრად და ა. შ. დარჩენილი ანბანისთვის იყენებდა AA-ს X-ის მაგივრად“ (სუეტონი, ავგუსტის ცხოვრება).

უტყუარი ცნობები იმის შესახებ, რომ იულიუს კეისარი იყენებდა უფრო რთულ დაშიფვრის მეთოდებსაც, მოიპოვება ავლ გელის ნაშრომებში (Aulus Gellius, 17.9.1–5).

**კლასიკური შიფრებით დამუშავებული ტექსტი (შიფროტექსტი) ყოველთვის შეიცავდა გარკვეულ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც იძლეოდა საწყისი ტექსტის აღდგენის საშუალებას. IX-ე საუკუნეში არაბი მათემატიკოსის მიერ სიხშირული ანალიზის აღმოჩენის შემდეგ, ასეთი შიფრების გატეხვა გაცილებით იოლი გახდა. 1467 წელს იტალიელმა ლეონ ბატისტა ალბერტიმ გამოიგონა პოლიალფაბეტური შიფრი, რომლითაც ტექსტის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა შიფრით იშიფრებოდა. მანვე გამოიგონა პირველი მექანიკური დამხმარე მოწყობილობა (ბორბალი).**



რაც შეეხება ვიჟნერის შიფრს, ეს არის კეისრის შიფრის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც იყენებს სხვადასხვა ბიჯს ტექსტის ყველა ასოსთვის. ბიჯის მნიშვნელობა განისაზღვრება სიტყვა-გასაღების დახმარებით. თუ სიტყვა-გასაღები შევარჩიეთ შემთხვევით და თუ მისი სიგრძე ▶






ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ისეთივე გრძელია, როგორც დასაშიფრი შეტყობინება, მაშინ შედეგი თეორიულად გაუტეხელია.

**ვიჟნერის პოლიალფაბეტურ შიფრში გამოიყენებოდა პაროლი, რომელიც განსაზღვრავდა, ტექსტის რომელი სიმბოლო შიფრის რომელი სიმბოლოთი უნდა შეცვლილიყო**. 1800 წელს ბებიჯმა დაამტკიცა, რომ ასეთი ტიპის პოლიალფაბეტური შიფრებიც ექვემდებარებოდა გარკვეულ სიხშირულ ანალიზს.

მიუხედავად იმისა, რომ სიხშირული ანალიზი საკმაოდ მძლავრი საშუალებაა კრიპტოანალიზისთვის, ის მაინც შედარებით უცნობ მეთოდად რჩებოდა. ამ მეთოდის გარეშე შიფრის გატეხვა მოითხოვდა შიფრის ალგორითმის ცოდნას, რის მოპოვებაც შპიონაჟით, მოქრთამვითა და გამოძალვებით ხერხდებოდა.

XIX საუკუნეში დადგინდა, რომ შიფრის ალგორითმის საიდუმლოდ შენახვა შიფრის დაცულობის გარანტი არ არის და რომ შიფრი დაცული უნდა რჩებოდეს მაშინაც კი, როდესაც მოწინააღმდეგე სრულად ფლობს გამოყენებული შიფრის ალგორითმის შესახებ ინფორმაციას. სხვა სიტყვებით, იდეალური შიფრის დაცულობა დამოკიდებული უნდა იყოს შიფრის გასაღების (პაროლის) დაცულობაზე. კრიპტოგრაფიის ეს ფუნდამენტური პრინციპი პირველად ჩამოაყალიბა 1883 წელს ავგუსტ კერჰოფმა („კერჰოფის პრინციპი“), შემდგომში კი ეს პრინციპი განავრცო კლოდ შენონმა.

კრიპტოგრაფიაში მრავალი ხელსაწყო და მექანიზმი იქნა გამოყენებული. პირველი ცნობილი მაგალითია ძველ საბერძნეთში სპარტელების მიერ გამოყენებული ღვედი გადანაცვლებადი შიფრისთვის. პოლიალფაბეტურ შიფრებთან ერთად გამოჩნდა ალბერტის შიფრის დისკი, ტრიტემიუსის სქემა და ჯეფერსონის ცილინდრები. რამდენიმე შიფრაცია-დეშიფრაციის მოწყობილობა იქნა გამოგონებული XX საუკუნის დასაწყისში, მათ შორის როტორული მანქანები. მათგან ყველაზე ცნობილი, ენიგმა, გერმანელების მიერ გამოყენებულ იქნა II მსოფლიო ომში. ამ ტიპის მანქანებმა კარდინალურად გაზარდა კრიპტოანალიზის სირთულე.

**კომპიუტერების გამოჩენამ შესაძლებელი გახადა, შექმნილიყო გაცილებით რთული და დახვეწილი შიფრები.** შესაძლებელი შეიქნა, ბინარულ ფორმატში დაშიფრულიყო ყველანაირი მონაცემი. კომპიუტერული შიფრები უმეტესწილად მანიპულირებენ ბიტებზე ან ბიტების ჯგუფებზე, განსხვავებით კლასიკური პოლიალფაბეტური შიფრებისგან, რომლებიც ტექსტის ცალკეულ სიმბოლოებს ამუშავებდნენ. ამავე დროს, გაადვილდა შიფრების კრიპტოანალიზი. მიუხედავად ამისა, თანამედროვე შიფრები მონაცემების დაცვის მაღალ დონეს უზრუნველყოფენ, მათი კრიპტოანალიზის გზით გატეხვა იმდენად კოლოსალურ გამოთვლით და დროით რესურსებს მოითხოვს, რომ პრაქტიკულად შეუძლებლად მიიჩნევა.

თუ XX საუკუნემდე კრიპტოგრაფია, ძირითადად, მანიპულირებდა სიმბოლოებზე და იყენებდა ლინგვისტიკის ელემენტებს, XX საუკუნიდან ხდება მათემატიკის ინტენსიური გამოყენება, ინფორმაციის თეორიის, სტატისტიკის, აბსტრაქტული ალგებრისა და რიცხვთა თეორიის ჩათვლით. ბოლო წლებში მიმდინარეობს კრიპტოგრაფიაში კვანტური ფიზიკის ელემენტების შემოტანაც.

თანამედროვე კრიპტოგრაფიაში სიმეტრიული კრიპტოგრაფია იყენებს მეთოდებს, რომელთა დროსაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები იყენებენ ერთსა და იმავე გასაღებს (იშვიათად — სხვადასხვას, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი გასაღები იოლად გამოითვლება მეორიდან). 1976 წლამდე ეს შიფრაციის ერთადერთი მეთოდი იყო. თანამედროვე სიმეტრიული კრიპტოგრაფია დაკავშირებულია, ძირითადად, ბლოკურ შიფრებთან, ნაკადურ შიფრებთან და მათ გამოყენებასთან.

ფაქტობრივად, ბლოკური შიფრი წარმოადგენს პოლიალფაბეტური შიფრის მოდიფიკაციას: აიღება საწყისი ტექსტის გარკვეული სიგრძის ნაწილი (ბლოკი) და გასაღები, შედეგად მიიღება იმავე (იშვიათად განსხვავებული) სიგრძის შიფროტექსტი. შიფროტექსტის შემადგენელი ბლოკების ერთმანეთთან შერწყმისთვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, რომლებსაც მთლიანობაში ქმედების რეჟიმი ეწოდება. მონაცემთა შიფრაციის სტანდარტი (Data Encryption Standard DES) და გაუმჯობესებული შიფრაციის სტანდარტი (Advanced Encryption Standard AES) წარმოადგენენ ბლოკურ შიფრებს. DES (და მისი ნაირსახეობა 3DES) ჯერაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ალგორითმად და ფართოდ გამოიყენება, თუმცა, მისი გასაღების სიგრძის არასაკმარისობის გამო, ხდება მისი ჩანაცვლება სხვა, უფრო თანამედროვე ალგორითმებით. დღემდე გამოგონილია მრავალი ბლოკური შიფრი, მათი უმეტესობა გატეხილია წარმატებული კრიპტოანალიზის შედეგად.

ნაკადური შიფრი ქმნის განუსაზღვრელი სიგრძის გასაღებს, რომელიც შემდგომ უერთდება საწყის ინფორმაციას (ბიტობრივად ან ბაიტობრივად). გამომავალი ინფორმაცია დამოკიდებულია შიფრის შინაგან მდგომარეობაზე, რომელიც მოქმედების მიმდინარეობისას იცვლება. საწყისი მდგომარეობა დამოკიდებულია შიფრის გასაღებზე (ზოგიერთ ნაკადურ შიფრში ტექსტზეც).

**კრიპტოგრაფიული ჰეშ-ფუნქციები (ტექსტის ანაბეჭდის ფუნქციები) წარმოადგენს კრიპტოგრაფიული ალგორითმების მნიშვნელოვან კლასს. ისინი იღებენ საწყის მნიშვნელობად ტექსტს და უკან აბრუნებენ ფიქსირებული სიგრძის ჰეშს, რომელიც დაკავშირება საწყის მნიშვნელობასთან პრობლემას წარმოადგენს. ასეთ ფუნქციებს ცალმხრივ ფუნქციებსაც ეძახიან. საუკეთესო ალგორითმებისათვის კოლიზიები (ორი ტექსტი, რომელთა ჰეში ერთი და იგივეა) რთული მოსაძებნი უნდა იყოს და ამის ალბათობა მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი.**

სიმეტრიული კრიპტოგრაფია იყენებს 1 გასაღებს შიფრაციისთვის და დეშიფრაციისთვის. ამ მეთოდის უპირველეს ნაკლს გასაღების მართვის აუცილებლობა წარმოადგენს. ქსელში ყოველ სხვადასხვა წყვილს უწევს, იქონიოს ცალკე გასაღები, რაც წყვილთა რაოდენობის გაზრდისას გასაღებების რაოდენობის კვადრატული პროპორციით გაზრდას იწვევს. ორ მოკავშირე მხარეს შორის გასაღების გაცვლა, მაშინ, როცა ჯერ არ არსებობს დაცული საკომუნიკაციო არხი, კვერცხისა და ქათმის პრობლემას ემსგავსება (გასაღების გაცვლა უნდა მოხდეს ფარულად, ფარულად გაცვლა ითხოვს დაშიფრვას, დაშიფრვა, თავის მხრივ, თხოულობს გასაღების გაცვლას და ა. შ.).



**1976 წელს უიტფილდ დიფიმ და მარტინ ჰელმანმა წარმოადგინეს ასიმეტრიული კრიპტოგრაფია — კარდინალურად განსხვავებული კონცეფცია, რომელშიც გამოიყენება ორი სხვადასხვა, მაგრამ მათემატიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული გასაღები — ღია და ფარული გასაღებები. ფარული გასაღების მიღება ღია გასაღებიდან მოითხოვს კოლოსალურ გამოთვლით რესურსებს. ასიმეტრიულ კრიპტოგრაფიაში ღია გასაღები შეიძლება ყველასთვის ცნობილი იყოს;** ამასთანავე, ფარული გასაღები საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ტიპურ შემთხვევაში ფარული გასაღები გამოიყენება შიფრაციის დროს, ხოლო ღია გასაღები — დეშიფრაციის დროს. დიფიმ და ჰელმანმა ასევე წარმოადგინეს დიფი-ჰელმანის გასაღების გაცვლის პროტოკოლი.

1978 წელს კრიპტოგრაფების ჯგუფმა, რონალდ რივესტის, ადი შამირისა და ლენ ედლმანის შემადგენლობით, შექმნეს მეორე ასიმეტრიული კრიპტოსისტემა RSA. დიფი-ჰელმანის და RSA-ს ალგორითმები დღეს ფართოდ არის გავრცელებული. არსებობს ასევე რამდენიმე სხვა კრიპტოსისტემაც, რომლებიც ღია გასაღების კონცეფციას იყენებს.

შიფრაციის გარდა, ასიმეტრიული კრიპტოგრაფია ციფრული ხელმოწერებისთვისაც გამოიყენება. ციფრული ხელმოწერა ჩვეულებრივ ხელმოწერას იმით წააგავს, რომ მისი მფლობელისთვის მისი შექმნა და განკარგვა მარტივია, ხოლო უცხო პირისთვის მისი დუბლირება — შეუძლებელი.

ღია გასაღების კრიპტოსისტემები დაფუძნებულია „ძნელი“ პრობლემების გამოთვლით სირთულეზე. მაგალითად, RSA ემყარება რიცხვის ფაქტორიზაციის პრობლემას (ანუ დიდი რიცხვის დაშლას მარტივ მამრავლებად), ხოლო დიფი-ჰელმანის ალგორითმი ეფუძნება დისკრეტული ლოგარითმების პრობლემას. ასეთი სისტემების უმეტესობაში ინტენსიურად გამოიყენება მოდულით გამრავლება და ახარისხება; შესაბამისად, გაცილებით მეტი გამოთვლითი სიმძლავრეა საჭირო, ვიდრე სიმეტრიულ სისტემებში, ამიტომ ღია გასაღების კრიპტოსისტემები, ძირითადად, გამოიყენება, როგორც ჰიბრიდული სისტემები, სადაც ინფორმაციის შიფრაცია/დეშიფრაციისათვის გამოიყენება სწრაფი სიმეტრიული ალგორითმები, ხოლო მისი გასაღების მართვისა და გადაცემისთვის გამოიყენება შედარებით ნელი ასიმეტრიული ალგორითმები.

კრიპტოანალიზის უმთავრესი ამოცანაა, იპოვოს სუსტი წერტილები კრიპტოგრაფიულ სისტემაში, რათა შეძლოს ამ სისტემით დაცული ინფორმაციის მოპოვება. კრიპტოანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ბოროტგანმზრახველის მიერ, ასევე კრიპტოსისტემის შემქმნელის მიერ ამ სისტემაში ნაკლის აღმოსაჩენად — გაცილებით იოლია სისტემის ნაკლის პოვნა, ვიდრე მისი სრულყოფილების დამტკიცება.

II მსოფლიო ომის პერიოდში კლოდ შენონმა დაამტკიცა, რომ შიფრის გატეხვა თეორიულად შეუძლებელია, თუ მისი გასაღები ნამდვილად შემთხვევითია, არ მეორდება, ტექსტის სიგრძის ტოლი ან მეტია და დაცულია სხვა პირების მხრიდან პირდაპირი წვდომისაგან. ამ პირობებს მხოლოდ ე. წ. ერთჯერადი ბლოკნოტი აკმაყოფილებს. სხვა შიფრები, გარდა ამ შიფრისა, შეიძლება გატყდეს ე. წ. უხეში ძალის მეთოდით (მიუხედავად მისი დროისა). ამავე დროს, შესაბამისი გამოთვლების ოდენობა ექსპონენციურად დამოკიდებულია გასაღების სიგრძეზე. სისტემა ითვლება დაცულად, თუ ამ გამოთვლების ოდენობა ალემატება ნებისმიერი მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს, ამავე დროს, თუ არ არსებობს გატეხვის სხვა მეთოდი, რომელიც უფრო სწრაფი იქნებოდა, ვიდრე უხეში ძალის მეთოდი. დღესდღეისობით ერთადერთ თეორიულად გაუტეხელ შიფრად ერთჯერადი ბლოკნოტი რჩება.

**მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მეცნიერებამ განვითარების წარმოუდგენელ დონეს მიაღწია და ბევრ აქამდე ამოუცნობ მოვლენას მოუძებნა გასაღები, დღემდე არსებობს არაერთი შიფრი, რომელთა გაშიფვრაც, მიუხედავად უამრავი დაჟინებული მცდელობისა, შეუძლებელია.**

აგაპევის კოდის სახელითაა ცნობილი ამოუცნობი შიფრი, რიცხვთა კომბინაცია, რომელიც შეტანილი იქნა წიგნში სახელწოდებით „კოდები და შიფრები“. წიგნის ავტორია ალექსანდრე აგაპევი (1939 წ). როგორც იგი ამბობს, მას არ ახსოვს, თუ როგორ გაშიფრა ციფრთა კომბინაცია. თვითონ ციფრები აღნიშნავს კატასტროფების თარიღებს (ასე ვარაუდობენ მეცნიერები).

ლენგლიში, ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სათაო ოფისის წინ დგას ამერიკელი ჯეიმს სანბორნის სკულპტურა — კრიპტოსი. მისი აღმართვის დღიდან — 1990 წლის 3 ნოებრიდან დადიოდა ხმები მისი მნიშვნელობის შესახებ. თვითონ კრიპტოსი დაწერილია ლათინური ასოებით და ასევე რამდენიმე უცხო ნიშანს შეიცავს. წარწერა 4 დანაყოფადაა წარმოდგენილი და სულ 865 სიმბოლოს მოიცავს. პირველი ადამიანი, რომელმაც 3 დანაყოფი გაშიფრა, იყო ჯეიმს გილოგლი. სულ მან მოახერხა 768 სიმბოლოს აზრის გაგება, ხოლო მეოთხე ნაწილის შინაარსი ჯერ კიდევ უცნობია.

**ექსპერტები, რომლებმაც გაშიფრეს ნაცისტების საიდუმლო კოდი, ცდილობენ, გაშიფრონ 10-ასოიანი კოდი, რომელმაც საფიქრალში ჩააგდო მრავალი ადამიანი. წარწერა შაგბორის სახლზეა და ასე გამოიყურება:**

**D.O.U.O.S.V.A.V.V.M.**

**როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ამ კობინაციამ უნდა მიანიშნოს ერთ-ერთ წმინდა ადგილზე, ანუ სიმბოლოებით, სავარაუდოდ, კოორდინატებია დამალული, მაგრამ ამ ამოცანის ამოხსნა კვლავაც თავსატეხია მეცნიერთათვის.**

გენერალ ვანს შანხაიში (1993 წ) ჰქონდა 7 ოქროს ფილა. მან გადაწყვიტა, ისინი საიმედოდ დაემალა და ოქროს ფირფიტაზე დაიტანა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად არის დამალული ფილები. აღსანიშნავია, რომ გენერალის სიცოცხლის ბოლო დღეებში მისი საცავიდან არც თუ ისე ცოტა ძვირფასეულობა გაქრა, ანუ შეიძლება 7 ფილასთან ერთად მეცნიერებს ძალიან დიდი ძვირფასეულობა დახვდეთ, თუმცა ისინი კოდის გაშიფვრას ვერც ამ სტიმულით ახერხებენ.

ჩაოშიფრი გამოიგონა ჯონ ბაირნმა 1918 წელს. იგი წლების განმავლობაში ცდილობდა, დაეწრმუნებინა ამერიკის მთავრობა, რომ შიფრი გამოსადეგარი იყო, მისი გამოყენება ძირითადად საიდუმლო ინფორმაციის გადატანისა და შენახვისთვის შეიძლებოდა, მაგრამ მას არავინ მოუსმინა. 2012 წლის მაისში ბაირნის შთამომავლებმა წიგნის ყველა დარჩენილი დოკუმენტი გადასცეს მერილენდის ნაციონალურ მუზეუმს. ადგილობრივმა მეცნიერებმა მისი გაშიფრვა დიდი წვალების შემდეგ შეძლეს იმ რამდენიმე ჩანაწერზე დაყრდნობით, რომლებიც ამ შიფრით იყო დაწერილი.

**დორაბელის შიფრი** შედგენილი იქნა 1897 წელს, ბრიტანელი კომპოზიტორის — ედვარდ ელგარის მიერ. დაშიფრული სახით მან წერილი გაგზავნა ქალაქ ვულვერგენპტიმში, თავის შეყვარებულ დორი პენთან. წერილი მისი შეყვარებულისთვისაც გაუშიფრავი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა მცირეოდენი ინფორმაცია შიფრზე, წერილი დღესაც გაუშიფრავი რჩება.

შტატ ვირჯინიასთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე ინახება ორი ფურგონის ოდენობის ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი ნივთები. სწორედ ამ ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას მალავს ბეილის პიქტოგრამა. ოქროსმძებნელებმა, ტომას ჯეფერსონის ხელმძღვანელობით, ვერ მიაგნეს ამ სამალავს, მათ ვერ მოახერხეს კრიპტოგრამის გაშიფრვა. იგი ახლაც გაუშიფრავი რჩება.

ვოინიჩის წიგნში უნიკალური ანბანია წარმოდგენილი. მასში მიახლოებით 250 გვერდია, თითოეულ გვერდზე სხვადასხვა მცენარეა გამოსახული თავისი დახასიათებითა და ასტრონომიული ნიშნებით. მცენარეების ნახევარი ჩვენთვის უცნობია და მათ შესახებ დედამიწაზე არავინ არაფერი იცის. ეს წიგნი პირველად XVI საუკუნის ბოლოს შეამჩნიეს. იგი შეიძინა რომის იმპერატორმა რუდოლფ II პრაღაში უცნობი ვაჭრისგან. რუდლოფ II-ის სასახლის მეცნიერებს გამოსაკვლევად გადასცა. ამის შემდეგ ნაწერი XVII საუკუნის ბოლოსთვის სადღაც გაქრა. მეორედ იგი იპოვა ვილფრიდ ვოინიჩმა 1912 წელს (მანაც უცნობი ვაჭრისგან). ამ წიგნში არსებული სიტყვები და მათი სიგრძე, ასევე სიტყვათა და ასოთა შეერთება, არ ემთხვევა არც ერთ დანამედროვე ენას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ წიგნში აღწერილია ისეთი ადგილის ფლორა, რომელიც ადამიანებისთვის უცნობია.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ექსპერტთა აზრით, საუკეთესო ლუდი, რომელიც მრავალჯერ იქცა წლის გამარჯვებულად, არის მაგარი მუქი ლუდი WESTVLETEREN. მას ბელგიის ფლანდრიაში აწარმოებენ, კერძოდ, წმიდა სიქსტის მონასტერში. ჩათვალეთ, რომ ძალიან გაგიმართლათ, თუკი ოდესმე ამ სასმელის ერთი ბოთლის შეძენას მოახერხებთ, რადგან მისი წარმოება შეზღუდულია და მოთხოვნილება, დიდი ხანია, აჭარბებს შეთავაზებას.**

# რატომ წვება კატა მტკივნეულ ადგილზე?



**ყველაზე გავრცელებული შინაური ბინადარი, რომელიც გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით, არის კატა. თუ ამ ცხოველმა ადამიანის ნდობა მოიპოვა, მისი პირადი „მკურნალი“ ხდება. ის წვება პატრონის მტკივნეულ ადგილზე, კრუტუნებს, ათბობს თავისი სხეულით და ტკივილი ნელ-ნელა ქრება.**

სტატისტიკურად, ის ადამიანები, რომელთაც სახლში კატა ჰყავთ, 5-ჯერ ნაკლებად აკითხავენ ექიმს, ვიდრე ისინი, ვისაც სახლში ეს ცხოველი არ ჰყავთ.

არაერთი ფაქტი ყოფილა, როდესაც კატას ადამიანი გადაურჩენია გულის შეტევისა და ჰიპერტონული კრიზისგან. ამ ცხოველს შეუძლია, წინასწარ მიხვდეს და ანიშნოს პატრონს მოსალოდნელი კრიზის თაობაზე. ადამიანისთვის, რომელმაც ინფარქტი გადაიტანა და რომლის სახლშიც კატა ცხოვრობს, შეტევის განმეორების რისკი ძალიან დაბალია.

**კატის მოფერება სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროსაც. მოკლებეწვიანი ან უბეწვო კატებს (სფინქსი, სიამის, ობისინიური, ეგვიპტური მაუ და ა. შ.) სხვა ჯიშებთან შედარებით, მეტად ეფექტურად შეუძლიათ პატრონის მკურნალობა ნაწლავური პრობლემების დროს.**

კატას შეუძლია, გაგათავისუფლოთ დაღლილობის, დაბალი წნევისა და სტრესის დროს, ასევე, შეუძლია თქვენი პულსის დარეგულირებაც. საუკეთესო „ფსიქოთერაპევტები“ და „ნევროპათოლოგები“ არიან გრძელბეწვიანი კატები — ანგორა, სპარსული, ბირმული და ა. შ.

უფრო მეტად შავი კატა იღებს ადამიანისგან უარყოფით ენერგიას, ვიდრე სხვა ფერის კატები. წითურ კატებს შეუძლიათ, ადამიანი დადებითი ენერგიით დამუხტონ. ნაცრისფერი კატა ადამიანს ამშვიდებს, ხოლო თეთრები ტკივილის დროს საუკეთესო ექიმები არიან.

თუ ყოველდღიურად მოუსმენთ კატის კრუტუნს, რომელიც 4-16 ჰერცია, ეს დადებითად იმოქმედებს თქვენს იმუნიტეტზე. მკვლევარები თვლიან, რომ კატის კრუტუნი იგივეა, რაც ულტრაბგერითი მკურნალობა, რომელიც აჩქარებს ჭრილობის შეხორცებას და ამკვრივებს ძვლებს. სპარსული ჯიშის კატას შეუძლია, ადამიანი გაათავისუფლოს ოსტეოხონდროზით გამოწვეული ტკივილებისგან.

მეცნიერები იკვლევენ კატის კავშირს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე კატა ჰყავს სახლში, ცოცხლობს 10,3 წლით მეტს, ვიდრე ის, რვისაც არ ჰყავს. კვლევისას დადგინდა, რომ კატის მფლობელებს ბევრად კარგად აქვთ სისხლის მიმოქცევა, ქოლესტერინის დონე კი საკმაოდ დაბალი აქვთ.

მეცნიერები თვლიან, რომ კატა ენერგოინფორმაციის ცოცხალი ხელსაწყოა. მათი აზრით, თუ კატა ხშირად წვება პატრონის თავზე, ეს ადამიანი, შესაძლოა, იყოს ჰიპერტონიკი ან მიდრეკილი თავის ტკივილისკენ. თუ კატა ადამიანის მარცხენა მხარზე წვება, შესაძლოა, მიანიშნებდეს გულის პრობლემებზე. თუ კატა წვება პატრონის წელთან მიკრული, ეს მიანიშნებს თირკმლის პრობლემებზე, ხოლო თუ ცხოველი ადამიანის ფეხებზე წევს, შესაძლოა ვიგულისხმოთ დაბალი წნევა ან პატრონის იოლად გაციება.

# ყველაზე ძვირად ღირებული ლუდი

**დამოკიდებულია თუ არა ლუდის ფასი მის ხარისხზე თუ მყიდველს მხოლოდ მწარმოებლის სახელისა და მარკის ექსკლუზიურობისთვის ზედმეტის გადახდა მოუწევს? გადავხედოთ ყველაზე ძვირად ღირებული და უჩვეულო სახეობების ლუდების ჩამონათვალს.**



ჯერ კიდევ უძველესი სკვითები ტკბებოდნენ რაღაც სასმელით, რომელშიც ქერის მარცვლები ტივტივებდა. ამბობდნენ, რომ ეს ნაყენი კლავდა წყურვილს, ხსნიდა დაღლილობას, ამხიარულებდა ადამიანს.

ჩვენს დროში ამ სასმელს თაყვანისმცემელთა ურიცხვი არმია ჰყავს. და ეს არცაა გასაკვირი — ლუდის გემო და ხარისხი ხომ ათასწლეულების მანძილზე იხვეწებოდა.

ამჟამად იმდენი სახეობის ლუდი არსებობს, რომ მათში გარკვევას ყველა ექსპერტიც კი ვერ შეძლებს. არსებობს სხვადასხვა ხარისხისა და სხვადასხვა ფასის ლუდი. ამ სასმელის კარგად მცოდნენი ერთ რამეზე თანხმდებიან — ლუდს უნდა ჰქონდეს ფასისა და ხარისხის ოპტიმალური თავსებადობა და აუცილებლად ახალი უნდა იყოს.

ზოგიერთს რბილი გემო ხიბლავთ, ზოგს — მკვეთრი ან მწარე. იდეალურ ლუდს, რომელიც ყველას გემოვნებას ერთნაირად დააკმაყოფილებდა, ალბათ, ვერც ვიპოვით. მიუხედავად ამისა, ლუდსაც აქვს თავისი რეიტინგები, რომელთაც ყოველწლიურად ადგენს სპეციალური პორტალი RateBeer.

**ექსპერტთა აზრით, საუკეთესო ლუდი, რომელიც მრავალჯერ იქცა წლის გამარჯვებულად, არის მაგარი მუქი ლუდი Westvleteren. მას ბელგიის ფლანდრიაში აწარმოებენ, კერძოდ, წმიდა სიქსტის მონასტერში. ჩათვალეთ, რომ ძალიან გაგიმართლათ, თუკი ოდესმე ამ სასმელის ერთი ბოთლის შეძენას მოახერხებთ, რადგან მისი წარმოება შეზღუდულია და მოთხოვნილება, დიდი ხანია, აჭარბებს შეთავაზებას.**

ერთი ბოთლის ფასი 10 ევროა, რაც სავსებით მისაღები ფასია საქმის მცოდნეთა მხრიდან დანაპირები სიამოვნებისთვის. Westvleteren მსოფლიოში საუკეთესო ლუდად ითვლება.

როგორც წესი, ძვირად ფასობს ორიგინალურად გაფორმებულ ბოთლში ჩამოსხმული ლუდი, ან სასმელი, რომელსაც განსაკუთრებული ისტორია აქვს. მაგალითად, ასეთია ეგრეთ წოდებული „კოსმოსური ლუდი“. ქერი, რომლისგანაც ეს ლუდი მზადდება, მოყვანილია კოსმოსში, უწონადობის პირობებში. ამ ლუდის 6 ბოთლი 110 დოლარი ღირს.

„ტუტანხამონის ლუდის“ მწარმოებლები ირწმუნებიან, რომ ეს სწორედ ის სასმელია, რომელსაც ძველ ეგვიპტეში ნეფერტიტისთვის ხარშავდნენ. ის აღადგინეს იმ ლუდის ნარჩენებით, რომელიც სამეფო ლუდსახარშში იქნა აღმოჩენილი. ეგვიპტის ისტორიას ესოდენ უჩვეულო კუთხით შეახებთ ხელს, თუ ერთ ბოთლ ლუდში 75 დოლარის გადახდა არ დაგენანებათ.

გერმანულმა კომპანია Schorschbrau-მ კი მსოფლიოში ყველაზე მაგარი ლუდი მოხარშა. ეს სასმელი გრადუსით არაყსაც კი ჯობნის — მასში ალკოჰოლი 57,5%-ია. სულ ცოტაც და ეს ლუდი ვეღარ მოხვდებოდა „ლუდის სისუფთავის შესახებ“ გერმანიის ძველი კანონის ფარგლებში. ერთ ბოთლს მწარმოებლები 275 დოლარად ყიდიან.

რაც შეეხება ყველაზე დიდ და საკმაოდ ძვირადღირებულ ლუდის ბოთლს, მას მსოფლიოში ერთადერთ ადგილას — ლონდონის ბარ Bierdrome-ში თუ შეიძენთ. მისი ფასი შთამბეჭდავია და დაახლოებით 1000 დოლარს უტოლდება. თუმცა არც ბოთლია პატარა — მასში 12 ლიტრი სასმელი ჩადის. იმისათვის, რომ ამგვარი ბოთლიდან ლუდი კათხებში ჩამოისხას, სულ მცირე, ორი ადამიანია საჭირო.

თუმცა 1000 დოლარიც არაფერია. ისტორიის მანძილზე ლუდის ერთ ბოთლში გადახდილი ყველაზე დიდი ფასი 503 300 დოლარია. სწორედ ამ ფასად გაიყიდა Ebay-ს აუქციონზე ძველი ლუდის ბოთლი, რომელიც 1952 წლით იყო დათარიღებული და რომლის ეტიკეტსაც ლუდის მხარშველი აწერდა ხელს. ამ ლუდის შეძენა მხოლოდ ჭეშმარიტ კოლექციონერს შეეძლო.

გაგიკვირდებათ, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ლუდის გაყიდვიდან მიღებული ფული ცხოველთა დაცვას ხმარდება. ავსტრალიურ ლუდსახარშში — Nail Brewin ლუდი არქტიკული წყლის საფუძველზე შექმნეს. სპეციალური ექსპედიციიდან ტასმანიაში მოიტანეს პირდაპირ აისბერგიდან ჩამოტეხილი ყინულის მცირე რაოდენობა, გაადნეს და გაგზავნეს ვერტეში, ლუდსახარშ ქარხანაში. ლუდის Nail Brewings Antarctic Nail Ale მაღალი ფასი განპირობებულია იმითაც, რომ ყინული სულ 30 ბოთლის ჩამოსხმას ეყო. ეს მართლაც ექსკლუზიური ლუდია, რომელიც მხოლოდ მდიდრებს ერგოთ. ერთი ბოთლის ღირებულება 800-დან 1815 დოლარამდე მერყეობს. ამ ლუდს სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მსოფლიოში უძველესი და უსუფთავესი. 90%-ით ის წლისგან შედგება, წყლისგან, რომელიც რამდენიმე ათასი წლის წინათ დაკონსერვდა არქტიკულ მყინვარებში, ჯერ კიდევ ცივილიზაციისა და დაბინძურებული გარემოს გაჩენამდე. სწორედ ამის წყალობით მიიღო ლუდმა უმაღლესი საერთაშორისო ჯილდოები.








**კვლევის მიხედვით, იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ყოველდღიურად 3 მილიგრამზე ნაკლებ მარილს იღებდნენ, ინფარქტითა და ინსულტებით გამოწვეული მოკვდავობის მაჩვენებელი 27 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე მათ შორის, ვინც დღეში 3-დან 6 მილიგრამ მარილს იღებდა.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სექსუალურად აქტიური ქალების რეიტინგი

**პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მეტი სექსუალურად აქტიური ქალი თურმე უზბეკეთში ცხოვრობს — 64,7%, ყველაზე ნაკლები — ტაჯიკეთში (44,7%). ასეთი დასკვნები გამოიტანეს გენდერულმა ექსპერტებმა, რომლებმაც პოსტსაბჭოთა სივრცის 11 ქვეყანაში ქალების რეპროდუქტიული ჯანმრთელობის სტატისტიკა შეადარეს ერთმანეთს.**



რეიტინგი შედგა იმ ქალების საერთო რაოდენობით, რომლებიც აღიარებენ, რომ ბოლო 4 კვირის განმავლობაში ერთხელ მაინც ჰქონდათ სქესობრივი კავშირი. ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხი ყველაზე მეტმა უზბეკეთში გასცა — 64,7%-მა. საქართველო ბოლოდან მეორე ადგილზე აღმოჩნდა — რეიტინგის მიხედვით, ჩვენი ქვეყნის რეპროდუქტიული ასაკის ქალბატონების 47,6%-ს ჰქონდა ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხი.

რეიტინგი ასეთია: უზბეკეთი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, მოლდოვა, ყირგიზეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და ტაჯიკეთი.

შედარებისთვის, იორდანია ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც ყველაზე მეტი სექსუალურად აქტიური ქალია — 84,9%; ნამიბიაში კი ყველაზე ნაკლებია — 38,4%.

კვლევის შედეგების თანახმად, ყველაზე მეტი სექსუალურად აქტიური ქალი 25-44 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია, შემდეგ მოდის 45-49 წელი, ყველაზე ნაკლები კი — 15-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაში.

კვლევით ისიც დადგინდა, რომ განათლების უფრო მაღალი დონის მქონე ქალები სექსუალურად უფრო აქტიურები არიან იმათთან შედარებით, ვისაც მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვს.



# სად არის ბედნიერება?

**ევროპულმა სააგენტო „ევროსტატმა“ ბედნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 20 მარტს აღინიშნებოდა, ევროკავშირის ყველაზე ბედნიერი ქვეყნების რეიტინგი შეადგინა.**

გამოკითხვის მონაწილეებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილები არიან საკუთარი ცხოვრებით და ამასთან, ათ ბალიან შკალაზე საკუთარი ბედნიერების მაჩვენებელი უნდა დაესახელებინათ. როგორც მოსალოდნელი იყო, რეიტინგის სათავეში სკანდინავიის ქვეყნები მოექცნენ.

მონაცემების მიხედვით, დანიის, ფინეთისა და შვედეთის მოხალეობამ საკუთარ ცხოვრებას ბედნიერების 8 ქულა მიანიჭა. სკანდინავიის ქვეყნებს კვალდაკვალ მოჰყვება ავსტრია, ნიდერლანდები, ბელგია და ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, საფრანგეთი, ესპანეთი და იტალია.

# როდის იბადებიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები

**საუკუნეების განმავლობაში ცოცხლობს ლეგენდები ე.წ. სექსუალური დემონების შესახებ. მათი სახელები სხვადასხვა ქვეყნის მითოლოგიებში განსხვავებულია, ყველაზე მეტად გავრცელებული ინკუბუსი და საკუბუსია.**

ლეგენდებს თუ დავუჯერებთ, ინკუბუსი მამრობითი სქესის დემონია, რომელიც მძინარე ქალებთან წვება და მათთან სექსუალურ კავშირს ამყარებს, ხოლო საკუბუსი მდედრობითი სქესის დემონია და კავშირს მამაკაცებთან ამყარებს. ხალხში გავრცელებული ხმების მიხედვით, დემონები ადამიანის სექსუალური ენერგიით იკვებებიან.

როგორც ცნობილია, ამ არსებებთან სექსუალური ურთიერთობის დამყარების დროს ადამიანი დიდ სიამოვნებას განიცდის. ინკუბი და სუკუბი ხშირად იმ სახეს იღებენ, ვისთან სექსუალური კავშირის დამყარებაც მათ მსხვერპლებს სურთ, თუნდაც არაცნობიერად. საკუთარი ზებუნებრიობის გამო, ისინი ადამიანებისთვის იდეალურ სექსუალურ პარტნიორებად იქცევიან ხოლმე.

**მითოსის მიხედვით, ინკუბებსა და სუკუბებს ქალების განაყოფიერებაც შეუძლიათ. ასეთ შემთხვევებში, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანები იბადებიან.**







# მარილის არასაკმარისი მიღებაც სარისკოა

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით, ჯანმრთელმა ადამიანებმაც კი მარილის მოხმარება უნდა შეზღუდონ და დღეში საშუალოდ მხოლოდ 1,5-დან 2,3 მილიგრამამდე მარილი უნდა მიიღონ. ახალი კვლევით კი დასტურდება, რომ მარილის ზედმეტმა შეზღუდვამაც, შესაძლოა, ინფარქტის და ინსულტის რისკი გაზარდოს.**

ახალმა ინფორმაციამ სამედიცინო საზოგადოებაში სერიოზული დისონანსი შეიტანა. ამ საკითხში ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი საერთაშორისო კვლევა, რომელიც თითქმის 4 წელიწადი გრძელდებოდა და რომელშიც მონაწილეობა 17 ქვეყნის 100 ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო, ამტკიცებს, რომ მარილის მიღების დღიური ნორმა, რომელიც აქამდე იყო დაწესებული, არასწორი შეიძლება იყოს და რომ ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია, ის გააორმაგოს. საუბარია დღიურად 3-დან 6 მილიგრამამდე მარილის მიღების მიზანშეწონილობაზე, ანუ დაახლოებით იმდენზე, რასაც მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ისედაც იღებს.

კვლევის მიხედვით, იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ყოველდღიურად 3 მილიგრამზე ნაკლებ მარილს იღებდნენ, ინფარქტითა და ინსულტებით გამოწვეული მოკვდავობის მაჩვენებელი 27 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე მათ შორის, ვინც დღეში 3-დან 6 მილიგრამ მარილს იღებდა. თუმცა, მოკვდავობის მაჩვენებელი ასევე იზრდებოდა 6 მილიგრამზე მეტი მარილის მიღებასთან ერთად.

ექიმი სიუზან ოპარილი, ალაბამას უნივერსიტეტის კარდიოლოგი, რომელიც აღნიშნული კვლევის სარედაქციო წერილის ავტორია, ამბობს, რომ მარილის ნაცვლად, მეტი ყურადღება ჯანდაცვის მესვეურებმა შაქრის შემცველ პროდუქტებზე უნდა გამახვილონ და მათი მიღება დაარეგულირონ. მისი თქმით, ეჭვგარეშეა, რომ მარილის ჭარბი მოხმარება ჯანმრთელობას სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს, მაგრამ არც მისი ძლიერ შეზღუდვა იქნებოდა სასარგებლო რჩევა ჯანმრთელი ადამიანისთვის.

ექიმ ოპარილს იაპონიის მაგალითი მოჰყავს და ამბობს, რომ „იაპონია მარილის დიდი რაოდენობით მომხმარებელია, თუმცა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობითაც გამოირჩევა“.



# ადამიანის ფიქრსაც შეუძლია, რეალობა შეცვალოს



**იაპონელი მკვლევარის, მასარუ ემოტოს, გასაოცარი ექსპერიმენტი დაგარწმუნებთ, რომ იმაზე, თუ როგორ ვიქცევით და ვექცევით სხვებს, ბევრი რამ არის დამოკიდებული. მასარუ ემოტომ დაამტკიცა, რომ ადამიანის ფიქრსა და განზრახვას შეუძლია, რეალობა შეცვალოს.** მისი ყველაზე ცნობილი „ბრინჯის ექსპერიმენტის“ მიხედვით ჩვენ შეგვიძლია, დავინახოთ პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულების შედეგი. მასარუმ სამ სინჯარაში მოათავსა ბრინჯი და ექსპერიმენტში სკოლის მოსწავლეები ჩართო, რომლებიც ყოველდღე ერთსა და იმავე ფრაზებს იმეორებდნენ სინჯარებთან: ერთ მათგანთან ფრაზას „მადლობა“, მეორესთან — „შენ იდიოტი ხარ“, მესამეს კი სრულ იგნორირებას უკეთებდნენ.

30 დღის შემდეგ ბრინჯი, რომელსაც მადლობას უხდიდნენ, ვიზუალურად მინიმალურად შეიცვალა, მაშინ, როცა დანარჩენი ორი დაობდა და დალპა.

### ზურაბ ქადაგიძე:
# პრობაციის სააგენტოს უფროსი გიორგი არსოშვილი და მისი მოადგილე «ნაცმოძრაობის» ჩანერგილები არიან

**„ახალგაზრდული ცენტრის“ თავმჯდომარე ზურაბ ქადაგიძის განცხადებით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი გიორგი არსოშვილი და მისი მოადგილე თეიმურაზ მაღრაძე „ნაციონალური მოძრაობის“ ჩანერგილები არიან და ყოფილი ხელისუფლების პერიოდში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სასტიკი და ადამიანის წამებაზე მორგებული სისტემის შექმნაში წვლილი მიუძღვით.**

ზურაბ ქადაგიძემ განაცხადა, რომ არსოშვილი 2010-2011 წლებში სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილის თანამდებობას იკავებდა, მაღრაძე კი სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი იყო.

„ეს ის პერიოდია, როდესაც ციხეში კლავდნენ, აუპატიურებდნენ და აწამებდნენ. ეს ადამიანები იყვნენ სასტიკი სისტემის შემქმნელები და მონაწილეები. არსოშვილი და მისი მოადგილე ატარებენ „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს და კონკრეტული სიტუაციის დროს ისინი არა სასჯელაღსრულების მინისტრს, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს გაითვალისწინებენ. კახა კახიშვილი, რომელიც სამოქალაქო სექტორში ყოფნისას ებრძოდა ასეთ ფაქტებს, უნდა დაინტერესდეს ამ პიროვნებების წარსულითა და ვინაობით. ეს ადამიანები არიან პოტენციური „საბოტაჟნიკები“, — განაცხადა ზურაბ ქადაგიძემ.



### გიორგი მარგველაშვილი:
# დღეს ხელისუფლება ხალხს უსმენს და ეს არის მთავარი მიღწევა

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 31 მარტს პარლამენტის ტრიბუნიდან მოქალაქეებს მიმართა.**

„ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხალხის ნება ძირითადად ხელისუფლების მიმართ პროტესტში ან კრიტიკაში გამოიხატებოდა. დროა, შევუდგეთ ჩვენი უფლებების პოზიტიურად გამოყენებას, სასურველი რეალობის არა მხოლოდ მოთხოვნას, არამედ მის შექმნას. საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იქცეს გადაწყვეტილების მიმღებად, სხვა გზა არ გვაქვს, უნდა ვენდოთ საკუთარ თავს და ხელი მოვკიდოთ კეთილდღეობისა და განვითარების საქმეს...

სწორედ მოქალაქეებმა, ძლიერმა მოქალაქეებმა შექმნეს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები, ჩვენც ეს გზა გვაქვს გასავლელი. მსურს, ხაზგასმით აღვნიშნო ის გარემოება, რომელიც უდიდეს მიღწევად მიმაჩნია – დღეს ხელისუფლება ხალხს უსმენს. დღეს საზოგადოებრივი აზრი ხშირად გადამწვეტია პოლიტიკურ პროცესებში და ეს არაერთხელ დადასტურებულა. ეს არის შანსი, რომ მოქალაქეები უფრო აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის ცხოვრებაში“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.



# საქართველოში მაღალტექნოლოგიური საავიაციო ქარხნის მშენებლობა დაიწყება

**ვიცეპრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, სამ თვეში საქართველოში მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე საავიაციო ქარხნის მშენებლობა დაიწყება.**

საავიაციო ქარხნის მშენებლობა თბილისში აეროპორტთან ახლოს იგეგმება. საუბარია 85-მილიონიან პროექტზე, რომელსაც საპარტნიორო ფონდი ებრაულ კომპანია Elbit Cyclone-სთან ერთად ახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს მაღალტექნოლოგიური საწარმოს შექმნას. საწარმოში კომპოზიტური მასალებისგან დამზადდება სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილები.

„მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. ეს იქნება სრულიად ახალი საავიაციო წარმოება, რომელიც დაამზადებს წამყვანი საავიაციო კომპანიების თვითმფრინავების ნაწილებს. საუბარია ყველა ტიპის თვითმფრინავის დეტალების წარმოებაზე. საქართველოში თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ქარხნის მშენებლობა 3 თვეში დაიწყება. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნის მაღალტექნოლოგიური სფეროს გასავითარებლად“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# ბესო ხარძიანის ოჯახის ადვოკატი მიიჩნევს, რომ სავარაუდო დამნაშავის ფოტორობოტი დროულად უნდა გამოქვეყნდეს

**მოკლული ბიზნესმენის, ბესო ხარძიანის, ოჯახის ადვოკატი მალხაზ სალაყაია მიიჩნევს, რომ საგამოძიებო უწყებამ სავარაუდო დამნაშავის ფოტორობოტი დროულად უნდა გამოაქვეყნოს.**

„მართალია, გამოძიებას თავისი ტაქტიკა აქვს, მაგრამ საგამოძიებო უწყებები დაინტერესებული უნდა იყვნენ, რომ, თუკი სავარაუდო დამნაშავე იდენტიფიცირებულია რაიმე სახით, ეცნობოს საზოგადოებას. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ პირს, თუკი იგი არის დაქირავებული მკვლელი, სხვა დავალებაც ჰქონდეს მიღებული და ახალი დანაშაული ჩაიდინოს“, — განაცხადა მალხაზ სალაყაიამ.

ბიზნესმენი ბესო ხარძიანი 28 მარტს საკუთარ სახლთან მოკლეს.





# საფრანგეთის ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში სარკოზის პარტიამ გაიმარჯვა

**წინასწარი შედეგების მიხედვით, ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის პარტია ადგილობრივ საბჭოებში 65 ადგილს დაიკავებს, მმართველი სოციალისტური პარტია კი — წინა არჩევნებთან შედარებით, 30 ადგილით ნაკლებს. რაც შეეხება მარინ ლე პენის მემარცხენე რადიკალურ პარტია „ეროვნულ ფრონტს“, ის პოზიციებს ადგილობრივ საბჭოებში კიდევ უფრო გაიმყარებს.** არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ ამომრჩეველმა ამ არჩევნებით მისი შემცვლელის, პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის პოლიტიკა „მასობრივად უარყო“.

ექსპერტების განაცხადებით, ეს არჩევნები 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ერთგვარი „ტესტი“ იქნება.



# მრავალათასიანი აქცია მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ

**ბრიუსელში გაიმართა საპროტესტო აქცია მკაცრი ეკონომიკის პოლიტიკის წინააღმდეგ. ბელგიის დედაქალაქის ქუჩებში, ავდრის მიუხედავად, 20 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა.**

ბრიუსელში მკაცრი ეკონომიკის პოლიტიკის წინააღმდეგ საყოველთაო გაფიცვა გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში დაიწყო. აქციები მასობრივ არეულობებსა და პოლიციელებთან შეტაკებაში გადაიზარდა, შემდეგ დაშავდა 20 ადამიანი, დაიწვა ათეულობით ავტომობილი.

აქციის მონაწილეები ევროკავშირის ხელმძღვანელობისგან მოითხოვდნენ უარის თქმას რეფორმებზე, რომელთა გამოც ეკონომიკური კრიზისი დაიწყო და ევროპის რიგით მოქალაქეებს მძიმე ტვირთად დააწვა.

# თებერვალში რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპმა 4,9% შეადგინა

**სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2015 წლის თებერვლის ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა.** „საქსტატის“ წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2015 წლის თებერვალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 4,9%, ხოლო იანვარ-თებერვლის საშუალო რეალურმა ზრდამ 2,7 % შეადგინა.

# მინსკის აეროპორტში თბილისელი მამაკაცი დააკავეს

**ბელორუსში, მინსკის საერთაშორისო აეროპორტში, 30 გრამი მეტადონის შეტანის გამო, საქართველოს მოქალაქე დააკავეს.** დაკავებულია 1974 წელს დაბადებული, თბილისში მცხოვრები მამაკაცი, რომლის ვინაობაც არ კონკრეტდება. მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მე-3 ნაწილით აღიძრა, რომელიც ქვეყანაში კონტრაბანდის შეტანას გულისხმობს.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009